ალექსანდრე დიუმა (შვილი) ქალი კამელიებით

I

ჩემი აზრით, როგორც რომელიმე უცხო ენაზე ვერ ილაპარა-კებს ადამიანი, თუ სიღრმისეულად არ გააცნობიერა ამ ენის არსი, ისე მწერალიც ვერაფრით შექმნის პერსონაჟებს, თუ საგანგებოდ არ შეისწავლა კაცთა მოდგმა.

ჯერ იმ ასაკში არ ვარ, ამბების გამოგონება დავიწყო, ამიტომ მხოლოდ სხვის მონაყოლს მოგიყვებით.

მკითხველს ვთხოვ, ირწმუნოს ჩემი სიტყვების სიმართლე, რადგან ამ ისტორიის ყველა პერსონაჟი, გმირი ქალის გამოკლებით, დღესაც ცოცხალია.

გარდა ამისა, პარიზში კვლავაც ბევრია ისეთი, ვინც პირადად შესწრებია აქ მოყვანილ ფაქტებს და ვისაც შეუძლია, მონათხრობი დამიდასტუროს, თუკი ჩემი სიტყვა საკმარისი არ აღმოჩნდება. ერთი განსაკუთრებული შემთხვევის გამოისობით, მხოლოდ მე შემეძლო აღმეწერა ყველაფერი, ვინაიდან მხოლოდ ჩემთვის იყო ცნობილი რამდენიმე ისეთი წვრილმანი, ურომლისოდაც შეუძლებელი იქნებოდა, მონათხრობი სრული და საინტერესო გამოსულიყო. აი, როგორ გავიგე ეს წვრილმანები. - 1847 წლის 12 მარტს, ლაფიტის ქუჩაზე თვალში მომხვდა დიდი ყვითელი განცხადება, რომელიც იუწყებოდა, ავეჯი და ფუფუნების იშვიათი ნივთები საჯარო ვაჭრობით გაიყიდებაო.

საჯარო ვაჭრობა მეპატრონის გარდაცვალების გამო დაენიშნათ. განცხადებაში გარდაცვლილი არა, მაგრამ ვაჭრობის დრო და მისამართი კი მიეთითებინათ: 16 მაისი, დ’ანტენის ქუჩა #9, შუადღის თორმეტიდან ხუთ საათამდე.

განცხადება იმასაც იუწყებოდა, მსურველებს წინასწარ, 13-14 მაისს შეუძლიათ, ბინისა და ავეჯის დასათვალიერებლად მობრძანდნენო.

ყოველთვის მიყვარდა იშვიათი ნივთები. ამიტომ გადავწყვიტე, ამ შემთხვევას ხელიდან არ გავუშვებ, მივალ და თუ არაფერს შევიძენ, დათვალიერებით მაინც დავათვალიერებ-მეთქი.

მეორე დღეს დ’ანტენის ქუჩის #9-ისკენ გავემართე. მიუხედავად ადრიანი დილისა, ბინაში ბევრ სტუმარს, არამხოლოდ მამაკაცებს, არამედ ქალებსაც მოეყარათ თავი. ხავერდის სამოსიანი, მხრებზე ქაშმირის შალმოხვეული ქალბატონები, კართან რომ ელეგანტური ეკიპაჟები ელოდათ, გაოცებითა და, შეიძლება ითქვას, აღფრთოვანებითაც უცქერდნენ თვალწინ გადაშლილ ფუფუნების საგნებს.

მოგვიანებით, ბოლომდე ჩავწვდი ამ აღტაცებისა და გაოცების მიზეზს.

მიმოვიხედე თუ არა, მაშინვე მივხვდი, ხარჭის ბინაში ვიყავი. სახლში მრავლად იყო ყველაფერი, რის ნახვასაც ალბათ მაღალი საზოგადოების ქალები ისურვებდნენ და ისინიც არ აკლდნენ იქაურობას. იმ ქალთა ბინის მორთულობა, რომელთა ეტლებიც ყოველდღე ლაფით თხვრიან მათ ეკიპაჟებს, რომლებიც მათივე გვერდით სხედან დიდი და იტალიური ოპერის ლოჟებში და რომლებიც მთელი პარიზის თვალწინ მოურიდებლად გამოფენენ ხოლმე თავიანთ გამომწვევ სილამაზეს, ძვირფასეულობასა და სკანდალებს.

იგი, ვის სახლშიც მე ვიმყოფებოდი, გარდაცვლილიყო: ახლა ყველა უმწიკვლო ქალს შეეძლო შეეხედა მის ოთახში. სიკვდილს გაეწმინდა ჰაერი ამ ბრწყინვალე კლოაკაში. გარდა ამისა, იგი სტუმრებსაც წმენდდა ნამუსს, თუკი ნამუსის მოწმენდა სჭირდებოდა ვინმეს. მათ შეეძლოთ ეთქვათ, ჩვენ, უბრალოდ, საჯარო ვაჭრობაზე მოვედით და აბა, რა ვიცოდით, ვის ბინაში აღმოვჩნდებოდითო. განცხადება წავიკითხეთ, გვინდოდა, ნივთები დაგვეთვალიერებინდა და წინდაწინ გაგვეკეთებინა არჩევანიო. ძალიან უბრალოდ აიხსნებოდა ყველაფერი. მაგრამ ეს როდი უშლიდათ ხელს, უამრავ ძვირფას ნივთს შორის ეძებნათ კურტიზანის ცხოვრების კვალი, რომლის შესახებაც, რასაკვირველია, უამრავი უცნაური რამ გაეგონათ.

საუბედუროდ, მთელი იდუმალება ქალღმერთმა ჩაიტანა საფ-ლავში და, მიუხედავად უდიდესი სურვილისა, სტუმრად მისულ ქალბატონებს მხოლოდ იმის ნახვა შეეძლოთ, რაც სიკვდილის შემდეგ იყიდებოდა, თორემ რასაც აქ სიცოცხლეში ყიდდნენ, იმას, აბა, როგორღა შეავლებდნენ თვალს.

თუმცა აქ მაინც უამრავ რამეს შეიძენდა კაცი. შეუდარებლად მოეწყოთ ბინა: ბულისა და წითელი ხის ავეჯი, სერვიზი და ჩინური ლარნაკები, საქსონური სტატუეტები, ატლასი, ხავერდი და მაქმანი - არაფერი აკლდა.

ბინაში დავსეირნობდი და ვუთვალთვალებდი ჩემამდე მოსულ დიდგვაროვან ქალბატონებს. ისინი იმ ოთახში შევიდნენ, სადაც სპარსული ქსოვილი გაეკრათ. მეც დავაპირე შეყოლა, მაგრამ ისინი თითქმის მაშინვე გამობრუნდნენ უკან. იღიმებოდნენ, თითქოს რცხვენიათ საკუთარი ცნობისმოყვარეობისო. კიდევ უფრო მეტად მომინდა შიგნით შესვლა.

საპირფარეშო ისეთი იყო, უმცირესი დეტალიც არ აკლდა, რაც საუკეთესოდ მეტყველებდა გარდაცვლილის გადამეტებულ ხელგაშლილობაზე.

კედელთან მიდგმულ ვეებერთელა, სამი ფუტი სიგანისა და ექვსი ფუტი სიგრძის მაგიდაზე დ'ოკოკისა და დ'ოდიოს მთელი საგანძური ელვარებდა.

არაჩვეულებრივი კოლექცია იყო და ყველა ეს უთვალავი საგანი, ასე საჭირო იმ ქალისთვის, ვის ბინაშიც ვიმყოფებოდით, მხოლოდ ოქროსა და ვერცხლისაგან გაეკეთებინათ. თუმცა, ეტყობოდა, ეს კოლექცია ნელ-ნელა შეეგროვებინათ, ყველაფერი ერთი მამაკაცის ნაჩუქარი როდი იყო.

რაც შემეხება მე, ხარჭის საპირფარეშოს მორთულობას არ შევუცბუნებივარ. თითოეულ წვრილმანს სიამოვნებითაც კი ვათვლიერებდი და შევამჩნიე, რომ ყველა ეს შეუდარებელი ჭედური ნივთი სხვადასხვა ინიციალსა და გერბს ატარებდა. შევყურებდი ამ საგნებს და თითოეული საბრალო ქალის ახალი გარყვნილების ამბავს მიყვებოდა და საკუთარ თავს ვუთხარი, ღმერთს გულმოწყალება გამოუჩენია, რომ

ჩვეულებრივი აღსასრული აარიდა და ნება მისცა, სილამაზესა და ფუფუნებაში მომკვდარიყო და არ მოასწრო სიბერეს, ყველა კურტიზანის ამ პირველ სიკვდილს.

მართლაც, რა ნაღვლიანი სანახაობაა, როცა ხედავ გარყვნილი ქალის სიბერეს. არავითარ ღირსებას აღარ შეიცავს იგი, არავითარ ინტერესს აღარ აღძრავს. ყველაზე უფრო გულის ამრევი მაინც ეს გაუთავებელი სინანულია, ოღონდ უწესოდ განვლილ ცხოვრებაზე კი არა, არამედ ცუდად გაკეთებულ ანაგარიშებსა და უაზროდ განიავებულ ფულზე.

მე ვიცნობდი ერთ ძველ მეძავს, რომელსაც წარსულისაგან მხოლოდ, თუ თანამედროვეთა ნათქვამს ვენდობით, დედასავით ლამაზი ქალიშვილი დარჩა. საბრალო ბავშვს დედა ყოველდღე ჩასჩიჩინებდა: ჩემი შვილი ხარ და მოხუცებულს ისევე უნდა მომხედო, როგორც მე ვზრუნავდი შენზე, როცა პატარა იყავიო. ამ საბარლო არსებას ლუიზა ერქვა. დაუჯერა დედას და ნებდებოდა მამაკაცებს, ყოველგვარი სურვილის, ვნებისა და სიამოვნების გარეშე. სხვა ხელობა რომ ესწავლებინა, იმასაც ასე შეასრულებდა.

გარყვნილმა ცხოვრებამ, ნაადრევად დაწყებულმა გარყვნილებამ და გაუთავებელმა ავადმყოფობამ ჩაკლა მასში ბოროტისა და კეთილის გარჩევის უნარი, რომელიც ალბათ მისცა კიდეც ღმერთმა, მაგრამ რომლის განვითარებაზეც არავის უზრუნია.

ყოველთვის თვალწინ წარმომიდგება ხოლმე ეს ახალგაზრდა ქალი, რომელიც ყოველდღე, ლამის ერთსა და იმავე დროს, გამოდიოდა ბულვარში, დედამისიც აუცილებლად გვერდით მოსდევდა, ისეთივე თავგამოდებით, როგორც ნამდვილი დედა უნდა დაყვებოდეს საკუთარ ქალიშვილს.

მაშინ მეტისმეტად ახალგაზრდა ვიყავი და ხელს არაფერი მიშლიდა, ჩემი საუკუნის მსუბუქ ზნეობას დავთანხმებოდი. მაგრამ დღემდე მახსოვს, ეს სკანდალური მეთვალყურეობა როგორ ზიზღსა და სიძულვილს იწვევდა ჩემში. თან არც ერთ წესიერ ქალიშვილს არ ჰქონია მასავით უმანკო და სევდიანი გამომეტყველება. იტყოდით, ხორცშესხმული მორჩილებაო.

ერთ დღესაც გოგოს სახე გაუნათდა, დედის დაგეგმილ გარ-ყვნილებათა შორის, ცოდვილს მოეჩვენა, ღმერთმა წყალობის თვა-ლით გადმომხედაო და ღმერთსაც, ამ უღონო, ტკივილით დამძიმებული, მის მიერვე შექმნილი არსებისთვის რამით ხომ უნდა ეცა ნუგეში? იგრძნო, ფეხმძიმედ ვარო და თუ კიდევ რამე იყო მასში უმანკო, სიხარულით შეირხა, სულში ყოველთვის რჩება ხოლმე ერთი ხელუხლებელი კუნჭული.

ლუიზა მაშინვე დედასთან გაიქცა, ახალი ამბით გავახარებო. სათქმელადაც სამარცხვინოა, თუმცა ჩვენ უზნეობას როდი ვქადაგებთ, ნამდვილ სიმართლეს ვყვებით და ალბათ ხმასაც არ ამოვიღებდით, რომ არ ვთვლიდეთ, აუცილებელია, დროდადრო სააშკარაოზე გამოვიტანოთ ამ არსებათა ტანჯვა-წამება, რომლებსაც დაუკითხავად განიკითხავენ და გაუსამართლებლად სძულთ.

ჩვენ ვამბობთ, სამარცხვინოაო, მაგრამ დედამ შვილს უთხრა, რაც ორს გვყოფნის, ის სამს ვერ გაგვწვდებაო, ასეთი ბავშვი არავის არაფერში სჭირდება და ორსულობაც მხოლოდ დროის უაზრო ფლანგვაა.

მეორე დღეს ბებია ქალი, რომელზეც მხოლოდ ის ვიცით, რომ დედამისის მეგობარი იყო, მივიდა ლუიზასთან. ლუიზამ რამდენიმე დღე ლოგინში გაატარა და კიდევ უფრო ფერდაკარგული და ქანცმილეული წამოდგა ფეხზე. სამი თვის შემდეგ ვიღაც კაცს შეეცოდა და მის ზნეობრივ და ფიზიკურ გამოჯანსაღებას მიჰყო ხელი, მაგრამ უკანასკნელი ელდა მეტისმეტად ძლიერი აღმოჩნდა, ლუიზამ მუცელი მოიწყვიტა და ზედაც გადაჰყვა.

დედა ჯერაც ცოცხალია. როგორ ცხოვრობს? ღმერთმა იცის.

ეს ისტორია მაშინ მომაგონდა, ვერცხლის ნესესერს რომ ვათვალიერებდი და ალბათ ფიქრში ძალიან გავერთე, რადგან ოთახში უკვე აღარავინ იყო და კარისკაციც ყურადღებით შემომცქეროდა, ხელს არაფერი გააყოლოსო. მივუახლოვდი ამ კაცს, რომელიც ასე შევაშფოთე.

- ბატონო, - მივმართე მე, - შეგიძლიათ მითხრათ იმ ადამიანის სახელი, რომელიც აქ ცხოვრობდა?

- მადმუაზელ მარგარიტა გოტიე.

ამ ქალიშვილს სახელითაც ვიცნობდი და სახეზეც მენახა.

- როგორ, - ვკითხე დარაჯს, - მარაგრიტა გოტიე გარდაიცვალა?

- დიახ, ბატონო.

- კი მაგრამ, როდის?

- მგონი სამი კვირის წინ.

- და ხალხს ბინა რატომ დაათვალიერებინეს?

- მევალეებმა იფიქრეს, ამით საქონელს ფასი მოემატებაო. ადამიანებს შეუძლიათ, წინასწარ დაათვალიერონ ქსოვილები და ავეჯი, ხომ ხვდებით, ეს ვაჭრობას უფრო გააცხოველებს.

- ვალები ჰქონდა?

- ოჰ! ბატონო, უამარავი.

- მაგრამ საჯარო ვაჭრობა, ცხადია, დაფარავს?

- ცოტა დარჩება კიდეც.

- რაც დარჩება, იმას ვინ მიიღებს?

- მისი ოჯახი.

- ოჯახიც ჰყავს?

- როგორც ჩანს.

- გმადლობთ, ბატონო.

დარაჯი დარწმუნდა, რომ გულში ცუდი არაფერი მედო, თავი დამიკრა და მეც წამოვედი.

- საბრალო გოგო! - ვთქვი შინ მიბრუნებულმა, - ალბათ როგორ გაუჭირდებოდა სიკვდილი, მის წრეში ხომ მხოლოდ მაშინ ჰყავთ მეგობრები, როცა ყველაფერი კარგად მიდის. უნე-ბურად შემებრალა კიდეც მარგარიტა გოტიე.

ბევრს იქნებ სასაცილოდაც მოეჩვენოს, მაგრამ მე კურტიზანების მიმართ ულევი თანაგრძნობით ვარ განმსჭვალული და არც ვაპირებ თავი ვიმართლო ამის გამო. ერთხელ პრეფექტურაში მივდიოდი პასპორტის ასაღებად და დავინახე ქუჩის კუთხეში ორ ჟანდარმს როგორ მოჰყავდა ვიღაც გოგო. არ ვიცი, რა ჩაედინა ასეთი, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ცხარე ცრემლით ტიროდა და მხურვალედ კოცნიდა რამდენიმე თვის ბავშვს, რომელსაც მისი დამკავებლები ხელიდან ართმევდნენ. იმ დღის შემდეგ აღარ შემიძლია, ქალი ერთი ნახვით შევიძულო.

II

საჯარო ვაჭრობა თექვსმეტისთვის იყო დანიშნული.

დათვალიერებასა და ვაჭრობას შორის ერთი თავისუფალი დღე დაეტოვებინათ, რათა ავეჯით მოვაჭრეებს საშუალება ჰქო-ნოდათ, ჩამოეხსნათ ქსოვილები, ფარდები და ა.შ.

იმხანად ახალი დაბრუნებული ვიყავი მოგზაურობიდან, ბუნებრივია, ჩემთვის მარგარიტას სიკვდილი არავის უცნობებია. ეს ხომ იმ ახალ ამბავთა რიგს არ მიეკუთვნება, მეგობრები რომ გიყვებიან დედაქალაქში ახალდაბრუნებულს. მარგარიტა ლამაზი იყო, მაგრამ რამდენადაც ხმაურიანია ხოლმე ამ ქალების ცხოვ-რება, იმდენად უხმაუროა მათი სიკვდილი. ეს მნათობები ჩასვლითაც ისე ჩადიან, როგორც ამოვიდნენ, უსინათლოდ. მათ სიკვდილს, თუკი ახალგაზრდები იხოცებიან, ყველა მათი საყვარელი ერთდროულად იგებს, რადგან პარიზში ყველა ცნობილი კურტიზანის საყვარელი, დაახლოებით, ერთნაირად ცხოვრობს. ერთმანეთს გაუცვლ-გამოუცვლიან მოგონებებს და ისე გააგრძელებენ გზას, ცრემლი რა არის, ცრემლი არ ჩამოუვარდებათ.

დღეს 25 წლის ადამიანებს ისე იშვიათად მოადგებათ ცრემლი, რომ პირველივე შემხვედრს, აბა, როგორ დაიტირებენ, მხოლოდ მშობლებს სტირიან, თან იმასაც გააჩნია, ამ ტირილში მშობლები რამდენს გადაუხდიან.

რაც შემეხება მე, მარგარიტას ვერცხლეულზე ჩემი ინიციალები არ იყო ამოტვიფრული, მაგრამ ეს ინსტიქტური თანაგრძნობა, ბუნებრივი სიბრალული, რომელშიც ახლახან გამოვტყდი, მაიძულებდა, უფრო მეტხანს მეფიქრა მის სიკვდილზე, ვიდრე იგი ამას ჩემგან იმსახურებდა.

გამახსენდა, რომ მარგარიტას ძალიან ხშირად ვნახულობდი ელისეს მინდვრებზე, პატარა, ცისფერ ეტლში ორი არაჩვეულებრივი ცხენი ება და ყოველდღე ასე დასეირნობდა. მაშინ ერთი თავისებურება შევამჩნიე, რაც მისნაირებს ნაკლებად ახასიათებთ; თავისებურება, რომელიც ხაზს უსვამდა მის ჭეშმარიტად გამორჩეულ სილამაზეს.

ეს უბედური ქმნილებები ისე გამოდიან გარეთ, კაცმა არ იცის, ვინ ახლავთ თან. არც ერთი მამაკაცი არ დათანხმდება, ქვეყანას მოსდოს ამა და ამ ქალთან ვისიყვარულე გასულ ღამესო. მაგრამ რადგანაც კურტიზანებს მარტოობის ეშინიათ, ხან ნაკლებად იღბლიან, ეტლი რომ არ ჰყავს, ისეთ მეგობარს ჩაისვამენ ხოლმე ეკიპაჟში, ხან ძველ ხარჭებს, რომლებსაც ბოლომდე ჯერაც არ დაუკარგავთ მომხიბვლელობა და რომლებსაც უშიშრად შეიძლება მიმართო კაცმა, როცა მათ თანამგზავრზე რამის გაგება მოგინდება.

მაგრამ მარგარიტა ასე როდი იქცეოდა. ყოველთვის მარტო დასეირნობდა ხოლმე ელისეს მინდვრებზე საკუთარი ეტლით. ცდილობდა, რაც შეიძლებოდა შეუმჩნეველი დარჩენილიყო. ზამთრობით დიდ შალს იხვევდა, ზაფხულობით უბრალო კაბა ეცვა და, მიუხედავად იმისა, რომ გზაში ბევრი ნაცნობი მამკაცი ხვდებოდა, ვისაც გაუღიმებდა, მხოლოდ ისინი ხედავდნენ ამ ღიმილს. მარტო ჰერცოგის მეუღლე თუ მოახერხებდა ასე გაღიმებას. იგი არ ტრიალებდა წრეზე ელისეს მინდვრების დასაწყისში, როგორც ამას ახლაც აკეთებს და ადრეც აკეთებდა ყველა მისი კოლეგა. ორ ცხენს მალე მიჰყავდა ხოლმე ტყეში. იქ ჩამოდიოდა ეტლიდან, ერთი საათის მანძილზე ფეხით დასეირნობდა, მერე უკანვე ჯდებოდა და მალევე ბრუნდებოდა შინ.

თვალწინ ჩამიქროლა ყველა ამ წვრილმანმა, რომელთა მოწმეც თავად ვყოფილვარ და ისე დავიტირე ამ ქალიშვილის სიკვდილი, როგორც ხელოვნების ნიმუშს, მშვენიერ დაღუპულ ქმნილებას დაიტირებენ ხოლმე.

მართლაც, შეუძლებელი იყო, მარგარიტაზე უფრო თვალისმომჭრელი სილამაზის ნახვა.

მაღალიც ეთქმოდა და მეტისმეტად გამხდარიც, მაგრამ შეუდარებლად ახერხებდა ეს თანდაყოლილი ნაკლი სამოსის უბრალო შეხამებით ოსტატურად შეენიღბა. მისი შალი, რომლის ბოლოც მიწამდე წვდებოდა, ორივე მხრიდან ფარავდა აბრეშუმის კაბის განიერ რუშებს. ხოლო ვიწრო ხელსათბური, მკერდზე რომ იხუტებდა ხოლმე, ისეთი დიდი ოსტატობით მოექარგათ, ყველაზე მომთხოვნი კრიტიკოსიც ვერ დაიწუნებდა ხაზების სიმსუბუქეს.

მისი არაჩვეულებრივი თავი განსაკუთრებული კეკლუცობის საგანი იყო. ძალიან პატარა თავი ჰქონდა. მიუსე იტყოდა, დედამისმა ეტყობა მეტისმეტად მოინდომაო.

ენით აუწერელი სილამაზის ოვალს დაუმატეთ შავი თვალები და ოდნავ ზემოთ, ისეთი მომშვილდული წარბები, მოუხატავთო, კაცი იფიქრებდა. თვალებს გრძელი წამწამები შემოავლეთ ჯარად, დაბლა დახრისას ჩრდილს რომ ჰფენენ ავარდისფრებულ ღაწვებს. დახატეთ თხელი, სწორი ცხვირი, ოდნავ ღია ნესტოებით. მოხაზეთ კოხტა პირი და მომხიბვლელად შეღებული ბაგეების მიღმა თოვლივით ქათქათა კბილები გამოაჩინეთ. დახატეთ თხე-ლი ღინღლით დაფარული კანი და თვალწინ ეს მომხიბლავი თავი წარმოგიდგებათ.

კუპრივით შავი თმა ბუნებრივ თუ ხელოვნურ კულულებად ეღვრებოდა შუბლზე. ორ სქელ ნაწნავად იყოფოდა და ზურგსუკან ისე იკარგებოდა, რომ ქალს ყურის ბიბილოებზე მოელვარე ორი მარგალიტი მოუჩანდა, თითო - ოთხი - ხუთი ათას ფრანკად ღირებული.

გარყვნილ ცხოვრებას არ წაერთმია სახის ქალწულებრივი, ბავშვური გამომეტყველება, რაც ასე დამახასიათებელი იყო მისთვის. ჩვენ, უბრალოდ, იძულებული ვართ, ფაქტი აღვნიშნოთ, მისი მიზეზისა კი არაფერი გაგვეგება.

მარგარიტას ვიდალის დახატული შესანიშნავი პორტრეტი ჰქონდა. ის იყო ერთადერთი ადამიანი, ვის ფანქარსაც მისი გადმოცემა შეეძლო. მარგარიტას გარდაცვალების შემდეგ ეს სურათი რამდენიმე დღით მე ჩამივარდა ხელში და ისე საოცრად ჰგავდა მას, რომ ზოგიერთი მივიწყებული წვრილმანის გახსენებაშიც კი დამეხმარა. ამ თავში მოხსენიებულმა ზოგიერთმა დეტალმა საკმაოდ გვიან მოაღწია ჩემს ყურამდე, მაგრამ მათ ახლავე მოგახსენებთ, აღარ მინდა, უკან მოვბრუნდე, როცა ამ ქალის ცხოვრების უმაგალითო ისტორიას წამოვიწყებ.

მარგარიტა ყველა პრემიერას ესწრებოდა და ყოველ საღამოს სპექტაკლებსა და ბალებზე ატარებდა. თუ ახალ პიესას თამაშობდნენ, მაშინ მას უსათუოდ ნახავდით თეატრში, სამ ნივთთან ერთად, რომლებსაც არასოდეს იშორებდა და ყოველთვის ბენუარის თეჯირზე ეწყო: ეს იყო ლორნეტი, კანფეტებით სავსე ქისა და კამელიების თაიგული.

მთელი 25 დღე კამელიები თეთრი იყო, დანარჩენ ხუთ დღეს - წითელი. ამ ფერთა ცვლის მიზეზი არავინ იცოდა და ახსნა-განმარტებას არც მე ვაპირებ. უბრალოდ, იმ თეატრების ხშირმა სტუმრებმაც და მისმა მეგობრებმაც ჩემსავით შეამჩნიეს ეს.

მარგარიტას ხელში კამელიის გარდა სხვა ყვავილი არავის უნახავს. ქალბატონ ბარჟონის საყვავილეში „ქალი კამელიებითაც“ კი შეარქვეს და შერჩა და შერჩა ეს მეტსახელი. მეც, ყველა იმათ მსგავსად, ვინც პარიზის გარკვეულ წრეებს მიეკუთვნება, ვიცოდი, მარგარიტა ყველაზე მომხიბვლავ ახალგაზრდა ვაჟებს ყვარობდა და ამას არც მალავდა. ის ვაჟებიც ძალიან ამაყობდნენ ამით. ეს კი მხოლოდ იმას ამტკიცებდა, რომ ქალიცა და საყვარლებიც კმაყოფილი იყვნენ ერთმანეთით, თუმცა, როგორც ამბობდნენ, უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, ბანიერში მოგზაურობის შემდეგ, აღარავისთან ცხოვრობდა, მოხუცი უცხოელი არანორმალურად მდიდარი ჰერცოგის გარდა, რომელიც, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ცდილობდა, როგორმე ძველ ცხოვრებას ჩამოეშორებინა იგი, რასაც მარგარიტა, როგორც ჩანს, დიდი სიამოვნებით დათანხმდა.

აი, რას მომიყვნენ ამის შესახებ.

1842 წლის გაზაფხულზე მარგარიტა ისეთი ქანცმილეული იყო, ისეთი შეცვლილი, რომ ექიმებმა წყლებზე წასვლა ურჩიეს და ისიც ბანიერს ესტუმრა.

იქ ავადმყოფებს შორის ჰერცოგის ქალიშვილიც იყო, რომელსაც არა მხოლოდ იგივე ავადმყოფობა სჭირდა, არამედ გარეგნობითაც ძალიან ჰგავდა მარგარიტას. ისე, რომ უცნობებს იქნებ ღვიძლი დებიც ჰგონებოდათ. ჰერცოგის ახალგაზრდა ასულს ჭლექის მესამე სტადია ჰქონდა და მარგარიტას ჩასვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა.

ერთ დილას ჰერცოგმა, რომელიც ბანიერში ისე დარჩენილიყო, როგორც სასაფლაოზე, სადაც საკუთარი გულის ნაწილი დაემარხა, ხეივნის მოსახვევში თვალი მოჰკრა მარგარიტას.

ეგონა, ჩემი შვილის აჩრდილს ვხედავო, წამოეწია, ხელები დაუჭირა, ატირებულმა აკოცა და, არც უკითხავს, ვინ ხართო, ისე სთხოვა, ნება მომეცით, გინახულოთ ხოლმე და თქვენში ჩემი გარდაცვლილი ქალიშვილის ცოცხალი ხატი მიყვარდესო. მარგარიტა თავისი მოახლის ამარა ჩასულიყო ბანიერში, მითქმა-მოთქმას არ შეუშინდა და ჰერცოგს სათხოვარზე თანხმობა განუცხადა.

თუმცა ბანიერშიც აღმოჩნდნენ მისი ნაცნობები, რომლებმაც ოფიციალურად აცნობეს ჰერცოგს მადმუაზელ მარგარიტას ნამდვილი სოციალური მდგომარეობა. მოხუცმა დარტყმა მძიმედ გადაიტანა, მარგარიტა ბოლომდე როდი ჰგავდა მის ქალიშვილს, მაგრამ უკვე გვიან იყო. ყმაწვილმა ქალმა მის გულში დაიდო ბინა და მისი სიცოცხლის ერთგვარ აზრად იქცა.

საყვედური არ უთქვამს, უფლებაც არ ჰქონდა, მხოლოდ ჰკითხა, შეგიძლიათ თუ არა, ცხოვრების წესი შეიცვალოთო. ამ მსხვერპლის სანაცვლოდ კი, რასაც მთხოვთ, ყველაფერს შეგისრულებთო. მარგარიტა დაჰპირდა. უნდა ითქვას, რომ ამ დროისთვის ბუნებით მხიარულ მარგარიტას უკვე სენი მორეოდა. ავადმყოფობის უმთავრეს მიზეზად კი საკუთარი წარსული ცხოვრება მიაჩნდა და რაღაცნაირი ცრურწმენა აიმედებდა, ღმერთი სილამაზესა და ჯანმრთელობას შემინარჩუნებს, თუ ყველაფერს მოვინანიებ და გამოვსწორდებიო.

და მართლაც, წყლებმა, ხშირმა სეირნობამ, ჯანსაღმა დაღლილობამ და ძილმა ზაფხულის ბოლოსთვის თანდათანობით აღუდგინა ძალა.

ჰერცოგი პარიზშიც ჩამოჰყვა მარგარიტას და, ბანიერის მსგავსად, აქაც დადიოდა მის სანახავად. ამ კავშირმა, რომლის არც ნამდვილი წარმოშობა და არც ჭეშმარიტი მიზეზი არავინ იცოდა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან ჰერცოგმა, თუ იგი აქამდე თავისი აუწონავი ქონებით იყო ცნობილი, ახლა ხელგაშლილობით გაითქვა სახელი.

ჰერცოგისა და ყმაწვილი ქალის ამგვარ სიახლოვეს მდიდარი მოხუცებისათვის ჩვეულ თავაშვებულობას მიაწერდნენ. ათასნაირ ვარაუდებს აწყობდნენ, გარდა იმისა, რაც სინამდვილეში ხდებოდა.

თანაც მარგარიტასადმი ამ მამობრივ გრძნობას ისეთი უმანკო მიზეზი ედო საფუძვლად, რომ ჰერცოგი ყველა სხვა დამოკიდებულებას სისხლის აღრევად მიიჩნევდა და არასდროს ისეთი რამ არ უთქვამს, რაც ყურს მოსჭრიდა მის საკუთარ ქალიშვილს.

გულშიც არ გაგვივლია, რომ ჩვენი გმირი ისე კი არ წარმოგიდგინოთ, როგორც სინამდვილეში იყო, არამედ განსხვავებული ელფერი შევძინოთ მას. მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ სანამ მარგარიტა ბანიერში იყო, ძალიანაც ეიოლებოდა ჰერცოგისადმი მიცემული პირობის შესრულება და ასრულებდა კიდეც, მაგრამ პარიზში დაბრუნების შემდეგ ფუქსავატურ ცხოვრებას, ვალებსა და ორგიებს მიჩვეულ ქალიშვილს ეჩვენებოდა, რომ მარტოობაში, რომელსაც მხოლოდ ჰერცოგის იშვიათი სტუმრობა არღვევდა, მოწყენილობით ამომხდება სულიო და ოდესღაც ჩავლილი მჩქეფარე ცხოვრების სუნთქვა გულსა და გონებას უფორიაქებდა.

ამას დავუმატოთ ისიც, რომ მარგარიტა არასოდეს იმგვარად ლამაზი არ ყოფილა, როგორც მაშინ, მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ, რომ მხოლოდ ოცი წლის იყო

და რომ მიძინებული, და არა საბოლოოდ დამარცხებული სენი, კვლავ აღუძრავდა იმ საშინელ სურვილს, რომელიც თითქმის ყოველთვის ავადმყოფი ფილტვების ბრალია.

ჰერცოგმა ძალიან დიდი დარტყმა მიიღო იმ დღეს, როცა მეგობრებმა, თვალს რომ არ აცილებდნენ ყმაწვილ ქალს, რომელთან კავშირიც, როგორც თავად ამბობდნენ, სახელს უტეხდა ჰერცოგს, აცნობეს და დამამტკიცებელი საბუთებიც მიუტანეს: იმ დროს, როცა ქალი დარწმუნებულია, არავინ მხედავსო, სტუმრებს იღებს და ეს სტუმრობები ხშირად დილამდეც გრძელდება ხოლმეო.

ჰერცოგმა ჰკითხა და მარგარიტამ ყველაფერი უამბო. ქვენა აზრების გარეშე ურჩია, მიმატოვეთ, რადგან ძალა არ შემწევს ჩემი პირობა დავიცვა და არ მსურს, მოწყალება მივიღო იმ კაცისგან, რომელსაც ვატყუებო.

ჰერცოგი ერთ კვირას აღარ გამოჩენილა, მაგრამ მეტი ვეღარაფერი მოახერხა. მერვე დღეს დაბრუნდა და შეევედრა მარგარიტას, ოღონდ კვლავ მომეცით თქვენთან ურთიერთობის ნება და გპირდებით, ისეთს მიგიღებთ, როგორიც ხართ, მთავარია გნახოთ ხოლმე და გეფიცებით, სანამ ცოცხალი ვარ, ერთი საყვედურიც არ წამომცდებაო.

აი, ასე მიდიოდა საქმეები მარგარიტას დაბრუნებიდან სამი თვის შემდეგ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 1842 წლის ნოემბერ-დეკემბერში.

III

თექვსმეტში პირველ საათზე დ’ანტენის ქუჩაზე მივედი.

გამყიდველის ხმა სახლის შემოსასვლელშიც კი ისმოდა.

ბინა ცნობისმოყვარეებს აევსოთ.

აქ მოეყარა თავი გარყვნილებით ცნობილ ყველა სახეს. ისინი მაღალი წრის ქალბატონებს უთვალთვალებდნენ, კიდევ ერთხელ ისარგებლეს საჯარო ვაჭრობით, რათა ახლოდან შეეთვალიერებინათ ის ქალები, რომელთაც აღარასოდეს შეხვდებოდნენ და რომელთა მარტივი სიამოვნებისაც გულში იქნებ შურდათ კიდეც.

ჰერცოგის მეუღლე ქალბატონი დე ფ . . . გვერდით ედგა მადმუაზელ ა . . . - ს, თანამედროვე კურტიზანთა ერთ-ერთ ყველაზე ნაღვლიან წარმომადგენელს; მარკიზა ქალბატონი დე ტ . . . ყოყმანობდა, ვიყიდო თუ არა ესა თუ ის ნივთიო, მას კი მადმუაზელ დ . . . , ჩვენი დროის ეს ყველაზე მომხიბვლელი და ცნობილი ხარჭა ეცილებოდა. ჰერცოგი დ’ ი . . . , რომელზეც მადრიდში ამბობდნენ, პარიზში გაკოტრდაო და პარიზში კი პირიქით იძახ-დნენ, მადრიდში გაანიავა მთელი ქონებაო და რომელიც თავისი წლიური შემოსავლის დახარჯვასაც ვერ ახერხებდა, ესაუბრებოდა მადმუაზელ მ . . . - ს, ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე აზრიანი მოთხრობების ავტორს, რომელიც დროდადრო იმას წერდა, რასაც საქვეყნოდ ლაპარაკობდა და თავისივე სახელით აქვეყნებდა; საიდუმლოდ გადახედავდა მადმუაზელ დ . . . - ს, ელისეს მინდვრების უცვლელ სტუმარს, ყოველთვის ვარდისფერი ან ცისფერი კაბა რომ ეცვა, ეტლში კი ტონისგან ათი ათას ფრანკად ნაყიდი, ეს ფული, სხვათა შორის, პირნათლად გადაიხადა, ორი დიდი შავი ცხენი ჰყავდა შებმული. ბოლოს მადმუაზელ რ . . . , რომელმაც მხოლოდ თავისი

ნიჭიერებით იმაზე ორჯერ მეტს მიაღწია, რასაც მაღალი წრის ქალები თავიანთი მზითევით აღწევენ და სამჯერ მეტს, რასაც სხვები თავიანთი სიყვარულის წყალობით ახერხებენ, სიცივის მიუხედავად, მაინც მოსულიყო ზოგიერთი ნივთის შესაძენად. ცოტანი როდი უთვალთვალებდნენ მასაც.

შეგვიძლია ამ სასტუმრო ოთახში თავშეყრილი და ამ შეხვედრით გაოცებული სხვა უამრავი ადამიანის ინიციალებიც ჩამოვთვალოთ, მაგრამ ვშიშობ, არ გადავღალოთ მკითხველი.

დავუმატებ მხოლოდ იმას, რომ ყველა ძალიან მხიარულად გრძნობდა თავს და რომ იქ მყოფთაგან ბევრი იცნობდა გარდაცვლილს, თუმცა ეტყობა მისი გახსენება არ სურდათ. იცინოდნენ ხმამაღლა, შემფასებლები მთელი ხმით გაჰყვიროდნენ, ვაჭრები მაგიდებს შემოსხდომოდნენ და ცდილობდნენ, ხალხი ჩაეჩუმებინათ, რათა როგორმე მშვიდად ეკეთებინათ საკუთარი საქმე. ასეთი გრძელი და ხმაურიანი თავყრილობა არავის მოსწრებია.

მე აუჩქარებლად მივიკვლევდი გზას ამ სამწუხარო აურზა-ურში, თან არ მავიწყდებოდა, რომ აქვე, გვერდით ოთახში გარდაიცვალა საბრალო არსება, რომელსაც ახლა ვალის სანაცვლოდ ავეჯს უყიდდნენ. მე ყიდვაზე უფრო ადამიანებზე დაკვირვება მაინტერესებდა, ვუცქერდი მიმწოდებლებს, რომლებმაც ეს ვაჭ-რობა მოაწყვეს. როგორ უნათდებოდათ სახე ყოველთვის, როცა რომელიმე ნივთი განსაკუთრებით ძვირად გაიყიდებოდა.

აი, პატიოსანი ადამიანები, რომლებიც იმედებს იმ ქალის გარ-ყვნილებაზე ამყარებდნენ, რომლებიც ორმაგ მოგებას ნახულობ-დნენ მისგან, რომლებიც სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარესაც არ ასვენებდნენ თავიანთი თამსუქებით და რომლებიც მოვიდნენ მისი გარდაცვალების შემდეგ, რათა მოემკათ თავიანთი კანონიერი ანგარების ნაყოფი და სამარცხვინო კრედიტის პროცენტები მიეთვალათ.

რა მართლები იყვნენ ჩვენი წინაპრები, როცა საერთო ღმერთი დაუდგინეს ვაჭრებსა და ქურდებს.

კაბები, ქაშმირის შალები, ძვირფასეულობა თვალსა და ხელს შუა გაიყიდა. ესენი არაფერში მჭირდებოდა და მეც ვიცდიდი.

უცებ ყვირილი გავიგონე.

- წიგნი, შესანიშნავი ყდით, ოქროს კიდეებით, სათაური: „მანონ ლესკო“, პირველ გვერდზე წარწერით, ათი ფრანკი.

- თორმეტი, - თქვა ვიღაცამ ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ.

- თხუთმეტი, - დავიძახე მე.

რატომ ვთქვი? წარმოდგენა არ მაქვს, ალბათ წარწერითო, რომ თქვეს, იმიტომ.

- თხუთმეტი, - გაიმეორა შემფასებელმა.

- ოცდაათი. - ისეთი ხმით წარმოთქვა პირველმა მყიდველმა, თითქოს გამოგვიწვია, აბა, რომელი მაჯობებთო.

ეს უკვე ბრძოლას ჰგავდა.

- ოცდათხუთმეტი, - წამოვიძახე იმავე ხმით.

- ორმოცი.

- ორმოცდაათი.

- სამოცი.

- ასი.

ვაღირებ, თუ ჩემი მიზანი შთაბეჭდილების მოხდენა იყო, მაშინ ნამდვილად მივაღწიე მას. ირგვლივ წუთით სიჩუმე გამეფდა, ყველამ ჩემკენ გამოიხედა, რათა თვალი შეევლოთ ბატონისთვის, რომელსაც ასე მტკიცედ გადაეწყვიტა, დაპატრონებოდა ამ წიგნს.

ალბათ ჩემმა უკნასკნელმა სიტყვამ იმოქმედა მოწინააღმდეგეზე: ამჯობინა, შეეწყვიტა ვაჭრობა, რომლის შედეგადაც იძულებული გავხდი, წიგნის ჩვეულებრივ ღირებულებაზე ათჯერ მეტი გადამეხადა, თავი დამიკრა და ძალიან თავაზიანად, ოღონდ რა-ტომღაც ოდნავ მოგვიანებით მითხრა: - გითმობთ, ბატონო.

აღარავის აღარაფერი უთქვამს და წიგნი მე მერგო.

შემეშინდა, თავმოყვარეობამ ისევ არ გამიტაცოს და ქისა ძალიან არ შემიმსუბუქოს-მეთქი. ჩემი გვარი და წიგნი დავუტოვე და წამოვედი. იმ ადამიანებს, რომლებიც ამ სცენას ესწრებოდნენ, ალბათ რამდენი საფიქრალი გავუჩინე. რასაკვირველია, შეეკითხებოდნენ საკუთარ თავს, რამ აიძულა წიგნში 100 ფრანკი გადაეხადა, როცა ყველგან შეუძლია, ათ, დიდი-დიდი, თხუთმეტ ფრანკად იყიდოსო.

ერთი საათის შემდეგ მსახური გავგზავნე ნავაჭრის წამოსაღებად. პირველ გვერდზე კალმით, ლამაზი ხელით ეწერა მიძღვნა: ,,მარგარიტას მანონისაგან, მორჩილების ნიშნად“

ქვემოთ კი ხელმოწერა: არმან დიუვალი.

რას ნიშნავდა ეს: ,,მორჩილების ნიშნად“? რაში აღიარებდა მანონი, მარგარიტამ მაჯობაო? ამ ბატონი არამან დიუვალის აზრით, გარყვნილებითა თუ კეთილშობილებით? მეორე ვარაუდი უფრო ჰგავდა სიმართლეს, პირველი უბრალოდ თავხედური გულახდილობა იქნებოდა, რასაც არ მიიღებდა მარგარიტა, რა აზრისაც არ უნდა ყოფილიყო იგი საკუთარ თავზე.

მე ისევ გარეთ გავედი და წიგნს მხოლოდ საღამოს, დაწოლის წინ მივუბრუნდი.

რასაკვირველია, მანონ ლესკოს გულისამაჩუყებელი ამბავი გადასარევად ვიცი, თუმცა, რამდენჯერაც არ უნდა ჩამივარდეს ეს წიგნი ხელში, მაინც ყოველთვის მიზიდავს. გადავშლი და მეასედ განვიცდი აბატი პრევოს გმირის ცხოვრებას. იმდენად ნამდვილია ეს გმირი, ხანდახან მგონია, ვიცნობ-მეთქი. ახალმა გარემოებებმა, მსგავსებამ მასა და მარგარიტას შორის, კითხვას უცხო ეშხი შეჰმატა. გულმოწყალებას იმ საწყალი გოგოს სიბრალულიც, ლამის სიყვარულიც მიძლიერებდა, რომლისგანაც მემკვიდრეობით მერგო ეს წიგნი. მანონი, მართალია,

უდაბნოში მოკვდა, მაგრამ იმ ადამიანის მკლავებში, რომელსაც უყვარდა იგი, რომელმაც გარდაცვლილს თავისი ხელით გაუთხარა სამარე, დაიტირა და გულიც თან ჩააყოლა. მაშინ, როცა მანონივით ცოდვილი და იქნებ მასავით მონანიე მარგარიტა ფუფუნებაში გარდაიცვალა და, თუ იმას მივიღებთ მხედველობაში, რაც ჩემი თვალით ვნახე, საკუთარი წარსულის სარეცელზე მწოლიარეს უფრო ხრიოკ, უკაცურ და უმოწყალო უდაბნოში ამოხდა სული, ვიდრე ის უდაბნო იყო, სადაც მანონი მიაბარეს მიწას.

მართლაც, მარგარიტას, როგორც რამდენიმე მეგობრისგან გავიგე, რომლებმაც მისი უკანასკნელი დღეების ამბავი იცოდნენ, ბოლო ორი თვის მანძილზე, სანამ მისი ნელი აგონია გრძელდებოდა, ნუგეშის საცემად არავინ მისჯდომია სასთუმალთან.

მანონისა და მარგარიტას მერე იმათკენ გამექცა ფიქრი, ვისაც ვიცნობდი და ვინც სიმღერ-სიმღერით ეგებებოდა თითქმის ყოველთვის მწუხარე სიკვდილს.

საბრალო არსებები! თუ არ შევიყვარებთ, შევიბრალოთ მაინც. ხომ გებრალებათ ბრმა, დღის სინათლე რომ არასდროს უნახავს; ყრუ, რომელსაც არასოდეს გაუგონია ჩიტების ჭიკჭიკი; მუნჯი, რომელიც გულის ნადებს ვერსადროს ამოთქვამს; მაგრამ გრცხვე-ნიათ და ამიტომ არ გსურთ, შეიცოდოთ დაბრმავებული გული, დაყრუებული სული და დამუნჯებული სინდისი, რასაც ჭკუიდან გადაჰყავს უბედური, რომელსაც თავისდაუნებურად დაჰკარგვია სიკეთის დანახვის, უფლისთვის ყურისგდების, სიყვარულისა და რწმენის ენაზე ლაპარაკის უნარი.

ჰიუგომ „მარიონ დე ლორმი“ დაწერა, მიუსემ „ბერნერეტა“, ალექსანდრე დიუმამ „ფერნანდა“. ყველა ეპოქის პოეტები და მოაზროვნეები უძღვნიდნენ კურტიზანებს თავიანთ თანაგრძნობას. ხანდახან კი ვინმე დიდკაცი უფლებებს აღუდგენდა მათ, არა მხოლოდ თავისი სიყვარულით, არამედ თავისი სახელითაც. თუ მე ასეთი დაჟინებით ვამახვილებ ამაზე ყურადღებას, მხოლოდ იმიტომ, რომ ბევრი ჩემი მკითხველი იქნებ უკვე მზადაც იყოს, გვერდზე გადადოს წიგნი. ეშინოდეს, ვაითუ, მეძავობისა და გარყვნილების ქებათა ქებაა. ავტორის ასაკი კი მხოლოდ აძლიერებდეს ამ შიშს. დაე, აღიარონ ვცდებოდითო და განაგრძონ კითხვა, თუკი აქამდე მხოლოდ ეს შიში უშლიდათ ხელს.

მე ერთადერთ პრინციპს ვაღიარებ: ქალს, რომელსაც აღზრდამ სიკეთე ვერ ჩაუნერგა, ღმერთი მასთან დასაბრუნებლად ორ გზას უჩვენებს - ტანჯვისას და სიყვარულისას. ორივე ძნელი გასავლელია. ვინც ზედ შედგება, ტერფებს დაისისხლიანებს, ხელებს დაიკაწრავს, მაგრამ, ამავე დროს, გარყვნილების სამკაულს გზისპირა ეკლიან ბარდებს შეატოვებს და დედიშობილა მიაღწევს მიზანს, თუმცა როდი გაწითლდება უფლის წინაშე.

ვინც ასეთ მგზავრებს დალანდავს, მხარში უნდა ამოუდგეს მათ და ყველას უთხრას, ასეთი და ასეთი ადამიანი ვნახეო, რათა სხვებიც გაჰყვნენ მის კვალს.

საკმარისი როდია ცხოვრების კარიბჭესთან ორი ძელი დავდგათ, ერთს დავაწეროთ: „გზა კეთილისა“, მეორეს: „გზა ბოროტისა“ და ვინც გამოჩნდება, ვუთხრათ, აირჩიეთ! ქრისტეს მსგავსად, ჩვენც უნდა მივეშველოთ ყველას, ვინც მეორე გზა პირველს ანაცვალა, რათა ამ გზის დასაწყისი არც ძალიან რთულად მოეჩვენოს და არც, მითუმეტეს, დაუძლეველად.

ქრისტიანობაც ხომ, უძღები შვილის იგავით, გულმოწყალებასა და მიტევებას გვასწავლის. იესოს უყვარდა ადამიანური ვნებებით შეპყრობილი სულები და მალამოს ადებდა იარებზე. სწორედ მან უთხრა მაგდალინელს: „მოგეტევნეს შენ ცოდვანი მრავალნი, რამეთუ შეიყვარე ფრიად“. აი, უმაღლესი მოწყალება, რომელიც ჩვენშიც უნდა აღვივებდეს ჭეშმარიტ სარწმუნოებას.

ქრისტეზე მეტი სიმკაცრე რატომ უნდა გამოვიჩინოთ? რატომ უნდა ვეთანხმებოდეთ იმ საზოგადოების შეხედულებებს, რომელიც მხოლოდ იმიტომ იქცევა სასტიკად, რომ სხვებს ძლიერად მოაჩვენოს თავი და რატომ უნდა უარვყოთ სულები, სისხლი რომ სდით ჭრილობებიდან, საიდანაც ავადმყოფის ხსენივით მოწანწკარებს მათივე წარსული და რატომ არ გავუწოდოთ დახმარების ხელი, რომელიც შეუხვევს იარას და გულს გაუმრთელებს?

მე ჩემს თაობას მივმართავ, რომლისთვისაც ვოლტერის თე-ორიებმა, საბედნიეროდ, აზრი დაკარგეს და რომელსაც ჩემსავით სჯერა, რომ კაცობრიობამ უკანასკნელ თხუთმეტ წელიწადში ბევრი უდიდესი ნახტომი გააკეთა. ჩვენ კვლავაც გვჯერა, რომ არსებობს სიკეთე და ბოროტება, კვლავ გვიბრუნდება რწმენა, სიწმინდეებს კვალავაც ვცემთ პატივს და თუ ქვეყანა სრულყოფილი ვერ გახდა, ოდნავ ხომ მაინც გაუმჯობესდა. ყველა განათლებულ ადამიანს ერთი მიზანი ამოძრავებს, ყველა ძლიერი ნებისყოფა ერთ პრინციპს ეყრდნობა: იყოს კეთილი, იყოს ახალგაზრდა, იყოს სამართლიანი! ბოროტება წარმავალია, მოდით, ვიამაყოთ სიკეთით და ნუ დაგვჯაბნის უიმედობა. ნუ შევიძულებთ ქალს, რომელიც არც დედაა, არც და, არც შვილი, არც მეუღლე. პატივისცემას ოჯახის ჩარჩოებში ნუ მოვაქცევთ, გულმოწყალებას ნუ გადავაყოლებთ ეგოიზმს. ზეცას ერთი მონანიე ცოდვილი უფრო ახარებს, ვიდრე ასი წმინდანი, რომელსაც არასოდეს შეუცოდავს. მაშ, გავახაროთ ზეცა. იგი ასწილად მოგვიზღავს სამაგიეროს. გზადაგზა მიტევების წყალობა მოვფინოთ მათ, ვინც გადაყვა ამქვეყნიურ ვნებებს, ვისაც მომავლის იმედი ჰაერივით სჭირდება. და ისე ვთქვათ, როგორც კეთილი მოხუცი დედაკაცები ამბობენ, როცა შინ ნაკეთებ წამალს გვთავაზობენ ხოლმე: თუ არ მოარჩენს, უარესს მაინც რას უზამსო.

რა თქმა უნდა, ვინმეს იქნებ მეტისმეტად გაბედულიც მოეჩვე-ნოს ჩემი სურვილი, ამ პატარა ნაშრომიდან რამხელა შედეგებს ელოდებაო, მაგრამ მე მათ რიგს ვეკუთვნი, ვისაც სჯერა, რომ ყველაფერი მცირედიდან აღმოცენდება. ბავშვი ჯერ პატარაა, მხოლოდ შემდეგ იქცევა კაცად. ტვინიც მცირეა, მაგრამ რამდენ ფიქრს იტევს, თვალიც სულ ერთი ბეწო წერტილია და სივრცეებს კი სწვდება.

IV

ორი დღის თავზე ვაჭრობა მთლიანად დასრულდა. 150 ათასი ფრანკის შემოსავალი ნახეს, მევალეებმა ორი მესამედი ერთმანეთში გაიყვეს. დანარჩენი მემკვიდრეობად ერგო ოჯახს, დისა და პატარა დიშვილისაგან რომ შედგებოდა.

დას თვალები გაუფართოვდა, როცა აცნობეს, მემკვიდრეობით 50 ათასი ფრანკი დაგრჩათო.

6 - 7 წელი იყო, ამ ქალიშვილს არ ენახა თავისი და, რომე-ლიც ერთ მშვენიერ დღეს გაუჩინარდა და მერე არავისგან, არც თვითონ მისგან და არც სხვისგან აღარაფერი გაუგია.

მაშინვე პარიზში ჩამოვიდა და როგორ გაოცდა ყველა, ვინც მარგარიტას იცნობდა, რომ მისი ერთადერთი მემკვიდრე ეს ჩასუქებული, ლამაზი სოფლელი გოგო იყო, რომელსაც აქამდე სახლიდან ფეხი არ მოეცვალა.

მისი მომავალი კალმის ერთმა მოსმამ გადაწყვიტა. თავად არც იცოდა, საიდან ეწვია ეს მოულოდნელი ბედნიერება.

მოგვიანებით თურმე უკანვე სოფელში დაბრუნდა, როგორც მე მითხრეს, დის სიკვდილით ძალიან დადარდიანებული, რასაც ოთხ-ნახევარ პროცენტად გასესხებული ფული ოდნავ უმსუბუქებდა.

თავიდან ყველა ამ წვრილმანზე გაუთავებლად მსჯელობდნენ პარიზში - სკანდალების ნამდვილ დედაქალაქში, მაგრამ მერე ნელ-ნელა გადაივიწყეს. თავადაც კინაღამ დამავიწყდა, რომ მეც ვმონაწილეობდი ამ მოვლენებში, სანამ ახალმა შემთხვევამ არ გადამიშალა თვალწინ მარგარიტას მთელი ცხოვრება და ისეთი სულისშემძვრელი სურათები მიჩვენა, რომ მომინდა, დამეწერა ეს ისტორია და დავწერე კიდეც.

ერთ დილით, სამი-ოთხი დღის შემდეგ, გაყიდული ავეჯისაგან დაცლილი ბინა რომ უკვე ქირავდებოდა, ჩემთან ზარი დარეკეს.

ჩემმა მსახურმა, უფრო სწორად, კარისკაცმა, რომელიც, ამავე დროს, მეც მემსახურებოდა, ბარათი გადმომცა, თან მითხრა, ვიღაც ბატონს თქვენთან საუბარი სურსო.

ბარათს თვალი გადავავლე, ორად ორი სიტყვა ეწერა: არმან დიუვალი.

გონება დავძაბე, ნეტავ სად გამიგონია-მეთქი ეს სახელი და „მანონ ლესკოს“ პირველი გვერდი გამახსენდა.

რა უნდა სურდეს ჩემგან კაცს, რომელმაც მარგარიტას ეს წიგნი აჩუქა? ვუბრძანე, სტუმარი ახლავე შემოუშვით-მეთქი. შემოვიდა ქერა, მაღალი, ფერმკრთალი ახალგაზრდა კაცი, სამგზავ-რო ტანსაცმელში გამოწყობილი, რომელიც ალბათ რამდენიმე დღე იყო, არ გამოეცვალა და არც გაეწმინდა, რადგან ერთიანად მტვრით იყო დაფარული.

ბატონი დიუვალი მეტისმეტად ღელავდა და არც მალავდა ამას. თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე და ხმა უკანკალებდა: - ჩემო ბატონო, გთხოვთ, მაპატიოთ ჩემი სტუმრობაცა და დამტვერილი ტანისამოსიც, მაგრამ ვფიქრობ, ახალგაზრდებს შეგვიძლია ერთმანეთს მაინცდამაინც არ მოვერიდოთ. დღეს ისე მეჩქარებოდა თქვენი ნახვა, რომ სასტუმროში, სადაც ჩემი ბარგი გავაგზავნე, არც კი შემივლია, პირდაპირ თქვენთან გამოვქანდი, მეშინოდა, ვაითუ, სხვა დროს შინ ვერც მივუსწრო-მეთქი.

ბატონ დიუვალს ბუხართან ჩამოჯდომა ვთხოვე. ასეც მოიქცა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ერთი წამი სახეზე აიფარა: - თქვენ ალბათ ვერ მიხვდებით, - და მან ნაღვლიანად ამოიოხრა, - რა სურს ასეთ უცნაურ დროს მოსულ, უცნაურად გამოწყობილ და მტირალ უცხო სტუმარს. საქმეს გაგიიოლებთ, ბატონო, მოვედი, გთხოვოთ, იქნებ ერთი დიდი სამსახური გამიწიოთ.

- ილაპარაკეთ, ბატონო, მთლიანად თქვენს განკარგულებაში ვარ.

- მარგარიტა გოტიეს ბინაზე საჯარო ვაჭრობას დაესწა-რით?

ამ სიტყვებზე ემოციებმა, რომლებიც წუთის წინ თითქოს მოეთოკა, ახალი ძალით შემოუტიეს და იძულებული გახდა, სახეზე ხელები აეფარებინა.

- ალბათ გაგეცინებათ ჩემს დანახვაზე, - დაუმატა მან, - ბოდიშს გიხდით ყველაფრისათვის და დამერწმუნეთ, არასდროს დაგივიწყებთ მოთმინებას, რომლითაც ახლა მისმენთ.

- ბატონო, - მივმართე მე, - თუ სამსახური, რომელიც უნდა გაგიწიოთ, ოდნავ მაინც შეამსუბუქებს თქვენს დარდს, ჩქარა მითხარით, რით შემიძლია დაგეხმაროთ და სიამოვნებით დაგეხმარებით.

ბატონი დიუვალის დარდმა ჩემში თანაგრძნობა გამოიწვია. მინდოდა, მესიამოვნებინა. მანაც მკითხა: - საჯარო ვაჭრობაზე მარგარიტას რომელიმე ნივთი ხომ არ გიყიდიათ?

- დიახ, ბატონო, წიგნი.

- მანონ ლესკო?

- სწორედ.

- კვლავაც გაქვთ ეგ წიგნი?

- საწოლ ოთახში მიდევს.

არმან დიუვალს ამ ცნობამ მგონი ვეება ლოდი ჩამოხსნა მხრებიდან და ისე გადამიხადა მადლობა, თითქოს ამ წიგნის შენახვით უკვე დიდი სამსახური გამეწიოს მისთვის.

წამოვდექი, ოთახში შევედი და წიგნი გამოვიტანე.

- ის არის, - მითხრა, როცა პირველივე გვერდი ნახა, - ის არის.

და ერთი წყვილი ცრემლი დაეცა წიგნს.

- აბა, ბატონო, - თავი ასწია და თვალი თვალში გამიყარა. არც უცდია, დაემალა, რომ ტიროდა, - ძვირად გიღირთ ეს წიგნი?

- რატომ მეკითხებით, ბატონო?

- იმიტომ რომ მინდა, გთხოვოთ, დამითმოთ იგი.

- მაპატიეთ ცნობისმოყვარეობა, - გავაწყვეტინე მე, - ეს წიგნი თქვენ აჩუქეთ მარგარიტა გოტიეს?

- დიახ, მე.

- ეს წიგნი თქვენია, ბატონო, - ვუთხარი მე, - ბედნიერი ვიქნები, ნებას თუ დამრთავთ, გადმოგცეთ.

- მაგრამ, - შემკრთალი ხმით შემეკამათა ბატონი დიუვალი, - სულ ცოტა, მის საფასურს მაინც დაგიბრუნებთ.

- ნება მომეცით, გაჩუქოთ იგი, თითო ტომს ისე იაფად აფასებენ, ლაპარაკიც არ ღირს, უკვე აღარც მახსოვს, რამდენი გადავიხადე.

- ასი ფრანკი გადაგიხდიათ.

- მართალია, - ვუთხარი დარცხვენილმა, - საიდან გაიგეთ?

- ძალიან იოლი იყო, - იმედი მქონდა, პარიზში მარგარიტას ნივთების აუქციონს ჩამოვუსწრებ-მეთქი. არადა, მხოლოდ დღეს დილით ჩამოვედი. უეჭველად მინდოდა მისი რომელიმე ნივთი შემეძინა და შემფასებელთან გავქანდი, ნებართვა ვთხოვე, თუ შეიძლება, მყიდველებისა და გაყიდული საქონლის სიას გადავათვალიერებ-მეთქი. ვნახე, წიგნი თქვენ შეგიძენიათ და გადავწყვიტე, მეთხოვა, ჩემთვის დაგეთმოთ იგი, თუმცა მასში გადახდილმა ფასმა შემაშფოთა. ვაითუ, თქვენც რაიმე მოგონება გაკავშირებთ ამ წიგნთან?

არმანი ეტყობა, შიშობდა, იქნებ ესეც ჩემსავით იცნობდა მარგარიტასო. შევეცადე, გადამერწმუნებინა: - მე მხოლოდ სახეზე ვიცნობდი მადმუაზელ გოტიეს, - ვუთ-ხარი მე, - მისმა სიკვდილმა ისე იმოქმედა ჩემზე, როგორც საერთოდ ახალგაზრდა კაცზე მოქმედებს სიკვდილი ლამაზი ქალისა, რომლის ნახვის სიამოვნებაც ერთ დროს ჰქონია. მინდოდა, ამ ვაჭრობაზე მეც შემეძინა რამე და რატომღაც ეს წიგნი ავირჩიე, არც ვიცი, რატომ, იქნებ იმ ბატონის გასაღიზიანებლად, რომელიც ცდილობდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ხელში ჩაეგდო იგი.კიდევ გიმეორებთ, ბატონო, ეს წიგნი თქვენ გეკუთვნით და ხელახლა გთხოვთ, გამომართვათ, ოღონდ არა იმ ფასად, რომლი-თაც მე მივიღე. დაე, ეს წიგნი იყოს ჩვენი ხანგრძლივი ნაცნობობისა და გულწრფელი მეგობრობის საწინდარი.

- რა გაეწყობა, ბატონო, - მითხრა არმანმა და მაგრად ჩამომართვა ხელი, - თანახმა ვარ და მთელი ცხოვრება თქვენი მადლიერი ვიქნები.

არმანისთვის ბევრი რამ მინდოდა მეკითხა მარგარიტაზე. ახალგაზრდა კაცის მოგზაურობა და ამ წიგნის ფლობის დაუოკებელი სურვილი მიმძაფრებდა ცნობისმოყვარეობას, მაგრამ ჩემი სტუმრისთვის კითხვების დასმას გავურბოდი, არ ეგონოს, ფულზე უარი იმიტომ ვუთხარი, რომ მის საქმეებში ჩარევის უფლება მქონდა-მეთქი. მგონი, მიმიხვდა სურვილს და მითხრა: - წიგნი წაიკითხეთ?

- თავიდან ბოლომდე.

- რა იფიქრეთ ჩემგან მიწერილ ორ ხაზზე.

- მაშინვე მივხვდი, რომ თქვენს თვალში საბრალო გოგო, რომელსაც ეს წიგნი აჩუქეთ, ჩვეულებრივი ადამიანი არ იყო, არ მინდოდა ამ სტრიქონებში გაცვეთილი ქათინაური ამომეკითხა.

- და მართალიც ხართ, ბატონო. ეს ქალიშვილი ნამდვილად ანგელოზი იყო, მოდით, - მითხრა მან, - წაიკითხეთ ეს წერილი.

და მან გამომიწოდა ფურცელი, რომელსაც კარგად ეტყობოდა, უამრავჯერ გადაეკითხათ. გადავშალე და აი, რა ეწერა შიგნით: „ჩემო ძვირფასო არმან, მივიღე თქვენი წერილი. მადლობა უფალს, კვლავ ძველებურად კეთილი გული გაქვთ. დიახ, მეგობარო, ავად ვარ, თან ისეთი სენით, რომელმაც დანდობა არ იცის. მაგრამ ინტერესი, კვლავაც რომ იჩენთ ჩემ მიმართ, ძალიან მიმსუბუქებს ტანჯვას. ალბათ იმდენ ხანს ვეღარ ვიცოცხლებ, რომ მეღირსოს ბედნიერება და ამ წერილის დამწერის ხელი ხელში დავიჭირო. თუ კიდევ რამეს ძალუძს ჩემი განკურნება, პირველ რიგში, თქვენს სიტყვებს უნდა განვეკურნე. მაგრამ მე ვეღარ გიხილავთ, სიკვდილი კარს მომდგომია, თქვენ კი ასობით ლიე გაშორებთ ჩემგან. საბრალო მეგობარო! თქვენი მარგარიტა ძალიან შეიცვალა და იქნებ ჯობდეს კიდეც, აღარასოდეს ნახოთ იგი, ვიდრე ამჟამინდელ მდგომარეობაში იხილოთ. მეკითხებით, მაპატიებთ თუ არაო. ოჰ, მთელი სულითა და გულით, მეგობარო, რადგან ზიანი რომლის მოყენებაც ჩემთვის გსურდათ, მხოლოდ იმას ადასტურებდა, რომ ნამდვილად გიყვარდით. მთელი თვეა, საწოლში ვწევარ და იმდენად ვაფასებ თქვენს პატივისცემას, რომ ყოველდღე ვწერ დღიურს, იმ წუთიდან ვწერ, როცა ერთმანეთს დავშორდით. ვწერ, სანამ ძალა არ გამომელევა. თუკი ჩემი ამბავი კვლავაც მართლა გაინტერესებთ, არმან, დაბრუნების შემდეგ ჟიული დიუპრე ინახულეთ, იგი გადმოგცემთ ამ დღიურს. მასში იპოვით მიზეზსაც და მონანიებასაც ყველაფრისას, რაც ჩვენ შორის მოხდა. ჟიული ძალიან კარგად მექცევა, ერთმანეთს ხშირად ვესაუბრებოდით თქვენზე. აქ იყო, თქვენი წერილი რომ მივიღე, ორივემ ბევრი ვიტირეთ კითხვისას. ჯერ კიდევ მაშინ, როცა თქვენგან არავითარი ცნობა არ გვქონდა, ვთხოვე, ეს ფურცლები საფრანგეთში დაბრუნდების შემდეგ მას გადაეცით-მეთქი. მადლობას ნუ გადამიხდით. ასე, დღიურის წერით, ვუბრუნდები ჩემი ცხოვრების ერთადერთ ბედნიერ წუთებს და საოცრად მიხარია. თუკი თქვენ ამ ფურცლებში წარსულისათვის შენდობა უნდა დაინახოთ, მე მათში უსაზღვრო შვებას ვპოულობ. ნეტავ შემეძლოს, რამე დაგიტოვო სამახსოვროდ, მაგრამ ჩემთან ყველაფერს ლუქი ადევს და აღარაფერი მაბადია. წარმოგიდგენიათ, ჩემო მეგობარო? მე ვკვდები, სასადილო ოთახიდან კი დარაჯის ფეხის ხმა ისმის. მევალეებმა დამიყენეს, რათა არავინ არაფერი წაიღოს. და თუ ცოცხალი გადავრჩი, აღარაფერი დამრჩეს. იმის იმედიღა მაქვს, რომ აღსასრულს დაელოდებიან და შემდეგ გამართავენ საჯარო ვაჭრობას. ოჰ, რა შეუბრალებლები არიან ადამიანები! არა, ვცდები, ვცდები, ეს ღმერთია სამართლიანი და ურყევი. ჰოდა, ჩემო მეგობარო, თქვენც მოდით ვაჭრობაზე და იყიდეთ რამე, თორემ მე რომ თუნდაც სრულიად უბრალო ნივთი გადავმალო და მათ ეს გაიგონ, ვინ იცის, ბრალიც დაგდონ, დალუქული ქონების მითვისება უნდოდაო. ვტოვებ ამ მწუხარებით სავსე ცხოვრებას! რა კარგი იქნებოდა, სიკვდილის წინ უფალი თქვენი ნახვის საშუალებას რომ მომცემდეს! მაგრამ თუ გარემოებებს გავითვალისწინებთ, მშვიდობით, ჩემო მეგობარო, მაპატიეთ, რომ მეტს ვეღარ გწერთ. ჩემი მკურნალები ქანცს მაცლიან სისხლის გამოღებით და ხელი აღარ მემორჩილება.

მარგარიტა გოტიე“

მართლაც, უკანასკნელ სიტყვებს ძნელად თუ გაარჩევდა კაცი. წერილი არმანს დავუბრუნე. იგი ალბათ გულში იმეორებდა მის შინაარს, სანამ მე ფურცელზე ვკითხულობდი, რადგან გამომართვა თუ არა, მითხრა: - ვინ წარმოიდგენს, რომ ეს წერილი ხარჭამ დაწერა!

და მოგონებებით შეძრული, ერთხანს ნაწერს ათვალიერებდა, ბოლოს აკოცა.

- და როცა ვფიქრობ, - განაგრძო მან, - რომ იგი ჩემს უნა-ხავად გარდაიცვალა და რომ მას ვეღარასოდეს ვნახავ, როცა ვფიქრობ, რომ მან ისეთი მსხვერპლი გაიღო ჩემთვის, საკუთარ თავს ვერ ვპატიობ, რომ ასე მოკვდა! მოკვდა! სიკვდილის წინაც ჩემზე ფიქრობდა, მწერდა, ჩემს სახელს იძახდა, ძვირფასი საბრალო მარგარიტა!

და არმანმა გზა მისცა გრძნობებს, აცრემლებულმა ხელი გამომიწოდა და განაგრძო: - ალბათ ყველა ბავშვად ჩამთვლის, ასეთ ადამიანს რომ დავტირი, მაგრამ მათ ხომ არ იციან, როგორ დავტანჯე ეს ქალი, რა სასტიკი ვიყავი მისდამი. იგი კი როგორი კეთილი იყო და რა მორჩილად იტანდა ყველაფერს. ვფიქრობდი, უფლება მაქვს, შევუნდო-მეთქი. დღეს კი ვხვდები, რომ, პირიქით, მისგან არა ვარ პატიების ღირსი. ო, ჩემი ცხოვრების 10 წელს დავთმობდი, ოღონდ ერთ საათს მაინც მეტირა მის ფეხთით.

ყოველთვის ძნელია ანუგეშო ადამიანი, თუ არ იცი, რა ადარ-დებს, თუმცა ამ ახალგაზრდა კაცისადმი იმხელა სიმპათიით ამევსო გული, ისე გულწრფელად მაქცია თავისი დარდის თანამგრძნობელად, რომ ვიფიქრე, ჩემი სიტყვები სულერთი არ იქნება-მეთქი და ვუთხარი: - მშობლები არ გყავთ ან მეგობრები? იქნებ ინახულოთ, ისინი განუგეშებენ. მე თანაგრძნობის მეტი არაფერი შემიძლია.

- მართალი ხართ, - მითხრა მან, წამოდგა და ბოლთის ცემას მოჰყვა ოთახში, - თავი მოგაბეზრეთ, მაპატიეთ. ვერ გავითვალისწინე, რომ ჩემი ტკივილი თქვენ არ გეხებათ, მე კი თავს გახვევთ, რაც, რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ გაინტერესებთ.

- თქვენ ვერ მიმიხვდით, მე მთლიანად თქვენს განკარგულებაში ვარ, უბრალოდ, ვწუხვარ, რომ ვერაფრით განუგეშებთ. თუკი ჩემი და ჩემი მეგობრების საზოგადოება თქვენს გართობას მოახერხებს, თუ ბოლოს და ბოლოს რამით მაინც შემიძლია მხარში ამოგიდგეთ, მინდა, დაგარწმუნოთ, დიდად მასიამოვნებთ.

- მაპატიეთ, ბოდიშს გიხდით, - მითხრა მან, - მწუხარება აზვიადებს ყველა შეგრძნებას, ნება მომეცით, რამდენიმე წუთს კიდევ გავჩერდე თქვენთან, ცრემლი მოვიწმინდო. არ მინდა, უსაქმურების ბრბო ინტერესით აკვირდებოდეს ატირებულ ზრდასრულ ადამიანს. ამ წიგნის მოცემით ძალიან გამახარეთ. ვერასდროს გადა-გიხდით მადლობას.

- თქვენს მეგობრად მიგულეთ, - მივმართე არმანს, - და თქვენი მწუხარების მიზეზი გამანდეთ, ამბობენ, ტანჯვას ამოთქმა ამსუბუქებსო.

- მართალი ხართ. მაგრამ დღეს მეტისმეტად მეტირება და სიტყვებს ვერ მოვუყრი თავს. ოდესმე გიამბობთ ამ ისტორიას და თავად დარწმუნდებით, მართალი ვარ თუ არა, როცა საბრალო ქალს დავტირი. ახლა კი, - განაგძო მან, უკანსაკნელად მოიწ-მინდა ცრემლი და სარკეში ჩაიხედა, - მითხარით, რომ ძალიან არ მოგაბეზრეთ თავი და ნება მომეცით, მომავალშიც გინახულოთ.

ისეთი თბილი და კეთილი მზერა ჰქონდა ამ ყმაწვილ კაცს, თავი ძლივს შევიკავე, რომ არ გადავხვეოდი.

მას ისევ მოადგა ცრემლი, დაინახა, რომ მეც შევამჩნიე და თვალი ამარიდა.

- ყური მიგდეთ, - ვუთხარი მე, - გამაგრდით.

- მშვიდობით, - მიპასუხა მან.

არნახული ძალისხმევით შეიკავა ტირილი და უფრო გაიქცა ჩემგან, ვიდრე წავიდა. ფარდა გადავწიე, დავინახე როგორ ჩაჯდა ეკიპაჟში, რომელიც კართან ელოდა, მაშინვე როგორ წასკდა ცრემლი და როგორ აიფარა სახეზე ცხვირსახოცი.

V

დიდი დრო გავიდა, არმანისგან აღარაფერი გამიგია. აი, მარგარიტას სახელი კი ხშირად მესმოდა.

არ ვიცი, მიგიქცევიათ თუ არა ყურადღება, რომ საკმარისია, ვინმემ თქვენთვის უცნობი ან, ყოველ შემთხვევაში, თქვენ რომ არ გაინტერესებთ ისეთი ქალის სახელი გითხრათ და უცებ ყველა თქვენი მეგობარი იმგვარ რამეებზე გიწყებთ საუბარს, მანამდე რომ ხმა არასდროს ამოუღიათ. მალე აღმოაჩენთ, ეს ქალი მაინტერესებსო, თურმე იგი აქამდეც ხშირად გამოჩენილა თქვენს ცხოვრებში, ოღონდ თქვენ ვერ შეგინიშნავთ. ხედავ, სხვების მოყოლილი ამბები, როგორ თანხვდება, როგორ ჰგავს თქვენს ცხოვრებას. მარგარიტას შემთხვევაში საქმე ცოტა სხვაგვარად იყო: იგი ადრეც მენახა, შევხვედროდი, სახეზეც ვიცნობდი და მისი ცხოვრების წესიც მომეხსენებოდა. თუმცა საჯარო ვაჭრობის შემდეგ პირდაპირ ყურები გამომიჭედეს მისი სახელის ძახილით და, წინა თავში მოხმობილ გარემოებათა გამო, ეს სახელი ისეთ დიდ ტანჯვასთან აღმოჩნდა დაკავშირებული, რომ განცვიფრებითაც განმაცვიფრა და კიდევ უფრო დამაინტერესა.

შემდეგად, ყველა ჩემს მეგობარს, რომელთანაც ადრე მარ-გარიტაზე კრინტიც არ დამიძრავს, ვეკითხებოდი: - მარგარიტა გოტიეს სახელი გეცნობათ?

- ქალი კამელიებით?

- სწორედ.

- შესანიშნავად.

ამ ,,შესანიშნავადს'' ისეთი საზიზღარი ღიმილი დაყვებოდა ხოლმე, რომ მისი მნიშვნელობა ეჭვს აღარ იწვევდა.

- როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ მასზე?

- კარგი.

- კარგი და მეტი არაფერი?

- ღმერთო ჩემო, დიახ! სხვებზე ჭკვიანი იყო და იქნებ სხვებზე უკეთესი გულიც ჰქონდა.

- რამე განსაკუთრებული არ იცით მის შესახებ?

- ბატონი დე გ . . . გააკოტრა.

- მეტი არაფერი?

- მოხუცი ჰერცოგის დე . . . - ს საყვარელიც იყო.

- მართლა საყვარელი იყო?

- ასე ამბობენ, ყოველ შემთხვევაში, ბევრ ფულს აძლევდა.

ყოველთვის ერთი და იგივე მეორდებოდა.

არადა, ძალიან მაინტერესებდა მარგარიტასა და არმანის ამბავი. ერთ დღესაც ვიღაც ნაცნობს შევხვდი, სულ ცნობილ ქალებთან მეგობრობდა.

- იცნობდით მარგარიტა გოტიეს?

ისევ „შესანიშნავადო“ მიპასუხეს.

- როგორი ქალი იყო?

- ლამაზი და კეთილი, მისმა სიკვდილმა გული ძალიან დამწყვიტა.

- საყვარელი, სახელად არმან დიუვალი თუ ჰყავდა?

- მაღალი, ქერა ყმაწვილი?

- დიახ.

- ჰყავდა.

- არმანი რას წარმოადგენდა?

- ახალგაზრდა იყო, რომელმაც ის მცირედი ქონება, რაც ჰქონდა, სულ ქალს დაახარჯა, მგონი აიძულეს, დაშორებოდა. ამბობდნენ, რომ გაგიჟებით უყვარდა.

- და მარგარიტას?

- სულ იმას ამბობენ, მასაც ძალიან უყვარდაო. ოღონდ, როგორც მისნაირ გოგოებს უყვართ, ისე.

- არმანი სად წავიდა?

- არ ვიცი, ჩვენ თითქმის არ ვიცნობდით ერთმანეთს. 5-6 თვე გაატრა მარგარიტასთან, ოღონდ სოფელში და როცა ქალი უკან დაბრუნდა, ისიც გაემგზავრა.

- და მას შემდეგ არ გინახავთ?

- არასოდეს.

არმანი აღარც მე მინახავს. საკუთარ თავს ვეკითხებოდი, იქ-ნებ ჩემთან სტუმრობისას, მარგარიტას გარდაცვალების იმ ხანად გაგებული ამბავი როგორღაც უზვიადებდა სიყვარულს და, შესაბამისად, ტანჯვასაც, ახლა კი, ალბათ უკვე გარდაცვლილიცა და ის დაპირებაც, რომ ჩემს სანახავად უნდა მოსულიყო, გადაა-ვიწყდა-მეთქი.

ეს ვარაუდი, ზოგადად, მსგავს სიტუაციაში იქნებ ახლოსაც ყოფილიყო სიმართლესთან, მაგრამ არმანის ხმაში ისეთი გულწრფელი სასოწარკვეთილება ჩანდა, ვერ ვიჯერებდი. ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავინაცვლე და წარმოვიდგინე, რომ ტანჯვა ავადმყოფობად ექცა და თუ მე ახალს ვერაფერს ვიგებ მისგან, მხოლოდ იმიტომ, რომ ან სენმა მოტეხა ან, ვინ იცის, უკვე ცოცხალიც აღარ არის-მეთქი. ჩემდაუნებურად, დავინტერესდი ამ ყმაწვილი კაცით, შეიძლება ეს ინტერესი

ერთგვარი ეგოიზმის შედეგიც იყო. იქნებ წინდაწინ ვხვდებოდი, რომ ამ ტკივილის უკან სულისშემძვრელი სასიყვარულო ისტორია იმალებოდა. ბოლოს და ბოლოს, იქნებ სწორედ ამ ამბის გაგება მინდოდა და, დიდწილად, მხოლოდ ამიტომ ვზრუნავდი არმანზე.

რადგან ბატონი დიუვალი არ მოდიოდა ჩემთან, გადავწყვიტე, თვითონ მივალ-მეთქი. მიზეზის პოვნა არ გამჭირვებია. საუბედუროდ, მისი მისამართი არ ვიცოდი და ვისაც ვკითხე, ვერავინ მიმასწავლა.

დ'ანტენის ქუჩაზეც გავიარე, იქნებ მარგარიტა მეკარემ იცო-დეს, არმანი სად ცხოვრობს-მეთქი. მაგრამ ახალი მეკარე დამხვდა, იმანაც, ჩემი არ იყოს, არაფერი იცოდა. შემდეგ გავიგე, რომელ სასაფლაოზე დაეკრძალათ მადმუაზელ გოტიე, თურმე მონმარტრის სასაფლაოზე განისვენებდა.

აპრილი იდგა, კარგი ამინდი იყო. საფლავებს აღარ ჰქონდა ის ტკივილნარევი და უნუგეშო იერი, ზამთარში რომ დაიდებენ ხოლმე. უკვე საკმაოდ თბილოდა საიმისოდ, ცოცხლებს თავიანთი მიცვალებულები გახსენებოდათ და მათ სანახავად მისულიყვნენ. სასაფლაოსკენ მივდიოდი და ჩემთვის ვიძახდი, ერთს შევხედავ მარგარიტას საფლავს და მაშინვე მივხვდები, კიდევ იტანჯება თუ არა არმანი და იქნებ მისი ასავალ-დასავალიც გავიგო-მეთქი.

დარაჯთან მივედი და ვცადე, გამერკვია, 22 თებერვალს ვინმე მარგარიტა გოტიე ხომ არ დაეკრძალათ მონმარტრის სასაფლა-ოზე.

ამ კაცმა გადაშალა სქელი წიგნი, რომელშიც ჩაეწერათ და დაენომრათ ყველა, ვისაც ამ უკანასკნელი თავშესაფრისთვის მოე-შურებინა და მიპასუხა, რომ 22 თებერვალს შუადღეს მართლაც დაეკრძალათ ამ სახელისა და გვარის ქალი.

ვთხოვე, საფლავამდე გამაცილეთ-მეთქი, რადგან უგამყოლოდ გზის გაგნება მიცვალებულთა ამ უზარმაზარ ქალაქში, რომელიც იმდენად ჰგავდა ცოცხალთა ქალაქს, რომ საკუთარი ქუჩებიც კი ჰქონდა, სულაც არ იყო იოლი საქმე.

მცველმა მებაღეს დაუძახა და მისცა აუცილებელი მითითებები, მაგრამ მან გააწყვეტინა: ,,ვიცი, ვიცი... ოჰ, მაგ საფლავის პოვნას რა უნდა", - ბოლო სიტყვებით უკვე მე მომმართა.

- რატომ? - ვკითხე მე

- იმიტომ, რომ მასზე ყველასაგან განსხვავებული ყვავილი აწყვია.

- თქვენ უვლით?

- დიახ, ბატონო. ნეტავ ყველა ნათესავი ისე ზრუნავდეს თავის მიცვალებულზე, როგორც ის ყმაწვილი კაცი, რომელმაც ეგ საქმე მე დამავალა.

რამდენჯერმე მივუხვ-მოვუხვიეთ, მერე მებაღე გაჩერდა და მითხრა: - მოვედით.

მართლაც, თვალწინ ნამდვილი ყვავილნარი გადამეშალა. იქვე მარმარილოს სახელდაგვარმიწერილი თეთრი ფილა რომ არ დე-ბულიყო, ადამიანს არაფრით

ეგონებოდა საფლავი. ფილა შვეულად დაედგათ, თეთრი კამელიებით ერთიანად დაფარულ საფლავს კი რკინის ღობე იცავდა.

- აბა, ამაზე რას იტყვით? - მკითხა მებაღემ.

- ძალიან ლამაზია.

- რამდენჯერაც არ უნდა დაჭკნეს, იმდენჯერ ვაახლებ ხოლ-მე კამელიას, ასე მაქვს ნაბრძანები.

- კი მაგრამ, ვინ მოგცათ ეგ განკარგულება?

- ახალგაზრდა კაცია, ძალიან ბევრი იტირა პირველ მოსვლაზე. დარწმუნებული ვარ, გარდაცვლილის ძველი მეგობარი იქნება. ეს ქალი ხომ მსუბუქი ყოფაქცევის იყო. ამბობენ, თვალს ვერ მოაშორებდიო. თქვენ იცნობდით, ბატონო?

- დიახ.

- როგორც სხვები? - მკითხა მებაღემ და ეშმაკურად გამი-ღიმა.

- არა, სიტყვაც არ გვითქვამს არასოდეს ერთმანეთისთვის.

- და მაინც მოხვედით მის სანახავად? ეს დიდი თავაზი-ანობაა თქვენი მხრიდან. საბრალო ქალის სანახავად ხომ არავინ დადის.

- ე.ი. არავინ დადის?

- არავინ, იმ ახალგაზრდა კაცის გარდა, ერთხელ რომ იყო.

- ერთადერთხელ?

- დიახ, ბატონო.

- და მის შემდეგ აღარ მოსულა?

- ჩამოვა და ისევ შემოგვივლის.

- ე.ი. გაემგზავრა სადმე?

- დიახ.

- სად, ხომ არ იცით?

- მგონი მადმუაზელ გოტიეს დასთან.

- იქ რა უნდა?

- საფლავის გახსნის და მიცვალებულის სხვაგან გადასვენების ნებართვა უნდა სთხოვოს.

- აქ რატომ არ სურს დატოვოს?

- იცით, ბატონო, მიცვალებულებსაც თავისი წესები აქვთ. ჩვენ ამას ყოველდღე ვხედავთ. აქ მიწა მხოლოდ 5 წლით იყიდება. ამ ყმაწვილ კაცს კი სურს, მუდმივ

მფლობელობაში ჰქონდეს და თან უფრო მოზრდილი ნაკვეთი. ჰოდა, აჯობებს, თუ ახალ საფლავში გადაასვენებს.

- ახალ საფლავებს რას ეძახით?

- ახალი საფლავებია, თქვენგან მარცხნივ რომ იყიდება. ჩვენს სასაფლაოს სათანადოდ რომ მოუვლიდნენ, მთელ ქვეყანაზე სასაფლაო ვერ აჯობებდა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რომ ყველაფერი ისე იყოს, როგორც წესი და რიგია. თან ხალხიც ისეთი უცნაურია.

- რას გულისხმობთ?

- იმის თქმა მინდა, რომ ზოგიერთები აქაც ამპარტავნობენ. აი, მადმუაზელ გოტიეზე ამბობენ, ცოტა ისე ცხოვრობდაო, მაპატიეთ ამ გამოთქმისთვის. ახლა საბრალო მადმუაზელი გარდაიცვალა და მისგანაც იმდენივე დარჩა, რამდენიც იმათგან, ვისზეც ზედმეტ სიტყვას ვერ იტყვის კაცი და ვის საფლავებსაც ყოველდღე ვუვლით. და, აი, იმ ქალების ნათესავებმა, მის გვერდით რომ არიან დაკრძალული, გაიგეს, საწყალი გოგო ასეთი და ასეთი იყოო და წარმოიდგინეთ, გადაწყვიტეს მისი აქ დამარხვის წინააღმდეგ უნდა წავიდეთო. ასეთი ქალებისთვის ცალკე სასაფლაოები უნდა არსებობდეს, როგორც ღარიბებისთვის არსებობსო. ასეთი რამ ოდესმე გაგიგონიათ? მე მათ ყველას კარგად ვიცნობ, გაბღენძილებს რენტით უდგათ სული, წელიწადში ოთხჯერ არ მოხედავენ თავიანთ მიცვალებულს. ყვავილებიც საკუთარი ხელით მოაქვთ, თან ნახეთ, რა ყვავილები! ფული ენანებათ მათთვის, ვისაც, თუ მათსავე სიტყვებს დავუჯერებთ, ცხარედ დასტირიან. სინამ-დვილეში, ცრემლს მხოლოდ საფლავის წარწერაში იხსენიებენ, თორემ დაღვრით, არასდროს დაუღვრიათ, მეზობლებს კი ათასგვარ დავიდარაბაში ხვევენ. გინდ დამიჯერეთ, გინდ - არა, ბატონო, მე არ ვიცნობდი ამ მადმუაზელს, არ ვიცი, რა გააკეთა, მაგრამ მაინც მიყვარს. საბრალო პატარა გოგონა, ყურადღებას არ ვაკლებ. ხელმისაწვდომ ფასად ვშოულობ და კამელიებიც მომაქვს მისთვის, ეს ჩემი საყვარელი მიცვალებულია. ჩვენ სხვანი ვართ, ბატონო, ჩვენ იძულებული ვართ, მიცვალებულები გვიყვარდეს, რადგან იმდენი საქმე გვაქვს, სხვა რამის შესაყვარებლად დროსაც ვეღარ ვპოულობთ.

ვუსმენდი ამ კაცს და ზოგიერთი ჩემი მკითხველი აუხსნელა-დაც გამიგებს, რას ვგრძნობდი. უეჭველად შემამჩნია და განაგ-რძო: - ამბობენ, ამ გოგოს გამო ბევრი კაცი გაკოტრდაო, საყვარლები მასზე გიჟდებოდნენო. ჰოდა, ახლა ერთიც არავინ დარჩა, მის საფლავზე ხანდახან ყვავილი რომ მოიტანოს, მიკვირს კიდეც და გულიც მიღონდება. ამას კიდევ არაფერი უჭირს, საკუთარი საფლავი აქვს, თან ერთ კაცს მაინც ახსოვს და ის ერთი სხვებზეც ზრუნავს, მაგრამ ჩვენ აქ სხვა საბრალო გოგოებიც გვყავს, მისნაირები, მისი ტოლები, იმათ საერთო საფლავში ყრიან ხოლმე და გული მწყდება, როცა მესმის, როგორ ცვივა მიწაში მათი საბრალო სხეულები. მოკვდებიან თუ არა, მორჩა, აღარავის აინტერესებს მათი ამბავი! ვერაფერი მხიარული ხელობაა ჩვენი ხელობა, განსაკუთრებით, თუ გულის ნატამალი კიდევ შეგრჩენია კაცს. რას იზამ, ეს რაღაც ჩემზე ძლიერია. ლამაზი გოგო მყავს, 20 წლის არის და როცა მისი ტოლი მოჰყავთ ვინმე, ძალაუნებურად, ის მახსენდება. სულ ერთია, მაღალი წრის ქალია თუ ბოგანო, მაინც მიჩუყდება გული, მაგრამ თავი მოგაბეზრეთ ჩემი ამბებით,

მათ მოსასმენად ხომ არ მოსულხართ. მითხრეს, მადმუაზელ გოტიეს საფლავზე მიიყვანეო, აი, აქა ვართ, შემიძლია კიდევ რამით გემსახუროთ?

- ბატონ არმან დიუვალის მისამართი ხომ არ იცით? - ვკითხე მე.

- დიახ, # ქუჩაზე ცხოვრობს, ერთხელ ვიყავი იქ, თქვენ რომ ხედავთ, იმ ყვავილების ფული მისგან მივიღე.

- გმადლობთ, მეგობარო.

უკანასკნელად შევავლე თვალი ყვავილებით მოფენილ საფლავს. ჩემდაუნებურად, თითქოს მომინდა ჩამეხედა შიგნით, რათა მენახა, რა უქნა მიწამ მისთვის მიგდებულ მშვენიერ არსებას. დანაღვლიანებული გამოვბრუნდი.

- ბატონი დიუვალის ნახვა ხომ არ გნებავთ? - მკითხა მებაღემ, იგი ჩემს მხარდამხარ მოაბიჯებდა.

- დიახ.

- დარწმუნებული ვარ, ჯერ არ დაბრუნდებულა, თორემ აქ აუცილებლად გამოივლიდა.

- დარწმუნებული ხართ, რომ არ დავიწყებია მარგარიტა?

- მარტო დარწმუნებული კი არა, თუ გინდათ, სანაძლეოს დავდებ. საფლავის გამოცვლა მხოლოდ იმიტომ სურს, რომ კიდევ ერთხელ იხილოს იგი.

- ეგ როგორ?

- სასაფლაოზე მოსულმა პირველი ის მკითხა, როგორ მოვიქცე, რომ კიდევ ვნახოო? ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ გადასვენება მოხდება. ამ გადასვენებისთვის საჭირო ფორმალობებიც ავუხსენი. თქვენც ხომ იცით, სანამ მიცვალებულს ერთი საფლავიდან მეორეში გადაიყვანენ, ჯერ უნდა ამოიცნონ. საამისო ნებართვის გაცემა მხოლოდ ოჯახის წევრებს შეუძლიათ, თან ყოველივე ამას პოლიციის კომისარიც უნდა ესწრებოდეს. სწორედ ამ ნებართვის ასაღებად წავიდა ბატონი დიუვალი მადმუაზელ გოტიეს დასთან და, ცხადია, დაბრუნებისთანავე, პირველ რიგში, ჩვენ გვესტუმრება.

სასაფლაოს ჭიშკარს მივადექით, ხელახლა გადავუხადე მადლობა მებაღეს, ხელში რამდენიმე მონეტა ჩავუდე და მის მიერ მოცემულ მისამართზე წავედი. არმანი არ დაბრუნებულიყო.

ორსიტყვიანი ბარათი დავუტოვე, ვთხოვდი, როცა დაბრუნ-დებით, ან შემომიარეთ, ან გამაგებინეთ, მე სად გნახოთ-მეთქი. მეორე დღეს, დილით, დიუვალისგან წერილი მივიღე, ჩამოვედიო, მამცნობდა და მთხოვდა, შემომიარეთ, თორემ ისე ვარ გადაქანცული, გარეთ ვერ გამოვდივარო.

VI

არმანი იწვა, რომ მივედი.

დამინახა და გახურებული ხელი გამომიწოდა.

- სიცხე გაქვთ, - ვუთხარი მე.

- ეგ არაფერი, სწრაფმა მგზავრობამ დამღალა, სულ ეს არის.

- მარგარიტას და ინახულეთ?

- დიახ, ვინ გითხრათ?

- მითხრეს. მიიღეთ, რაც გინდოდათ?

- დიახ. მაგრამ ვინ გითხრათ, სად და რა მიზნით ვიყავი წასული?

- სასაფლაოს მებაღემ.

- საფლავი ნახეთ?

თუ სითამამეს მოვიკრებდი და ვუპასუხებდი, ვიცოდი, გული ეტკინებოდა. ისეთი ხმით მკითხა, მივხვდი, იგი ისევ იმ გრძნობათა ტყვეობაში იყო, რომლის მოწმეც აქამდე მეც რამდენჯერმე გავმხდარიყავი და რამდენჯერაც საკუთარი ფიქრი ან ვინმეს უნე-ბურად ნათქვამი სიტყვა შეეხებოდა ამ მტკივნეულ თემას, თავს დიდხანს ვერ იმაგრებდა.

პასუხად მხოლოდ თავი დავუქნიე.

- კარგად უვლის საფლავს? - განაგრძო არმანმა.

ავადმყოფს ორი დიდი ცრემლი ჩამოუგორდა ლოყებზე. გადაბრუნდა, სახე მომარიდა. თავი მოვაჩვენე, არაფერი დამინახავს-მეთქი და ვცადე, საუბრის თემა შემეცვალა.

- სამი კვირაა, წასული ხართ, - ვუთხარი მე.

არმანმა თვალებზე მოისვა ხელი და მიპასუხა: - ზუსტად სამი კვირაა.

- ხანგრძლივი მოგზაურობა გამოგივიდათ.

- ოჰ! სულ კი არ ვმოგზაურობდი. თხუთმეტი დღე ვიავადმყოფე, თორემ დიდი ხნის წინ დავბრუნდებოდი. ჩავედი თუ არა, ციებ-ცხელებამ შემიპყრო და ოთახიდან ფეხი არ მომაცვლევინა.

- და ისე წამოხვედით, სრულ გამოჯანმრთელებას არც დაელოდეთ.

- კიდევ ერთ კვირას რომ დავრჩენილიყავი იქ, ალბათ მოვ-კვდებოდი.

- მაგრამ ახლა, როცა დაბრუნდით, თავს უნდა გაუფრთხილდეთ. მეგობრები მოვლენ ხოლმე თქვენს სანახავად. მე, პირველ რიგში, თუ, რა თქმა უნდა, ნებას დამრთავთ.

- ორ საათში ავდგები.

- რა გაუფრთხილებლობაა!

- აუცილებლად უნდა ავდგე.

- ასეთი სასწრაფო რა საქმე გაქვთ?

- პოლიციის კომისარი უნდა ვნახო.

- თქვენს ნაცვლად რატომ სხვას არ დაავალებთ ამ მისიის შესრულებას, ხომ შეიძლება, ისევ ავად გახდეთ?

- ეს ერთადერთი რამაა, რასაც ჩემი განკურნება შეუძლია. კიდევ ერთხელ უნდა ვნახო იგი. მას შემდეგ, რაც მარგარიტას გარდაცვალების ამბავი გავიგე, განსაკუთრებით კი მისი საფლავის ნახვის შემდეგ, თვალი არ მომიხუჭავს. ვერ ვიჯერებ, რომ ეს ქალი, რომელიც მე მივატოვე, ასეთი ახალგაზრდა, მშვენიერი, ცოცხალი აღარ არის. თვითონ უნდა დავრწმუნდე ამაში, საკუთარი თვალით უნდა ვნახო, რა უქნა ღმერთმა იმ ადამიანს, მე რომ ასე მიყვარდა და იქნებ ამ სანახაობით მოგვრილმა ზიზღმა მაინც მოუღოს ბოლო მოგონებებით გამოწვეულ სასოწარკვეთას. ხომ წამომყვებით. . . თუ, რასაკვირველია, ძალიან არ შეგაწუხებთ.

- რა გითხრათ მისმა დამ?

- არაფერი. მგონი, ძალიან გაუკვირდა, როცა გაიგო, ვიღაც უცნობს მარგარიტას საფლავისთვის მიწის ყიდვა უნდაო და როგორც კი ვთხოვე, მაშინვე მომცა უფლება.

- დამიჯერეთ, აჯობებს, ჯერ გამოჯანმრთელდეთ და მერე გადავასვენოთ.

- ო, დამშვიდდით, ძალ-ღონე მეყოფა. გარდა ამისა, რაც შეიძლება მალე თუ არ მოვუღე ამას ბოლო, დარდისგან ჭკუიდან გადავალ. გეფიცებით, ვერ დავმშვიდდები, სანამ მარგარიტას არ ვნახავ. იქნებ ციებ-ცხელების ბრალი იყოს ეს წყურვილი, ახლა რომ მახრჩობს, იქნებ უძილო ღამეებში ნანახი სიზმრის, იქნებ ჩემი ბოდვების შედეგი, მაგრამ მის სანახავად ბატონ დე რანსესავით, ტრაპისტების ორდენშიც რომ მომიხდეს გაწევრიანება, თანახმა ვარ.

- მესმის თქვენი, - ვუთხარი არმანს, - და მთლიანად თქვენს განკარგულებაში მიგულეთ. ნახეთ ჟიული დიუპრე?

- დიახ, დაბრუნებისთანავე ვნახე.

- გადმოგცათ ფურცლები, მარგარიტამ რომ დაუტოვა თქვენ-თვის.

- დიახ.

არმანმა ბალიშის ქვეშიდან გამოიღო ქაღალდის შეკვრა და მაშინვე უკან დააბრუნა.

- ზეპირად ვიცი, რასაც ეს ფურცლები მალავენ, - მითხრა მან, - სამი კვირის მანძილზე დღეში ათჯერ მაინც ვკითხულობდი თითეულს. თქვენც წაიკითხავთ, ოღონდ მოგვიანებით, როცა უფრო დავმშვიდდები და როცა შემეძლება, აგიხსნათ, ეს აღსარება რამდენადაა სავსე სინაზითა და სიყვარულით. ახლა კი, რაღაც მინდა გთხოვოთ.

- რა?

- ეკიპაჟი გელით ქვემოთ?

- დიახ.

- თუ შეიძლება, აიღეთ ჩემი პასპორტი, წადით ფოსტაში და იკითხეთ, წერილები ხომ არ მოსულა ჩემს სახელზე. მამასა და დას უნდა მოეწერათ ჩემთვის პარიზში. მე კი ისე ნაჩქარევად გამოვემგზავრე, მათი გაფრთხილებაც ვერ მოვასწარი. როცა დაბრუნდებით, ერთად წავიდეთ პოლიციის კომისართან, ხვალინდელ ცერემონიასთან დაკავშირებით.

არმანმა გადმომცა თავისი პასპორტი და მეც ჟან-ჟაკ რუსოს ქუჩისაკენ გავემართე.

დიუვალის სახელზე ორი წერილი დამხვდა, ავიღე და გამოვბრუნდი.

არმანი ჩაცმული და წასასვლელად გამზადებული დამხვდა.

- გმადლობთ, - მითხრა და წერილები ჩამომართვა, - ჰო, - განაგრძო მან, როცა მისამართებს დახედა, - ჰო, ჩემი დისგან და მამაჩემისგანაა, ალბათ როგორ უკვირდათ ჩემი დუმილი.

წერილები გახსნა და უფრო გუმანით მიხვდა, რა ეწერა შიგნით, თორემ არც წაუკითხავს, თითო ოთხი გვერდი მაინც იყო და ერთ წამში ისევ დაკეცა.

- წავიდეთ, - მითხრა მან, - ხვალ ვუპასუხებ.

წავედით პოლიციის კომისართან, რომელსაც არმანმა მარგარიტას დის ნებართვა გადასცა.

კომისრმა სანაცვლოდ სასაფლაოს მცველისთვის გადასაცემი მიწერილობა გამოგვატანა. შევთანხმდით, რომ გადმოსვენება მეორე დღეს, დილის ათ საათზე შედგებოდა, მე კი ერთი საათით ადრე შევუვლიდი და სასაფლაოზე ერთად წავიდოდით.

მეც მაინტერესებდა, დავსწრებოდი ამ სანახაობას და, ვაღიარებ, მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს.

თუ ფიქრებმა მე ასე გამაწამეს, არმანს რაღა მოუვიდოდა.

როცა მეორე დილით ცხრა საათზე მასთან მივედი, სახეზე ფერი არ ედო, ოღონდ თავი თითქოს უფრო მშვიდად ეჭირა.

გამიღიმა და ხელი გამომიწოდა.

სანთლებისგან ნამწვავებიღა დარჩენილიყო. გამოსვლისას არმანმა აიღო მამისთვის გასაგზავნი საკმაოდ სქელი, ალბათ იმ ღამის შთაბეჭდილებებით სავსე წერილი.

ნახევარ საათში მონმარტრის ქუჩაზე ვიყავით. კომისარი უკვე გველოდა.

ნელა გავემართეთ მარგარიტას საფლავისაკენ. წინ კომისარი მიდიოდა, მე და არმანი ოდნავ მოშორებით მივყვებოდით.

დროდადრო ვგრძნობდი, როგორ უკანკალებდა მკლავი ჩემს თანამგზავრს, თითქოს მთელ ტანში კრუნჩხვამ დაურაო. მაშინვე გადავხედავდი ხოლმე, იგი ხვდებოდა ჩემს მზერას და მიღიმოდა, მაგრამ რაც მისგან წამოვედით, არც ერთს ხმა არ ამოგვიღია.

საფლავთან ახლოს არმანი შედგა, რომ სახიდან ოფლი მოეწმინდა.

მეც ვისარგებლე შემთხვევით და ცოტა სული მოვითქვი, გული მეც წასვლაზე მქონდა.

საიდან მოვიდა ამგვარი სანახაობით გამოწვეული ეს მტკივ-ნეული სიამოვნება!

სამარესთან რომ მივედით, მებაღეს ყვავილებისგან უკვე გაეწმინდა იქაურობა, რკინის ღობეც მოეხსნათ და ორი კაცი მიწას თხრიდა.

არმანი ხეს მიეყრდნო და უყურებდა.

თითქოს მთელმა ცხოვრებამ თვალწინ ჩაუარაო.

უცებ ერთ-ერთი წერაქვი ქვას მოხვდა.

ამ ხმის გაგონებაზე არმანი დენდარტყმულივით შეკრთა და ისეთი ძალით მომიჭირა ხელი, რომ მატკინა.

ერთმა მესაფლავემ დიდი ნიჩაბი აიღო და ნელ-ნელა დაიწყო მიწის ამოყრა, მერე ის ქვებიც მოაშორა, რომლითაც კუბოს ფარავენ ხოლმე.

თვალს ვადევნებდი არმანს. ყოველ წუთს იმის შიში მქონდა, ამ სანახაობას ვერ გაუძლებს-მეთქი, მაგრამ გვერდზე ერთხელაც არ გამოუხედავს, მხოლოდ გაშტერებული, გიჟივით გაფართოებული თვალები გამოხატავდნენ, რა დღეშიც ჰქონდა ნერვები.

რაც შემეხება მე, ერთადერთი რამის თქმა შემეძლო. ძალიან ვნანობდი, რატომ წამოვყევი მეთქი.

როცა ბოლომდე ამოასუფთავეს სამარე, კომისარმა მიმართა მესაფლავეებს: - გახსენით.

ისინიც ისე დაემორჩილნენ, თითქოს ამაზე იოლი ქვეყნად არაფერი ყოფილიყოს.

კუბო ხის იყო. სახურავის მოხსნას შეუდგნენ. სინესტის გამო ხრახნები ჩაჟანგებულიყო და მესაფლავეებმა ძლივს გახსნეს კუბო. აუტანელი სიმყრალე ამოვარდა, ზედ მოფენილი სურნელოვანი ბალახი ვერაფერს შველოდა.

- ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! - ჩაიჩურჩულა არმანმა და კიდევ უფრო წაუვიდა ფერი.

მესაფლავეებმაც კი უკან დაიხიეს.

დიდი თეთრი სუდარა კარგად ხატავდა ცხედრის მოხაზულო-ბას. ერთ ბოლოში თითქმის მთლიანად ამოჭმულიყო და მიცვალებულს შიშველი ფეხი მოუჩანდა.

კინაღამ გული წამივიდა და ახლაც, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ეს სცენა კვლავ აუტანელი სიცხადით წარმომიდგება თვალწინ.

- უნდა ვიჩქაროთ, - თქვა კომისარმა.

ერთ-ერთმა მესაფლავემ წინ გაიშვირა ხელი, სუდარის გადახდა დაიწყო, ერთ ბოლოში წაავლო ხელი და უნებურად მარგარიტას სახე გამოჩნდა.

სანახავად ხომ შემაძრწუნებელი იყო და სათქმელადაც შემ-ზარავია.

თვალების ადგილას ორი ფოსო გაჩენილიყო, ტუჩები აღარ ჰქონდა და ქათქათა კბილები მაგრად მოეკუმა. გრძელი შავი, გაშეშებული თმა საფეთქლებთან მიკვროდა და ძლივს ფარავდა ლოყების ნაცვლად გაჩენილ მომწვანო ღრმულებს და, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ვიცანი ოდესღაც თეთრი, ავარდისფრებული, მხიარული სახე, რომელიც ამდენჯერ მენახა.

არმანმა ისე, რომ მიცვალებულისთვის თვალი არ მოუშორებია, ცხვირსახოცი მიიტანა პირთან და ძიძგნა დაუწყო.

მე კი ასე მეგონა, თავზე რკინის სალტე მიჭერს-მეთქი, თვალთ დამიბნელდა, ყურები მიბჟუოდა და იმის მეტი ვერაფერი მოვახერხე, რომ ყოველი შემთხვევისთვის თან წამოღებული ფლაკონი გავხსენი და მთელი ძალით შევისუნთქე მარილი.

სწორედ იმ წამს, როცა კინაღამ გული შემიწუხდა, გავიგონე, როგორ ჰკითხა კომისარმა ბატონ დიუვალს: - იცნობთ?

- დიახ, - ყრუდ უპასუხა ახალგაზრდა კაცმა.

- თავი დაახურეთ და წამოიღეთ, - მიმართა კომისარმა მესაფლავეებს. მესაფლავეებმაც ისევ გადააფარეს სუდარა მიცვალებულს, დაბეჭდეს კუბო, აქეთ-იქიდან მოკიდეს ხელი და ნაჩვენები მიმართულებით წაიღეს.

არმანი არ განძრეულა, კვლავ ცარიელ სამარეს ჩაშტერებოდა და სახეზე მიცვალებულის ფერი ედო, თითქოს გაქვავდაო.

მივხვდი, ამის შემდეგ ტანჯვა ნელ-ნელა შეუმსუბუქდებოდა და მეტად აღარ გააწამებდა.

კომისართან მივედი.

- ამ ბატონის დასწრება, - ვკითხე და თან არმანზე ვანიშნე, - კვლავაც აუცილებელია?

- არა, - მითხრა მან, - გირჩევთ კიდეც აქედან წაიყვანოთ, მგონი ავად უნდა იყოს.

- წამოდით, - ვუთხარი და არმანს მკლავში მოვკიდე ხელი.

- რა? - ისე შემომხედა, თითქოს ვერ მიცნოო.

- ყველაფერი მორჩა, - განვაგრძე მე, - უნდა წავიდეთ, მეგობარო, სახეზე ფერი არ გადევთ, გამცივნებთ, ბოლოს მოგიღებთ ეს ნერვიულობა.

- მართალი ხართ, წავიდეთ, - მიპასუხა მექანიკურად, მაგრამ არ განძრეულა. მაშინ ხელი მოვკიდე და წინ გავუძეხი.

ბავშვივით გამომყვა, მხოლოდ დროდადრო ერთადერთ წინადადებას ჩურჩულებდა: - დაინახეთ თვალები?

და უკან-უკან იყურებოდა, თითქოს ის მოჩვენება კვალში მოჰ-ყვებაო.

გზაში ფეხი აერია, ბორძიკ-ბორძიკით მოდიოდა წინ, კბილები უკაწკაწებდა, ხელები გაუცივდა. ძლიერმა ნერვულმა აგზნებამ დაიმორჩილა მთელი მისი სხეული.

რაღაც ვუთხარი, პასუხი არ გამცა.

ერთადერთი, მორჩილად მომყვებოდა, მეტი არაფერი.

შესასვლელთან მეეტლე მოვძებნეთ. წასვლის დრო იყო. რო-გორც კი ეტლში ჩავსხედით, კანკალი გაუძლიერდა, აშკარად ნერვული შეტევა დაეწყო, მაგრამ მე რომ არ შევეშინებინე, მთე-ლი გზა ხელს მიჭერდა და მეჩურჩულებოდა: - არაფერია, არაფერია. უბრალოდ, ტირილი მინდა.

ვხედავდი, მკერდი როგორ აუდ-ჩაუდიოდა, თვალები როგორ ევსებოდა სისხლით, მაგრამ ცრემლი კი არ წამოსვლია.

ჩემი ფლაკონი ვაყნოსინე. შინ მისულს კანკალი ისევ გაუძ-ლიერდა.

მსახურის დახმარებით, ლოგინში ჩავაწვინე, ბუხარი ავანთებინე და ჩემი ექიმის საძებნელად გავიქეცი, რომელსაც ყველაფერი ვუამბე.

წამომყვა.

არმანს ცეცხლი ეკიდა, ბოდავდა და გაუგებარ სიტყვებს ბუტბუტებდა, რომელთა შორისაც გარკვევით მხოლოდ მარგარიტას სახელს გაარჩევდა კაცი.

- აბა, რას მეტყვით? - ვკითხე ექიმს, როცა მან ავადმყოფის გასინჯვა დაასრულა.

- რას გეტყვით და, არც მეტი, არც ნაკლები, ტვინის ანთება აქვს და მგონი მისთვის ასეც ჯობს, ღმერთო შეგცოდე, თორემ ნამდვილად შეიშლებოდა. საბედნიეროდ, ხორციელი ავადმყოფობა ბოლოს მოუღებს სულიერ ტკივილს და ერთ თვეში, ასე თუ ისე, ფეხზე დადგება.

VII

ისეთი ავადმყოფობა, არმანს რომ დაემართა, ადამიანს ან მაშინვე კლავს, ან მალევე იკურნება ხოლმე.

ჩემ მიერ მოთხრობილი ამბებიდან ორი კვირის შემდეგ, არმანს აშკარად დაეტყო უკეთესობა. ჩვენ ძალიან დავმეგობრდით, მთელი ავადმყოფობის მანძილზე მისი ოთახიდან ლამის ფეხი არ გამომიდგამს.

გაზაფხული მობრძანდა უამრაავი ყვავილით, ბალახით, ჩიტე-ბით, სიმღერებით. ჩემი მეგობრის ღია ფანჯარა პირდაპირ ბაღს გადაჰყურებდა, საიდანაც თავბრუდამხვევი სურნელება შემოდიოდა.

ექიმმა ფეხზე წამოდგომის ნება დართო. ჩვენც ხშირად ვის-ხედით ღია ფანჯარასთან და ვსაუბრობდით, როცა მზე მეტისმეტად აცხუნებდა - 12-დან 2 საათამდე.

ძალიან ვნერვიულობდი, არ მინდოდა, მარგარიტა მეხსენებინა, სულ იმის შიშში ვიყავი, მისმა სახელმა ავადმყოფობით გამოწვეული სიმშვიდის საფარქვეშ მიმალული ნაღვლიანი მოგონებები არ წამოუშალოს-მეთქი. მაგრამ არმანს, პირიქით,

თითქოს მასზე საუბარი სიამოვნებდა კიდეც, ოღონდ ცრემლმორეული კი აღარ ლაპარაკობდა, არამედ სევდიანი ღიმილით. ამიტომ მის სულიერ მდგომარეობაზე ნაკლებად ვნერვიულობდი.

შევამჩნიე: სასაფლაოზე ჩვენი უკანასკნელი სტუმრობის შემდეგ, იმ სცენის შემდეგ, რომელმაც მასში ეს საშინელი კრიზისი გამოიწვია, ავადმყოფობამ თითქოს ჩაახშო შინაგანი ტანჯვა და მარგარიტას სიკვდილიც უწინდებურად აღარ წარმოედგინა. საკუთარი ძალების რწმენამ გარკვეული ნუგეში მოუტანა, რათა განედევნა შავბნელი აჩრდილი, ხშირად რომ წარმოუდგებოდა თვალწინ. მთლიანად ჩაეფლო მარგარიტასთან დაკავშირებულ სასიამოვნო მოგონებებში და, ეტყობოდა, სხვა აღარაფერი აინტერესებდა.

ძლიერი სულიერი განცდებისათვის მისი სხეული ჯერ ავადმყოფობას დაეუძლურებინა მეტისმეტად, შემდეგ კი გამოჯანმრთელებას. აყვავებული სამყაროს სიხარული თავისდაუნებურად უბიძგებდა არმანს სასიამოვნო ფიქრებისკენ.

ყოველთვის ჯიუტად უარობდა ოჯახისთვის შეეტყობინებინა მოსალოდნელი საფრთხე და ისე გამოჯანმრთელდა, მამამისმა არც კი იცოდა, ავად თუ იყო.

ერთ საღამოს ჩვეულებრივზე მეტ ხანს შევრჩით ფანჯარასთან, ბრწყინვალე ამინდი იდგა, მზე ჩადიოდა და გზადაგზა მწვანე ჰორიზონტს ოქროსფრად აელვარებდა. მიუხედავად იმისა, რომ პარიზში ვიყავით, ჩვენ ირგვლივ გამეფებული სიმწვანე თითქოს გვაშორებდა დანარჩენ სამყაროს და მხოლოდ ხანგამოშვებით ჩავლილი ეტლის რახრახი გვაწყვეტინებდა საუბარს.

- მაშინაც წელიწადის ეს დრო იყო, ასეთივე საღამო იდგა, როცა მარგარიტა გავიცანი, - მითხრა არმანმა, თან ეტყობოდა, უფრო საკუთარ ფიქრებს უსმენდა, ვიდრე ჩემს ნათქვამს.

პასუხი არ გამიცია.

მაშინ მომიტრიალდა და მითხრა: - აუცილებლად უნდა მოგიყვეთ, წიგნს დაწერთ. შეიძლება არავინ დაგიჯეროთ, მაგრამ თქვენ მაინც დაგაინტერესებთ.

- მოგვიანებით მომიყევით, ჩემო მეგობარო, - ვუთხარი მე, - ჯერ საბოლოოდ არ მომჯობინებულხართ.

- თბილი საღამოა, ერთი ნაჭერი ქათამი შევჭამე, - მიპასუხა გაღიმებულმა, - სიცხეც არა მაქვს. მეტი საქმეც არც არაფერია. გიამბობთ ყველაფერს.

- რადგან ასე გინდათ, გისმენთ.

- ძალიან უბრალო ამბავია, - დაუმატა მან, - ყველაფერს თანმიმდევრობით, თავიდან ბოლომდე მოგიყვებით. თუ მერე რა-მეში გამოიყენებთ, ისე გადააკეთეთ, როგორც გინდოდეთ.

აი, რა მიამბო მან. ამ ნაღვლიან მონათხრობში მხოლოდ რამდენიმე სიტყვა შევცვალე, მეტი არაფერი.

- ჰოდა! - დაიწყო არმანმა, თან თავი სავარძლის საზურგეზე გადააგდო, - ჰოდა, ასეთივე საღამო იყო! მთელი დღე ქალაქგარეთ ვახლდი ჩემს მეგობარ გასტონ რ . . . - ს. საღამოს პარიზში დავბრუნდით, აღარ ვიცოდით, რა გვექნა, ამიტომ ვარიეტეში შევედით.

ანტრაქტის დროს გარეთ გამოვედით და დერეფანში გვერდით ჩავუარეთ მაღალ ქალს, რომელსაც ჩემი მეგობარი მიესალმა.

- ვის მიესალმეთ? - ვკითხე მე.

- მარგარიტა გოტიეს.

- როგორ შეცვლილა, ვერც ვიცანი, - ვუთხარი გრძნობამორეულმა, რის მიზეზსაც ამ წუთში მოგახსენებთ.

- ავად იყო, საბარალო გოგოს ბევრი დრო როდი დარჩენია.

ყველაფერი გუშინდელივით მახსოვს. უნდა გამოგიტყდეთ, ჩე-მო მეგობარო, რომ ორი წლის განმავლობაში ეს ქალიშვილი, ყო-ველი შეხვედრისას, თუმცა მაშინ პირადად ჯერაც არ ვიცნობდი, ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე.

წარმოდგენა არ მაქვს, რატომ, მაგრამ ერთთავად ვფითრდებოდი და გულიც მთელი ძალით მიცემდა. ერთი მეგობარი მყავს, ოკულტიზმით არის გატაცებული. იგი ჩემს შეგრძნებებს ფლუიდების გავლენას მიაწერდა. რაც შემეხება მე, ამას ძალიან მარტივად ვუყურებ. ეტყობა, უნდა შემყვარებოდა მარგარიტა და ამას წინასწარ ვგრძნობდი კიდეც.

იგი ჩემზე მუდამ ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა. უამრავი ჩემი მეგობარი შესწრებია ამას და ბევრსაც იცინოდნენ, როცა გაიგეს, ვის გავლენას განვიცდიდი.

პირველად ბირჟის მოედანზე ვნახე, მაღაზიასთან. ღია ეტლი შეჩერდა, იქიდან გადმოვიდა თეთრებში ჩაცმული ქალი, მაღაზიაში შევიდა და აღტაცების ჩურჩულმა დაურბინა იქაურობას. რაც შემეხება მე, მილურსმულივით ვიდექი ერთ ადგილზე მანამ, სანამ მარგარიტა იქაურობას არ გაეცალა. ფანჯრიდან ვუთვალთვალებდი, რაღაცას არჩევდა. შემეძლო, შევსულიყავი, მაგრამ ვერ გადავწყვიტე. არ ვიცოდი, ვინ იყო ეს ქალი. ვშიშობდი, შესვლის მიზეზს არ მიმიხვდეს და არ ეწყინოს-მეთქი. არ მეგონა, ისევ თუ ვნახავდი.

მოხდენილად ეცვა, მუსლინის არშიებშემოვლებული კაბა, ინდური ოქრომკერდითა და აბრეშუმით კიდეებმოქარგული ოთხკუთხა შალი, იტალიური ჩალის ქუდი და შეუდარებელი სამაჯური - მსხვილი ოქროს ჯაჭვი, რომელიც მოდაში სწორედ მაშინ შემოდიოდა. იგი ავიდა ეტლში და გაემგზავრა.

მაღაზიის გამყიდველი კართან გაჩერდა და ერთხანს გასცქეროდა მოხდენილი მუშტრის ეტლს. მივუახლოვდი და ვთხოვე, იქნებ ამ ქალის სახელი მითხრათ-მეთქი.

- მადმუაზელ მარგარიტა გოტიე, - მიპასუხა მან

ვეღარ გავუბედე, მისამართიც მეკითხა და გავშორდი.

ამ ხილვის მოგონება - სწორედ ხილვის, აბა, სინამდვილეს იგი არაფრით ჰგავდა, სხვა ადრინდელი ხილვების მსგავსად არ ამომდიოდა გულიდან და მეც ყველგან დავეძებდი ამ ქალს, ასე თეთრსა და მეფურად მშვენიერს.

რამდენიმე დღის შემდეგ, კომიკურ ოპერაში დიდი წარმოდგენა იმართებოდა. სანახავად წავედი და პირველივე ადამიანი, რომელსაც ბელეტაჟის ლოჟაში მოვკარი თვალი, მარგარიტა გოტიე იყო. ჩემი თანმხლები ვაჟიც იცნობდა მას, მიმითითა და მითხრა: - ნახეთ, რა ლამაზი ქალია.

სწორედ იმ წამს მარგარიტამ ჩვენკენ გამოიხედა, ჩემი მეგობარი იცნო, გაუღიმა და ანიშნა, ლოჟაში მესტუმრეთო.

- ავალ, მივესალმები, - მითხრა მან, - და ახლავე დავბრუნდები.

თავი ვერ შევიკავე და მაინც წამომცდა: - რა ბედნიერი ხართ.

- რატომ?

- იმ ქალთან რომ მიდიხართ.

- გიყვართ?

- არა, - ვუთხარი და გავწითლდი, რადგან მართლა არ ვიცოდი, რას ვგრძნობდი მის მიმართ, - თუმცა სიამოვნებით გავიცნობდი.

- წამოდით, გაგაცნობთ.

- მაშინ ჯერ ნებართვა სთხოვეთ.

- ოო, ღვთის გულისათვის, აბა, მასთან სიმორცხვე რა საჭიროა, წამოდით.

მისი ნათქვამი გულს მტკენდა, მეშინოდა, ვაითუ, ისე აღმოჩ-ნდეს, რომ მარგარიტა ჩემი სიყვარულის ღირსი არ იყოს-მეთქი.

ალფონს კარი თავის წიგნში „Am Rauchen“ გვიყვება მამაკაცზე, ერთ საღამოს ძალიან მოხდენილ ქალს რომ აეტორღიალა და ერთი ნახვითაც შეუყვარდა, ისეთი ლამაზი იყო ის ქალი. კაცს ხელზე სურდა ეკოცნა მისთვის, საამისოდ ძალების მოზღვავებასაც გრძნობდა, ყველა დამპყრობლის ჟინსა და ყველა ოსტატის სიმამაცეს ერთად აღებულს, მაგრამ იმდენიც ვერ გაბედა, თვალი კოხტა ქუსლებზე მაინც შეევლო, რომლებიც კაბის წამოწეული კალთიდან, აქაოდა, არ დამესვაროსო, მოუჩანდა. სანამ კაცი გეგმებს აწყობდა, როგორ დავეუფლო ამ ქალსო, იგი ქუჩის კუთხეში შედგა და შესთავაზა, თუ გინდა, ჩემთან ავიდეთო.

კაცი მიბრუნდა, ქუჩა გადაიარა და შინ დანაღვლიანებული დაბრუნდა.

გამახსენდა ეს ეპიზოდი და მეც, მამაკაცს, რომელიც სიამოვ-ნებით გავწირავდი თავს ამ ქალისათვის, შემეშინდა, უცებ არ დამთანხმდეს და ხელში უცებ არ მომაჩეჩოს ის სიყვარული, რომელსაც მე ხანგრძლივი ლოდინისა და დიდი მსხვერპლის ფასად მინდა მივაღწიო-მეთქი. აი, ასეთები ვართ ჩვენ, მამაკაცები. საბედნიეროდ, წარმოსახვა პოეტურ ხიბლს ანიჭებს გრძნობებს და ხორციელი სურვილებიც ამ დათმობას ნაზ ოცნებად აქცევენ ხოლმე.

ჩემთვის რომ ეთქვათ, დღეს საღამოს დაეუფლებით ამ ქალს, ხვალ კი მოგკლავენო, დავთანხმდებოდი. მაგრამ რომ ეთქვათ, აი, ათი ლუიდორი მომეცით და მისი საყვარელი გახდებითო, უარს ვიტყოდი. იმ ბავშვივით ამომიჯდებოდა გული, რომელიც ხედავს, დილით როგორ უჩინარდება წინა ღამით აგებული ციხე-კოშკები. თუმცა მისი გაცნობა მაინც მინდოდა. ეს პირველი და იქნებ ერთადერთი შესაძლებლობაც იყო, გამეგო, როგორ უნდა მოვ-ქცეულიყავი მასთან.

ჩემს მეგობარს კიდევ ერთხელ ვუთხარი, რომ წარვედგინე, თუ თავად იგი დათანხმდებოდა და დერეფნებში წინ და უკან სიარული დავიწყე. თან მეჩვენებოდა, აი, ახლა შევხვდები მას, შემომხედავს და მე კი არ ვიცი, თავი როგორ დავიჭირო-მეთქი.

ვცდილობდი, სათქმელი წინდაწინ მომეფიქრებინა.

რა დიდებულად ბავშური რამაა სიყვარული.

მალე ჩემი მეგობარიც გამოჩნდა.

- გიცდით, - მითხრა მან.

- მარტოა? - შევეკითხე.

- ერთი ქალია კიდევ.

- მამაკაცები?

- არა.

- წავიდეთ.

ჩემმა მეგობარმა თეატრის გასასვლელისაკენ აიღო გეზი.

- კი მაგრამ, სწორად არ მიდიხართ, - შევესიტყვე მე.

- ჯერ კანფეტი უნდა მოვძებნო, თვითონ მთხოვა.

იქვე, საკონდიტროში შევედით.

მე ალბათ მთელ მაღაზიას ვიყიდდი. გამწარებული ვათვალიერებდი, რითი ამევსო პატარა ქისა, როცა ჩემმა მეგობარმა იკითხა: - ერთი გირვანქა დაშაქრული ნუში თუ შეიძლება.

- დარწმუნებული ხართ, რომ ნამდვილად ეს უყვარს.

- მხოლოდ ამ ტკბილეულს ჭამს, ცნობილი ამბავია. აჰ, - განაგრძო მან გარეთ გამოსვლის შემდეგ, - იცით, ვისთან უნდა წარგადგინოთ? ვინმე ჰერცოგის მეუღლე ნუ გგონიათ, ერთი ჩვეულებრივი ხარჭაა, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ხარჭა, ჩემო ძვირფასო, ნუ გრცხვენიათ და რაც თავში მოგივათ, ყველაფერი ილაპარაკეთ.

- კარგით, კარგით, - ჩავიბურდღუნე და უკან გავყევი. საკუთარ თავს ვეუბნებოდი, ვარწმუნებდი, ახლა კი ვნება ცოტა გადამივლის-მეთქი.

ლოჟაში რომ შევედით, მარგარიტა მთელი ხმით იცინოდა.

მე კი მსურდა, ნაღვლიანი ყოფილიყო.

ჩემმა მეგობარმა წარმადგინა. მარგარიტამ ძლივს შესამჩნევად დამიკრა თავი და გვკითხა: - ჩემი კანფეტები?

- აი, ინებეთ.

ჩამოართვა და შემომხედა. მე თვალები დავხარე და გავწითლდი.მარგარიტა გვერდით მჯდომისკენ გადაიხარა, ყურში უჩურჩულა რაღაც და ორივეს ისევ სიცილი წასკდა.

სავარაუდოდ, ამ მხიარულების მიზეზი მე ვიყავი. ორმაგად უფრო ავირიე. იმ დროს ერთ პატარა, ძალიან ნაზ და მგრძნობიარე ბურჟუას ვყვარობდი, რომლის სენტიმენტალურ და ნაღვლიან წერილებზე სიცილი მიტყდებოდა ხოლმე. მაშინღა მივხვდი, თურმე როგორ ვტკენდი გულს და ხუთ წუთში ისე შემიყვარდა იგი, როგორც არასდროს არავინ მყვარებია.

მარგარიტა ტკბილეულს ჭამდა და მე ყურადღებას არ მაქცევდა.

ჩემს მეგობარს არ უნდოდა, ამ სასაცილო მდგომარეობაში დავეტოვებინე.

- მარგარიტა, - წამოიწყო მან, - ნუ გაგიკვირდებათ, რომ ბატონი დიუვალი კრინტს არ ძრავს. თქვენ ისე მოაჯადოვეთ იგი, რომ სიტყვებს ვერ პოულობს.

- მე კიდევ მგონია, ბატონო, იგი იმიტომ წამოიყვანეთ, რომ მარტო სტუმრობა დაეგეზარათ.

- მასე რომ იყოს, - მეც შევესიტყვე ჩემი მხრიდან, - ერნესტს არ ვთხოვდი, წარდგენამდე ჯერ თქვენი თანხმობა მიეღო.

- იქნებ მაგით, უბრალოდ, ოდნავ გადაწიეთ საბედისწერო წუთი.

ვისაც პატარა გამოცდილება მაინც აქვს, ყველამ იცის, მარგარიტას მსგავს ქალიშვილებს სიამოვნებას ანიჭებთ იმ ადამიანების დაცინვა და გაღიზიანება, რომლებსაც პირველად ხედავენ. ეს ალბათ შეურაცხყოფისათვის სამაგიეროს გადახდის სურვილია, შეურაცხყოფისათვის, რომელსაც ხშირად აყენებენ ისინი, ვისაც ყოველდღე ხვდებიან.

პასუხი რომ მოახერხო, მათი წრის ხალხთან ურთიერთობის გამოცდილება უნდა გქონდეს. ეს გამოცდილება მე არ მქონდა, გარდა ამისა, მარგარიტაზე ჩემი ადრინდელი წარმოდგენის გამო, კიდევ უფრო მტკივნეულად განვიცდიდი მის დაცინვას. არ შემეძლო, გულგრილად მეცქირა ამ ქალისთვის, ამიტომ ფეხზე წამოვდექი და წამოვიწყე მთრთოლვარე ხმით, რასაც ვერაფერი მოვუხერხე: - თუ მართლაც ასეთი წარმოდგენა გაქვთ ჩემზე, ქალბატონო, ისღა დამრჩენია, პატიება გთხოვოთ ჩემი მოურიდებლობისთვის და გაგეცალოთ, გარწმუნებთ, ეს აღარ განმეორდება.

თავი დავუკარი და გამოვედი. კარი გამოვიხურე თუ არა, შიგნით სამჯერ უფრო ხმამაღალი სიცილი ატყდა. ვინატრე, ნეტა ვინმემ მუჯლუგუნი გამკრას-მეთქი.

ჩემს ადგილს დავუბრუნდი.

ზარი მესამედ დარეკეს.

ერნესტი გვერდით მომიჯდა.

- როგორ გამოიქეცით! - მითხრა მან, - ქალებს გიჟი ეგონეთ.

- რა თქვა მარაგრიტამ?

- იცინოდა და მარწმუნებდა, ამისთანა რეგვენი ცხოვრებაში არ მინახავსო, მაგრამ გულს ნუ გაიტეხთ, უბრალოდ ყურადღებას ნუ მიაქცევთ, როგორ მიგიღეს ამ ქალებმა. მათ არც თავდაჭერისა გაეგებათ რამე და არც თავაზიანობის. აი, ძაღლებს კარგი სუნამო რომ დაასხათ, სუნი არ მოეწონებათ და წავლენ, მტვერში იგორავებენ.

- ბოლოს და ბოლოს, რა საქმე მაქვს მასთან? - შევეცადე ეს სიტყვები რაც შემეძლო გულგრილად მეთქვა, - ამ ქალს აღარასდროს შევხვდები და თუკი გაცნობამდე მომწონდა კიდეც, გაცნობის შემდეგ ძალიან შემეცვალა აზრი.

- ოჰ, დარწმუნებული ვარ, ერთ მშვენიერ დღეს მის ლოჟაში გნახავთ და გავიგონებ, როგორ იტყვიან, მთელი ქონება ამ ქალს გადააყოლაო. რასაკვირველია, მართალი ხართ, იგი ცუდადაა აღზრდილი, მაგრამ მშვენიერი საყვარელია.

საბედნიეროდ, ფარდა აიხადა და ჩემი მეგობარიც გაჩუმდა. სიმართლე გითხრათ, არ მახსოვს, რა სპექტაკლი იყო, მხოლოდ ის მაგონდება, რომ დროგამოშვებით იმ ლოჟას ავხედავდი ხოლმე, საიდანაც ისე ნაუცბათევად გამომაქციეს და საიდანაც ახლა ყოველ წუთს სულ სხვადასხვა მამაკაცი გამოდიოდა.

თუმცა ჯერ კიდევ შორს ვიყავი იმისგან, რომ მარგარიტა-ზე აღარ მეფიქრა. ახალმა გრძნობამ შემიპყრო, ვფიქრობდი, უნდა დავივიწყო მის მიერ მოყენებული შეურაცხყოფაცა და ჩემი სასაცილო საქციელიც-მეთქი. თავს ვარწმუნებდი, მთელ ქონებას დავხარჯავ, მაგრამ ამ ქალს კი დავეუფლები და უკვე კანონიერად დავიკავებ იმ ადგილს, რომელიც ასე უცებ დავკარგე-მეთქი. წარმოდგენა კიდევ არ დამთავრებულიყო, როცა მარგარიტა და მისი მეგობარი ლოჟიდან გავიდნენ. ჩემდაუნებურად, მეც წამოვდექი.

- მიდიხართ? - მკითხა ერნესტმა.

- დიახ.

- რატომ?

უცებ შენიშნა, ლოჟაში აღარავინ იჯდა.

- წადით, წადით, - მითხრა მან, - წარმატებას გისურვებთ. უფრო სწორად, დიდ წარმატებას.

გარეთ გამოვედი.

კიბიდან კაბების შრიალი და მოლაპარაკეთა ხმები შემომესმა. გვერდზე გავიხედე და დავინახე, თავად ვერ შემამჩნიეს, ორი ქალი, რომელსაც თან ორი ვაჟი ახლდა. თეატრის გამოსასვლელში ქალებს პატარა მსახური შეეგება.

- მეეტლეს უთხარით, კაფე ,,Anglais“ - თან დაგველოდოს, - უბრძანა მარგარიტამ, - იქამდე ფეხით გავისეირნებთ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ბულვარში მივდიოდი და დიდი რესტორნის ფანჯარაში მარგარიტა დავინახე. რაფას დაყრდნობოდა და სათითაოდ აცლიდა ფოთლებს კამელიების თაიგულს.

ორი მამაკაცი დახრილიყო მისკენ და ხმადაბლა ელაპარაკებოდა რაღაცას.

მოპირდაპირე მხარეს, რესტორან ,,ოქროს სახლის“ პირველივე სართულზე მოვძებნე ადგილი და თვალს არ ვაშორებდი ჩემთვის მნიშვნელოვან ფანჯარას.

ღამის პირველ საათზე მარგარიტა სამივე მეგობართან ერთად ეკიპაჟში ჩაჯდა. მეც დავიჭირე ეტლი და უკან გავყევი.

ისინი დ’ანტენის ქუჩაზე მე-9 ნომერთან შეჩერდნენ.

მარგარიტა გადმოვიდა და მარტო შევიდა შინ.

ეს ალბათ შემთხვევითობა იყო, მაგრამ ამ შემთხვევითო-ბამ ძალიან კი გამახარა. იმ დღის შემდეგ მარგარიტას ხშირად ვხვდებოდი თეატრშიცა და ელისეს მინდვრებზეც. იგი სულ იცინოდა, მე სულ ვღელავდი.

მომდევნო ორ კვირას აღარსად მინახავს. გასტონი მოვძებნე და მისი ამბები გამოვკითხე.

- საბრალო გოგო, ძალიან ავადაა, - მიპასუხა მან.

- რა სჭირს?

- რა სჭირს და სუსტი ფილტვები აქვს, მისნაირი ცხოვ-რების წესის პატრონი კი, აბა, როგორ გამოჯანმრთელდება, ლოგინში წევს და დიდი დღე აღარ უწერია.

უცანური რამაა კაცის გული. თითქოს გამიხარდა კიდეც, ავად რომ იყო. ყოველდღე მივდიოდი მისი ჯანმრთელობის ამბის გასაგებად. ოღონდ არც ხელს ვაწერდი და არც სავიზიტო ბარათი შემიგზავნია არასოდეს. ბოლოს გავიგე, მომჯობინდა და ბანიერში გაემგზავრაო.

დრო გავიდა. მოგონებები რომ არა, შთაბეჭდილება ნელ-ნელა იქნებ გაფერმკრთალებულიყო კიდეც. ვიმოგზაურე, ახალმა ურთიერთობებმა, წეს-ჩვეულებებმა, საქმეებმა, გადამავიწყეს ყველაფერი და როცა ჩემს ამ პირველ თავგადასავალზე ვფიქრობდი, მასში ვერაფერს ვხედავდი, გარდა ყმაწვილი კაცის თავშეუკავებელი ვნებისა, რომელზეც, დრო რომ გავა, გულიანად იცინიან ხოლმე.

ბოლოს და ბოლოს, არც ამ მოგონების დამარცხება გამოდგა რთული საქმე. მარგარიტაზე, მისი გამგზავრების შემდეგ, აღარაფერი გამიგია და როგორც გითხარით, როცა მან ვარიეტეს დერეფანში ჩამიარა, ვეღარც კი ვიცანი.

სახეზე, მართალია, რიდე ეფარა, მაგრამ ორი წლის წინ მის საცნობად თვალის შევლება სრულიადაც არ დამჭირდებოდა, პირდაპირ ვგრძნობდი მას.

გული მაინც ამიჩქარდა, როცა გავიგე, რომ იგი იქ იყო. კაბის ერთი აშრიალება და მის უნახავად გატარებული ორი წელი შარშანდელი თოვლივით გაქრა.

VIII

- თუმცა, - განაგრძო არმანმა პაუზის შემდეგ, - როგორც კი მივხვდი, ისევ შეყვარებული ვარ-მეთქი, თითქოს ძალა მომემატა. ჩემგან მარგარიტას ნახვის სურვილი, დიდწილად, იმითაც იყო ნაკარნახევი, რომ მინდოდა, მისთვის მეჩვენებინა, შენზე ძლიერი ვარ-მეთქი.

რა გზებს აღარ ეძებს და რა მიზეზებით აღარ ხელმძღვა-ნელობს გული, რომ როგორმე წადილი აისრულოს!

დერეფანში დიდხანს ვეღარ გავჩერდი და ჩემს ადგილს დავუბრუნდი პარტერში. ნაჩქარევად მოვავლე თვალი დარბაზს, რომ დამენახა, რომელ ლოჟაში იჯდა.

ბენუარში იჯდა, მარტოდმარტო. შეცვლილიყო, როგორც უკვე გითხარით, ტუჩებზე გულგრილი ღიმილი აღარ დასთამაშებდა, ეტყობოდა, ბევრი ეტანჯა და კვლავაც იტანჯებოდა.

აპრილი კი იდგა, მაგრამ იგი მაინც საზამთროდ გამოწყობილიყო, სულ ერთიანად ხავერდი ემოსა.

ისე დაჟინებით მივჩერებოდი, რომ ბოლოს მანაც შემამჩნია.

რამდენიმე წამს მიყურა, მერე ლორნეტი აიღო, უკეთ შევათვალიერებო. ალბათ მიცნო კიდეც, ოღონდ დანამდვილებით ვერ გაიხსენა, ვინ ვიყავი, რადგან როცა ლორნეტი გადადო, ტუჩებზე ქალურად მომხიბვლელი ღიმილი აუთამაშდა, იმ სალმის პასუხად, რომელსაც თითქოს ელოდა ჩემგან, მაგრამ მე არ გავეპასუხე, მინდოდა, უპირატესობა ჩემს მხარეს ყოფილიყო და მეჩვენებინა, მანამდე დაგივიწყეთ, სანამ თქვენ გამიხსენებდით-მეთქი.

იფიქრა, შევცდიო და თავი მიაბრუნა.

ფარდა აიხადა.

სპექტაკლებზე ხშირად მენახა მარგარიტა და არასდროს შე-მიმჩნევია, განსაკუთრებული ყურადღება მიექცია იმისთვის, რას თამაშობდნენ.

სიმართლე გითხრათ, სპექტაკლი მეც ნაკლებად მაინტერესებდა და მთელი დრო მარგარიტასთვის თვალი არ მომშორებია. ოღონდ ძალ-ღონეს არ ვიშურებდი, რომ მას არ შევემჩნიე.

დავინახე, როგორ გადახედა მოპირდაპირე ლოჟას. მეც ავხედე და ერთი ჩემი ახლო ნაცნობი შემრჩა ხელში.

ეს ქალი ძველი ხარჭა იყო, რომელმაც თეატრშიც სცადა ბედი, მაგრამ უშედეგოდ. აქაოდა, პარიზში კარგი ჩაცმა-დახურვის მოყვარულს ყველას ვიცნობო, ვაჭრობისთვის მოეკიდა ხელი და მოდების სახელოსნო გაეხსნა.

ვიფიქრე, მარგარიტას გასაცნობად ამ ქალს გამოვიყენებ-მეთქი. ვისარგებლე წამით, როცა ჩემკენ გამოიხედა და მეც ხელის მოძრაობითა და თვალებით მივესალმე.

ის მოხდა, რასაც ველოდი. ლოჟაში მიმიწვია.

პრიუდანს დიუვერნუა, ასე ერქვა ჩვენს მკერავს. იმ ორმოც წელს მიღწეული ქალების რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებსაც დიდი დიპლომატიის გარეშეც ათქმევინებთ ყველაფერს, რაც მოგინდებათ. მით უმეტეს, თუ ისეთი მარტივი რამის გაგება გინდათ, როგორიც მე მინდოდა.

დრო შევურჩიე და როგორც კი ხელახლა მრავლისმთქმელად გადახედა მარგარიტას, ვკითხე: - ასე ვის უყურებთ?

- მარგარიტა გოტიეს.

- იცნობთ?

- დიახ, ქუდებს ვუკერავ, თან ჩემი მეზობელია.

- დ'ანტენის ქუჩაზე ცხოვრობთ?

- შვიდ ნომერში. მისი ტუალეტის ფანჯარა პირდაპირ ჩემსას უყურებს.

- ამბობენ, ლამაზი ქალიაო.

- არ იცნობთ?

- არა, მაგრამ სიამოვნებით გავიცნობდი.

- გინდათ, დავუძახებ, ჩვენს ლოჟაში ამოვიდეს?

- არა, მირჩევნია, წარმადგინოთ მასთან.

- მასთან?

- დიახ.

- ეს ცოტა რთულია.

- რატომ?

- იმიტომ, რომ ერთი ძალიან ეჭვიანი მოხუცი ჰერცოგი მფარველობს.

- მფარველობს?! მშვენიერია.

- დიახ, მფარველობს, - გაიმეორა პრიუდანსმა, - ალბათ მისი საყვარლობა ვერ მოახერხა.

შემდეგ პრიუდანსმა მიამბო, როგორ გაიცნო მარგარიტამ ჰერცოგი ბანიერში.

- ამიტომაც ზის ახლა მარტო? - განვაგრძე მე.

- რასაკვირველია.

- კი მაგრამ ვინ გააცილებს?

- იგი.

- მოვა?

- ამ წუთას.

- და თქვენ ვინ გაცილებთ?

- არავინ.

- მიმსახურეთ.

- მაგრამ თქვენ, მგონი, მეგობართან ერთად ხართ.

- ჰოდა, ორივე გვიმსახურეთ.

- ვინ არის თქვენი მეგობარი?

- მომხიბლავი, ძლიერი ნების ჭაბუკია, აღფრთოვანებული დარჩება თქვენი გაცნობით.

- შესანიშნავია, ამ მოქმედების დასრულების შემდეგ, რომე-ლიც მგონი უკანასკნელი უნდა იყოს, ოთხივენი ერთად წავიდეთ.

- სიამოვნებით, მხოლოდ ჩემს მეგობარს გავაფრთხილებ.

- წადით . . . აჰ! - ზღურბლზე შემაჩერა პრიუდანსმა, - აი, ისაა ჰერცოგი, მარგარიტას ლოჟაში რომ შედის.

გავხედე.

მართლაც, სამოცდაათიოდე წლის მამაკაცი უკან მისჯდომოდა ყმაწვილ ქალს და კანფეტებით სავსე ქისას აწვდიდა. ისიც ღიმილით იღებდა ტკბილეულს, შემდეგ მოაჯირზე შემოდო ქისა და პრიუდანსს რაღაც ანიშნა, თითქოს ეკითხებოდა: - გინდათ?

- არა, - უპასუხა პრიუდანსმა.

მარგარიტამ ისევ აიღო ქისა, მიბრუნდა და ჰერცოგს გაუბა ლაპარაკი.

ამ წვრილმანების მოგონება იქნებ ბავშვურ საქციელადაც ჩამითვალოთ, მაგრამ ყველაფერი, რაც ამ ქალს ეხება, კვლავაც ისე ცოცხლობს ჩემს მეხსიერებაში, რომ თავს ვერ ვიკავებ, არ მოგიყვეთ.

გასტონთან ჩავედი, რომ მეცნობებინა, რა საქმე გავჩარხე მისთვისაც და საკუთარი თავისთვისაც.

გასტონი დამთანხმდა.

ჩვენი ადგილები დავტოვეთ და ქალბატონ დიუვერნუას ლოჟაში ავედით.

ის იყო, პარტერიდან გასასვლელი კარი გავაღეთ, რომ იძულებული გავხდით, შევჩერებულიყავით და მარგარიტა და ჰერცოგი გაგვეტარებინა.

ოღონდ ამ პატივცემული მოხუცის ადგილზე ვყოფილიყავი და მზად ვიყავი, ჩემი ცხოვრების ათი წელი დამეთმო.

ბულვარზე რომ გავიდნენ, ჰერცოგმა ქალი ფაეტონში ჩასვა, თავად კოფოზე მოთავსდა და ორმა მშვენიერმა ცხენმა სასწრაფოდ მოაფარეს ისინი თვალს.

ჩვენ პრიუდანსის ლოჟაში შევედით.

პიესის დასრულების შემდეგ უბრალო ეკიპაჟი დავიქირავეთ და დ'ანტენის ქუჩის 7 ნომერში მივედით. სახლთან პრიუდანსმა შემოგვთავაზა, ჩემთან ამოდით, სახელოსნოს დაგათვალიერებინებ-თო, რომელიც ჯერ არ გვენახა და რომლითაც, როგორც ჩანს, ძალიან ამაყობდა. თავად განსაჯეთ, რა სიხარულით დავთანხმდი.

ასე მეჩვენებოდა, ნელ-ნელა მარგარიტას ვუახლოვდები-მეთქი. მალე ისევ მასზე ჩამოვაგდე საუბარი.

- მოხუცი ჰერცოგი თქვენს მეზობელთანაა ახლა? - ვკითხე პრიუდანსს.

- არა, წესით, მარტო უნდა იყოს.

- კი მაგრამ, ალბათ, საშინლად მოწყენილია, - მხარი ამიბა გასტონმა.

- ჩვენ თითქმის ყოველ საღამოს ერთად ვატარებთ. როცა ბრუნდება, ყოველთვის მეძახის ხოლმე, ღამის ორ საათამდე არასოდეს წვება. უფრო ადრე, უბრალოდ, ვერ იძინებს.

- რატომ?

- იმიტომ, რომ თავისი სუსტი ფილტვების გამო თითქმის სულ მაღალი სიცხე აქვს.

- საყვარლები არ ჰყავს? - ვკითხე მე.

- ჩემი წამოსვლის შემდეგ მასთან დარჩენილი არავინ მინახავს, მაგრამ თავს ვერ დავდებ, არავინ მოდის, როცა შინ არა ვარ-მეთქი. საღამოობით მასთან ხშირად ვნახულობ გრაფ დე ნ . . . , რომელსაც ჰგონია, ჩემი საქმეები უკეთ წავა, თუ თერთმეტ საათზე მოვალ და მარგარიტას სამკაულებით ავავსებო, მაგრამ ის დასანახად ვერ იტანს და ძალიანაც ცდება. ეგ ყმაწვილი მეტისმეტად მდიდარია. ხანდახან ვეუბნები: ჩემო პატარავ, სწორედ ასეთი მამაკაცები გჭირდებათ-მეთქი! იგი, როგორც წესი, მიჯერებს ხოლმე, მაგრამ ამ დროს მომიტრიალდება და მეუბნება, დიდი რეგვენიაო. ვეთანხმები, რეგვენია, მაგრამ გარკვეულ მდგომარეობას კი მისცემდა საზოგადოებაში, მით უმეტეს, რომ მოხუცი ჰერცოგი დღე-დღეზე შეიძლება მოკვდეს. მოხუცები ეგოისტები არიან, თან ოჯახი გამუდმებით საყვედურობს მარგარიტასთან მისი დამოკიდე-ბულობის გამო: აი, ორი მიზეზი, რომელთა გათვალისწინებითაც იგი მარგარიტას არაფერსაც არ დაუტოვებს. აი, ასე რომ ვარიგებ ჭკუას, მპასუხობს, ყოველთვის მოვასწრებ მკვდარი ჰერცოგის ნაც-ვლად საყვარლად გრაფი დავისვაო. მისი ცხოვრება, - განაგრძო პრიუდანსმა, - ყოველთვის მხიარული როდია. რაც შემეხება მე, მშვენივრად ვიცი, რომ მასეთი ცხოვრება ჩემი საქმე არ არის და რომ

ძალიან მალე ამომივიდოდა ყელში ამ ბატონთან ერთად სეირნობა. ძალიან უფერული მოხუცია, ჩემი ქალიშვილი ხარო, ეუბნება და სულ კუდში დასდევს. დარწმუნებული ვარ, ახლაც რომელიმე მისი მსახური დაბორიალობს ქუჩაში და უთვალთვალებს, ვინ გამოდის და, განსაკუთრებით, ვინ შედის მასთან.

- ეჰ, საბრალო მარგარიტა, - თქვა გასტონმა, პიანინოს მიუჯდა და ვალსი დაუკრა, - ეს ნამდვილად არ ვიცოდი, სხვათა შორის, ვატყობ, რომ ამ ბოლო დროს გაცილებით იშვიათად აქვს ხოლმე მხიარული სახე.

- ჩჩუ! - გაგვაჩუმა პრიუდანსმა და რაღაცას მიაყურადა.

გასტონმა დაკვრა შეწყვიტა.

- მგონი მეძახის.

ჩვენც მივუგდეთ ყური.

პრიუდანსს მართლაც ეძახდნენ.

- აბა, ბატონებო, წაბრძანდით, - გვითხრა ქალბატონმა დიუვერნუამ.

- აჰ! აი, თურმე როგორი სტუმართმოყვარე ყოფილხართ, - სიცილით უთხრა გასტონმა, - როცა მოგვინდება, მაშინ წავალთ.

- რატომ უნდა წავიდეთ?

- მე მარგარიტასთან მივდივარ.

- აქ დაგიცდით.

- შეუძლებელია.

- მაშინ თქვენთან ერთად მოვდივართ.

- ესეც შეუძლებელია.

- მე ვიცნობ მარგარიტას, - უთხრა გასტონმა, - და თავისუფლად შემიძლია, ვესტუმრო მას.

- მაგრამ არმანი ხომ არ იცნობს.

- წარვუდგენ.

- შეუძლებელია.

ისევ გავიგონეთ მარგარიტას ხმა, პრიუდანსს ეძახდა.

პრიუდანსი საპირფარეშოსკენ გაიქცა. მე და გასტონი უკან მივყევით. ქალმა ფანჯარა გამოაღო.

ჩვენ დავიმალეთ, რომ გარედან თვალი არავის მოეკრა.

- ათი წუთია, გეძახით,- ლამის განრისხებული ხმით მიმართა მარგარიტამ თავისი ფანჯრიდან.

- რა გნებავთ?

- მინდა, ახლავე გადმოხვიდეთ.

- რა ხდება?

- გრაფი დე ნ . . . ისევ ჩემთან ზის და ლამის თავი მომაკვლევინოს.

- ახლა არ შემიძლია.

- რა გიშლით ხელს?

- ორი ახალგაზრდა მამაკაცია ჩემთან, რომელიც შინ წასვლაზე უარს ამბობს.

- უთხარით, აუცილებლად უნდა წავიდე-თქო.

- უკვე ვუთხარი.

- მაშინ დატოვეთ თქვენსას, შინ რომ ვეღარ დაგიგულებენ, თვითონაც წავლენ.

- მანამდე, თავდაყირა დააყენებენ ყველაფერს.

- კი მაგრამ, რა უნდათ?

- თქვენი ნახვა.

- რა ჰქვიათ?

- ერთს თქვენც იცნობთ, ბატონი გასტონ, რ . . . .

- აჰ, დიახ, ვიცნობ და მეორე?

- ბატონი არმან დიუვალი, იცნობთ?

- არა, მაგრამ წამოიყვანეთ, გრაფს მაინც აჯობებს. გელოდე-ბით, იჩქარეთ.

მარგარიტამ და პრიუდანსმა ფანჯრები დახურეს.

მარგარიტამ, რომელსაც ცოტა ხნის წინ ჩემი სახე ეცნო, ჩემი სახელი ვერ გაიხსენა. მერჩივნა, ჩემი მარცხი დამახსოვრებოდა, ვიდრე სულ დავევიწყებინე.

- ვიცოდი, - თქვა გასტონმა, - გაუხარდებოდა ჩვენი ნახვა.

- სიხარული რა შუაშია, - გვიპასუხა პრიუდანსმა, თან შალი მოიხურა მხრებზე და ქუდიც დაიფარა, - იმიტომ გიღებთ, რომ გრაფს წასვლა აიძულოს. შეეცადეთ, თავაზიანად მოიქცეთ, თორემ მარგარიტას კარგად ვიცნობ, ნამდვილად წამეჩხუბება.

პრიუდანსს დაბლა ჩავყევით.

ვკანკალებდი, მეჩვენებოდა, ეს სტუმრობა მთელ ჩემს ცხოვრებაზე დიდ გავლენას მოახდენს-მეთქი.

იმაზე მეტად ვღელავდი, ვიდრე მაშინ, ლოჟაში ჩემი პირველი წარდგენისას.

როცა თქვენთვის ნაცნობი ბინის კარს მივადექი, გული ისე მიცემდა, რომ ფიქრებს ვერაფრით მოვუყარე თავი.

პიანინოს ხმა გავიგონე.

პრიუდანსმა ზარი დარეკა.

დაკვრა შეწყვიტეს.

ქალი, რომელმაც კარი გაგვიღო, მოახლეზე მეტად მეგობარს ჰგავდა.

სასტუმრო ოთახი გავიარეთ და ბუდუარში შევედით. იგი მა-შინაც ისე გამოიყურებოდა, როგორც მოგვიანებით, როცა თქვენი თვალით ნახეთ.

ბუხართან ვიღაც ახალგაზრდა მამაკაცი იდგა.

მარგარიტა პიანინოს მისჯდომოდა და კლავიშებზე ათამაშებდა თითებს. დაიწყებდა რომელიმე ნაწყვეტს და აღარ ამთავრებდა.

მთელი ეს სცენა მოწყენილობის შთაბეჭდილებას იწვევდა. ახალგაზრდა კაცს თავისი არარაობა აწამებდა, ქალს - პირქუში სტუმარი.

როგორც კი პრიუდანსის ხმა გაიგონა, მარგარიტა წამოდგა და ჩვენკენ გამოემართა, თან მადლიერი მზერა შეაგება მადამ დიუვერნუას: - კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მობრძანდით, ბატონებო, მობრძანდით.

IX

- საღამო მშვიდობის, ძვირფასო გასტონ, - მიმართა მარგარიტამ ჩემს მეგობარს, - მიხარია თქვენი ნახვა. ვარიეტეში რატომ არ ამოხვედით ჩემს ლოჟაში?

- ვშიშობდი, ხელი არ შევუშალო-მეთქი.

- მეგობრები, - და მარგარიტამ ხაზგასმით წარმოთქვა ეს სიტყვა, თითქოს სურდა, ყველა იქ მყოფი მიეხვედრებინა, ფამილარული მიღების მიუხედავად, გასტონი ყოველთვის მეგობარი იყო ჩემთვის და მეგობრადვე დარჩებაო, - მეგობრები, ხელს არასოდეს მიშლიან.

- ესე იგი, ნებას მომცემთ წარმოგიდგინოთ არმან დიუვალი?

- პრიუდანსს უკვე დავთანხმდი.

- მით უფრო, ქალბატონო, - წარმოვთქვი ოდნავ მკაფიო ხმით და თავი დავუკარი, - რომ ერთხელ უკვე მერგო თქვენი გაცნობის პატივი.

მარგარიტამ დაკვირვებით მომანათა თავისი მშვენიერი თვალები, იქნებ გავიხსენოო, მაგრამ ამაოდ, ან შეიძლება თავი დაიჭირა ისე, თითქოს ვერ გიხსენებთო.

- ქალბატონო, - განვაგრძე მე, - დიდ მადლობას გიხდით, რომ დაივიწყეთ ჩვენი პირველი შეხვედრა, რადგან მაშინ ძალიან სასაცილო გახლდით და მგონი თავიც საკმაოდ მოგაბეზრეთ. ეს ორი წლის წინ იყო ოპერეტაში, მე ერნესტ დე . . . - ს ვახლდი.

- აჰ! მაგონდება! - მითხრა მარგარიტამ და გამიღიმა, - არა, თქვენ როდი იყავით სასაცილო, მე მიყვარდა დაცინვა. უნდა გითხრათ, ცოტათი ახლაც მიყვარს, მაგრამ წინანდელზე უფრო ნაკლებად. თქვენ უკვე მაპატიეთ, ბატონო? -

და მან ხელი გამომიწოდა. მე ვეამბორე.

- მართლა, - განაგრძო მან, - წარმოგიდგენიათ, საშინელი ჩვევა მაქვს, პირველივე ნახვისას თავგზას ვუბნევ ხოლმე ადამიანებს. ძალიან სულელური საქციელია. ჩემი ექიმი მეუბნება, ეს იმიტომ მოგდით, რომ ნერვიული ხართ და სულ ავადმყოფობთო: გირჩევთ, დაუჯეროთ ჩემს ექიმს.

- კი, მაგრამ საკმაოდ ჯანმრთელად გამოიყურებით.

- ო, ავად ვიყავი.

- ვიცი.

- ვინ გითხრათ?

- თქვენი ავადმყოფობის ამბავი მთელმა ქვეყანამ იცოდა. მე ხშირად მოვდიოდი თქვენი ამბის გასაგებად და ძალიან გამიხარდა, როცა მითხრეს, გამოჯანმრთელდაო.

- ჩემთვის არასდროს გადმოუციათ თქვენი სავიზიტო ბარა-თი.

- არც არასდროს დამიტოვებია.

- ესე იგი, თქვენ ხართ ის ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც ავადმყოფობისას ყოველდღე მოდიოდა ჩემი ამბის გასაგებად და არც ერთხელ არ ისურვა საკუთარი სახელის გამჟღავნება?

- მე ვარ.

- მაშასადამე, თქვენ არა მხოლოდ გულმოწყალე, დიდსულოვანიც ყოფილხართ. თქვენ, გრაფო, ალბათ არ იზამდით ამას, - განაგრძო მარგარიტამ და ბატონ დე . . . - ს მიუბრუნდა, მე კი ერთი იმ მზერათაგანი მესროლა, რომლითაც ქალები მამაკაცებზე თავიანთ შეხედულებას ავსებენ ხოლმე.

- მე მხოლოდ ორი თვეა, გიცნობთ, - თავის მართლება სცადა გრაფმა.

- ეს ბატონი კი მხოლოდ ხუთ წუთს მიცნობდა. თქვენ ყოველთვის სულელურად მპასუხობთ.

ქალები შეუბრალებლად ექცევიან მათ, ვინც არ უყვართ.

გრაფი გაწითლდა და ტუჩებს დაუწყო კვნეტა.

შემებრალა, ეტყობოდა, ჩემსავით იყო შეყვარებული და, მარ-გარიტას შეუბრალებელი გულახდილობის გამო, განსაკუთრებით, ორი უცხო მამაკაცის თანდასწრებით, ძალიან უბედურად გრძნობ-და თავს.

- როცა შემოვედით, თქვენ მუსიკას უკრავდით, - ვთქვი მე, რომ სხვა საგანზე გადამეტანა საუბარი, - გთხოვთ, მომანიჭეთ სიამოვნება, ძველ ნაცნობად ჩამთვალეთ და განაგრძეთ.

- ოჰ! - თქვა მარგარიტამ, დივანზე დაეშვა და ჩვენც გვანიშნა, დასხედითო, - გასტონი კარგად იცნობს ჩემს მუსიკას. იგი მხო-ლოდ მაშინ თუ გამოდგება, როცა მარტო ვარ გრაფთან, თორემ თქვენ ასეთი ტანჯვისთვის არ მემეტებით.

- თქვენ უპირატესობას მანიჭებთ ამით? - ჰკითხა გრაფმა, თან შეეცადა, ღიმილი ცოტა ეშმაკური და დამცინავი გამოსვლოდა.

- სულ ტყუილად მისაყვედურებთ ამ ერთადერთ უპირატესობას.

როგორც ჩანს, საბრალო ჭაბუკმა ხმა ვეღარ ამოიღო და ქალს მავედრებელი თვალებით შეხედა.

- მითხარით, პრიუდანს, - განაგრძო მარგარიტამ, - გააკეთეთ, რაც გთხოვეთ?

- დიახ.

- ძალიან კარგი, მოგვიანებით მიამბეთ. თქვენთან საქმე მაქვს. არ წახვიდეთ, სანამ არ დაგელაპარაკებით.

- ჩვენ ალბათ ხელს გიშლით, - ვუთხარი მე, - და ახლა, როცა ხელახლა წარმადგინეს და ჩვენი პირველი ნაცნობობა დავიწყებას მიეცა, აჯობებს, მე და გასტონი წავიდეთ.

- არავითარ შემთხვევაში, ეს თქვენს გასაგონად არ მითქვამს, პირიქით, მინდა, რომ დარჩეთ.

გრაფმა ძვირფასი საათი ამოიღო და დახედა.

- ჩემი კლუბში წასვლის დროა, - თქვა მან.

მარგარიტამ არაფერი უპასუხა.

გრაფი მოშორდა ბუხარს და მიუახლოვდა.

- ნახვამდის, ქალბატონო.

მარგარიტა წამოდგა.

- ნახვამდის, ძვირფასო გრაფო, უკვე მიდიხართ?

- დიახ, ვშიშობ, თავი მოგაბეზრეთ.

- ჩვეულებრივზე მეტად არა. როდის გნახავთ?

- როცა მოისურვებთ.

- თუ ასეა, მშვიდობით!

სასტიკი საქციელი იყო, დამეთანხმეთ.

საბედნიეროდ, გრაფი კარგად იყო აღზრდილი და ხასიათიც შესანიშნავი ჰქონდა. მორჩილად ეამბორა მარგარიტას გულგრილად გამოწვდილ ხელს, ჩვენ თავი დაგვიკრა და გავიდა.

კარიდან მოხედა პრუდანსს, მან კი ისეთი სახით აიჩეჩა მხრები, თითქოს ამბობდა, მე რა შუაში ვარ, მე, რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთეო.

- ნანინ! - დაიძახა მარგარიტამ, - ბატონ გრაფს გზა გაუნათე.გავიგონეთ, როგორ გაიღო და დაიხურა კარი.

- როგორც იქნა! - წამოიძახა მარგარიტამ და ბუდუარში შევიდა, - ეს ყმაწვილი საშინლად მიშლის ნერვებს.

- ძვირფასო ბავშვო, - უთხრა პრიუდანსმა, - ძალიან მკაცრად ექცევით მას. იგი ხომ ასეთი კეთილი, ასეთი ყურადღებიანია თქვენ მიმართ. შეხედეთ, ბუხრის თავზე მისი ნაჩუქარი საათი გიდევთ. დარწმუნებული ვარ, სულ ცოტა, ათასი ეკიუ მაინც ეღირება.

და ქალბატონი დიუვერნუა მივიდა ბუხართან და თითებით წაე-თამაშა, თან ხარბად შეათვალიერა ძვირფასი ნივთი, რომელზეც ლაპარაკობდა.

- ჩემო ძვირფასო, - უთხრა მარგარიტამ და პიანინოს მიუჯდა, - როცა სასწორის ერთ პინაზე მის საჩუქრებს ვდებ, ხოლო მეორეზე იმას, რასაც იგი მეუბნება, მეჩვენება, რომ გრაფს ძალიან იაფად უჯდება ჩემთან სტუმრობები.

- საბრალო ჭაბუკს უყვარხართ.

- ყველას რომ ყური ვათხოვო, ვისაც ვუყვარვარ, სადილობის დროც აღარ დამრჩებოდა.

და კლავიშებზე აათამაშა თითები, მერე ჩვენ მოგვიბრუნდა: - არ წავიხემსოთ? ახლა სიამოვნებით დავლევდი პუნშს.

- მე კი სიამოვნებით შევჭამდი ერთ ნაჭერ ქათმის ხორცს, - თქვა პრიუდანსმა, - ხომ არ გვევახშმა?

- მშვენიერია, წავიდეთ, ვივახშმოთ, - დაეთანხმა გასტონი.

- არა, აქ ვივახშმებთ.

მარგარიტამ ზარი დარეკა. შემოვიდა ნანინი.

- ვინმე გაგზავნე ვახშმის მოსატანად.

- რას ინებებთ?

- სულ ერთია, ოღონდ მალე იყოს, რაც შეიძლება, მალე.

ნანინი გავიდა.

- ესეც ასე, - წამოიძახა ბავშვივით გახარებულმა მარგარიტამ, - ვივახშმებთ. მაინც, რა აუტანელია ეს რეგვენი გრაფი!

რაც უფრო მეტს ვუყურებდი ამ ქალს, მით უფრო მიპყრობდა აღტაცების გრძნობა. თავბრუდამხვევად ლამაზი იყო. სიგამხდრეც კი უხდებოდა.

თვალს ვერ ვაშორებდი.

გამიჭირდება, აგიხსნათ, რა ხდებოდა ჩემს თავს. მისი ცხოვრე-ბის წესს ლმობიერად ვუყურებდი, მის სილამაზეს - აღფრთოვა-ნებით. გულგრილობა, რომლითაც იგი ამ ახალგაზრდა, მოხდენილ და მდიდარ კაცს ექცეოდა, რომელიც მზად იყო, მისი გულისთვის მთელი ქონება გაენიავებინა, ყველა ძველ ცოდვას აბათილებდა ჩემს თვალში.

რაღაცნაირი სიწმინდე ჰქონდა ამ ქალს.

ეტყობა, კვლავაც შერჩენოდა სულიერი უმანკოება. მისი მტკი-ცე ნაბიჯი, ნაზი სხეული, ვარდისფერი, ღია ნესტოები, მისი დიდი, ოდნავ ჩაღამებული თვალები იმ ცეცხლოვან ბუნებაზე მი-უთითებდნენ, რომელიც თავის გარშემო გაუთავებლად აფრქვევს სიტკბოებას. აღმოსავლური სუნამოს ქილას ჰგავდა, რომელსაც რაც უნდა მჭიდროდ დაახუროთ თავი, სუნს მაინც იგრძნობთ.

და ბოლოს, არ ვიცი, ბუნების ბრალი იყო, არ ვიცი ავადმყო-ფობის, მაგრამ ამ ქალის თვალებში დროდადრო სურვილის საოცარი ალი ავარდებოდა და ზეციურ წყალობას ჰპირდებოდა იმ ერთადერთს, ვისაც შეიყვარებდა. მაგრამ ჯერჯერობით ვინ მოსთვლიდა, რამდენს უყვარდა მარგარიტა, ან პირიქით, მარგარიტას რამდენი უყვარდა.

მოკლედ, ამ ქალში უმანკო ქალწულსაც დაინახავდით, რომელიც უმნიშვნელო შემთხვევას კურტიზანად ექცია და კურტიზანსაც, რომლისთვისაც იქნებ უმნიშვნელო შემთხვევასაც ეკმარა, რომ მო-სიყვარულე და უმანკო ქალწულად ქცეულიყო.

გარდა ამისა, მარგარიტა ამაყი და დამოუკიდებელი იყო: ხოლო, ამ ორ გრძნობას, თუ მათ მტკივნეულად შეეხებით, შეუძლია იგივე ჩაადენინოს ადამიანს, რაც უმანკოებას. ხმა არ ამომიღია, თითქოს მთელი სული გულში ჩამბუდებოდა, გული კი თვალებში.

- ესე იგი, - წამოიწყო უცებ, - თქვენ მოდიოდით ჩემი ამბების გასაგებად, როცა ავად ვიყავი?

- დიახ.

- იცით, ეს ძალიან მომწონს! და რით გადაგიხადოთ მადლობა?

- ნება მომეცით, ხანდახან გინახულოთ.

- მოდით, რამდენჯერაც გინდათ, ხუთიდან ექვსამდე, ან თერთმეტიდან თორმეტამდე. მომისმინეთ, გასტონ, Invitation A la Valse დაუკარით.

- რატომ?

- რომ მასიამოვნოთ. თან მე თვითონ ვერაფრით ვუკრავ.

- რომელი ადგილი გიჭირთ?

- მესამე ნაწილი, დიეზებიანი პასაჟი.

გასტონი წამოდგა, მიუჯდა პიანინოს და, პიუპიტრზე დაწყობილი ნოტების მიხედვით, დაიწყო ვებერის ამ ჯადოსნური მელოდიის დაკვრა. მარგარიტა ხელით დაყრდნობოდა ინსტრუმენტს, თვალს ადევნებდა თითოეულ ნოტს და ჩუმად ხმასაც აყოლებდა. ხოლო როცა გასტონი მითითებულ პასაჟს მიადგა, მან ღიღინით აათამაშა თითები პიანინოს სახურავზე.

- რე, მი, რე, დო, რე, ფა, მი, რე. აი, ვერაფრით ვუკრავ ამას. თავიდან დაიწყეთ.

გასტონმა დაიწყო. შემდეგ მარგარიტამ უთხრა: - ახლა მაცალეთ, მე ვცდი.

დაჯდა და დაუკრა, მაგრამ თითებს ვერ იმორჩილებდა და სულ ერთსა და იმავე ადგილას ეშლებოდა.

- დაუჯერებელია, - წამოიძახა ბავშვური ინტონაციით, - ვერაფრით ვუკრავ ამ პასაჟს. წარმოიდგინეთ, ზოგჯერ ღამის ორ საათამდე ვუზივარ! და როცა მახსენდება, რომ ეს რეგვენი გრაფი უნოტოდ ბრწყინვალედ უკრავს მას, ვცოფდები პირდაპირ და მგონი მაგიტომაც ვექცევი ცუდად.

ისევ თავიდან დაიწყო დაკვრა, მაგრამ უშედეგოდ.

- ეშმაკმა წაიღოს ვებერიც, მუსიკაც და ეს პიანინოც, - შესძახა და ნოტები ოთახის მეორე ბოლოში მოისროლა, - წარმოგიდგენიათ, რვა დიეზი ერთად როგორ უნდა ავიღო?

გულხელი დაიკრიფა, გადმოგვხედა და ფეხი დააბაკუნა.

ღაწვებზე სისხლი მოაწვა და ოდნავ წამოახველა.

- მოიცათ, მოიცათ, - წამოიწყო პრიუდანსმა, რომელსაც უკვე მოეხადა ქუდი და სარკის წინ ვარცხნილობას ისწორებდა, - ნერვებს თუ მოიშლით, ისევ ავად გახდებით. მოდით, აჯობებს, ვივახშმოთ. მგელივით მშია.

მარგარიტამ კვლავ დარეკა, მერე პიანინოს მიუჯდა და ხმადაბლა რომელიღაც შანსონეტი წამოიწყო, რომელიც აღარ შეშლია.

გასტონმაც იცოდა ეს სიმღერა და კარგი დუეტი გამოუვიდათ.

- რა გამღერებთ ამ საშინელებას, - შინაურულად და თან მავედრებელი ხმით ვუთხარი მარგარიტას.

- ოჰ, რა უმანკო ყოფილხარ! - მითხრა ღიმილით და ხელი გამომიწოდა.

- ჩემთვის კი არა, თქვენთვის გთხოვთ.

მარგარიტამ თითქოს ხელით მანიშნა, ეჰ, დიდი ხანია, უმანკო-ება დავკარგეო.

ამ დროს ნანინიც შემოვიდა.

- ვახშამი მზადაა? - ჰკითხა მარგარიტამ.

- დიახ, ქალბატონო, ახლავე იქნება.

- ჰო, მართლა, - მომიბრუნდა პრიუდანსი, - ბინა არ გინახავთ, წამოდით, დაგათვალიერებინებთ.

თქვენც იცით, არაჩვეულებრივად ლამაზი იყო. ცოტაზე მარგარიტაც გამოგვყვა, მერე გასტონს დაუძახა და მასთან ერთად გავიდა სასადილო ოთახში, რათა საკუთარი თვალით ენახა, მართლა მზად იყო ვახშამი, თუ არა.

- მისმინეთ, - ხმამაღლა წარმოთქვა პრიუდანსმა, როცა ეტაჟერს შეხედა და საქსონური ქანდაკება აიღო ხელში, - ეს ბატონი რაღაც არ მეცნობა.

- რომელი?

- პატარა მწყემსი, ხელში ჩიტიანი გალია რომ უჭირავს.

- თქვენი იყოს, თუ მოგწონთ.

- ვერ ავიღებ.

- ჩემი მოახლისთვის მინდოდა, მიმეცა. რა სიმახინჯეა! მაგრამ თუ მოგწონთ, წაიღეთ.

პრიუდანსი ძალიან გაახარა საჩუქარმა და როგორ აჩუქეს, აღარ მიუქცევია ყურადღება. ქანდაკება გვერდზე გადადო და საპირფარეშოში შემიყვანა, სადაც ორი ერთნაირი მინიატურა მაჩვენა, თან მითხრა: - აი, გრაფი დე გ . . . , რომელსაც სიგიჟემდე უყვარდა მარ-გარიტა, და მიატოვა. იცნობთ მას?

- არა, ეს ვინღაა? - ვკითხე და მეორე მინიატურაზე ვანიშნე.

- ეს არის ახალგაზრდა ვიკონტი ლ . . . . იძულებული გახდა, გამგზავრებულიყო.

- რატომ?

- იმიტომ, რომ ლამის მთელი ქონება გაანიავა. როგორ უყვარდა მარგარიტა!

- ალბათ მასაც ძალიან უყვარდა.

- უცნაური გოგოა, ვერაფრით მიხვდები, რას ფიქრობს. იმ დღეს, როცა ვიკონტი გაემგზავრა, ჩვეულებისამებრ დაესწრო სპექტაკლს, თუმცა განშორებისას მაინც იტირა.

სწორედ იმ წუთს გვაცნობა ნანინმა, სუფრა გაშლილიაო.

სასადილო ოთახში რომ შევედით, მარგარიტა კედელს მიყრდნობოდა, გასტონს ხელები დაეჭირა მისთვის და ძალიან ხმადაბ-ლა ელაპარაკებოდა.

- გაგიჟებულხართ, - მიუგო მარგარიტამ, - მშვენივრად იცით, რომ არ მსურხართ. ჩემისთანა ქალს ორი წლის ნაცნობობის მერე როდი ეუბნებიან, მინდა თქვენი საყვარელი გავხდეო. ჩვენ სხვანაირები ვართ, ან მაშინვე ვნებდებით კაცს, ან აღარასოდეს. აბა, ბატონებო, გთხოვთ მაგიდასთან.

მარგარიტა ხელიდან დაუსხლტა გასტონს, იგი მარჯვნივ მოისვა, მე - მარცხნივ და ნანინს მიუბრუნდა: - სანამ დაჯდები, სამზარეულოში გააფრთხილე, თუ დარეკავენ, კარი არავის გაუღოთ-თქო.

ეს ბრძანება რომ გასცა, ღამის პირველი საათი იყო.

ვახშამზე ბევრი ვიცინეთ, ვსვით და ვჭამეთ. ძალიან მალე მხიარულებამ ყოველგვარი საზღვარი გადალახა და იმ სიტყვებს, რომელთა წარმოთქმაც გარკვეულ საზოგადოებაში უხერხულად ითვლება და რომლებიც ყოველთვის ჩირქს სცხებენ წარმომთქმელის ბაგეებს, დროდადრო აღტაცებით ხვდებოდნენ ნანინიც, პრი-უდანსიც და მარგარიტაც. გასტონი მთელი სულითა და გულით მხიარულობდა. კეთილი გულის ადამიანი იყო, მაგრამ სიყმაწვილეში შეძენილ ჩვევებს ცოტა გაეფუჭებინა. ერთი წუთით მომინდა, დამევიწყებინა საკუთარი თავი, გული და გონება დამეხშო, თვალი დამეხუჭა და მეც მიმეღო მონაწილეობა ამ მხიარულებაში, რომელიც თითქოს ვახშმის მენიუში შედიოდა. მაგრამ მე როგორღაც ნელ-ნელა ჩამოვშორდი ამ ხმაურს, ჭიქასაც აღარ ვცლიდი და ლამის სევდამ შემიპყრო, როცა დავინახე, რომ ეს ოცი წლის ულამაზესი არსება სვამდა, მტვირთავივით ლაპარაკობდა და უფრო ხმამაღლა იცინოდა, რაც უფრო უხამსი იყო ხუმრობა.

მაგრამ თუ სხვებში ეს მხიარულება, ლაპარაკისა და სმის ეს მანერა, თავაშვებულობის, მავნე ჩვევებისა და მოჭარბებულ ძალთა შედეგი იყო, მარგარიტაში პირიქით, ამას თავდავიწყების სურვი-ლი, ციებ-ცხელება და ნერვული გაუწონასწორებლობა იწვევდა.

შამპანურის ყოველი ჭიქა ავადმყოფურად უვარდისფრებდა ღა-წვებს და ვახშმის დასაწყისში თუ ოდნავ ახველებდა, ბოლოსკენ შეტევა ისე გაუძლიერდა, რომ რამდენჯერაც ხველა აუტყდებოდა, იძულებული იყო, უკან გადაეგდო თავი და ხელები მკერდზე მთელი ძალით მიეჭირა.

გული მეტკინა, როცა წარმოვიდგინე, რამხელა ტანჯვას აყენებდა ამ სუსტ არსებას ყოველდღიური თავაშვებულობა.

ბოლოს მოხდა ის, რასაც ვვარაუდობდი, რისიც ასე მეშინო-და. მთელ საღამოს არ უხველებია ისე, როგორი ხველაც ვახშმის დასასრულს აუტყდა. თითქოს ცოტაც და მკერდი ორად გაეხლიჩებაო. საბრალოს სახე აუვარდისფრდა, ტკივილისაგან თვალები დახუჭა და ტუჩებზე ცხვირსახოცი აიფარა, რომელიც მალე შეიღება სისხლით.

მაშინ მარგარიტა წამოხტა და საპირფარეშოსკენ გაიქცა.

- რა დაემართა მარგარიტას?- იკითხა გასტონმა.

- მეტისმეტად ბევრი იცინა და ახლა სისხლს ახველებს, - გვითხრა პრიუდანსმა, - ოჰ, არაფერია, ყოველდღე ემართება. ახლავე მობრუნდება, ნუ შეაწუხებთ, ასე ურჩევნია.

მე ამდენი ვეღარ მოვითმინე და ნანინისა და პრიუდანსის გასაოცრად, რომლებმაც მომაძახეს, შეჩერდიო, მარგარიტასკენ გავემართე.

X

ოთახს, რომელშიც იგი განმარტოვდა, მაგიდაზე მდგარი ერთადერთი სანთელი ანათებდა. მარგარიტა დიდ დივანზე მიწოლილიყო, კაბა გაღეღოდა, ცალი ხელი

მკერდზე მიეჭირა, მეორე გვერდით ესვენა. მაგიდაზე წყლით სანახევროდ სავსე ვერცხლის თასი იდო, წყალი სისხლს შეეღება.

მარგარიტა იწვა გაფითრებული, პირი ოდნავ გაეღო და სულს ძლივს ითქვამდა. დროდადრო მკერდიდან ხანგრძლივი კვნესა აღმოხდებოდა, რაც ოდნავ მაინც უმსუბუქებდა მდგომარეობას და რამდენიმე წამით თავს კვლავაც კარგად აგრძნობინებდა.

მივუახლოვდი, არ განძრეულა. დავუჯექი და დივანზე დასვენებული ხელი დავუჭირე.

- აჰ, თქვენ ხართ? - ღიმილით მკითხა.

ალბათ ძალიან შეწუხებული სახე მქონდა, რადგან დაუმატა: - თქვენც ავად ხართ?

- მე არა, მაგრამ თქვენ გაგიარათ?

- თითქმის, - ხველებისაგან თვალზე მომდგარი ცრემლი ცხვირსახოცით მოიწმინდა, - უკვე მივეჩვიე ამას.

- თავს იკლავთ, ქალბატონო, - ვუთხარი შეშფოთებულმა, - ნეტავ თქვენი მეგობარი ვიყო, ან ნათესავი მაინც, მაშინ არ მოგცემდით ასე მოქცევის უფლებას.

- აჰ, მართლა არ მესმის, რა გაღელვებთ, - გამაწყვეტინა, ცო-ტა არ იყოს, სევდიანი ხმით, - შემომხედეთ, აღარავის ვაინტერესებ, კარგად იციან, რომ სევდის წამალი არ არსებობს.

ამის შემდეგ იგი წამოდგა, სანთელი აიღო, ბუხარზე შემოდო და სარკეში ჩაიხედა.

- როგორ დამიკარგავს ფერი! - თქვა, კაბა შეისწორა და ჩამოშლილ თმაზე გადაისვა ხელი, - ეჰ! მოდით სასტუმრო ოთახში დავბრუნდეთ. არ მოდიხართ?

არ გავნძრეულვარ.

იგი მიხვდა, როგორ ამაღელვა ამ სცენამ, ამიტომ მომიახლოვდა, ხელი გამომიწოდა და მითხრა: - წავიდეთ, წამოდით.

ხელი დავუჭირე, ტუჩებთან მივიტანე, თავი ვეღარ შევიკავე და ორი წვეთი ცრემლი დავაფრქვიე.

- ოჰ! რა ბავშვი ხართ! - მითხრა და გვერდით მომიჯდა, - აი, ტირით კიდეც! რა გემართებათ?

- ალბათ სულელად გეჩვენებით, მაგრამ რაც ახლა ვნახე, იმან ჩემზე საშინლად იმოქმედა.

- ძალიან კეთილი ხართ! მაგრამ რა ვქნა? არ მეძინება და რამით ხომ უნდა გავერთო. გარდა ამისა, რა მნიშვნელობა აქვს, ერთით მეტი ჩემისთანა გოგო იქნება ქვეყანაზე თუ ერთით ნაკლები? ხველებისას სისხლი ბრონქებიდან ამოგდითო. თავს ისე ვაჩვენებ, თითქოს მჯერა მათი. აბა, სხვა რა გავაკეთო.

- ყური მიგდეთ, მარგარიტა, - ვუთხარი მთელი გრძნობით, თავის შეკავება აღარ შემეძლო, - არ ვიცი, როგორ გავლენას მოახდენთ ჩემს ცხოვრებაზე, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ამ წამს არავინ, ჩემი დაც კი არ მაინტერესებს თქვენზე მეტად. ასეა მას შემდეგ, რაც პირველად მოგკარით თვალი. ღვთის გულისათვის, მოუარეთ საკუთარ თავს და ნუღარ იცხოვრებთ ისე, როგორც აქამდე ცხოვრობდით.

- თავს რომ მოვუარო, მოვკვდები. მხოლოდ ასეთი მოუსვენარი ცხოვრება მაძლებინებს, როგორსაც ახლა ვეწევი. გარდა ამისა, თავის მოვლა მაღალი წრის ქალბატონების საქმეა, მათი, ვისაც ოჯახი და მეგობრები ჰყავს. ჩვენ კი საკუთარი საყვარლების პა-ტივმოყვარეობასა და სურვილებს თუ არ ვემსახურეთ, გვტოვებენ და გრძელ საღამოებს გრძელი დღეები ცვლის. ეგ კარგად ვიცი: ორივე თვე გავატარე ლოგინში და სამი კვირის შემდეგ ჩემს სანახავად აღარავინ მოსულა.

- მართალია, თქვენთვის არაფერს წარმოვადგენ, - შევეპასუხე მე, - მაგრამ ოღონდ მოისურვეთ და ძმასავით მოგივლით, გვერდიდან არ მოგშორდებით და ფეხზე დაგაყენებთ. ხოლო როცა ძალას მოიკრებთ, კვლავ ძველ ცხოვრებას დაუბრუნდით, თუ გენდომებათ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, უფრო მშვიდ ყოფას ამჯობინებთ, რაც მეტ ბედნიერებასაც მოგიტანთ და სილამაზესაც შეგინარჩუნებთ.

- თქვენ დღეს საღამოს ფიქრობთ ასე, ღვინო დალიეთ და სევდა შემოგაწვათ. მაგრამ დიდხანს როდი გაგყვებათ ეგ მოთმინება, რომლითაც ახლა ასე იწონებთ თავს.

- ნება მომეცით, შეგახსენოთ, მარგარიტა, რომ ორი თვე იყა-ვით ავად და რომ ამ ორი თვის მანძილზე ყოველდღე მოვდიოდი თქვენი ამბის გასაგებად.

- მართალია, მაგრამ რატომ ერთხელაც არ ამოხვედით?

- იმიტომ, რომ მაშინ არ გიცნობდით.

- ჩემნაირ ქალთან მორიდება რა საჭიროა?

- ქალთან მორიდება ყოველთვის საჭიროა, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მწამს.

- ესე იგი, იზრუნებთ ჩემზე?

- დიახ.

- მთელ დღეებს ჩემ გვერდით გაატარებთ?

- დიახ.

- და მთელ ღამეებსაც.

- ყოველ წამს, თუკი თავს არ მოგაბეზრებთ.

- და ამას რას ეძახით?

- ერთგულებას.

- და საიდან მოდის ეს ერთგულება?

- იმ უსაზღვრო სიმპათიიდან, რომელსაც თქვენ მიმართ ვგრძნობ.

- ესე იგი, გიყვარვართ? გამოტყდით, ასე აჯობებს.

- შეიძლება. იქნებ ოდესმე გამოგიტყდეთ კიდეც ამაში, ოღონდ დღეს არა.

- აჯობებს, თუ არასოდეს გამომიტყდებით.

- რატომ?

- იმიტომ, რომ შედეგად მხოლოდ ორ რამეს მივიღებთ.

- რას და რას?

- თუ უარს გეტყვით, გადამიყვარებთ. თუ დაგთანხმდებით, მაშინ დარდიანი საყვარელი გეყოლებათ, ნერვიული, ავადმყოფი, მოწყენილი ქალი, რომელიც სისხლს ახველებს და წელიწადში ასი ათასი ფრანკი არ ჰყოფნის. ეს კარგია ჰერცოგისთანა მდიდარი მოხუცისათვის, მაგრამ თქვენისთანა ახალგაზრდა ვაჟისთვის კი მოსაბეზრებელი იქნება. საბუთიც მაქვს - ყველა ახალგაზრდა საყვარელს, ვინც კი მყოლია, მალევე მივუტოვებივარ.

ხმა არ ამომიღია: ვუსმენდი. ეს გულახდილობა, რომელიც ძალიან ჰგავდა აღსარებას, ეს მწუხარე ცხოვრება, რომელსაც მოოქროვილი რიდის იქით იმალებოდა და მე თვალი მოვკარი, ეს საბრალო ქალი, სინამდვილეს თავაშვებულობას, სასმელსა და უძილო ღამეებში რომ ახრჩობდა, - ამ ყველაფერმა იმდენად იმოქმედა ჩემზე, რომ სიტყვის სათქმელად ენა აღარ მომიტრიალდა.

- ჩვენი ლაპარაკიც, - განაგრძო მარგარიტამ, - ბავშვობაა და მეტი არაფერი. მომეცით ხელი, სასადილო ოთახში გავიდეთ. არ უნდა გაიგონ ჩვენი არყოფნის მიზეზი.

- წადით, თუ გსურთ, მაგრამ გთხოვთ, მე დარჩენის ნება დამრთოთ.

- რატომ?

- იმიტომ რომ თქვენი მხიარულება ცუდად მხდის.

- კარგით, მოვიწყენ.

- ყური მიგდეთ, მარგარიტა, ნება მომეცით, რაღაც გითხრათ, რაც, დარწმუნებული ვარ, ხშირად უთქვამთ თქვენთვის და რომლის მოსმენასაც მიჩვეული ხართ, რამაც იქნებ ხელიც შეგიშალოთ და აღარც ერწმუნოთ ჩემს სიტყვებს, მაგრამ ეს ჭეშმარიტებაა და მეტად აღარასდროს გაგიმეორებთ.

- მაინც რა არის? - მკითხა და გამიღიმა, ასე ახალგაზრდა დედები იღიმებიან ხოლმე, როცა შვილების ტიტინს უსმენენ.

- მას შემდეგ, რაც პირველად მოგკარით თვალი, არ ვიცი, როგორ და რატომ, მაგრამ გამორჩეული ადგილი დაიკავეთ ჩემს ცხოვრებაში. მინდოდა, გამეძევებინეთ ჩემი ფიქრებიდან, მაგრამ ყოველთვის უკანვე ბრუნდებოდით. და დღეს, როცა კვლავ შეგხვდით ორწლიანი განშორების შემდეგ, თქვენ ძველებურად დაუყოვნებლივ დაიპყარით ჩემი სული და გული. ახლა კი, როცა, როგორც იქნა, მიმიღეთ, როცა თქვენცა და თქვენი უცნაური ბუნებაც ბოლომდე გავიცანი, ვგრძნობ, ჰაერივით

მჭირდებით და არა მხოლოდ მაშინ შევიშლები, თუ არ შემიყვარებთ, არამედ მაშინაც, თუ ნებას არ დამრთავთ, მე მიყვარდეთ.

- მაგრამ, უბედურო, მე თქვენ ქალბატონ დ . . . - ის ნათქვამს გაგიმეორებთ: გამოდის, ძალიან მდიდარი ყოფილხართ! მაგრამ თქვენ ხომ არ იცით, რომ თვეში შვიდ-რვა ათას ფრანკს ვხარჯავ და რომ სხვანაირად ცხოვრებას ვერ ვახერხებ; თქვენ არც ის იცით, ჩემო საბრალო მეგობარო, რომ თვალის დახამხამებაში გაგაკოტრებთ და რომ თქვენი ოჯახი აგიკრძალავთ ჩემისთანა არსებასთან ურთიერთობას. გიყვარდეთ, როგორც მეგობარი და არა სხვაგვარად. მინახულეთ ხოლმე, ვიცინებთ, ვისაუბრებთ, მაგრამ მეტისმეტადაც ნუ დამაფასებთ, იმიტომ რომ ბევრად არაფრად ვღირვარ. თქვენ კეთილი გული გაქვთ, სიყვარული გჭირდებათ და ძალიან ახალგაზრდა და მგრძნობიარე ხართ იმისათვის, რომ ჩვენს სამყაროში იცხოვროთ. გათხოვილი ქალი იშოვეთ. ხომ ხედავთ, რა კარგი გოგო ვარ, რა გულახდილად გელაპარაკებით.

- აჰ, აქ რა ჯანდაბას აკეთებთ? - შეჰყვირა პრიუდანსმა. შეუმჩნევლად შემოსულიყო და ახლა ზღურბლთან იდგა, სანახევროდ თმაგაჩეჩელი და მკერდმოღეღილი.

მაშინვე მენიშნა, გასტონის ნახელავი უნდა ყოფილიყო.

- საქმეზე ვლაპარაკობთ, - უთხრა მარგარიტამ, - ცოტა ხანს გვაცალეთ და ახლავე შემოგიერთდებით.

- კარგი, კარგი, ისაუბრეთ, ჩემო პატარებო, - გვითხრა პრიუდანსმა. გავიდა და კარიც ისე გაიხურა, თითქოს თავისი ნათქვამისთვის განსაკუთრებული აზრის მინიჭება უნდაო.

- ესე იგი, გადაწყვეტილია, - განაგრძო მარგარიტამ, როცა კვლავაც მარტონი დავრჩით, - თქვენ გადამიყვარებთ.

- მე წავალ.

- ნუთუ უკვე აქამდე მივიდა საქმე.

ძალიან შორს შევტოპე და ახლა უკან ვეღარ დავიხევდი, გარ-და ამისა, ეს ქალი საოცრად მიფორიაქებდა სულს. მხიარულებისა და სევდის, გულწრფელობისა და გარყვნილების ეს ნარევი, ეს ავადმყოფობა, რომელსაც, თავის მხრივ, განსაკუთრებით მგრძნობი-არე გაეხადა იგი და ნერვული აშლილობის მიზეზიც გამხდარიყო - ეს ყველაფერი მარწმუნებდა, თუ პირველივე შესაძლებლობისთანავე არ დაიმორჩილებ ამ გულმავიწყ და ფუქსავატ ადამიანს, აუცილებლად სამუდამოდ დაკარგავო.

- ესე იგი, ამ ყველაფერს სერიოზულად მეუბნებით? - განაგ-რძო მან.

- სრულიად სერიოზულად.

- მაგრამ ადრე რატომ არ გითქვამთ ეს ჩემთვის?

- როდის უნდა მეთქვა?

- იმის მეორე დღეს, რაც ოპერაში თქვენი თავი გამაცნეს.

- ვიფიქრე, ძალიან ცუდად მიმიღებს, სანახავად რომ მივიდე-მეთქი.

- კი მაგრამ, რატომ?

- იმიტომ რომ წინა დღით თავი სულელურად მეჭირა.

- ეგ მართალია, მაგრამ მაშინ ხომ უკვე გიყვარდით?

- დიახ.

- მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი, სპექტაკლის შემდეგ შინ წასულიყავით და მშვიდად გამოგეძინათ. ვიცნობთ ჩვენ ამ დიდ სიყვარულს.

- აჰ, აი, აქ ცდებით. იცით, რა ვქენი იმ ღამეს ოპერის შემდეგ?

- არა.

- კაფე „Anglais“-თან გელოდებოდით, იმ ეტლს ვუთვალთვალებდი, რომლითაც თქვენ და კიდევ თქვენი სამი მეგობარი გაე-მგზავრეთ და როცა დავინახე, რომ მარტო გადმოხვედით ეტლიდან და შინ შეხვედით, ძალიან ბედნიერი ვიყავი.

მარგარიტას სიცილი აუტყდა.

- რა გაცინებთ?

- არაფერი.

- მითხარით, გთხოვთ, თორემ ვიფიქრებ, ისევ დამცინის-მეთქი.

- არ გაბრაზდებით?

- რატომ უნდა გავბრაზდე?

- კარგით. საფუძვლიანი მიზეზი მქონდა, რომ მარტო დავ-ბრუნებულიყავი.

- რა მიზეზი?

- მელოდებოდნენ.

დანა რომ დაერტყათ, ასე არ მეტკინებოდა. წამოვდექი და ხელი გავიწოდე: - მშვიდობით.

- მშვენივრად ვიცოდი, გაბრაზდებოდით, - მითხრა მან, - მამაკაცებს ერთი სული აქვთ, როდის გაიგებენ იმას, რაც გულს ატკენთ.

- მაგრამ გარწმუნებთ, - დავუმატე ცივად, თითქოს მინდოდა დამემტკიცებინა, სამუდამოდ გავთავისუფლდი ჩემი ვნებისაგან-მეთქი, - გარწმუნებთ, არ გავბრაზებულვარ. როგორც ისაა ბუნებ-რივი, რომ შინ ვიღაც გელოდათ, ასევე, ისიც, რომ ახლა დილის სამი საათია და მე უნდა დაგტოვოთ.

- იქნებ თქვენც გელით ვინმე?

- არა, მაგრამ მაინც უნდა წავიდე.

- მაშინ, მშვიდობით.

- მაგდებთ?

- არა, რას ამბობთ.

- გულს რატომ მტკენთ?

- მაინც რით გტკენთ გულს?

- თქვენ ხომ მითხარით, შინ მელოდნენო.

- თავი ვერ შევიკავე, რომ არ გამცინებოდა, ისეთი ბედნიერი იყავით ჩემი მარტო დაბრუნებით მაშინ, როცა ამას თავისი მი-ზეზი ჰქონდა.

- ადამიანებს ხშირად ახარებთ ბავშვური სისულელეები და ბოროტებაა მათ ეს სიხარული ჩააშხამო. როცა ხელს არ ვახლებთ მას, ამით კიდევ უფრო ვაბედნიერებთ ხოლმე იმ ადამიანს, ვინც ამ სიხარულს განიცდის.

- კი მაგრამ, თქვენ ვინ გგონივართ? მე არც უმანკო ქალიშვილი ვარ და არც ჰერცოგის მეუღლე. დღევანდლამდე არც გიცნობდით და სულაც არ ვარ ვალდებული, ანგარიში გაბაროთ. დავუშვათ, რომ ერთ მშვენიერ დღეს თქვენი საყვარელი გავხდი, აუცილებლად უნდა იცოდეთ, რომ თქვენამდე სხვა საყვარლებიც მყავდა. თუკი თქვენ აქვე წინასწარ მიწყობთ ეჭვიანობის სცენებს, რაღა იქნება შემდეგ, თუკი ეს „შემდეგ“ დადგება საერთოდ! თქვენისთანა კაცი არასდროს მინახავს.

- ეს იმიტომ, რომ ჩემსავით არასოდეს არავის ყვარებიხართ.

- მოდით, გულწრფელად მითხარით, მართლა ასე ძალიან გიყვარვართ?

- არა მგონია, ამაზე ძლიერი სიყვარული შეიძლებოდეს.

- და ეს გრძელდება . . . ?

- იმ დღიდან, როცა პირველად დაგინახეთ, როგორ ჩამოხვედით ეტლიდან და მაღაზიაში შეხვედით. სამი წელია.

- შესანიშნავია. კარგით. და მე რით შეიძლება დავაჯილდოვო ამხელა სიყვარული?

- სულ ოდნავ შემიყვარეთ, - ვუთხარი და გული ყელში მომებჯინა. ძლივს ვლაპარაკობდი, მიუხედავად იმისა, რომ მთელი საუბრის მანძილზე სახიდან დამცინავი ღიმილი არ მოშორებია, მომეჩვენა, რომ ცოტა არ იყოს, მარგარიტასაც გადაედო ჩემი მღელვარება და რომ ახლა ძალიან ახლოს ვიყავი იმ წუთთან, რომელსაც ამდენ ხანს ველოდი.

- კარგით და ჰერცოგი?

- რომელი ჰერცოგი?

- ჩემი ეჭვიანი მოხუცი.

- ის ვერაფერს გაიგებს.

- და რომ გაიგოს?

- გაპატიებთ.

- ო, არა. მიმატოვებს და მერე რაღა მეშველება?

- სხების გამო ხომ რისკავთ?

- თქვენ რა იცით?

- ხომ უბრძანეთ, დღეს საღამოს არავინ შემოუშვათო.

- მართალია, მაგრამ, ეს სერიოზული მეგობარია.

- რომელთანაც, ეტყობა, დიდი გრძნობა როდი გაკავშირებთ, რადგან ასეთ დროს მიუხურეთ კარი.

- სასაყვედურო არაფერი გაქვთ, ასე თქვენი და თქვენი მეგობრის მისაღებად მოვიქეცი.

ნელ-ნელა მივუახლოვდი მარგარიტას, მოვეხვიე და ვიგრძენი მისი ნაზი, გამხდარი სხეული.

- რომ იცოდეთ, როგორ მიყვარხართ! - ვუჩურჩულე.

- მართლა?

- გეფიცებით.

- ძალიან კარგი, თუ დამპირდებით, რომ ყველა ჩემს სურვილს უსიტყვოდ შეასრულებთ, კითხვებს არ დამისვამთ, შეიძლება ცოტათი შეგიყვაროთ კიდეც.

- ყველაფერს შეგისრულებთ, რაც გსურთ!

- მაგრამ გაფრთხილებთ, მინდა თავისუფლად ვაკეთო ყველა-ფერი, რაც მომინდება, თქვენ კი ანგარიშს არ ჩაგაბარებთ. დიდი ხანია, ახალგაზრდა, უხუშტურო, თავდავიწყებით შეყვარებულ საყვარელს ვეძებ, სიყვარულს ვეძებ მოვალეობების გარეშე. ასეთი ჯერ ვერავინ ვნახე. მამაკაცები დიდხანს როდი კმაყოფილდებიან იმით, რაზეც მარტო ოცნება თუ შეეძლოთ. თავიანთ საყვარლებს, მარტო აწმყოს კი არა, წარსულისა და მომავლის გამოც სთხო-ვენ პასუხს. რაც უფრო ეჩვევიან ქალს, მით მეტად სურთ, იმ-ბრძანებლონ მასზე და რაც უფრო მეტს აძლევ, მით უფრო მეტს ითხოვენ შენგან. ახალ საყვარელს მხოლოდ იმ შემთხვევაში გავიჩენ, თუ მას სამი უიშვიათესი თვისება ექნება: უნდა იყოს მიმნდობი, მორჩილი და თავშეკავებული.

- ძალიან კარგი, ისეთი ვიქნები, როგორსაც მოისურვებთ.

- ვნახოთ.

- როდის ვნახავთ.

- მოგვიანებით.

- რატომ?

- იმიტომ, - მითხრა მარგარიტამ, - თავი გაითავისუფლა, დილით მოტანილი კამელიების წითელი, დიდი თაიგულიდან ერთი ყვავილი ამოიღო და ღილ-კილოში

ჩამიბნია, - იმიტომ რომ ყოველთვის ხელისმოწერისთანავე როდი იწყებენ შეთანხმების შესრულებას. ძალიან მარტივად გასაგებია.

- კი მაგრამ ხელახლა როდის ვნახავთ ერთმანეთს? - ვკითხე და მაგრად მოვუჭირე მკლავები.

- როცა კამელია ფერს შეიცვლის.

- როდის შეიცვლის ფერს?

- ხვალ. თერთმეტიდან თორმეტ საათამდე. კმაყოფილი ხართ?

- მეკითხებით კიდეც?

- ამაზე არც ერთი სიტყვა, არც თქვენს მეგობარს, არც პრიუდანსს, არც არავის.

- გპირდებით, - ახლა კი მაკოცეთ და სასადილო ოთახში გავიდეთ.

ტუჩები მომიშვირა, თმა ხელახლა შეისწორა, და ორივენი გამოვედით ოთახიდან, ის - ღიღინ-ღიღინით, მე - ბედნიერებისგან ჭკუიდან გადასული.

სასტუმრო ოთახში სვენებ-სვენებით მიჩურჩულა: - შეიძლება გაგიკვირდეთ, რომ ასე უცებ დავთანხმდი თქვენს წინადადებას. იცით, რატომ? იმიტომ, - განაგრძო მან, ხელი ჩამჭიდა და გულზე მიიკრა, ვიგრძენი, რა თანაბრად და ძლიერად უცემდა გული, - იმიტომ, რომ სხვებზე ცოტა დრო დამრჩა და გადავწყვიტე, სხვებზე სწრაფად ვიცხოვრო.

- მასე ნუ ლაპარაკობთ, გემუდარებით.

- ო, დამშვიდდით, - განაგრძო სიცილით, - რაც უნდა ხანმოკლე სიცოცხლე მქონდეს დარჩენილი, თქვენს სიყვარულზე მეტ ხანს მაინც ვიცოცხლებ.

და იგი სიმღერ-სიმღერით შევიდა ოთახში.

- ნანინი სად არის? - იკითხა მან, როცა გასტონი და პრიუდანსი მარტონი დაინახა.

- თქვენს ოთახში სძინავს, თქვენ გელოდათ, როდის დაწვებოდით, - მიუგო პრიუდანსმა.

- საბრალო! ვკლავ პირდაპირ! აბა, ბატონებო, წაბრძანდით, დროა.

ათ წუთში მე და გასტონი წამოვედით. მარგარიტამ ხელი ჩამომართვა გამომშვიდობების ნიშნად და პრიუდანსთან ერთად დარჩა.

- აბა, - მკითხა გასტონმა, როცა სუფთა ჰაერზე გამოვედით, - მარგარიტაზე რას იტყვით?

- ნამდვილი ანგელოზია, ვგიჟდები მასზე.

- მასეც ვფიქრობდი. უთხარით ეგ?

- დიახ.

- როგორ გგონიათ, დაგპირდათ რამეს?

- არა.

- პრიუდანსს არ ჰგავს.

- დაგპირდათ რამეს?

- უკეთ მოიქცა, ძვირფასო! არ დაიჯერებთ და, ეს მსუქანი დიუვერნუა ჯერ კიდევ მშვენიერი ქალია!

XI

აქ არმანი შეჩერდა

- თუ შეიძლება, ფანჯარა დახურეთ, - მითხრა მან, - ცოტა შემცივდა, მანამდე დავწვები.

ფანჯარა დავხურე, არმანი კვლავ სუსტად გრძნობდა თავს, გაიხადა და საწოლში ჩაწვა. თავი ცოტა ხანს გაუნძრევლად ესვენა ბალიშზე, ბევრი სიარულით ან მძიმე მოგონებებით მო-ქანცულ კაცს ჰგავდა.

- მგონი მეტისმეტად ბევრს ლაპარკობთ, - ვუთხარი მე, - თუ გინდათ, წავალ, თქვენ გამოიძინეთ, ამბავს სხვა დროსაც მომიყვებით.

- თავი მოგაბეზრეთ?

- პირიქით.

- მაშინ გავაგრძელებ. მარტო თუ დავრჩი, არ დამეძინება.

- შინ რომ მივედი, - განაგრძო დაუფიქრებლად, იმდენად ნათლად ახსოვდა ყველა წვრილმანი, - არ დავწოლილვარ, იმდღევანდელ ამბებს ვიხსენებდი. შეხვედრა, წარდგენა, მარგარიტას მოცემული პირობა, ყველაფერი ისე სწრაფად, ისე მოულოდნელად მოხდა, ხანდახან ვფიქრობდი, ხომ არ დამესიზმრა-მეთქი. თუმცა პირველად როდი ხდებოდა, რომ მარგარიტასნაირი ქალიშვილი შეთავაზებისთანავე დათანხმდა მამაკაცის წინადადებას.

საკუთარი თავისთვის რამდენჯერაც უნდა მომეტანა ეს საბუთი, პირველი შთაბეჭდილება, ჩემმა მომავალმა საყვარელმა რომ მოახდინა ჩემზე, იმდენად ძლიერი იყო, აღარაფერი მაინტერესებდა. ვერ ვახერხებდი მასში სხვების მსგავსი ჩვეულებრივი ხარჭა დამენახა და ყველა მამაკაცის ჩვეული პატივმოყვარეობით ვფიქრობდი, იმასაც, რა თქმა უნდა, ისევე ვუყვარვარ, როგორც მე მიყვარს-მეთქი.

თუმცა საპირისპირო მაგალითიც ბევრი მქონდა თვალწინ და ხშირად მომეკრა ყური, რომ მარგარიტა სიყვარულით ვაჭრობს, ხან ძვირი ღირს ეს სიყვარული, ხან - ცოტა იაფი, სეზონს გააჩნიაო.

მაგრამ, მეორე მხრივ, როგორ შემეთანხმებინა ერთმანეთთან მისი რეპუტაცია და ის მტკიცე უარი, ჩვენი თანდასწრებით რომ უთხრა ახალგაზრდა გრაფს? თქვენ მეტყვით, არ მოსწონდაო, ჰერცოგი ფულით სრულიად უზრუნველყოფდა, ამიტომაც

სხვა უფრო გულმისავალ საყვარელს აირჩევდაო. მაშინ რატომ არ ინდომა გასტონი, მომხიბლავი, ჭკვიანი, მდიდარი და მე ამირჩია. თუმცა გაცნობისას ამდენი იცინა ჩემზე.

მართალს ამბობენ, ზოგჯერ წუთი უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მთელი წელი კუდში დევნა.

ვახშმად მყოფთაგან, მხოლოდ მე ვერ მოვისვენე, მივატოვე მაგიდა და მის სანახავად წავედი. ისე ვიყავი აღელვებული, რომ თავი ვერ შევიკავე და ავტირდი, როცა ხელზე უნდა მეკოცნა. ამ გარემოებამ და მისი ორთვიანი ავადმყოფობის დროს ჩემმა ყოველდღიურმა სტუმრობამ მის თვალში სხვა მამაკაცად მაქცია, იმათ მსგავსად არა, ვისაც მანამდე იცნობდა და იქნებ ჩემგან ასე ძლიერად გამოხატულ სიყვარულზე სწორედ იმით მიპასუხა, რაც უამრავჯერ გაეკეთებინა და რაც სულაც არ ეძნელებოდა.

ყველა ეს ვარაუდი, როგორც ხედავთ, ძალიან ჰგავდა სიმართლეს, მაგრამ რაც უნდა ყოფილიყო ამ თანხმობის მიზეზი, ერთ რამეს ვეღარაფერი შეცვლიდა: მარგარიტა დამთანხმდა.

ცხადია, მიყვარდა მარგარიტა, დავეუფლებოდი და მორჩა, მეტს ვერც ვერაფერს მოვთხოვდი. თუმცა კიდევ გიმეორებთ, მიუხედავად იმისა, რომ იგი ხარჭა იყო, იმდენად უიმედოდ მეჩვენებოდა მისი სიყვარული! ალბათ ზედმეტად ვაპოეტურებდი ყველაფერს და ამიტომ რაც უფრო ახლოვდებოდა წუთი, როცა ჩემს იმედებს ხორცი უნდა შეესხათ, მით უფრო მეპარებოდა ეჭვი.

მთელი ღამე თეთრად გავათენე.

საკუთარ თავს ვერ ვცნობდი, ცოტაც და, ჭკუიდან გადავიდოდი. ხან ვფიქრობდი, საკმარისად არც ლამაზი ვარ, არც მდიდარი, არც მოხდენილი, ასეთ ქალს რომ დავეუფლო-მეთქი, ხან კი სიამაყით ფეხზე აღარ ვიდექი. მერე შიში მიპყრობდა, ვაითუ, მარაგარიტასთვის ორიოდე დღის კაპრიზი აღმოვჩნდე, ვაითუ, მალევე მიმატოვოს, იქნებ ჯობდეს, საღამოს საერთოდ არ წავიდე მასთან, გავემგზავრო და ჩემი შიშები წერილობით მივწერო-მეთქი. თუმცა შიშის ადგილს მალევე იჭერდა უსაზღვრო იმედი და ნდობა. წარმოუდგენელ გეგმებს ვაწყობდი, ვფიქრობდი, ამ ქალიშვილს ფიზიკურად და ზნეობრივად ავაღორძინებ, მთელი ცხოვრება მის გვერდით ვიქნები და მისი სიყვარული ნებისმიერი ქალწულის სიყვარულზე მეტად გამაბედნიერებს-მეთქი.

მოკლედ, აბა, როგორ გადმოგცეთ ის უამრავი ფიქრი, გულიდან პირდაპირ გონებისკენ რომ მიიწევდა. გამთენიისას თანდათან ჩამეძინა.

დღის ორ საათზე გამეღვიძა. შესანიშნავი ამინდი იყო, არ მახ-სოვს, ცხოვრება ოდესმე ასეთი მშვენიერი, ასეთი სავსე მჩვენებოდეს. ცოტა ხნის წინანდელმა მოგონებებმა გაიღვიძეს ჩემში, უღრუბლო, ნათელმა, მხიარულმა, იმედის მომნიჭებელმა მოგონებებმა. თვალის დახამხამებაში ჩავიცვი. კმაყოფილი ვიყავი და მინდოდა, შთაბეჭდილება მომეხდინა. დროდადრო გული სიხარულისა და სიყვარულისგან შემიხტებოდა ხოლმე. ტკბილი აღგზნება დამეუფლა. მოუსვენრობა, დილამდე რომ მაწამებდა, უკვალოდ გაქრა. მხოლოდ შედეგზე ვფიქრობდი, იმ წუთებზე, როცა ხელახლა უნდა მენახა მარგარიტა.

შინ ვერ გავჩერდი, ოთახი მეპატარავებოდა, ჩემს ბედნიერებას ვერ დაიტევს-მეთქი. ბუნება მჭირდებოდა, გარე სამყაროს უნდა შევრწყმოდი.

ქუჩაში გამოვედი.

დ'ანტენის ქუჩაზე გავიარე, ეტლი კართან ელოდა მარგარიტას. მე ელისეს მინდვრებისკენ ავიღე გეზი.

სულერთი იყო, ვიცნობდი თუ არ ვიცნობდი, ყველა შემხვედრი მიყვარდა.

როგორ გვაკეთილშობილებს სიყვარული!

თითქმის მთელ საათს დავდიოდი წინ და უკან „მარლის რაშებიდან" „მრგვალ მოედნამდე" და „მრგვალი მოედნიდან" „მარლის რაშებამდე", როცა შორს მარგარიტას ეტლი დავლანდე, ცნობით ვერ ვიცანი, უბრალოდ, ვიგრძენი. ის იყო, ელისეს მინდვრებისკენ უნდა შემოეხვია, რომ გაჩერდა, ვიღაც მაღალი ახალგაზრდა მამაკაცი გამოეყო ადამიანებს და მასთან მივიდა.

რამდენიმე წუთს ილაპარაკეს, შემდეგ ვაჟი კვლავ თავის მეგობრებს შეუერთდა. ცხენები დაიძრნენ. მე კი როცა ხსენებულ ჯგუფს ჩავუარე, დავაკვირდი და მარგარიტას თანამოსაუბრე გრაფ დე გ . . . - დ შევიცანი, რომლის სურათიც მენახა და რომელზეც პრიუდანსი მიმანიშნებდა, მარგარიტა თავის მდგომარეობას მას უნდა უმადლოდესო.

წინა დღით სწორედ მას მიუხურა ცხვირწინ კარი მარგარიტამ. ვიმედოვნებდი, ქალმა ეტლი იმიტომ შეაჩერა, წუხანდელი უარის მიზეზი აეხსნა და იქნებ ახალი საბაბიც უთხრა რამე, რომ ხვალ ღამითაც არ მიიღოს-მეთქი. არ ვიცი, დანარჩენი დრო როგორ გავიდა, ვსეირნობდი, ვეწეოდი, ვსაუბრობდი, მაგრამ ღამის ათ საათზე რა ვილაპარაკე, ვის შევხვდი, უკვე აღარაფერი მახსოვდა.

მხოლოდ ის მახსოვს, შინ დაბრუნებული სამი საათი გამოკოხტავებას მოვუნდი და ერთი ასჯერ მაინც შევხედე ხან კედლის და ხან ჯიბის საათს, მაგრამ, სამწუხაროდ, ორივე ერთნაირად ნელა მუშაობდა.

თერთმეტის ნახევარი გახდა თუ არა, საკუთარ თავს ვუთხარი, წასვლის დროა-მეთქი. მაშინ პროვანსის ქუჩაზე ვცხოვრობდი, მონბლანის ქუჩას გავყევი, ბულვარი გადავიარე, ლუი დიდის პორტ-მაჰონისა და დ'ანტენის ქუჩებს დავადექი.

მარაგრიტას ფანჯრებს ავხედე. შუქი ენთო.

ზარი დავრეკე.

მეკარეს ვკითხე, მადმუაზელ გოტიე შინ ხომ არ არის-მეთქი.

მიპასუხა, თერთმეტზე ან თორმეტის თხუთმეტ წუთზე ადრე არასოდეს ბრუნდებაო. საათს დავხედე.

მეგონა, ძალიან ნელა მოვდივარ-მეთქი, მაგრამ სინამდვილეში პროვანსის ქუჩიდან მარგარიტას სახლამდე ხუთ წუთში მივსულვარ.

სხვა რა გზა მქონდა, დავიწყე წინ და უკან სიარული ამ ცარიელ, უმაღაზიებო ქუჩაზე.

ნახევარ საათში მარგარიტაც მოვიდა. ეტლიდან ჩამოსვლისას, ისე მიიხედ-მოიხედა ირგვლივ, თითქოს ვიღაცას ეძებსო.

ეკიპაჟი გაგვშორდა, თავლა სახლთან არ ჰქონდათ.

ის-ის იყო, მარგარიტამ ზარი დარეკა, რომ მივუახლოვდი.

- აჰ, თქვენ ხართ? - ისე მითხრა, თითქოს არც ისე ესიამოვნა ჩემი დანახვაო.

- თქვენ არ დამრთეთ ნება, დღეს გწვეოდით?

- მართალია, გადამავიწყდა.

ამ სიტყვამ ცივი წყალი გადაასხა ჩემს დილანდელ იმედებსა და მთელი დღის ნაოცნებარს. თუმცა უკვე, ცოტა არ იყოს, შევჩვეოდი მის ზნეს და აღარ წავსულვარ, როგორც ამას, რა თქმა უნდა, ადრე ვიზამდი. შევედით. ნანინს უკვე გაეღო კარი.

- პრიუდანსი იყო? - ჰკითხა მარგარიტამ.

- არა, ქალბატონო.

- წადით, გააფრთხილეთ, დაბრუნდება თუ არა, შემომიაროს, ოღონდ ჯერ სასტუმრო ოთახში ჩააქრეთ ლამფა და თუ ვინმემ მიკითხოს, უთხარით, არ მოსულა და დღეს არც მოვა-თქო.

ეტყობოდა, რაღაც აშფოთებდა ამ ქალს, იქნებ ვინმე მნიშვნელოვან პიროვნებას ელოდა. არ ვიცოდი, როგორ დამეჭირა თავი, რა მეთქვა, მარგარიტა საძინებლისკენ გაემართა, არ გავნძრეულვარ.

- წამოდით, - მითხრა მან.

ქუდი და ხავერდის პალტოც ლოგინზე მიაგდო. მერე ბუხრის გვერდით (ბუხარს ივნისამდე ანთებდნენ ხოლმე) უშველებელ სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა, საათის ძეწკვი აათამაშა და მომიბრუნდა: - აბა, რას მეტყვით ახალს?

- არაფერს, გარდა იმისა, რომ მგონი, შევცდი, დღეს არ უნდა მოვსულიყავი.

- რატომ?

- იმიტომ, რომ გეტყობათ, უკმაყოფილო ხართ, ალბათ თავს გაბეზრებთ.

- არა, თავს არ მაბეზრებთ, უბრალოდ, ავად ვარ, მთელი დღე ცუდად ვიყავი, არ მძინებია, თავიც მტკივა საშინლად.

- თუ გინდათ, წავალ და თქვენ დაწექით.

- ოჰ, შეგიძლიათ დარჩეთ, დაწოლა თუ მომინდება, თქვენი თანდასწრებითაც მშვენივრად დავწვები.

ამის თქმა იყო და ზარი დარეკეს.

- ეს ვინღაა? - წარმოთქვა მოთმინებიდან გამოსულმა.

რამდენიმე წამში ისევ დარეკეს.

- კარის გამღებიც არავინაა, მე თვითონ უნდა გავიდე.

წამოდგა და მითხრა: - დამელოდეთ.

მთელი ბინა გაიარა. გავიგე, როგორ გაიღო შემოსასვლელი კარი. მივაყურადე, ვისაც კარი გაუღეს, სასადილო ოთახში გაჩერდა, ხმა ამოიღო თუ არა, მაშინვე ვიცანი, ახალგაზრდა გრაფი დე ნ . . . იყო.

- დღეს საღამოს როგორ გრძნობთ თავს, - ჰკითხა მან.

- ცუდად, - უხეშად უპასუხა მარგარიტამ.

- შეგაწუხეთ?

- შესაძლოა.

- როგორ მხვდებით! რა დაგიშავეთ, ძვირფასო მარგარიტა.

- ძვირფასო მეგობარო, თქვენ არაფერი დაგიშავებიათ, უბრა-ლოდ, ავად ვარ, ლოგინში უნდა ჩავწვე და დიდად დამავალებთ, თუ წახვალთ. კმარა, ყელში ამომივიდა, საღამოს შინ ვერ დავბრუნებულვარ, რომ 5 წუთის შემდეგ თქვენ არ გამომეცხადოთ. რა გინდათ? გინდათ, თქვენი საყვარელი გავხდე? ხომ ასჯერ მაინც მითქვამს არა, საშინლად მაღიზიანებთ და მისამართი შეგეშალათ-მეთქი. დღეს უკანასკნელად გიმეორებთ, არ მინდიხართ, დარწმუნებული ვარ ამაში. მშვიდობით. აი, ნანინიც დაბრუნდა, გზას გაგინათებთ. კარგად იყავით.

მარგარიტამ ნათქვამს სიტყვაც არ წაუმატა, აღარც ყმაწვილი კაცის ბურტყუნს ათხოვა ყური, ოთახში დაბრუნდა და კარი მაგრად მოიჯახუნა. თავის მხრივ, ნანინიც ფეხდაფეხ მოჰყვა.

- მომისმინე, - მიმართა მარგარიტამ, - ამ რეგვენს, როცა გინდა მოვიდეს, უთხარი, შინ არ არის, ან თქვენი მიღება არ სურს-თქო. დავიღალე ბოლოს და ბოლოს ამ ადამიანების ყურებით, რომლებიც სულ ერთსა და იმავეს ითხოვენ ჩემგან. ფულს მიხდიან და ფიქრობენ, ანგარიში გასწორებული გვაქვსო. მათ, ვინც ახლა ირჩევს ჩვენს სამარცხვინო საქმეს, რომ იცოდნენ, რას წარმოადგენს იგი, უმალ მოახლედ დადგებოდნენ, მაგრამ არა, ჩვენ ხომ სული მიგვდის კაბებზე, ეტლებზე, მარგალიტებზე. რასაც გვეუბნებიან, ყველაფერი მართალი გვგონია, რადგან მეძავებსაც შეუძლიათ, სჯეროდეთ და ასე თვალსა და ხელს შუა გვიცვდება სული, სხეული, სილამაზე. თან ადამიანები, როგორც გარეულ მხეცებს, ისე გვიფრთხიან. ისე ვეზიზღებით, თითქოს ველურები ვიყოთ. ირგვლივ მუდამ ისეთი ხალხი გვახვევია, რომლებიც გაცილებით მეტს ითხოვენ ჩვენგან, ვიდრე გვაძლევენ და ბოლოს კი, ერთ მშვენიერ დღეს, ძაღლივით აღმოგვხდება სული, ოღონდ მანამდე სხვებსაც ვღუპავთ და საკუთარ თავსაც.

- მისმინეთ, ქალბატონო, დამშვიდდით, - უთხრა ნანინმა,- დღეს საღამოს ისედაც ნერვები გაქვთ მოშლილი.

- ეს კაბა სულს მიხუთავს, - თქვა და კორსეტის შეხსნა დაიწყო, - პენუარი მომეცით, პრიუდანსი სადღაა.

- ჯერ არ დაბრუნებულა, მაგრამ მოვა თუ არა, მაშინვე გამოგზავნიან.

- ეგეც არის, რა, - განაგრძო მარგარიტამ, კაბა გადაიძრო და თეთრი პენუარი ჩაიცვა, - თვითონ ყოველთვის მპოულობს, როცა ვჭირდები, მაგრამ, აბა, ჩემს თხოვნას თუ შეასრულებს წესიერად. ხომ იცის, რომ პასუხს ამ საღამოსვე ველი, რომ ვღე-ლავ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თავის საქმეზეა წასული და მე აღარც ვახსოვარ.

- იქნებ შეაყოვნეს?

- უთხარით, პუნში მოგვიტანონ.

- კიდევ უფრო ცუდად გახდებით, - უთხრა ნანინმა, - მით უკეთესი, ხილი, ღვეზელი ან ერთი ნაჭერი ქათამიც მომიტანეთ, რაც გინდათ, სულერთია, ოღონდ, რაც შეიძლება, მალე. მშია.

მგონი არ არის საჭირო, გითხრათ, რა შთაბეჭდილება მოახდინა ამ სცენამ ჩემზე. თქვენ თვითონაც ხომ მიხვდებით?

- ჩემთან ერთად ივახშმებთ, - მომმართა მე, - მანამდე კი აი, წიგნი აიღეთ, მე ერთი წუთით საპირფარეშოში გავალ.

სანთლები აანთო, საწოლთან რომ კარი იყო, გამოაღო და გაუჩინარდა. დავფიქრდი ამ ქალიშვილის ცხოვრებაზე და სიბრალულმა სიყვარულის ცეცხლი კიდევ უფრო მომიმატა. ფიქრში გართული ფართო ნაბიჯებით ბოლთას ვცემდი ოთახში, როცა პრიუდანსი შემოვიდა.

- თქვენ აქ? - მკითხა მან, - მარგარიტა სადღაა?

- საპირფარეშოში.

- დაველოდები. იცით, მომხიბვლელიაო, თქვენზე მითხრა.

- არ ვიცოდი.

- თქვენთვის არაფერი უთქვამს?

- არა, არაფერი.

- აქ როგორ აღმოჩნდით?

- სტუმრად მოვედი.

- შუაღამისას?

- რატომაც არა.

- რა ხუმარა ხართ!

- ძალიან ცუდად მიმიღო.

- უკეთ მიგიღებთ.

- ასე გგონიათ?

- კარგი ამბავი მოვუტანე.

- ე.ი. გელაპარაკათ ჩემზე?

- გუშინ საღამოს, უფრო სწორად, წუხელ, როცა თქვენს მეგობართან ერთად წახვედით. ჰო, სხვათა შორის, როგორაა თქვენი მეგობარი? ეს გასტონ რ . . . მგონი ასე ჰქვია, არა?

- დიახ, - ვუპასუხე და ღიმილი ვერ შევიკავე, როცა გა-მახსენდა, რა გამანდო გასტონმა. არადა, როგორც აღმოჩნდა, პრიუდანსს მისი სახელიც კი ბუნდოვნად ახსოვდა.

- თავაზიანი ყმაწვილია, რას საქმიანობს?

- წელიწადში 25 ათასი ფრანკის რენტა აქვს.

- ოჰ, მართლა! მოდით, თქვენს ამბავს დავუბრუნდეთ. მარგარიტამ უამრავი შეკითხვა დამისვა, უნდოდა, გაეგო, ვინ ხართ, რას წარმოადგენთ, როგორი საყვარლები გყავდათ, მოკლედ, ყველაფერი, რაც თქვენი ხნის კაცზე შეიძლება იკითხოს ქალმა. რაც ვიცოდი, ვუამბე და ისიც დავუმატე, მომხიბვლელი ყმაწვილია-მეთქი, სულ ეს იყო.

- მადლობელი ვარ. ახლა მითხარით, რა დაგავალათ გუშინ?

- არაფერი. მაგ გრაფის მოშორება უნდოდა და იმიტომ მითხრა. აი, დღეს კი ნამდვილად დამავალა რაღაც და საღამოს პასუხიც მოვუტანე.

ამ დროს მარგარიტა საპირფარეშოდან გამოვიდა, თავზე მშვე-ნიერი ყვითელი ბაფთებითმორთული ჩაჩი ეხურა. საოცრად მომხიბვლელი იყო, შიშველი ფეხები ატლასის ქოშებში წაეყო და ფრჩხილების მოვლას ამთავრებდა.

- ოჰ, - დაინახა თუ არა, მაშინვე ჰკითხა პრიუდანსს, - ჰერცოგი ნახეთ?

- აბა, რა.

- რა გითხრათ?

- რაღაც მომცა.

- რამდენი?

- 6 ათასი.

- თან გაქვთ?

- დიახ.

- უკმაყოფილო სახე ჰქონდა?

- არა.

- საწყალი კაცი!

ვერაფრით გადმოგცემთ, ეს ,,საწყალი კაცი‘‘ როგორ თქვა. მარგარიტამ ექვსი ათასფრანკიანი ბილეთი აიღო.

- სწორედ რომ დროც იყო, - თქვა მან, - ჩემო ძვირფასო პრიუდანს, ფული გჭირდებათ?

- თქვენ ხომ იცით, ჩემო პატარავ, რომ ორ დრეში, 15 რიცხვი მოდის, ერთ სამას-ოთხას ფრანკს თუ მასესხებთ, დიდ სამსახურს გამიწევთ.

- დილით ვინმე გამოგზავნეთ, ახლა რაღა დროს დახურდა-ვებაა.

- არ დაგავიწყდეთ.

- დამშვიდდით. ივახშმებთ ჩვენთან ერთად?

- არა, შინ შარლი მელოდება.

- ისევ გიჟდებით მასზე?

- ვაფრენ, ძვირფასო, ხვალამდე. ნახვამდის, არმან.

ქალბატონი დიუვერნუა წავიდა. მარგარიტამ მაგიდის უჯრა გამოაღო და შიგნით ბანკის ექვსი ბილეთი ჩააგდო.

- ნებას დამრთავთ, წამოვწვე? - მკითხა ღიმილით და საწოლისკენ გაემართა.

- არათუ ნებას დაგრთავთ, პირიქით, გთხოვთ.

ლოგინს გადასაფარებელი გადააძრო და წამოწვა.

- ახლა კი, - მითხრა მან, - გვერდით მომიჯექით და ვისაუბროთ.

პრიუდანსი მართალი იყო, მისმა მოტანილმა პასუხმა მარგარიტა მართლა გაახარა.

- ხომ მაპატიებთ, დღეს საღამოს რაღაც ხასიათზე ვერ ვარ, - მითხრა და ხელი გამომიწოდა.

- რასაც გინდათ, იმას გაპატიებთ.

- გიყვარვართ?

- სიგიჟემდე.

- ჩემი საშინელი ხასიათის მიუხედავად?

- ყველაფრის მიუხედავად.

- დაიფიცებთ?

- დიახ, - ვუთხარი ჩუმად.

ნანინი შემოვიდა. შემოიტანა თეფშები, ცივად მოხარშული დედალი, ერთი ბოთლი ბორდო, მარწყვი და ერთი წყვილი დანა-ჩანგალი.

- პუნში არ გაგიკეთეთ, - მიმართა მარგარიტას, - თქვენთვის ბორდო აჯობებს, ხომ მართალი ვარ, ბატონო?

- რა თქმა უნდა, - ვუპასუხე მე.

ჯერ კიდევ აღელვებული ვიყავი მარგარიტას ბოლო სიტყვებით და მას წამონთებული თვალებით შევხედე.

- კარგი, - დაგვთანხმდა იგი, - ყველაფერი პატარა მაგიდაზე დადგი და საწოლთან მოგვიწიე, თვითონ მოვემსახურებით თავს. სამი ღამეა, არ დაგისვენია, ალბათ ერთი სული გაქვს, როდის დაიძინებ. წადი, დაწექი, აღარ მჭირდები.

- ორი საკეტით ჩავკეტო კარი?

- მასე აჯობებს და თან აუცილებლად გააფრთხილე, ხვალ შუადღემდე არავინ შემოუშვან.

XII

დილის ხუთ საათზე, როცა მზის შუქი უკვე შემოიჭრა ფანჯრებში, მარგარიტამ მითხრა: - მაპატიე, მაგრამ უნდა გაგიშვა, ჰერცოგი მოდის ყოველ დილით. როცა მოვა, უპასუხებენ, ძინავსო და ალბათ ჩემს გაღვიძებას დაუცდის.

მარგარიტას გაწეწილი თავი ხელებში მოვიქციე, უკანასკნელად ვაკოცე და ვკითხე: - როდის გნახავ?

- მომისმინე, - მიპასუხა მან, - აიღე ოქროს პატარა გასაღები, ბუხარზე რომ დევს და კარი გააღე, გასაღები დამიტოვე და წადი. დღის განმავლობაში მიიღებ წერილსაც და მითითებებსაც, ხომ გახსოვს, უსიტყვოდ უნდა დამემორჩილო.

- ჰო, მაგრამ რაღაც მინდა გთხოვო.

- მაინც რა?

- გასაღები დამიტოვე.

- არავისთვის არ გამიკეთებია, რასაც შენ მთხოვ.

- ჰოდა, ჩემთვის გააკეთე, გეფიცები, მე სხვებივით არ მიყვარხარ.

- კარგი, დაიტოვე, მაგრამ გაფრთხილებ, შემიძლია ისეც მოვახერხო, რომ ეგ გასაღები ვერაფერში გამოიყენო.

- როგორ?

- კარს სხვა საკეტებიც აქვს.

- ბოროტო!

- მოვახსნევინებ.

- ესე იგი, ოდნავ მაინც გიყვარვარ?

- არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ მგონი კი. ახლა წადი, თვალები მეხუჭება.

ცოტა ხნით კვლავ ჩავეხვიეთ ერთმანეთს, მერე მე წამოვედი. კაციშვილის ჭაჭანება არ იყო, ვეებერთელა ქალაქს ჯერ კიდევ ეძინა. სასიამოვნო სიგრილე ტრიალებდა ქუჩებში, რამდენიმე საათიც და მათ ადამიანთა ხმები აავსებდა.

მეჩვენებოდა, თითქოს ჩემი იყო ეს მძინარე ქალაქი. ვიხსენებდი იმ ადამიანთა სახელებს, რომელთა ბედნიერებაც ადრე მშურდა და ერთიც ვერ გავიხსენე, ვისზეც ახლა ვიტყოდი, ჩემზე ბედნიერია-მეთქი.

უყვარდე ახალგაზრდა უბიწო ქალიშვილს, პირველად აზიარო იგი სიყვარულის საიდუმლოებას, რასაკვირველია, დიდი ბედნიე-რებაა. თუმცა ამაზე იოლი რაღა უნდა იყოს ქვეყნად. დაიპყრო გული, რომელიც არ არის ჩვეული თავდასხმებს, ეს იგივეა, უგალავნო და უგარნიზონო ქალაქი აიღო. აღზრდა, მოვალეობის გრძნობა და ოჯახი ძალიან ძლიერი გუშაგები არიან, მაგრამ არ არსებობს ისეთი ფხიზელი დარაჯი, რომელსაც თექვსმეტი წლის გოგო ვერ მოატყუებს. გოგო, რომელსაც მასზე შეყვარებული მამაკაცის პირით, თვითონ ბუნება აძლევს პირველ სასიყვარულო რჩევებს და რაც უფრო მხურვალეა ეს რჩევა, მით უფრო უმანკოა იგი.

ახალგაზრდა ქალიშვილს, რაც უფრო მეტად სჯერა სიკეთის, მით უფრო იოლად ნებდება თუ საყვარელს არა, სიყვარულს მა-ინც, რადგან რაც უფრო გულუბრყვილოა, წინააღმდეგობას მით ნაკლები ძალა აქვს და მისთვის თავის შეყვარება ყველა ოცდახუთი წლის მამაკაცს შეუძლია, თუკი მოისურვებს. ეს სრული ჭეშმარიტებაა. ნახეთ, ზედამხედველები კვალდაკვალ როგორ დაყვებიან ახალგაზრდა გოგოებს და ხანდახან გამოკეტავენ კიდეც! მაგრამ მონასტრებს არც ისე მაღალი კედლები აქვთ, დედებს არც ისე მტკიცე საკეტები, რელიგიას არც ისე მკაცრი განაწესი, რომ გალიაში ჩარაზონ ყველა ეს მშვენიერი ჩიტი. მათ უნდა სძულდეთ ეს ქვეყანა, რომელსაც უმალავენ. უნდა იფიქრონ, ცდუნებითაა სავსეო, უნდა გაჰყვნენ პირველსავე ხმას, რიკულებს იქიდან რომ გაისმება და ათას საიდუმლოს გაუმხელს მათ. დალოცონ პირველივე ხელი, რომელიც ასწევს საიდუმლოებით მოცული რიდის კიდეს.

მაგრამ თუ კურტიზანს მართლა შეაყვარე თავი, ო, ეს გაცილებით რთული გამარჯვებაა. მათ სული მიქანცული აქვთ, გული ვნებებმა ჩაუფერფლათ, გარყვნილებამ აბჯარი აასხა გრძნობებს. დიდი ხანია, ყველა სიტყვა იციან, რომელსაც ეუბნებიან ხოლმე, ზედმიწევნით იცნობენ ყველა ხერხს, რომელსაც მათთან იყენებენ. სიყვარული შთაგონება კი აღარ არის მათთვის, მოვალეობაა. მათ გატაცების გამო კი არ უყვართ, არამედ, უბრალოდ, ხელობა აქვთ ასეთი. ამ ქალებს საკუთარი ანგარება უკეთ იცავს, ვიდრე რომელიმე ქალწულს დედა და მონასტერი დაიცავდა. სწორედ ამიტომ გამოიგონეს სიტყვა „კაპრიზი“. ასე უანგარო სიყვარულს ეძახიან, რომელსაც დროგამოშვებით ეძლევიან ხოლმე, როგორც გამონაკლისს, თითქოს ისვენებენ და თავს იმშვიდებენო. იმ მევახშეებს ჰგვანან, ათასობით ადამიანს რომ ძარცვავენ და ჰგონიათ, ცოდვები მიეტევებათ, თუ ერთ დღეს რომელიმე შიმშილისაგან სიკვდილის პირზე მისულ მათხოვარს ოც ფრანკს მისცემენ და არც თავანსა და არც სარგებელს არ მოსთხოვენ.

გარდა ამისა, როცა უფალი სიყვარულს უწყალობებს კურ-ტიზანს, ეს სიყვარული, თავიდან შენდობას რომ ჰგავს, ბოლოს თითქმის ყოველთვის სასჯელად იქცევა ხოლმე. შენდობას ცოდვების გამოსყიდვის გარეშე ვერ მიიღებ. თუ ამგვარი წარსულის ქალმა მოინანია და ღრმა, გულწრფელი, დაუძლეველი სიყვარული განიცადა, რასაც მანამდე ვერასოდეს წარმოიდგენდა, საკმარისია, გამოტყდეს ამ სიყვარულში და მამაკაცი ერთიანად გაბატონდება მასზე! იგი ძლიერად გრძნობს თავს იმ სასტიკი უფლების ძალით, რომლითაც შეუძლია, ქალს უთხრას: სიყვარულისთვის იმაზე მეტს არაფერს აკეთებ, რაც ფულის გულისთვის არ გაგიკეთებიაო.

და ქალებმა აღარ იციან, რა უპასუხონ. ერთი ბიჭი, როგორც იგავი ამბობს, დიდხანს ერთობოდა მინდორში, გლეხების შესაშინებლად ყვიროდა, მიშველეთ, მგელი, მგელიო, და ერთ მშვენიერ დღეს დათვმა შეჭამა, რადგან ხალხმა, რომელსაც ასე ხშირად ატყუებდა, მის ნამდვილ ყვირილს აღარ დაუჯერა. ამ საბრალო ქალიშვილებსაც ასე მოსდით. როცა მთელი გულით შეუყვარდებათ, იმდენჯერ ცრუობენ, რომ მათი აღარავის სჯერა. მათ მონანიება და სიყვარული ღუპავთ.

აი, აქედან მოდის ის გადამეტებული ერთგულება და კარჩაკეტილობა, ზოგიერთებს რომ ახასიათებთ.

მაგრამ როცა მამაკაცს უსაზღვროდ უყვარს და თან იმდენად კეთილშობილი სულის პატრონია, რომ საყვარელს არასოდეს წამოაყვედრის წარსულს, როცა დაეუფლება მას, ერთი სიტყვით, როცა ისევე შეიყვარებს, როგორც ქალს უყვარს იგი, ასეთი კაცი განიცდის ყველა ამქვეყნიურ სიამოვნებას და სხვა ვეღარავინ გაიდგამს მის გულში ფესვებს.

იმ დილით შინ რომ ვბრუნდებოდი, ეს ფიქრები როდი მაწუხებდა. მხოლოდ ბუნდოვნად თუ წარმომედგინა, რას მიმზადებდა მომავალი და თუმცა მიყვარდა მარგარიტა, მსგავსი აზრები მაინც არ მომსვლია თავში. დღეს კი მომდის, დღეს, როცა ყველაფერი საბოლოოდ დასრულდა, ისინი, წარსულის დასკვნები, თავისთავად წამომეშლებიან ხოლმე.

მაგრამ მოდით, ამ ურთიერთობის პირველ დღეს მივუბრუნდეთ. შინ მისული სიხარულისგან ფეხზე ძლივს ვიდექი, როცა ვფიქრობდი, ჩემსა და მარგარიტას შორის ჩემი წარმოსახვით ბარიერები უჩინარდება, უკვე დავეუფლე მას, კუთვნილი ადგილი მიჭირავს მის გონებაში, ჯიბეში მისი ბინის გასაღები მიდევს, რომლის გამოყენების უფლებაც მაქვს-მეთქი, ძალიან კმაყოფილი ვიყავი ცხოვრებით, საკუთარი თავით ვამაყობდი და ღმერთს მადლობას ვწირავდი წყალობისთვის.

ერთ დღეს ქუჩაში ვიღაც ყმაწვილი კაცი მიდის, ვიღაც ქალს ხვდება, აკვირდება, ბრუნდება და გზას აგრძელებს. ამ ქალს, კაცი მას არ იცნობს, თავისი სიხარული აქვს, თავისი ტკივილი, სიყვარულიც, რომელშიც თავად არავითარ მონაწილეობას არ იღებს, მამაკაცი არ არსებობს მისთვის, რომც გამოლაპარაკებოდა, ალბათ ის ქალიც ისევე დასცინდებდა მას, როგორც მარგარიტამ - მე.

გადის კვირები, თვეები, წლები და უეცრად, მაშინ როცა ორივე თავის გზას მიუყვება, მოვლენათა უცნაური ლოგიკის ძალით, ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდებიან. ქალი კაცის საყვარელი ხდება და მთელი გულით უყვარს იგი. როგორ? რატომ? ორი

ცხოვრება გაერთიანდა, სულ ახლახან წარმოიშვა მათი სიახლოვე, არადა, უკვე ეჩვენებათ, მუდამ ასე იყოო. საყვარლები წარსულის ყველა მოგონებას ივიწყებენ. უნდა ვაღიაროთ, უცნაური ამბავია.

რაც შემეხება მე, არც მახსოვდა, როგორ ვცხოვრობდი გუ-შინდლამდე. განუზომელი სიხარულით მევსებოდა სული, როცა სიყვარულის პირველ ღამეს ნათქვამ სიტყვებს ვიგონებდი. ან მარგარიტა მეტისმეტად მიეჩვია ტყუილს, ან მართლა განიცდიდა უსაზღვრო ვნებას, რომელიც პირველივე კოცნასთან ერთად მოდის და ზოგჯერ ისევე კვდება, როგორც იბადება ხოლმე.

რაც მეტს ვფიქრობდი, მით მეტად ვირწმუნებდი თავს, მარგარიტას მართლა ვუყვარვარ, თორემ თვალთმაქცობა, აბა, რაში სჭირდება-მეთქი. ვამბობდი, რომ ქალებს ორგვარი სიყვარული შეუძლიათ და რომ ისინი ერთმანეთისგანაც შეიძლება გამომდინარეობდეს: მათ ან გულით უყვართ ან სხეულით. ხშირად ქალი საყვარელს მხოლოდ ხორციელი სურვილის დასაკმაყოფილებად იჩენს და მერე, როცა უეცრად შეიცნობს სულიერი სიყვარულის საიდუმლოებას, მერე მხოლოდ საკუთარი გულის კარნახს მიყვება. ხშირად ყმაწვილი ქალი ქორწინებაში მხოლოდ ორი ადამიანის წმინდა მისწრაფებათა შეერთებას ეძებს და მოულოდნელად აღმოაჩენს ხორციელ ტრფობას, ყველაზე უმანკო სულიერი განცდების ამ ძლევამოსილ შედეგს.

ამ ფიქრებში ჩამეძინა. მარგარიტას წერილმა გამაღვიძა, სულ რამდენიმე სიტყვა ეწერა: „აი, ჩემი მითითებები: დღეს საღამოს „ვოდევილში“ მოდით, მესამე ანტრაქტის დროს. მ.გ.“

ბარათი უჯრაში ჩავდე, რომ ეჭვიანობის დროს, ხანგამოშვებით რომ შემომიტევდა ხოლმე, დასამშვიდებელი საბუთი მქონოდა.

დღისით იგი თავისთან არ მიხმობდა, მისვლაც ვერ გავბედე, მაგრამ საღამომდე ისე ძლიერ მომინდა მისი ნახვა, გადავწყვიტე, ელისეს მინდვრებზე გამესეირნა. წინა დღის მსგავსად, დავინახე, როგორ ჩამიარა გვერდით.

შვიდზე უკვე ვოდევილში ვიყავი.

ასე ადრე თეატრში არასდროს მივსულვარ.

ყველა ლოჟა ერთი-მეორეს მიყოლებით ივსებოდა, მხოლოდ ბენუარის ლოჟა რჩებოდა თავისუფალი.

მესამე მოქმედება დაიწყო თუ არა, გავიგონე, როგორ გაიღო ამ ლოჟის კარი, რომელსაც თვალს არ ვაშორებდი. გამოჩნდა მარგარიტა.

მაშინვე წინ წამოვიდა, გადმოიხედა პარტერში, დამინახა და მზერით გადამიხადა მადლობა.

საოცრად მშვენიერი იყო იმ საღამოს.

იქნებ მე ვიყავი ამ კეკლუცობის მიზეზი? იქნებ იმდენად ვუყვარდი, ფიქრობდა, რაც უფრო მეტად მოვეწონები, მით უფრო ბედნიერად იგრძნობს თავსო. არაფერი აღარ გამეგებოდა, მაგრამ თუ ამას ისახავდა მიზნად, მაშინ ნამდვილად მიაღწია სასურველ შედეგს, რადგან, როგორც კი შემოვიდა, დარბაზში ისეთი ჩურჩული ატყდა, რომ

სცენაზე მყოფმა მსახიობმაც კი გახედა მას, ვისი ერთი გამოჩენაც საკმარისი აღმოჩნდა, მაყურებელთა გონება დაეპყრო.

და მე ჯიბეში ამ ქალის ბინის გასაღები მედო, სამი-ოთხი საათის შემდეგ კი იგი კვლავ ჩემი გახდებოდა.

ადამიანები კიცხავენ მათ, ვინც მსახიობებსა და ხარჭებს ფეხქვეშ გაუგებს ხოლმე მთელ ქონებას. მე ის მიკვირს, ეს ხალხი ასჯერ უფრო მეტ სისულელეს რატომ არ ჩადის.

შემდეგ პრიუდანსიც შევიდა ლოჟაში, სულ ბოლოს კი მამაკაცმა, რომელიც მე გრაფ დე გ . . . - დ შევიცანი, დაიკავა თავისი კუთვნილი ადგილი.

ამის დანახვაზე სიცივემ დამიარა ტანში.

მარგარიტამ ალბათ შეამჩნია, რა შთაბეჭდილებაც მოახდინა ჩემზე ლოჟაში კაცის ყოფნამ, რადგან ხელახლა გამიღიმა, ზურგი შეაქცია გრაფს და მთელი ყურადღება პიესაზე გადაიტანა. მესამე ანტრაქტის დროს მიტრიალდა და რაღაც უთხრა გვერდით მყოფებს. გრაფმა დატოვა ლოჟა. მარგარიტამ მანიშნა, ჩემს სანახავად ამოდიო.

- საღამო მშვიდობისა, - მითხრა შესვლისთანავე და ხელი გამომიწოდა.

- საღამო მშვიდობისა, - მივმართე ორივეს, მარგარიტასაც და პრიუდანსსაც.

- დაბრძანდით.

- კი მაგრამ, ეს ადგილი რომ სხვას ეკუთვნის, ბატონი გრაფი დე გ . . . აღარ დაბრუნდება?

- დაბრუნდება, კანფეტების საყიდლად გავგზავნე, ცოტა ხანს მარტო რომ მოგვეხერხებინა ლაპარაკი. ქალბატონმა დიუვერნუამ იცის ჩვენი ამბავი.

- ნამდვილად, ჩემო ბავშვებო, - თქვა მან, - მშვიდად იყავით, არავის არაფერს გავუმხელ.

- რა მოგვიდათ დღეს საღამოს? - მკითხა მარგარიტამ, ფეხზე წამოდგა და ლოჟის სიღრმეში შემოვიდა, რომ ჩემთვის შუბლზე ეკოცნა.

- ცოტა შეუძლოდ ვარ.

- ლოგინში უნდა დაწვეთ, - შემესიტყვა ირონიულად, რაც ძალიან მოუხდა მის ეშმაკურ, მაგრამ გონიერ სახეს.

- სად?

- თქვენთან, სახლში.

- მშვენივრად მოგეხსენებათ, ვერ დავიძინებ.

- კი მაგრამ, ხომ არ შეიძლება ასეთი უკმაყოფილო გამომეტყველება მიიღოთ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემს ლოჟაში მამაკაცს მოჰკარით თვალი?

- არა, მაგიტომ არა.

- ვშიშობ, რომ სწორედ მაგიტომ და თქვენ ცდებით, მაგრამ მოვრჩეთ ამაზე.

სპექტაკლის შემდეგ პრიუდანსთან მიდით და იქ დამელოდეთ, სანამ თვითონ არ დაგიძახებთ, გესმით?

- დიახ.

ნუთუ შემეძლო არ დავმორჩილებოდი?

- ისევ გიყვარვართ? - მკითხა მან.

- მეკითხებით კიდეც!

- ფიქრობდით ჩემზე?

- მთელი დღე.

- იცით, რომ მეშინია, არ შემიყვარდეთ. პრიუდანსს ჰკითხეთ, თუ გინდათ.

- ოჰ, - ამოიოხრა მსუქანმა ქალმა, - საშინელებაა.

- ახლა დაბრუნდით თქვენს ადგილას, გრაფი წუთი-წუთზე მოვა და არ არის საჭირო, აქ გნახოთ.

- რატომ?

- იმიტომ, რომ არ მოგწონთ იგი.

- უბრალოდ, ჩემთვის რომ გეთქვათ, დღეს საღამოს „ვოდევილში“ მინდა წასვლაო, მეც გამოგიგზავნიდით ლოჟის ბილეთებს.

- სამწუხაროდ, ბილეთი უთხოვნელად მომიტანა და შემომთავაზა, ერთად წავიდეთო. მშვენივრად მოგეხსენებათ, უარს ვერ ვეტყოდი. ისღა დამრჩენოდა, მომეწერა თქვენთვის, სად მივდიოდი, რომ ჩემი ნახვა მოგეხერხებინათ. თან მეც ძალიან მინდოდა, მალე მენახეთ, მაგრამ რადგან ასე მიხდით მადლობას, ეს ჩემთვის კარგი გაკვეთილი იქნება.

- დამნაშავე ვარ, მაპატიეთ.

- სხვა დროს იყოს. მშვიდად დაუბრუნდით თქვენს ადგილს და მორჩით ეჭვიანობას.

მან კიდევ ერთხელ მაკოცა და მე გამოვედი.

დერეფანში გრაფს შევეჩეხე, უკან ბრუნდებოდა.

ჩემს ადგილას დავჯექი და მარგარიტას ლოჟაში ბატონ დე გ . . . - ს ყოფნა უკვე უბრალოზე უბრალო ამბად მეჩვენებოდა. იგი ქალის საყვარელი იყო, ლოჟის ბილეთი მიუტანა, სპექტაკლზე ახლდა, - ამაზე ბუნებრივი რაღა შეიძლებოდა ყოფილიყო. ხოლო იმ წუთიდან, როცა მარგარიტასნაირი ქალი ჩემი საყვარელი გახდა, მის ჩვეულებებს უნდა შევრიგებოდი.

მაგრამ მთელი დარჩენილი საღამო მაინც უბედურად ვგრძნობდი თავს და წამოსვლითაც ძალიან დადარდიანებული წამოვედი, როგორც კი პრიუდანსი, გრაფი და მარგარიტა ეტლში ჩასხდნენ. ეტლი კართან ელოდათ. თხუთმეტ წუთში უკვე პრიუდანსთან ვიყავი. ქალს ფეხად მიესწრო ჩემთვის.

XIII

- თითქმის ჩვენთან ერთად მოხვედით, - მითხრა პრიუდანსმა.

- დიახ, - ვუპასუხე მექანიკურად, - სად არის მარგარიტა?

- თავისთან.

- მარტო?

- ბატონ დე გ . . . ახლავს.

სასტუმრო ოთახში ბოლთის ცემას მოვყევი.

- კარგით ერთი, რა გჭირთ?

- თქვენ გგონიათ, ძალიან მსიამოვნებს აქ ჯდომა, სანამ ბატონი დე გ . . . მარგარიტასგან წავა?

- სულ დაკარგეთ ჭკუა, შეიგნეთ, ბოლოს და ბოლოს. მარგარიტა გრაფს გარეთ ვერ გამოაგდებს. ბატონი დე გ . . . დიდხანს იყო მის გვერდით, ფულს ყოველთვის ბევრს აძლევდა, ახლაც აძლევს. მარგარიტა ასი ათას ფრანკზე მეტს ხარჯავს წელიწადში. ჰერცოგი არაფერს დაიშურებს, ოღონდ მარგარიტამ სთხოვოს, მაგრამ თვითონ არ სურს, პირველივე ახალი საჭიროების თანავე ფული მას გამოართვას. აბა, გრაფს რატომ უნდა წაეჩხუბოს, იგი ხომ, სულ ცოტა, 12 ათას ფრანკს აძლევს წელიწადში. მარგარიტას ძალიან უყვარხართ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, მაგრამ თქვენს კავშირს, ეს მის ინტერესებშიცაა და თქვენსაშიც, სერიოზული ხასიათი არ უნდა მისცეთ. თქვენი 7 - 8 ათასი ფრანკი ამ ქალიშვილის ფუფუნებას ვერ უზრუნველყოფს, მისი ეტლის ხარჯებსაც ვერ გაისტუმრებს. მიიღეთ მარგარიტა ისეთი, როგორიც სინამდვილეშია, მშვენიერი, ლამაზი და გონიერი გოგო. იყავით მისი საყვარელი ერთი, დიდი-დიდი, ორი თვის განმავლობაში. მიუძღვენით თაიგულები, კანფეტები, ლოჟის ბილეთები, მაგრამ ამაზე მეტს გულშიც ნუ გაივლებთ და ეჭვიანობის ამ სასაცილო სცენებსაც ნუ უწყობთ. მშვენივრად იცით, ვისთანაც გაქვთ საქმე. მარგარიტა სულაც არ გახლავთ ხორცშესხმული სათნოება. მას მოსწონხართ, თქვენ გიყვართ იგი, დანარჩენზე ნუღარ ინაღვლებთ. მე მხიბლავს თქვენი მგრძნობიარე ხასიათი! მთელ პარიზში საუკეთესო საყვარელი გყავთ! იგი ბრწყინვალე ბინაში გიღებთ, ერთიანად მარგალიტებშია ჩაფლული და ეს სიამოვნება, თუ მოისურვებთ, ერთი სუც არ დაგიჯდებათ, თქვენ კი მაინც უკმაყოფილო ხართ. დალახვროს ეშმაკმა! მეტისმეტს ითხოვთ.

- მართალი ხართ, მაგრამ ეს რაღაც ჩემზე ძლიერია. ჭკუიდან მშლის აზრი, რომ ის კაცი მისი საყვარელია.

- ჯერ ერთი, - გამაწყვეტინა პრიუდანსმა, - უნდა გაიგოთ, ისევ არის კი გრაფი მისი საყვარელი? ეგ კაცი ქალს მხოლოდ სჭირდება, ეს არის და ეს. ორი დღეა, ქალი კარს

არ უღებს. დღეს დილითაც მოვიდა, მარგარიტას არჩევანი აღარ ჰქონდა, ლოჟის ბილეთიც მიიღო და გაცილებაზეც დათანხმდა. გრაფმა შინაც მოაცილა, ცოტა ხნით ესტუმრა, მაგრამ დიდხანს არ დარჩება, რადგან თქვენ უცდით აქ. მგონი ეს ყველაფერი სრულიად ბუნებრივია. გარდა ამისა, ჰერცოგის არსებობას ხომ შეურიგდით?

- დიახ, მაგრამ ის მოხუცია და დარწმუნებული ვარ, მარგარიტა მისი საყვარელი არ არის. თან ხომ შეიძლება, დათანხმდე ურთიერთობას ერთთან და არა ორთან. ასეთი მოთმინება ძალიან ჰგავს ანგარებას და მამაკაცს, რომელიც ამაზე, თუნდაც სიყვარულის გამო, თანხმდება, აახლოებს მათთან ვინც ამ თანხმობით ხელობას იჩენს და მერე ამ ხელობით მოგებასაც ნახულობს.

- ეჰ, ჩემო ძვირფასო, როგორ ჩამორჩით დროს! რამდენი მინა-ხავს ძალიან დიდგვაროვანი, ძალიან მომხიბვლელი, ძალიან მდიდარი, რომელიც იმას აკეთებდა, რასაც ახლა მე თქვენ გირჩევთ, აკეთებდა ძალდაუტანებლად, სინდისის ქენჯნისა და მორცხვობის გარეშე! კი, მაგრამ სხვანაირად როგორ უნდა გაიტანონ თავი პარიზელმა ხარჭებმა, ერთდროულად სამი-ოთხი საყვარელი თუ არ ეყოლებათ? არ არსებობს ქონება, რაგინდ განუზომელიც უნდა იყოს იგი, რომ მარტო აუვიდეს მარგარიტასნაირი ქალის ხარჯებს. 500 ათასი ფრანკი წლიური შემოსავალი საფრანგეთში უზარმაზარ ქონებად ითვლება, მაგრამ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ეს 500 ათასი ფრანკიც არ არის საკმარისი და აი, რატომ. ამხელა შეძლების კაცს აქვს საკუთარი სახლი, ცხენები, მოსამსახურეები, ეტლები, ჰყავს მეგობრები, ხშირად ცოლ-შვილიც, ნადირობს, მონაწილეობს დოღში, თამაშობს, მოგზაურობს და ა.შ. ყველა ეს ჩვეულება ისე აქვს გამჯდარი, რომ როგორც კი მიატოვებს, გაკოტრდაო, გა-მოაცხადებენ და სკანდალს ვერ გადაურჩება. როგორც არ უნდა დავთვალოთ, 500 ათასი ფრანკიდან ქალს წელიწადში 40 - 50 ათასზე მეტს ვერ მისცემს. ესეც ბევრია. ჰოდა, სხვა საყვარლები ავსებენ ქალის წლიურ შემოსავალს. მარგარიტას ძალიან გაუმართლა, პირდაპირ ღვთის წყალობა ერგო. ათი მილიონის მქონე მოხუცი შეხვდა, რომელსაც ცოლიც და შვილიც გარდაეცვალა და დარჩა მხოლოდ ისეც მდიდარი დისწულები. მარგარიტას არ უნდა, 70 ათას ფრანკზე მეტი გამოართვას. დარწმუნებული ვარ, რომც სთხოვოს, მიუხედავად იმისა, რომ ქალი უყვარს და ქონებაც მოსდევს, მაინც უარს ეტყვის. ყველა ყმაწვილ კაცს, რომელიც პარიზში ცხოვრობს და წელიწადში 20 - 30 ათასი ლივრი აქვს, ე.ი. იმდენი, მაღალ საზოგადოებაში ვაი-ვაგლახით რომ გაიტანს თავს, გადასარევად მოეხსენება, როცა მარგარიტასნაირი ქალის საყვარელი ხდება, რომ მხოლოდ მისი გადახდილი ფული ბინასა და მოსამსახურეებსაც არ ეყოფა. ასეთი კაცები ხმამაღლა არ ამბობენ, რომ იციან ეს, თავი ისე უჭირავთ, თითქოს ვერაფერს ვხედავთო, ხოლო როცა ქალი ბეზრდებათ, ტოვებენ. თუ ყველაფრის საკუთარ თავზე აღებას მოისურვებენ, სულელები-ვით კოტრდებიან. ჯერ პარიზში ასი ათას ფრანკს იღებენ ვალად და მერე აფრიკაში მიდიან სასიკვდილოდ. თქვენ გგონიათ, ქალი ასეთი კაცის მადლიერია? არა და არა, პირიქით, ამბობს, ჩემი მდგომარეობა მას შევწირე მსხვერპლად და ერთად ცხოვრების დროს საკუთარ ფულს ვხარჯავდიო. ეჰ! იტყვით, სამარცხვინო წვრილმანებიაო, ასე არ არის? მაგრამ სიმართლეა, თქვენ მშვენიერი ვაჟი ხართ და სულითა და გულით მიყვარხართ. ოცი წელია, ხარჭებს შორის ვცხოვრობ. ვიცი, სინამდვილეში ვინც არიან და რა ფასიც ადევთ და სულაც არ მინდა, ლამაზი ქალიშვილის კაპრიზს სერიოზულად მოეკიდოთ.

- გარდა ამისა, დავუშვათ, - განაგრძო პრიუდანსმა, - მარგარიტას ისე უყვარხართ, რომ უარს ეტყვის გრაფსაც და ჰერცოგსაც. ამ შემთხვევაში, თუ ჰერცოგი შეიტყობს თქვენი ურთიერთობის ამბავს და შესთავაზებს ქალს, აირჩიე ან მე ან ისო? მაშინ მსხვერპლი, რომელსაც იგი თქვენთვის გაიღებს, ჭეშმარიტად უზარმაზარი იქნება.

თქვენ რას შესწირავთ სამაგიეროდ? როცა მოგყირჭდებათ, ბოლოს როცა მასთან ყოფნა მოგბეზრდებათ, რით აუნაზღაურებთ იმას, რაც მან დაკარგა? ვერაფრით, თქვენ ჩამოაშორებთ იმ წრეს, რომელსაც უკავშირდება მისი კეთილდღეობაცა და მომავალიც. იგი საუკეთესო წლებს თქვენ შემოგწირავთ, სამაგიეროდ კი დავიწყება არ ასცდება. თუ ჩვეულებრივი კაცი აღმოჩნდებით, წამოაყვედრებთ წარსულს და ეტყვით, უნდა მიგატოვოთ და ისეთს არაფერს ვაკეთებ, რაც თქვენს სხვა საყვარლებს არ გაუკეთებიათო. ამით გარდაუვალი სიღატაკისთვის გაწირავთ მას. თუ პატიოსანი კაცი აღმოჩნდებით და თქვენს მოვალეობად ჩათვლით მის შენარჩუნებას, მაშინ საკუთარ თავს გაიუბედურებთ, რადგან ასეთი ურთიერთობა ახალგაზრდა ვაჟს კი მიეტევება, მაგრამ მოწიფულ კაცს - არასოდეს. იგი ყველაფერში ხელს შეგიშლით, ვერც ოჯახს გაიჩენთ, ვერც კარიერას აიწყობთ - მამაკაცის ამ მეორე და უკანასკნელ სიყვარულს. დამიჯერეთ, ჩემო მეგობარო და სწორად შეაფასეთ საგნებიცა და ქალებიც და, ასე იქნება თუ ისე, ნუ აიძულებთ ხარჯას, თავი თქვენს მოვალედ ჩათვალოს!

ეს იყო ნამდვილად ბრძნული და ლოგიკურად გამართული მონოლოგი. არ მეგონა, პრიუდანსს ამდენის გააზრების უნარი თუ ჰქონდა. რაღა უნდა მეპასუხა, სიმართლე მის მხარეზე იყო. ხელი გავუწოდე და რჩევისთვის მადლობა გადავუხადე.

- აბა, აბა, - მითხრა მან, - მოიშორეთ, ეს უსარგებლო თეორიები და გაიცინეთ, ცხოვრება მშვენიერია, ჩემო ძვირფასო, ოღონდ გააჩნია, რომელი კუთხიდან შეხედავთ მას. მოდით, თქვენს მეგობარ გასტონს ჰკითხეთ რჩევა, მგონი, მასაც ჩემსავით ესმის სიყვარული. ყველაფერი კარგად დაიმახსოვრეთ, თორემ აუტანელ ადამიანად გადაიქცევით. აქვე, ორ ნაბიჯში არის მშვენიერი ქალიშვილი, რომელსაც ერთი სული აქვს, როდის ადგება და წავა ის კაცი, ახლა რომ წინ უზის. ის ქალიშვილი ფიქრობს თქვენზე, თქვენ შემოგწირავთ მომავალ ღამეს და, დარწმუნებული ვარ, უყვარხართ. ახლა მოდით ფანჯარასთან, გვერდით მომიდექით და ერთად დავინახავთ, როგორ გაემგზავრება გრაფი და ადგილს თქვენ დაგითმობთ.

პრიუდანსმა გააღო ფანჯარა. ჩვენ გვერდი-გვერდ დავეყრდენით რაფას, ქალი შეგვიანებულ გამვლელებს აყოლებდა თვალს, მე ოცნებამ გამიტაცა. მისი ნათქვამი თავიდან არ მშორდებოდა და არ შემეძლო, არ მეღიარებინა, ყველაფერში მართალია-მეთქი. მაგრამ ის ჭეშმარიტი სიყვარული, მარგარიტას მიმართ რომ ვგრძნობდი, როდი ეწყობოდა ამ სიმართლეს. ამიტომ დროდადრო ვოხრავდი კიდეც, პრიუდანსი მომიბრუნდებოდა და პაციენტით უკმაყოფილი ექიმივით იჩეჩავდა ხოლმე მხრებს.

- რა ხანმოკლეა ჩვენი ცხოვრება, - ვფიქრობდი ჩემთვის, - სულსწრაფები ვართ და იმიტომ გვეჩვენება ასე. მხოლოდ ორი დღეა, რაც მარგარიტას ვიცნობ, წუხანდელი ღამის შემდეგ ჩემი საყვარელია და უკვე იმდენად მოიკიდა ჩემს გონებაში, გულსა და ცხოვრებაში ფეხი, რომ ამ გრაფ დე გ . . . - ს მასთან სტუმრობა დიდ უბედურებად მიმაჩნია.

როგორც იქნა, გამოვიდა გრაფი, ჩაჯდა თავის ეტლში და გაუჩინარდა. პრიუდანსმა ფანჯარა მიკეტა.

სწორედ მაშინ დაგვიძახა მარგარიტამ.

- წამოდით, მაგიდას შლიან, - გვითხრა მან, - ვივახშმოთ.

რომ შევედი, მოირბინა ჩემთან, ყელზე მომეხვია და მთელი ძალით მაკოცა.

- ისევ წარბები გვაქვს შეკრული?

- არა, გაუარა, - მიუგო პრიუდანსმა, - მორალი წავუკითხე, დამპირდა, ჭკვიანად ვიქნებიო.

- კეთილი და პატიოსანი!

ჩემდაუნებურად, საწოლისკენ გამექცა თვალი, არეული არ იყო. რაც შეეხება მარგარიტას, უკვე თეთრი პენუარი ჩაეცვა.

მაგიდას მივუსხედით.

მარგარიტა მშვენიერიც იყო, ნაზიც, გულწრფელიც და დროდადრო იძულებული ვხვდებოდი, მეღიარებინა, არავითარი უფლება არ მაქვს, მისგან ამაზე მეტი მოვითხოვო-მეთქი. რამდენი მამაკაცი ინატრებდა ჩემს ადგილზე ყოფნას და მეც, ვირგილიუსის მწყემსის მსგავსად, უნდა დავმტკბარიყავი იმ ძღვენით, რომელსაც ღმერთი, უფრო სწორად, ქალღმერთი მანიჭებდა.

ვცადე, პრიუდანსის თეორია ცხოვრებაში გამეტარებინა და ჩემს ორ თანამესუფრეს მხიარულებაში ავყოლოდი, მაგრამ რაც მათთვის ბუნებრივი იყო, მე ხელოვნურად გამომდიოდა და ჩემი ნერვული სიცილი, ქალებს თვალს რომ უბამდა, სინამდვილეში ძალიან ჰგავდა ტირილს. როგორც იქნა, ვახშამი დასრულდა და მარგარიტასთან მარტო დავრჩი. იგი ადგა, ბუხრის წინ ხალიჩაზე მოიკეცა ფეხი და სევდიანი სახით მიაჩერდა ცეცხლის ენებს.

ფიქრმა წაიღო. რაზე ფიქრობდა? არ ვიცი, სიყვარულით და ლამის შიშით შევყურებდი, ვგრძნობდი მომავალი ბევრ სატანჯველს მიმზადებდა.

- იცით, რაზე ვფიქრობ?

- არა.

- გამოსავალს მივაგენი.

- რა გამოსავალს?

- ვერ გაგიმხელთ, მხოლოდ იმას გეტყვი, რაც შედეგად მოჰყვება: ერთ თვეში თავისუფალი ვიქნები, ვალებიც აღარ მექნება და სოფელში ერთად გავატარებთ ზაფხულს.

- და საამისო გზას ვერ მეტყვით?

- ვერა, უბრალოდ, აუცილებელია, თქვენც ისე გიყვარდეთ, როგორც მე მიყვარხართ და ყველაფერი კარგად იქნება.

- მარტო მიაგენით ამ გამოსავალს?

- დიახ.

- და მარტო შეასრულებთ?

- უსიამოვნო მხარეს, კი, - მითხრა მარგარიტამ და ისე გამიღიმა, არასდროს დამავიწყდება, - შედეგით კი ორივე ვისარგებლებთ.

თავი ვერ შევიკავე და, სიტყვა „შედეგის“ გაგონებაზე, გავწითლდი. მომაგონდა მანონ ლესკო და დე გრიე ბატონ დე ბ . . . - ის ფულით რომ ცხოვრობდნენ.

ფეხზე წამოვდექი და ოდნავ უხეშად ვუპასუხე.

- ნება მიბოძეთ, ძვირფასო მარგარიტა, მხოლოდ ჩემ მიერ წამოწყებული და ბოლომდე მიყვანილი საქმის შედეგით ვისარგებლო.

- რას ნიშნავს ეს?

- ეს ნიშნავს, რომ თქვენი ბედნიერი გამოსავლის თანამო-ნაწილედ მივიჩნევ ბატონ გრაფ დე გ . . . - ს და, ამდენად, არა-ვითარი ვალდებულების აღებას ან შედეგის მიღებას არ ვაპირებ.

- ნამდვილი ბავშვი ხართ. მეგონა, გიყვარდით, თურმე ვცდებოდი. ძალიან კარგი.

და მაშინვე წამოდგა, პიანინოს სახურავი ახადა და „ლ’ინვიტატიონ ა ლა ვალსე“ - ის დაკვრა დაიწყო, სანამ იმ ცნობილ დიეზებიან პასაჟს არ მიადგა, რომელიც ყოველთვის ეშლებოდა.

ჩვევად ქცეოდა თუ ჩვენი გაცნობის პირველი დღე უნდოდა შეეხსენებინა ჩემთვის? მარტო ის ვიცი, რომ ამ მელოდიამ მოგონებები წამომიშალა, მივუახლოვდი, მისი თავი ხელებში მოვიქციე და ვაკოცე.

- მაპატიებთ? - ვკითხე.

- დიდი სიამოვნებით, - მიპასუხა მან, - მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ მხოლოდ მეორე დღეა, ერთად ვართ და მე უკვე რაღაცების პატიება მიწევს თქვენთვის. ცუდად ასრულებთ დაპირებას, ბრმად დაგემორჩილებითო.

- ნუ მიჯავრდებით, მარგარიტა, ძალიან მიყვარხართ და თქვენს ფიქრებზეც კი ვეჭვიანობ. იმან, რაც ორიოდე წუთის წინ შემომთავაზეთ, სიხარულით ამავსო, მაგრამ საიდუმლო, რომელიც ამ საქმის აღსრულებას ახლავს თან, გულს მტკენს.

- მომისმინეთ, თავი ხელში აიყვანეთ, - გამაწყვეტინა მან, ხელები დამიჭირა და ისეთი მშვენიერი ღიმილით შემომხედა, რომ წინააღმდეგობა ვეღარ გავუწიე, - თქვენ გიყვარვართ, ხომ ასეა, და ბედნიერი იქნებით, თუ სამ-ოთხ თვეს სოფელში მხოლოდ ჩემთან გაატარებთ. მეც ბედნიერი ვიქნები ჩვენი განმარტოებით. მხო-ლოდ ბედნიერი კი არ ვიქნები, ეს დასვენება აუცილებელიც კია ჩემი ჯანმრთელობისთვის.

ჩემი საქმეების მოუგვარებლად, პარიზს ამდენი ხნით ვერ დავტოვებ, ჩემისთანა ქალს კი საქმეები ყოველთვის ძალიან არეული აქვს. ჰოდა, მეც ვიპოვე გზა, რომელიც ყველაფერს მოარიგებს ერთმანეთთან, ჩემს საქმეებსაც და თქვენდამი ჩემს სიყვარულსაც. დიახ, თქვენდამი ჩემს სიყვარულს. ნუ გეცინებათ, გავგიჟდი და მიყვარხართ! თქვენ კი სერიოზულ სახეს იღებთ და სერიოზულ სიტყვებს მეუბნებით. ბავშვი ხართ, პატარა ბავშვი. გახსოვდეთ მხოლოდ, რომ მიყვარხართ და ნურაფერზე ინაღვლებთ, მეთანხმებით?

- კარგად იცით, რაშიც გინდათ, იმაში დაგეთანხმებით.

- მაშინ თვეც არ იქნება გასული, სადმე სოფელში ვიქნებით, ტბის ნაპირზე ვისეირნებთ, რძეს დავლევთ. იქნებ უცნაურად მოგეჩვენოთ, რომ ამას მე, მარგარიტა გოტიე ვამბობ. ჩემო მეგობარო, როცა პარიზული ყოფა, რომელიც თითქოს ამდენი ბედნიერების წყაროა ჩემთვის, ვერ ჩამითრევს ხოლმე, მოვიწყენ და უცებ მშვიდი ცხოვრებისკენ მიწევს გული, რომელიც ბავშვობას მახსენებს. ყველა ადამიანს ჰქონია ბავშვობა, ვინც არ უნდა გამოსუ-ლიყო იგი. ო, დამშვიდდით, არ გეტყვით, გადამდგარი პოლკოვნი-კის ქალიშვილი ვარ და სენ დენის მონასტერში გავიზარდე-მეთქი, არა, ერთი უბრალო სოფლელი გოგო გახლავართ, ექვსი წლის წინ საკუთარ გვარსაც ვერ ვწერდი, ხომ დაწყნარდით? პირველი თქვენ რატომ აგირჩიეთ ჩემი განწყობის გასაზიარებლად? ალბათ იმიტომ, რომ თქვენ მხოლოდ ჩემთვის გიყვარვართ და საკუთარი თავისთვის, სხვებს კი მხოლოდ სათავისოდ ვუყვარვარ. სოფელში ხშირად ვყოფილვარ, ოღონდ მე რომ გულით მდომებია, ისე ვერასოდეს. ახლა თქვენზე ვამყარებ იმედს, რომ განვიცადო ეს მარტივი ბედნიერება. ნუ იძუნწებთ, მომანიჭეთ იგი, ჩააგონეთ თავს: მოხუცებულობამდე ეს ქალი ვერ მიატანს და სირცხვილი მე, თუ პირველივე ასეთ იოლ თხოვნას არ შევუსრულებ-თქო.

რა უნდა მეპასუხა, მით უმეტეს, როცა სიყვარულის პირველი ღამე კარგად მახსოვდა და ახლა მეორეს ველოდი?

ერთი საათის შემდეგ მკლავებში მყავდა მოქცეული მარგარიტა და რომ ეთხოვა, კაცი მოკალიო, გამკეთებელი ვიყავი.

დილის ექვს საათზე წამოვედი, გამოსვლის წინ ვკითხე: - საღამომდე?

მარგარიტამ მხურვალედ მაკოცა, მაგრამ არაფერი უპასუხია. დღისით წერილი მივიღე, შიგ ეწერა: ,,ძვირფასო ბავშვო, ცოტა შეუძლოდ ვარ, ექიმმა მირჩია, არ ადგეთო. დღეს საღამოს ადრე დავიძინებ და ამიტომ ვერ გნახავთ, მაგრამ, სამაგიეროდ, ხვალ შუადღისას გელით. მიყვარხართ.‘‘

თავიდანვე ვიფიქრე, მატყუებს-მეთქი!

შუბლზე ოფლმა დამასხა, რადგან უკვე მეტისმეტად მიყვარდა ეს ქალი და ეჭვმა საშინლად ამაფორიაქა.

თუმცა მარგარიტას გვერდით საამისოდ ყოველთვის მზად უნდა ვყოფილიყავი. სხვა საყვარლებთანაც ხშირად მემართებოდა ასე, მაგრამ დიდად არ ვდარდობდი მაშინ. როგორ დამიპყრო ამ ქალმა?

გულში გავივლე, გასაღები ხომ მაქვს, მის სანახავად ჩვეულ დროს მივალ, ამგვარად, სიმართლესაც უფრო მალე გავიგებ და თუ მასთან მამაკაცი დამხვდა, გარეთ გამოვაგდებ-მეთქი. დრო რომ გამეყვანა, ელისეს მინდვრებზე გავიარე. იქ ოთხ საათს გავჩერდი, მარგარიტა არ გამოჩენილა, ყველა თეატრი შემოვიარე, სადაც ჩვეულებისამებრ დადიოდა, მაგრამ ვერსად გადავაწყდი.

თერთმეტ საათზე დ'ანტენის ქუჩისაკენ გავემართე.

მარგარიტას ფანჯრებში შუქი არ ენთო, მაინც დავრეკე.

კარისკაცმა მკითხა, ვისთან მიბრძანდებითო.

- მადმუაზელ გოტიესთან, - ვუთხარი მე.

- ჯერ არ დაბრუნებულა.

- ავალ, დაველოდები.

- შინ არავინაა.

ცხადია, ამ წინააღმდეგობას იოლად დავძლევდი, ჯიბეში ხომ გასაღები მედო, მაგრამ სასაცილო სკანდალს გამოვერიდე და წამოვედი. ოღონდ შინ არ გავბრუნებულვარ, იმ ქუჩას არ გავცილე-ბივარ და თვალს ვერ ვაშორებდი მარგარიტას ბინას. მეჩვენებოდა, კიდევ რაღაც უნდა გავიგო, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ეჭვები მაინც უნდა დამიდასტურდეს-მეთქი.

თითქმის შუაღამე იყო, როცა კარგად ნაცნობი ეტლი #9 სახლთან გაჩერდა გრაფი დე გ . . . გადმოვიდა, ეკიპაჟი გაუშვა და ბინაში შევიდა.

ერთი წუთით იმედი მომეცა, ჩემსავით მასაც ეტყვიან, მარგარიტა შინ არ არისო, მაგრამ დილის 4 საათი ისე გახდა, კიდევ იქ ვიდექი და მის გამოსვლას ველოდი.

უკანასკნელი სამი კვირის მანძილზე ბევრი ვიტანჯე, მაგრამ, მგონი, ეს ტანჯვა იმღამინდელ განცდებთან სახსენებელი არ არის.

XIV

შინ ბავშვივით აქვითინებული დავბრუნდი. ისეთი არავინ მეგულება, ერთხელ მაინც რომ არ მოეტყუებინოთ და არ იცოდეს, ამის გამო როგორ იტანჯებიან ადამიანები.

ერთიანად აკანკალებული, საკუთარ თავს ვუმეორებდი, დაუყოვნებლივ უნდა მოვუღო-მეთქი ბოლო ამ სიყვარულს და ერთი სული მქონდა, როდის გათენდებოდა, რათა დილიჟანსში ადგილი მეშოვნა და მამაჩემსა და ჩემს დასთან დავბრუნებულიყავი, იმ ორის სიყვარულში მაინც არ მეპარებოდა ეჭვი, ისინი მაინც არ მომატყუებდნენ.

თუმცა არ მინდოდა ისე წავსულიყავი, მარგარიტასთვის ჩემი გამგზავრების მიზეზი არ მეცნობებინა. არადა, მამაკაცი, რომელსაც გული აუყრია თავის საყვარელზე, აღარაფერს წერს ქალს განშორებისას.

ოცი წერილი მაინც შევადგინე გონებაში.

საქმე მქონდა ჩვეულებრივზე ჩვეულებრივ ხარჭასთან, უბრალოდ, ყველაფერი მეტისმეტად გავაპოეტურე. სკოლის მოწაფესავით მომექცა, უმარტივესი ხერხით გამომიყენა. ჩემში აშკარად გაიღვი-ძა თავმოყვარეობამ. უნდა მიმეტოვებინა ეს ქალი და მიზეზი არ გამემხილა მისთვის. როგორ მტანჯავდა ეს განშორება. აი, რა მივწერე უაღრესად ლამაზი კალიგრაფიით, თან მრისხანებისა და მწუხარების ცრემლით მქონდა თვალები სავსე.

,,ჩემო ძვირფასო მარგარიტა, ვიმედოვნებ, გუშინდელი თქვენი შეუძლოდ ყოფნა მშვიდობით დამთავრდა. ღამის თერთმეტ საათზე გამოგიარეთ, ჯანმრთელობის ამბავი მინდოდა მეკითხა, მიპასუხეს ჯერ არ დაბრუნებულაო. ბატონ დე გ . . . ჩემზე ბედნიერი აღმოჩნდა, იგი რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდა და დილის ოთხ საათზე კვლავ თქვენსას იყო.

ბოდიშს გიხდით იმ ორიოდე გულისგამაწვრილებელი საათის გამო, რომელიც გაიძულეთ, ჩემთან გაგეტარებინათ და დამერწმუნეთ, არასდროს დავივიწყებ იმ ბედნიერ წუთებს, რომელსაც თქვენ უნდა გიმადლოდეთ.

დღესაც სიამოვნებით შემოგივლიდით, მაგრამ მამაჩემთან დაბრუნება გადავწყვიტე. მშვიდობით, ჩემო ძვირფასო მარგარიტა, იმხელა ქონება არ მაქვს, რომ როგორც მე მინდა, ისე მიყვარდეთ და არც იმდენად ღარიბი ვარ, თქვენ რომ გსურთ, იმ სიყვარულზე დაგთანხმდეთ. მაშ, დაივიწყეთ ჩემი სახელი, რომელიც ისედაც სულერთია თქვენთვის. მე კი დავივიწყებ ბედნიერებას, რომელიც ვერ მოვიპოვე.

გიბრუნებთ გასაღებს, რომლითაც არასდროს მისარგებლია და რომელიც იქნებ კიდევ გამოგადგეთ, თუკი, გუშინდელის არ იყოს, ხშირად იავადმყოფებთ.‘‘

როგორც ხედავთ, ვერ მოვითმინე, თავხედური ირონიით არ დამემთავრებინა წერილი. ეს ერთადერთ რამეს ამტკიცებდა, კვლა-ვაც შეყვარებული ვიყავი.

ერთი ათჯერ მაინც გადავიკითხე და ოდნავ დამამშვიდა იმ აზრმა, მარგარიტას გული ეტკინება-მეთქი. ვცადე, წარმომედგინა, რას იგრძნობდა და როცა რვა საათზე მსახური შემოვიდა, ვუბრძანე, დაუყოვნებლივ წაეღო ბარათი.

- პასუხს უნდა დაველოდო? - მკითხა ჟოზეფმა. ჩემს მსახურსაც ყველა სხვა მსახურივით ჟოზეფი ერქვა.

- თუ გკითხავენ, პასუხი საჭიროა თუ არაო, უთხარით, არ ვიცი-თქო და დაელოდეთ.

იმედს ვებღაუჭებოდი, იქნებ მიპასუხონ-მეთქი.

რა საბრალოები, რა უსუსურები ვართ ადამიანები!

სანამ ჩემი მსახური გზაში იყო, საშინლად ვღელავდი, ხან მარგარიტასთან გატარებული ღამე მაგონდებოდა და საკუთარ თავს ვეკითხებოდი, ასეთი თავხედური წერილი რამ მიმაწერინა, როცა შეეძლო, ეპასუხა, ბატონი დე გ . . . კი არ გატყუებდათ, თავად ატყუებდით ბატონ დე გ . . . - სო. ამგვარი მსჯელობა ბევრ ქალს აძლევს საშუალებას, რამდენიმე საყვარელი იყოლიოს. ხან ამ ქალიშვილის ფიცი მახსენდებოდა და თავს ვირწმუნებდი, რომ კიდევ რბილად მივწერე და ბლომად დავაკელი მაგარ-მაგარი სიტყვები, რათა უარესად დამედაღა ქალი, რომელმაც ჩემი გულწრფელი სიყვარული მასხარად აიგდო. ან კიდევ უკეთესი იქნებოდა, საერთოდ

არაფერი მიმეწერა, დღისით მივსულიყავი მასთან და ამ ხერხით პირადად დავმტკბარიყავი მისი ცრემლების ცქერით. ბოლოს ვმარჩიელობდი, ნეტავ რას მიპასუხებს-მეთქი და მზად ვიყავი, მისი ახსნა-განმარტება დამეჯერებინა.

ჟოზეფი მობრუნდა.

- აბა? - ვკითხე მე.

- ბატონო, - მომიგო მან, - ქალბატონი ჯერ კიდევ იწვა და ეძინა, მაგრამ როგორც კი ზარს დარეკავს, წერილს მაშინვე გადასცემენ და თუ საჭირო იქნა, პასუხსაც გამოგიგზავნიან.

ეძინა!

ოცჯერ მაინც დავაპირე, ვინმე გამეგზავნა წერილის დასაბრუნებლად, მაგრამ სულ იმას ვიძახდი: - იქნებ უკვე გადასცეს და ვაითუ ეგონოს, საკუთარ საქციელს ინანიებსო.

რაც უფრო ახლოვდებოდა პასუხის მოსვლის სავარაუდო დრო, მით უფრო ვნანობდი დილით დაწერილ ბარათს.

გახდა ათი, თერთმეტი, თორმეტი.

თორმეტზე ერთი წუთით ვიფიქრე, პაემანზე წავალ, ვითომც არაფერი მომხდარა-მეთქი. აღარ ვიცოდი, რა მომეგონებინა, რომ როგორმე ამ ჩაკეტილი წრისთვის დამეღწია თავი.

როგორც ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ ფიქრობენ ცრუმორწმუნე ადამიანები, მეც გავიფიქრე, ცოტას გავივლი და უკან დაბრუნებულს პასუხიც მოსული დამხვდება-მეთქი. პასუხი, რომელსაც სულმოუთქმელად ელით, ყოველთვის მაშინ მოაქვთ, როცა შინ არ ხართ.

სასაუზმოდ გამოვედი.

იმის ნაცვლად, რომ ბულვარზე კაფე „ფუაში“ მესაუზმა, დ’ანტენის ქუჩით პალე როიალისკენ წავედი. რამდენჯერაც შო-რიდან ჩემკენ მომავალ ქალს მოვკრავდი თვალს, იმდენჯერ მეგონა, ნანინს ჩემთვის წერილი მოაქვს-მეთქი. დ’ანტენის ქუჩა ისე ჩავიარე, არავინ შემხვედრია. მივედი პალე როიალში, „ვერიში“ შევედი. ოფიციანტს კერძი კერძზე მოჰქონდა, მაგრამ ლუკმაც არ გამისინჯავს, ჩემდაუნებურად, სულ საათს მივშტერებოდი.

შინ დაბრუნებულს ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მარგარიტას წერილი მაგიდაზე დამხვდებოდა, მაგრამ კარისკაცმა არაფერი მოუტანიათო. მსახურის იმედიღა მქონდა, მაგრამ იმანაც თქვენი წასვლის შემდეგ არავინ მინახავსო. მარგარიტას რომ პასუხის გაცემა ნდომებოდა, დიდი ხნის წინ გამცემდა.

მაშინვე ვინანე ჩემი ზოგიერთი გამონათქვამი. პირდაპირ უნდა გავმქრალიყავი, ეს უფრო ააფორიაქებდა. რაკი პაემანზე არ მივიდოდი, მიუსვლელობის მიზეზსაც მკითხავდა და სწორედ მაშინ უნდა მომეხსენებინა ყველაფერი. ამგვარად იძულებული იქნებოდა, თავი ემართლებინა, მე კი ყველაზე უფრო მისი

თავისმართლების მოსმენა მინდოდა. ვგრძნობდი, რაც უნდა მოემიზეზებინა, მაინც დავუჯერებდი, ყველაფერს დავთმობდი, ოღონდ იგი კვლავაც მენახა.

იმ აზრამდეც მივედი, თავად მოვა ჩემს სანახავად-მეთქი, მაგრამ დრო გადიოდა, ის კი არ ჩანდა.

მარგარიტა აშკარად არ ჰგავდა სხვა ქალებს, რადგან ძალიან ცოტა თუ იქნება ისეთი, იმ წერილის დამწერს რამე მაინც არ უპასუხოს.

ხუთი საათისთვის ელისეს მინდვრებზე გავიქეცი.

- თუ სადმე გადავაწყდები, - ფიქრობდი მე, - თავს გულგრილად დავიჭერ და მიხვდება, რომ აღარ მაინტერესებს.

სამეფო ქუჩის კუთხეში ეტლით ჩამიარა. ისე უცაბედად შე-ვეჩეხე, რომ მოულოდნელობისაგან გავფითრდი. არ ვიცი, მღელვარება შემატყო თუ არა, მაგრამ ისე ავირიე, მხოლოდ მის ეკიპაჟს მოვკარი თვალი.

ელისეს მინდვრებზე სეირნობა აღარ გამიგრძელებია. თეატრის აფიშების თვალიერება დავიწყე, იქნებ სადმე კიდევ გადავეყარო-მეთქი.

პალე როიალში პრემიერა იყო.

თეატრში შვიდ საათზე მივედი .

ყველა ლოჟა შეივსო, მაგრამ მარგარიტა არ გამოჩენილა. მაშინ გამოვბრუნდი პალე როიალიდან და ყველა თეატრი შემოვიარე, სადაც ხშირად დადიოდა. ,,ვოდევილშიც“ ვიყავი, ,,ვარიეტეშიც“ და კომიკურ ოპერაშიც.

არსად არ დამხვდა.

ან ჩემმა წერილმა ძალიან ატკინა გული და სპექტაკლის სანახავად ვეღარ წამოვიდა, ან ჩემს ნახვას და ახსნა-განმარტებას გაურბოდა.

აი, რას ჩამჩურჩულებდა პატივმოყვარეობა, როცა ბულვარში მიმავალი გასტონს გადავეყარე. მკითხა, საიდან მოდიხართო.

- პალე როიალიდან.

- მე ოპერიდან, - მითხრა მან, - მეგონა, თქვენც იქ გნახავდით, - რატომ?

- მარგარიტაც იქ იყო.

- აჰ, იქ იყო?

- დიახ.

- მარტო?

- არა, მეგობარ ქალთან ერთად.

- მეტი არავინ ახლდა?

- გრაფი დე გ . . . შევიდა წუთით მის ლოჟაში, თუმცა ბოლოს ჰერცოგთან ერთად წავიდა. სულ გელოდით, აი, ახლა გამოჩნდება, აი, ახლა-მეთქი, გვერდით მთელი საღამო ცარიელი იყო ერთი სკამი. მე თქვენი ადგილი მეგონა.

- კი მაგრამ, მე რა მინდოდა იქ, სადაც მარგარიტა იმყოფებოდა?

- როგორ თუ რა გინდოდათ? თქვენ არ ხართ მისი საყვარელი?! ღმერთო ჩემო!

- და ვინ გითხრათ ეს?

- პრიუდანსმა, გუშინ ვნახე. გილოცავთ, ჩემო ძვირფასო, ყველას როდი ჰყავს ასეთი საყვარელი. მოუარეთ, სახელს გაგითქვამთ.

გასტონის ამ უბრალო მსჯელობამ დამანახა, რამდენად სასა-ცილო იყო ჩემი პედანტიზმი.

წინა დღით რომ გადავყროდი სადმე და ასეთი რამეები ეთქვა, დილით იმ სულელურ წერილს ნამდვილად აღარ დავწერდი.

მზად ვიყავი, შემევლო პრიუდანსთან და მისი პირით შემეთვალა მარგარიტასთვის, რომ დალაპარაკება მსურდა, მაგრამ მეშინოდა, ვაითუ, სამაგიერო გადამიხადოს და არ მიმიღოს-მეთქი. ამიტომ ჯერ დ'ანტენის ქუჩაზე გავიარე და ისე დავბრუნდი შინ.

კიდევ ერთხელ ვიკითხე ჩემთვის წერილი ხომ არ არის-მეთქი.

არაფერი!

მარგარიტა ალბათ ელოდა, რას მოვიმოქმედებდი, უკან წავიღებდი თუ არა იმდღევანდელ წერილს, - ვიმშვიდებდი თავს ძილის წინ, - მაგრამ რაკი ნახა, რომ აღარაფერი მივწერე, ხვალ თვითონ გამომიგზავნის ბარათს.

იმ საღამოს ძალიან ვნანობდი ჩემს საქციელს. შინ მარტო ვიყავი, ვერ დავიძინე, მოუსვენრობამ და ეჭვიანობამ შემიპყრო. ყველაფერს თავისი გზით რომ ევლო, ახლა მარგარიტას გვერდით უნდა ვყოფილიყავი, მესმინა მის მიერ წარმოთქმული მშვენიე-რი სიტყვებისათვის, მშვენიერი ხმისთვის, რომელიც იქამდე სულ ორჯერ გამეგონა და რომელიც, მარტოობისას, სულ ერთთავად ყურში მედგა.

ჩემს მდგომარეობას კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა ის ფაქტი, რომ ვხვდებოდი, საშინლად მოვიქეცი-მეთქი. ყველაფერი ერთადერთ რამეზე მეტყველებდა: მარგარიტას ვუყვარდი. ჯერ ერთი: გეგმა, რომლის მიხედვითაც ზაფხული ორივეს ერთად უნდა გაგვეტარებინა, მან დაგეგმა.

მერე მეორეც, მარგარიტასთვის ჩემი საყვარლობა არავის დაუძალებია, მით უფრო, რომ ჩემი ქონება მის ჩვეულებრივ საჭიროებებსაც კი არ ყოფნიდა, აღარაფერს ვამბობ კაპრიზების დაკმაყოფილებაზე.

ესე იგი, მას მხოლოდ გულწრფელი სიყვარულის პოვნის იმედი ამოძრავებდა, სურდა, ცოტა ხნით მაინც დაესვენა იმ ვაჭრული სიყვარულისგან, რომლითაც აქამდე ცხოვრობდა. მე კი მეორე დღესვე გავუცამტვერე იმედი და თავხედური ირონიით გადავუხადე სამაგიერო იმ სიყვარულისთვის, რომლითაც ორი ღამის განმავლობაში ვსარგებლობდი.

ჩემი საქციელი სასაცილოზე უარესი გამოდგა, უბრალოდ, არადელიკატური იყო. მე ხომ ფულსაც არ ვუხდიდი ამ ქალს. აბა, რა უფლება მქონდა, მისი ცხოვრების წესი გამეკიცხა. მეორე დღესვე გამოქცეული, სიყვარულის იმ პარაზიტს დავემსგავსე, რომელსაც შეეშინდა, რა მეშველება, ანგარიშის განაღდება რომ მომთხოვონო. როგორ! ოცდათექვსმეტი საათის წინ გავიცანი მარგარიტა, 24 საათის წინ საყვარლად ვიქეცი, მერე კი ვითომ მგრძნობიარე კაცის როლი გავითამაშე, იმის ნაცვლად, რომ ბედნიერებისაგან ფეხზე ვერ ვმდგარიყავი. იგი ხომ ჩემი გახდა, მე კი ერთიანად დავუპირე დასაკუთრება და მოვინდომე, გაეწყვიტა ყველა ძველი კავშირი, რაც მის მომავალს უზრუნველყოფდა.

არადა, რა შემეძლო მესაყვედურა მისთვის. არაფერი, მომწერა, შეუძლოდ ვარო, მაშინ როცა შეეძლო, ზოგიერთი ქალისთვის დამახასიათებელი ამაზრზენი გულახდილობით პირდაპირ ეთქვა, ჩემთან საყვარელი უნდა მოვიდესო. და იმის ნაცვლად, რომ წერილისთვის მეგდო ყური, იმის ნაცვლად, რომ პარიზის ყველა ქუჩა შემომევლო და დ’ანტენის ქუჩაზე კი არამც და არამც არ დამედგა ფეხი, იმის ნაცვლად, რომ მეგობრებთან ერთად გამეტარებინა მთელი საღამო და მომდევნო დღეს დანიშნულ დროს გამოვცხადებულიყავი, ოტელოს როლი გავითამაშე, ვიჯაშუშე და სასჯე-ლიც გადავუწყვიტე, ამიერიდან აღარ ვინახულებ-მეთქი. მაგრამ მას ალბათ, პირიქით, ძალიანაც გაუხარდა ეს განშორება. ალბათ სულელიაო, იფიქრა და მისი დუმილიც სიბრაზით კი არა, უფრო ზიზღით იყო ნაკარნახევი.

თუ ასე იყო, მარგარიტასთვის რამე უნდა მეჩუქებინა, რაც მხო-ლოდ ჩემს დიდსულოვნებას გაუსვამდა ხაზს და რაც უფლებას მომცემდა, მას, როგორც ხარჭას, ისე მოვქცეოდი. მაგრამ მეშინოდა, ამ ვაჭრუკანობის ჩრდილით არ დამემცირებინა ჩემდამი მისი სიყვარული თუ არა, მისდამი ჩემი სიყვარული მაინც. ეს სიყვარული იმდენად წმინდა იყო, განხეთქილებას ვერ აიტანდა. თვით უმშვენიერესი საჩუქარიც ვერ აანაზღაურებდა განცდილ ბედნიერებას, რაც უნდა ხანმოკლე ყოფილიყო იგი.

აი, ამას ვიმეორებდი მთელი ღამე და თან ყოველ წამს მზად ვიყავი, მენახა მარგარიტა და მომეყოლა ყველაფერი.

ისე დამათენდა, წვეთი არ მძინებია. სიცხე მქონდა, მარგარიტას გარდა ვერაფერზე ვეღარ ვფიქრობდი.

როგორც ხვდებით, არჩევანი უნდა გამეკეთებინა, ან ჩვენი ურთიერთობისთვის უნდა მომეღო ბოლო, ან ჩემი ეჭვებისთვის. თუ, რა თქმა უნდა, იგი ჩემს ნახვას კიდევ მოისურვებდა. მაგრამ თავადვე მოგეხსენებათ, რა რთულია კაცმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო. შინ ვერ გავჩერდი და რადგან მარგარიტასთან მისვლა ვერ გავბედე, მასთან მიახლოების სხვა გზას დავადექი. მთავარი იყო, წარმატებისთვის მიმეღწია.

ცხრა საათზე პრიუდანსს შევურბინე. მან გაოცებულმა მკითხა, რას უნდა ვუმადლოდე ასე დილაადრიან სტუმრობასო.

ვერ გავბედე ჩემი მისვლის ნამდვილი მიზეზი გულწრფელად გამემხილა. ვუპასუხე, დილით ადრე იმიტომ გამოვედი, ს . . . - კენ მიმავალ დილიჟანსში, სადაც მამაჩემი ცხოვრობს, ადგილი მეშოვნა-მეთქი.

- ბედნიერი ხართ, - მითხრა მან, - პარიზს ასეთ შესანიშნავ ამინდში ტოვებთ.

პრიუდანსს შევხედე, ხომ არ დამცინის-მეთქი.

მაგრამ არა, სერიოზული სახე ჰქონდა.

- მარგარიტას დაემშვიდობებით? - მკითხა ისევ სერიოზულად.

- არა.

- კარგს იზამთ.

- ასე გგონიათ?

- რასაკვირველია, რაკი დაშორდით, გამომშვიდობება რაღა საჭიროა.

- ესე იგი, იცით ჩვენი განშორების ამბავი?

- მარგარიტამ თქვენი წერილი მაჩვენა.

- და რა გითხრათ?

- მითხრა: ჩემო ძვირფასო პრიუდანს, თქვენი პროტეჟე თა-ვაზიანობით ვერ დაიკვეხნის, ასეთი რამ კაცმა შეიძლება იფიქროს, მაგრამ არ უნდა დაწეროსო.

- და ეს როგორი ტონით გითხრათ?

- სიცილით, და დაუმატა, მან ორჯერ ივახშმა ჩემთან და კუჭის დასაცლელადაც აღარ მოსულაო, აი, თურმე რა შედეგი მოჰყოლია ჩემს წერილსა და ეჭვიანობას. საშინლად შემელახა თავმოყვარეობა, თავს დამცირებულად ვგრძნობდი.

- და გუშინ საღამოს რას აკეთებდა?

- ოპერაში იყო.

- ეგ ვიცი, შემდეგ?

- შინ ივახშმა.

- მარტომ?

- მგონი გრაფ დე გ . . . - სთან ერთად.

თურმე ჩვენს დაშორებას მარგარიტას ჩვეულებებში ოდნავი ცვლილებაც ვერ შეუტანია.

ასეთ მდგომარეობაში ზოგიერთები ამბობენ - ნუ იფიქრებთ ქალზე, რომელსაც არ უყვარხართ.

- ძალიან მიხარია, რომ მარგარიტა არ დავამწუხრე, - ვუთხარი და ძალის ძალად გავუღიმე.

- და მართალიცაა, თქვენ ის გააკეთეთ, რაც უნდა გექნათ, გონივრულად მოიქეცით, თუმცა მას უყვარდით. სულ თქვენზე ლაპარაკობდა და იქნებ რამე სისულელეც ჩაედინა.

- რატომ არაფერი მომწერა, თუკი ვუყვარვარ?

- იმიტომ რომ მიხვდა, თქვენი სიყვარული შეცდომა იყო. გარდა ამისა, ქალებმა იქნებ სიყვარულში იმედგაცრუების უფლებაც მისცენ კაცს, თავმოყვარეობის შელახვას კი არ აპატიებენ. არადა, შეუძლებელია, არ შეურაცხყო ქალი, როცა საყვარლად გახდომიდან ორ დღეში ტოვებ მას. სხვათა შორის, საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა, რამ გამოიწვია ეს განშორება. კარგად ვიცნობ მარგარიტას, უმალ მოკვდებოდა პასუხით კი არ გიპასუხებდათ.

- მე რაღა ვქნა?

- არაფერი, იგი თქვენ დაგივიწყებთ, თქვენ - მას და ერთმანეთთან სასაყვედუროც არაფერი გექნებათ.

- მაგრამ თუ მივწერ და პატიებას ვთხოვ?

- ჯობს, არ ქნათ, თორემ გაპატიებთ.

კინაღამ ყელზე მოვეხვიე პრიუდანსს.

თხუთმეტი წუთის შემდეგ შინ ვიჯექი და წერილს ვწერდი მარგარიტას.

,,ადამიანს, რომელიც ნანობს თქვენთვის გუშინ გამოგზავნილ წერილს, რომელიც ხვალისთვის წასვლას აპირებს, თუ კი არ შეუნდობთ, სურს, იცოდეს, რომელ საათზე შეეძლება ჩაგივარდეთ ფეხებში და გამოისყიდოს თავისი დანაშაული? როდის გიპოვნით მარტოს, რადგან, ხომ იცით, აღსარებას მოწმეები როდი სჭირდება.“

გავკეცე ეს პროზად შედგენილი მადრიგალი და ჟოზეფს გავატანე, მან წერილი პირადად მარგარიტას გადასცა. ქალს დაებარებინა, პასუხს მოგვიანებით მიიღებთო. მხოლოდ ერთი წუთით გავედი სადილად, არადა ლამის თერთმეტი საათი გახდა, პასუხი კი ჯერაც არ მიმეღო.

გადავწყვიტე, კმარა ტანჯვა, ხვალვე გავემგზავრები, რადგან გადაწყვეტილება მივიღე, ჩავთვალე, რომ დავწვე, მაინც არ დამეძინება-მეთქი და ჩემოდნების ჩალაგება დავიწყე.

XV

მე და ჟოზეფი ლამის მთელი საათი იყო, ვემზადებოდით გასამგზავრებლად, როცა კარზე ძლიერად დარეკეს.

- გავაღო? - მკითხა ჟოზეფმა.

- გააღეთ, - ვუპასუხე მე, თან ვფიქრობდი, ასეთ დროს ვინ უნდა მოსულიყო, ნატვრითაც არ მინატრია, მარგარიტა იყოს-მეთქი.

- ბატონო, - უკან შემობრუნდა ჟოზეფი, - ორი ქალბატონი გკითხულობთ.

- ჩვენ ვართ, არმან, - დაიძახა ვიღაცამ. პრიუდანსის ხმა ვიცანი.

საძინებლიდან გამოვედი. პრიუდანსი ამასობაში ჩემს სასტუმრო ოთახს ათვალიერებდა, მარგარიტა ჩაფიქრებული იჯდა ტახტზე. შესულმა პირდაპირ მას მივაშურე, დავუჩოქე, ორივე ხელი დავუჭირე და აღელვებულმა ვუთხარი: მაპატიეთ!

მან შუბლზე მაკოცა.

- უკვე მესამეჯერ გპატიობთ.

- ხვალ გამგზავრებას ვაპირებდი.

- ნუთუ ჩემს სტუმრობას თქვენი გადაწყვეტილების შეცვლა შეუძლია? არ ვაპირებ, პარიზიდან წასვლა გადაგაფიქრებინოთ, იმიტომ მოვედი, რომ დღისით დრო ვერ გამოვნახე პასუხის მოსაწერად და არ მინდოდა, გეფიქრათ, გაბრაზებულია ჩემზეო. პრიუდანსი წამოსვლის წინააღმდეგი იყო, შეიძლება ტყუილ-უბრალოდ ხელი შევუშალოთო.

- თქვენ შეიძლება შემიშალოთ მე ხელი, მარგარიტა? და რაში?

- ქალი! ხომ შეიძლებოდა, ქალი გყოლოდათ, - მიპასუხა პრიუდანსმა, - და მაინცდამაინც როდი ესიამოვნებოდა ორი სხვა ქალის სტუმრობა. პრიუდანსის ამ ვარაუდზე მარგარიტამ დაკვირვებით შემომხედა.

- ძვირფასო პრიუდანს, - მივუგე მე, - წარმოდგენა არ გაქვთ, რაზე ლაპარაკობთ.

- მშვენიერი ბინა გქონიათ, - ჩაურთო პრიუდანსმა, - შეიძლება თქვენი საძინებელი ვნახო?

- დიახ.

პრიუდანსი ჩემს ოთახში შევიდა, არა იმდენად დასათვალიერებლად, რამდენადაც თავისი სულელური ნათქვამის გამოსასწორებლად. ჩვენ მარტონი დავრჩით, მე და მარგარიტა.

- რატომ წამოიყვანეთ პრიუდანსი? - ვკითხე მე.

- იმიტომ რომ ჩემთან ერთად იყო სპექტაკლზე და თან ვინმეს ხომ უნდა გავეცილებინე აქედან.

- მე აქ არ ვარ?

- დიახ, მაგრამ ჯერ ერთი, არ მინდოდა ხელი შემეშალა თქვენთვის. მეორეც, დარწმუნებული ვიყავი, კარებამდე მიმაცი-ლებდით თუ არა, ჩემთან ამოსვლაც მოგინდებოდათ, რის ნებასაც ვერ დაგრთავდით და არც ის მინდოდა, წასვლის წინ სასაყვედურო გქონოდათ, უარი მითხარითო.

- კი მაგრამ, რატომ ვერ მიმიღებთ?

- იმიტომ რომ მკაცრად მითვალთვალებენ და პატარა გაუფრთხილებლობამაც კი შეიძლება დამღუპოს.

- სულ ეს არის?

- სხვა რომ იყოს, გეტყოდით, ჩვენ ერთმანეთისთვის დასამა-ლი არაფერი გვაქვს.

- მისმინეთ, მარგარიტა. არ მინდა, მიზნისკენ მიკიბულ-მოკი-ბული გზით ვიარო და გულწრფელად მითხარით, ცოტათი მაინც გიყვარვართ?

- ძალიან.

- აბა, რატომღა მომატყუეთ?

- ჩემო მეგობარო, მე რომ ჰერცოგის მეუღლე მრქმეოდა, 200 ათასი ლივრი რომ მქონოდა შემოსავალი, თქვენი საყვარელი ვყოფილიყავი და თქვენს გვერდით სხვა საყვარელიც გამეჩინა, აი, მაშინ კი გექნებოდათ უფლება, შემკითხოდით, რატომ მომატყუე-თო. მაგრამ მე მადმუაზელ მარგარიტა გოტიე ვარ, ორმოცი ათასი ფრანკი ვალად მადევს, ერთი სუც არ მომეძევება და წელიწადში ასი ათას ფრანკს ვფლანგავ. ამიტომაც თქვენი შეკითხვა უაზროა, ჩემი პასუხი კი - ამაო.

- მართალი ხართ, - ვუთხარი და თავი კალთაში ჩავუდე მარგარიტას, - მაგრამ მე სიგიჟემდე მიყვარხართ.

- ჩემო მეგობარო, აჯობებდა, ან ნაკლებად გყვარებოდით, ან უკეთ გაგეგოთ ჩემი. თქვენმა წერილმა ძალიან მატკინა გული, თავისუფალი რომ ვყოფილიყავი, გუშინწინ არ შევხვდებოდი გრაფს და თუ მაინც შევხვდებოდი, მოვიდოდი და ბოდიშს მოგიხდიდით, როგორც თავადვე ახლახან მთხოვეთ და მომავალშიც თქვენს მეტი საყვარელი არ მეყოლებოდა. წუთით ვიფიქრე, საკუთარ თავს ერთი ექვსი თვით, მგონი, შემიძლია, ეს ბედნიერება ვაჩუქო-მეთქი: მაგრამ თქვენ არ ისურვეთ: გინდოდათ, გაგეგოთ, რა გზით მივაღწევდი ამას. ეჰ! ღმერთო ჩემო, მაგის გამოცნობას რაღა უნდოდა. ვერც წარმოიდგენთ, რამხელა მსხვერპლი გავიღე. შემეძლო, თქვენთვის მეთქვა, ოცი ათასი ფრანკი მჭირდება-მეთქი. თქვენ გიყვარვართ, ამიტომ მიშოვნიდით. მერე და მერე კი დამაყვედრიდით. გადავწყვიტე, არაფრით ვყოფილიყავი თქვენგან დავალებული. თქვენ ვერ მიხვდით ამ დელიკატურობას. ჩვენ სხვანი ვართ, როცა გული ნელ-ნელა ისევ იწყებს ჩვენში ფეთქვას. ჩვენ სიტყვებსა და აზრებს სხვა ქალებისთვის უცხო აზრსა და მნიშვნელობას ვაძლევთ. კიდევ გიმეორებთ, მარგარიტა გოტიე ძალიან დელიკატურად მოგექცათ, როცა თავისი ვალების დასაფარად სხვა გზა მონახა და თქვენ არ გთხოვათ საამისოდ აუცილებელი ფული. ამით უნდა გესარგებლათ და ხმა არ ამოგეღოთ. დღეს რომ გამეცანით და იმავეს დაგპირებოდით, თქვენს ბედნიერებას საზღვარი არ ექნებოდა და არ შემეკითხებოდით გუშინწინ რას აკეთებდითო. ჩვენ ხანდახან იძულებულები ვართ, სულიერი კმაყოფილება ხორციელი ტანჯვით მოვიპოვოთ, მაგრამ უფრო მეტად ვიტანჯებით, როცა ეს კმაყოფილება შემდეგ ხელიდან გვისხლტება.

ვუსმენდი და აღტაცებული თვალს ვერ ვაშორებდი მარგარიტას. როცა წარმოვიდგინე, რომ ეს ჯადოსნური არსება, რომლისთვისაც ფეხები მინდოდა დამეკოცნა, თანახმა იყო, ეფიქრა ჩემზე, თავის ცხოვრებაში გარკვეული ადგილი დაეთმო ჩემთვის და რომ მე არ მაკმაყოფილებდა საჩუქარი, საკუთარ თავს ვეკითხებოდი, ნეტავ ადამიანის სურვილებს საზღვარი თუ აქვთ-მეთქი. მაგრამ როცა ჩემსავით თვალისდახამხამებაში გიხდებათ ნაოცნებარი, მაშინვე სულ უფრო და უფრო მეტს ითხოვთ.

- მართალია, - შემესიტყვა იგი, - ჩვენ შემთხვევითობის ქმნი-ლებები ვართ, სურვილებიც არაჩვეულებრივი გვაქვს და სიყვარულიც საოცარი ვიცით. ხან ერთი გაგვიტაცებს, ხან მეორე. არის ხალხი, მთელ ქონებას დაგვახარჯავს და სამაგიეროდ ვერაფერს იღებს მაშინ, როცა სხვები ერთ თაიგულად გვიპყრობენ ხოლმე. ჭირვეული გული გვაქვს. ამის ერთადერთი გართობაცა და გამამართლებელი საბუთიც ეს არის. მე თუ ვინმეს ოდესმე დავნებებივარ, ყველაზე მალე შენ დაგნებდი. გეფიცები. გინდა, იცოდე, რატომ? იმიტომ, რომ როცა სისხლს ვახველებდი, ჩემი ხელი გეჭირა; იმიტომ, რომ იტირე; იმიტომ, რომ ერთადერთი ადამიანი ხარ, ვინც შემიცოდა. ერთ სისულელეს გიამბობ: ოდესღაც პატარა ლეკვი მყავდა. როცა ვახველებდი, ძალიან ნაღვლიანად შემომცქეროდა ხოლმე. მის მეტი არავინ და არაფერი მიყვარდა. დედაჩემის გარდაცვალებისას არ მიტირია იმდენი, რამდენიც მის სიკვდილზე ვიტირე. დედისგან თორმეტი წელი ცემის მეტი არაფერი მახსოვს. აი, შენც ჩემი ლეკვივით შეგიყვარე. კაცებმა რომ იცოდნენ, რამდენის მიღწევა შეუძლიათ ერთი წვეთი ცრემლით, უფრო მეტადაც ვეყვარებოდით და უფრო ნაკლებადაც გაკოტრდებოდნენ. შენმა წერილმა გაგცა. გაგცა, რომ სულიერი სიფაქიზე არ გყოფნის. ამაზე მეტ ზიანს, რაც უნდა გექნა, მაინც ვერ მიაყენებდი ჩემს სიყვარულს. მართალია, წერილი ეჭვიანობამ დაგაწერინა, მაგრამ დამცინავმა და თავხედურმა ეჭვიანობამ.

ნაღვლიანი ვიჯექი, როცა შენი წერილი მივიღე. შუადღისას ვაპირებდი შენს ნახვას, ერთად ვისაუზმებთ-მეთქი. შენი ნახვით მინდოდა, თავიდან მომეშორებინა აკვიატებული ფიქრი, რომელსაც იოლად ვეგუებოდი შენს გაცნობამდე. გარდა ამისა, - განაგრძო მარგარიტამ, - შენ ერთადერთი ადამიანი ხარ, დანახვისთანავე რომ მივხვდი, ამასთან თავისუფალი ფიქრი და ლაპარაკი შემეძლება-მეთქი. ყველა, ვინც ჩემისთანა გოგოების ირგვლივ ტრიალებს, წონის ჩვენს ყოველ სიტყვას და სულ უმნიშვნელო საქციელიდანაც კი დასკვნები გამოაქვს. რასაკვირველია, ჩვენ მეგობრები არ გვყავს, მხოლოდ ეგოისტი საყვარლები გვახვევია, რომლებიც ჩვენ კი არა, როგორც ამას თვითონ ამბობენ, საკუთარ პატივმოყვარეობას ახარჯავენ მთელ ქონებას. ამ კაცებისთვის მთავარია, ჩვენც მაშინ ვიმხიარულოთ, როცა თავად მხიარულობენ, ჯანმრთელები ვიყოთ, ისეთივე სპეტაკები ვიყოთ, როგორებიც თავად არიან. შერცხვენისა და ფულის დაკარგვის სახელით, აკრძალული გვაქვს, გული გვქონდეს. ჩვენ საკუთარ თავს აღარ ვეკუთვნით. ადამიანებიდან ნივთებად გადავიქეცით. პირველი ადგილი გვიჭირავს, როცა მათ თავმოყვარეობაზე მიდგება საქმე, ხოლო უკანასკნელი, როცა პატივი უნდა გცენ.

მეგობრებიც გვყავს, ოღონდ პრიუდანსის მსგავსი ძველი ხარჭები, რომლებსაც ჯერაც ახსოვთ კარგი ცხოვრების გემო, მაგრამ ასაკი აღარ უწყობთ ხელს. ისინი ჩვენი მეგობრები, უფრო სწორად, ჩვენი თანამესუფრეები ხდებიან. მათი მეგობრობა იქნებ მონურიც იყოს, ოღონდ უანგარო კი არასოდეს. არასოდეს ისეთ რამეს არ გირჩევენ, რაც თვითონ არ აძლევთ ხელს. სულ არ ანაღვლებთ, ჩვენ თუნდ ათი საყვარლით მეტი გვყავდეს, ოღონდ კაბები და სამკაულები არ მოაკლდეთ, დროდადრო ჩვენი ეტლით გაისეირნონ, სპექტაკლის დროს ჩვენს ლოჟაში შემოვიდნენ. ჩვენს ძველ თაიგულებს იღებენ და ხანდახან ქიშმირის შალებსაც გვეთხოვებიან ხოლმე. არასოდეს თითსაც არ გაანძრევენ ჩვენთვის, თუ ორმაგად არ გადაგვახდევინეს. შენც ხომ ნახე, იმ საღამოს, როცა პრიუდანსმა 6 ათასი ფრანკი მომიტანა, რომლის გამოც ჰერცოგთან წასვლა ვთხოვე, ხუთას ფრანკს იქვე მესესხა და ან არც არასდროს

დამიბრუნებს, ან ქუდებში გამომიქვითავს, რომელთაც ჩემგან ხელის ხლება არც უწერია.

ჩვენ, უფრო სწორედ მე, ბედნიერების ერთადერთი იმედი მქონდა: ხშირად სევდიანსა და მუდამ ავადმყოფს მეპოვნა მამაკაცი, ისეთი დიდსულოვანი, რომ არაფერს მკითხავდა ჩემს ცხოვრებაზე და სულიერად უფრო იქნებოდა ჩემი საყვარელი, ვიდრე ხორციელად. ასეთი კაცი მე ჰერცოგში ვიპოვე, მაგრამ ჰერცოგი მოხუცია, მოხუცებულობა კი ვერც გიცავს და ვერც გამშვიდებს.

მეგონა, შემიძლია ის ცხოვრება მივიღო, რომელიც მან შემიქმნა-მეთქი. მაგრამ მოწყენილობა მკლავდა და თუ მაინც უნდა მოვკვდე, რა მნიშვნელობა აქვს, ცეცხლში ჩავვარდები თუ გაზი გამგუდავს. მერე შენც შეგხვდი, შენ - ახალგაზრდას, ვნებიანს, ბედნიერს. და შევეცადე, შენგან ის კაცი შემექმნა, ამდენ ხანს რომ მოვუხმობდი ჩემს ხმაურიან მარტოობაში. მე შენში ის კი არ მიყვარდა, ვინც იყავი სინამდვილეში, არამედ ის, რაც შეიძლებოდა ყოფილიყავი, მაგრამ შენ არ თანხმდები ამ როლზე, უარყოფ მას, როგორც შენთვის შეუფერებელს. შენ ჩვეულებრივი საყვარელი გამოდექი. მოდი, სხვებივით მოიქეცი, ფული გადამიხადე და ნუღარ ვილაპარკებთ.

მარგარიტა მოქანცა ამსიგრძე აღსარებამ, ტახტის საზურგეზე გადაწვა და მსუბუქი ხველა რომ ჩაეხშო, სახეზე ცხვირსახოცი აიფარა.

- მაპატიე, მაპატიე, - ვეჩურჩულებოდი მე, - ყველაფერს მივხვდი, მაგრამ მინდოდა შენგან მომესმინა, ჩემო ღვთაებრივო მარგარიტა, დავივიწყოთ დანარჩენი, ერთადერთი რამ გვახსოვდეს: რომ ჩვენ ერთმანეთს ვეკუთვნით, რომ ახალგაზრდები ვართ და ერთმანეთი გვიყვარს. მარგარიტა, როგორც გინდა, ისე შემცვალე, შენი მონა ვარ, შენი ერთგული ფინია, მაგრამ, ღვთის გულისთვის, დახიე ჩემი წერილი და ნება არ მომცე, ხვალ გავემგზავრო, თორემ მოვკვდები.

მარგარიტამ კორსეტიდან ამოიღო ჩემი წერილი, გამომიწოდა და ენით გამოუთქმელი ღიმილით მითხრა.

- აი, მოგიტანე.

მე დავხიე წერილი და ცრემლმორეულმა ხელები დავუკოცნე. ამ დროს პრიუდანსიც შემოვიდა.

- აბა, მითხარით, პრიუდანს, იცით, რას მთხოვს? - ჰკითხა მარგარიტამ.

- პატიებას.

- ნამდვილად.

- პატიობთ?

- სხვა რა გზა მაქვს. მაგრამ კიდევ ითხოვს რაღაცას.

- რაღას ითხოვს?

- თქვენთან ერთად მინდა ვახშმობაო.

- და დაეთანხმეთ?

- თქვენ როგორ გგონიათ?

- მე ის მგონია, რომ ორივენი პატარა ბავშვები ხართ და არც ერთს, არც თქვენ და არც მას, თავი არ გადგათ მხრებზე. თან ახლა მგელივით მშია და მე მგონი, რაც უფრო მალე დათანხმდებით, მით უფრო მალე ვივახშმებთ.

- თუ ასეა, - წარმოთქვა მარგარიტამ, - სამივენი ჩემს ეტლში ჩავსხდეთ. მომისმინეთ, - დაუმატა და მე მომიბრუნდა, - ნანინს ეძინება, კარს თქვენ გაგვიღებთ, გამომართვით გასაღები და ნუღარ დაკარგავთ.

ისე ვაკოცე მარგარიტას, სული შეუგუბდა. ამ დროს შემოვიდა ჟოზეფი.

- ბატონო, - მეუბნება თვითკმაყოფილი სახით, - ბარგი ჩალაგებულია.

- ნუთუ?

- დიახ, ბატონო.

- ძალიან კარგი, ამოალაგეთ, აღარ მივდივარ.

XVI

შემეძლო, - მითხრა არმანმა, - ორიოდე სიტყვით მომეყოლა, როგორ დაიწყო ჩვენი ურთიერთობა, მაგრამ მინდოდა, დაწვრილებით გცოდნოდათ, როგორ მოვაღწიეთ აქამდე, როგორ დავთანმხდი მარგარიტას, ნებისმიერ სურვილს შეგისრულებ-მეთქი და მარგარიტამაც როგორ გადაწყვიტა, მარტო შენთან ვიცხოვრებო. მისი სტუმრობის მეორე დღეს „მანონ ლესკო“ გავუგზავნე.

იმ წუთიდან, რადგან ჩემი საყვარლის ცხოვრება ვერ შევცვა-ლე, იძულებული გავხდი, ისევ ჩემი შემეცვალა. პირველ რიგში, არ მინდოდა, ბევრი მეფიქრა როლზე, რომელსაც დავთანხმდი, რადგან ეს ამბავი, ჩემდაუნებურად, ძალიან მანაღვლიანებდა.

ჩემი ჩვეულებრივი, წყნარი ცხოვრებაც ხმაურიანი და უწესრიგო გახდა. არ იფიქროთ, აქაოდა, ხარჭას უანგაროდ ვუყვარვარ, კაპიკი არ დამეხარჯებაო. უამრავი ახირების დაკმაყოფილება მოგიწევთ, ყვავილებიო, ლოჟებიო, ვახშმებიო, ქალაქგარეთ გასეირნებაო. ამ ყველაფერზე ყოველთვის ხომ ვერ ეტყვის კაცი უარს თავის საყვარელს.

როგორც გითხარით, დიდი ქონების პატრონი არ ვარ. მამაჩემი მსახურობდა და ახლაც მსახურობს გადასახადების მთავარ ინსპექტორად ს . . . - ში. იგი ცნობილია თავისი პატიოსნებით, რაც გახდა კიდეც საწინდარი მისი თანამდებობის. ამ ადგილიდან წლიურად 40 ათასი ფრანკის შემოსავალი აქვს. ბოლო ათ წელიწადში არა მხოლოდ გადაიხადა საწინდრის შესატანად აღებული ვალი, ჩემი დის მზითვისთვისაც დაიწყო ფულის გადადება. მამაჩემი უაღრესად ღირსეული ადამიანია, დედამ სიკვდილის წინ 6 ათასი ფრანკის რენტა დაგვიტოვა, რომელიც მე და ჩემს დას გაგვიყო სწორედ იმ დღეს, თანამდებობა რომ მიიღო. მოგვიანებით, როცა 21 წლის გავხდი, ამ მცირე შემოსავალს კიდევ წლიურად 5 ათასი ფრანკი დაუმატა და მეუბნებოდა, რვა ათასი ფრანკით პარიზში ძალიან ბედნიერად იცხოვრებ, თუ ამ რენტის გარდა, იურისტის ანდა ექიმის კარიერას მოიწყობო. ჩამოვედი პარიზში,

გავაკეთე, რაც მევალებოდა, გავხდი ადვოკატი, სხვა ყმაწვილების მსგავსად, დიპლომი მეც ჯიბეში ჩავიდე და ნელ-ნელა პარიზის უდარდელ ცხოვრებას ავუწყვე ფეხი.

ხარჯები თითქმის არ მქონდა, მაგრამ მთელი წლის შემოსავალი რვა თვეზე მეტს მაინც არ მყოფნიდა და ამიტომ ზაფხულის ოთხ თვეს მამაჩემთან ვატარებდი. ეს ყველაფერი 20 ათასი ლივრი მიჯდებოდა და მეც კარგი შვილის სახელს ვიფერებდი. ვალად ერთი სუც არ ამიღია. აი, ასე მიდიოდა ჩემი საქმეები, როცა მარგარიტას შევხვდი.

თვითონ წარმოიდგინეთ: ჩემდაუნებურად მეზრდებოდა ხარჯები. მარგარიტას ძალიან ჭირვეული ხასიათი ჰქონდა და იმ ქალების რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც სერიოზულ ხარჯად არ აღიქვამენ ათასგვარ ყოველდღიურ გართობას. სურდა, რაც შეიძლება მეტი დრო გაეტარებინა ჩემთან. დილით მომწერდა, ერთად ვისადილოთ, ოღონდ ჩემთან კი არა, სადმე რესტორანში, პარიზში ან ქალაქგარეთო. გავუვლიდი, ვსადილობდით, დავდიოდით სპექტაკლებზე, ხშირად ერთადაც ვვახშმობდით. შედეგად, დღეში ოთხ - ხუთ ლუიდორს ვხარჯავდი. ეს კი ორი ათას ხუთასი - სამი ათასი ფრანკი გამოდიოდა თვეში. ამგვარად, ჩემი წლიური შემოსავალი ზუსტად სამთვენახევარს გასწვდებოდა. აუცილებლობის წინაშე აღმოვჩნდი, ან ვალები უნდა ამეღო, ან მარგარიტა მიმეტოვებინა.

მაგრამ მე, ამ უკანასკნელის გარდა, ყველაფერზე თანახმა ვიყავი.

მაპატიეთ, ასე დაწვრილებით რომ გიყვებით, მაგრამ თქვენც და-რწმუნდებით, რომ შემდგომი მოვლენები სწორედ ამ მიზეზით მოხ-და. ჩვეულებრივ, ნამდვილ ამბავს გიყვებით. ყველა თავისი გულუბრყვილო წვრილმანითა და განვითარების მთელი უბრალოებით.

ვიცოდი, ქვეყნად ვერაფერი დამავიწყებდა ჩემს საყვარელს, ესე იგი, მისგან გამოწვეული ხარჯების დასაფარად რამე ხერხი უნ-და მეპოვნა.

გარდა ამისა, სიყვარულმა ისე ამირია თავგზა, რომ ყოველი წუთი, რომელსაც მარგარიტას გვერდით ვერ ვატარებდი, საუკუნედ მეჩვენებოდა. მინდოდა, ნებისმიერი გზითა და ხერხით როგორმე ჩამეკლა ეს დრო.

თავიდან ჩემს პატარა კაპიტალს 5 თუ 6 ათასი ფრანკი ჩამოვაკელი და თამაში დავიწყე. მას შემდეგ, რაც სამორინეები გააუქმეს, ყველგან თამაშობენ, ადრე ფრასკატში ბედის საცდელად შედიოდით, თუ წააგებდით, თავს იმით მაინც ინუგეშებდით, მოგებაც შემეძლოო. ახლა კი, კლუბების გარდა, სადაც კვლავაც მკაცრად აქცევენ ყურადღებას ვალის გადახდის წესებს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ვერსად მონაგებს ვერ მიითვლით. იოლად მიხვდებით, რატომაც.

თამაშით, უფრო დიდი მოთხოვნილებისა და მცირე შეძლების ყმაწვილები თამაშობენ, რათა თავიანთი ცხოვრების წესით გამო-წვეული ხარჯები აანაზღაურონ. თამაშობენ და შედეგიც სრულიად ბუნებრივია, თუ მოიგეს, წაგებულები ფარავენ მათი ცხენებისა და საყვარლების შესანახად აუცილებელ თანხას, რაც მეტისმეტად უსიამოვნო საქმეა. ვალებში ეხვევიან, მწვანე მაგიდასთან დაწყებული ურთიერთობა ხშირად ჩხუბით მთავრდება, ადამიანის ღირ-სებასა და სიცოცხლეს გამუდმებით ემუქრება საფრთხე.

პატიოსან ახალგაზრდებს მათსავით პატიოსანი ახალგაზრდები აკოტრებენ, რომლებსაც ერთადერთი ნაკლი აქვთ, ორასი ათასი ლივრის რენტა არ მოეძევებათ.

აბა, იმათზე რაღა უნდა გითხრათ, რომლებიც თამაშის დროს თაღლითობენ. ერთ დღესაც ასეთი ადამიანები აუცილებლად სად-ღაც მიემგზავრებიან, რათა დაგვიანებულ მართლმსაჯულებას დაემალონ.

ამიტაცა ამ სწრაფმა, ხმაურიანმა, მშფოთვარე ცხოვრებამ. ადრე მასზე რომ დავფიქრდებოდი, რაღაცნაირად, ვიბნეოდი ხოლმე, ახ-ლა კი მარგარიტასადმი ჩემი სიყვარულის განუყოფელ ნაწილად იქცა. სხვა რა უნდა მექნა?

ის ღამეები, რომლებსაც დ'ანტენის ქუჩაზე არ ვათენებდი, შინ სრულ მარტოობაში რომ გამეტარებინა, მაინც არ დამეძინებოდა. ეჭვიანობა გამაწამებდა, გულსა და გონებას ამიმღვრევდა.

მაშინ, როცა თამაში თვალის დახამხამებაში სძლევდა ჩემს სულში ფეხმოკიდებულ ციებ-ცხელებას და აქცევდა მას სხვა ვნებად, რომელიც უნებურად მიტაცებდა სწორედ იმ წუთამდე, სანამ საყვარელთან წასვლის დრო არ დამიდგებოდა. აი, მაშინ კი, მთელი ძალით ვგრძნობდი ჩემს სიყვარულს, სულ ერთი იყო, ვიგებდი თუ ვაგებდი, გულგრილად ვტოვებდი მაგიდას და მებრალებოდნენ დანარჩენები, მათ ხომ თამაშის შემდეგ ჩემისთანა ბედნიერება არ ელოდათ.

უმრავლესობისთვის თამაში აუცილებლობას წარმოადგენდა, მე კი მალამოდ მხვდებოდა. მარგარიტა გადავიყვარე და თამაშიც თავისთავად გადამიყვარდა.

მთელ ამ ამბავში დიდი ცივსისხლიანობა გამოვიჩინე, იმდენს არ ვაგებდი, რომ გადახდა ვერ მომეხერხებინა და არც იმდენი მომიგია, რისი წაგებაც არ შემეძლო.

შეიძლება ითქვას, ბედი მწყალობდა, ვალებს არ ვიღებდი, დახარჯვით კი იმაზე სამჯერ მეტ ფულს ვხარჯავდი, ვიდრე მაშინ, სანამ თამაშს დავიწყებდი. არც ისე ადვილი იყო მოვშვებოდი ცხოვრებას, რომელიც ხელს მიმართავდა, გაუწითლებლად ამესრულებინა მარგარიტას უამრავი ახირება.

მასზე რა გითხრათ, ძველებურად და უფრო მეტადაც კი ვუყვარდი. როგორც გიამბეთ, თავიდან იგი ღამის თორმეტიდან დილის ექვს საათამდე მიღებდა, მერე და მერე, დროგამოშვებით ლოჟაშიც მიშვებდა, რამდენჯერმე ერთადაც ვისადილეთ, ერთხელ დილის რვა საათზე წამოვედი, ერთხელ, საერთოდ, შუადღისას.

მორალურ ცვლილებებს მარგარიტაში წინ ფიზიკური ცვლილებები უძღოდა. დავუწყე მკურნალობა. საბრალო გოგო მიმიხვდა მიზანს და რასაც ვეტყოდი, ყველაფერს მიჯერებდა, ძალდატანებისა და კინკლაობის გარეშე მოვახერხე და მივავიწყე ძველი ჩვეულებები. ჩემმა ექიმმა, რჩევა რომ ვკითხე, ასე მითხრა, მხოლოდ დასვენება და სულიერი სიმშვიდე შეუნარჩუნებს ჯანმრთელობასო. ხმაურიანი ვახშმები და უძილო ღამეები სიწყნარითა და ძილის რეჟიმით შევუცვალე. მარგარიტა თავისდაუნებურად შეეჩვია ამ ახალ ყოფას, რომლის სასიკეთო შედეგებსაც უკვე გრძნობდა. თავიდან საღამოებს შინ ატარებდა, თუ კარგი ამინდი იყო, ქაშმირის შალში შეფუთნებოდა, რიდეს ჩამოიფარებდა და მთელი საღამო პატარა ბავშვებივით ფეხით დავსეირნობდით ელისეს მინდვრების ჩაბნელებულ ხეივნებში.

უკან დაღლილი ბრუნდებოდა, მსუბუქად ივახშმებდა, დაწო-ლამდე ცოტას დაუკრავდა, ცოტას წაიკითხავდა, ამას კი ადრე არასოდეს აკეთებდა. ხველა, წინათ რომ გულს მიწუხებდა, ახლა თითქმის მთლიანად გაუქრა.

ექვსი კვირის თავზე გრაფის ჭაჭანებაც აღარ იყო, იგი ჩვენს ურთიერთობას შეეწირა მსხვერპლად. ჩემი და მარგარიტას კავშირი მხოლოდ ჰერცოგის ყურამდე არ უნდა მისულიყო, მაგრამ მასაც ხშირად უწევდა უკან გაბრუნება, მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ მარგარიტასთან მე ვიყავი, მას კი ეუბნებოდნენ, ქალბატონს სძინავს და ნაბრძანები გვაქვს, არ გავაღვიძოთო.

მარგარიტას ჩვეულებად, უფრო კი, აუცილებლობად ექცა ჩემი ნახვა, რის შედეგადაც, სწორედ დროულად მიხდებოდა ხოლმე თამაშის მიტოვება, როგორც ეს დახელოვნებულ ოსტატებს სჩვევიათ. ყველაფერი რომ გავისტუმრე, აღმოვაჩინე, რომ ამ მოგებისგან, საბოლოოდ, ათი ათასამდე ფრანკი დამრჩენოდა, რაც ულევ სიმდიდრედ მეჩვენა.

დადგა დრო, როცა, ჩვეულებისამებრ, მამასთან და დასთან უნდა გავმგზავრებულიყავი, მე კი არ წავედი. ხან ერთისგან, ხან მეორისგან ხშირად მომდიოდა წერილები. წერილები, რომლებშიც მუდამ იმას მთხოვდნენ, გვინახულეო.

რაც შემეძლო, გულთბილად ვპასუხობდი, ვუმეორებდი და ვუმეორებდი, კარგად ვარ და ფული არ მიჭირს-მეთქი. მეგონა, ეს ორი რამ ოდნავ მაინც დაამშვიდებდა ჩემი წლევანდელი უნახაობით შეშფოთებულ მამას.

ამ დროს იყო, ერთ დილით, მზის სხივმა რომ გამოაღვიძა მარგარიტა, ფეხზე წამოხტა და მკითხა, გინდა, მთელი დღე ქა-ლაქგარეთ გავატაროთო?

პრიუდანსთან მსახური გავაგზავნეთ და სამივენი ერთად გავემგზავრეთ, ოღონდ ჯერ მარგარიტამ ნანინს დაუბარა, ჰერცოგს მოახსენეთ, რომ მინდოდა ამ მშვენიერი ამინდით მესარგებლა და ქალაქგარეთ წავედი ქალბატონ დიუვერნუასთან ერთადო. ამდენად, დიუვერნუას წამოსვლა აუცილებელიც კი იყო მოხუცი ჰერცოგის დასაშოშმინებლად. პრიუდანსი იმ ქალების რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც თითქოს ქალაქგარეთ სეირნობისთვის არიან დაბადებუ-ლები. თავისი უსაზღვრო მხიარულებისა და საუცხოო მადის წყა-ლობით, თანამეინახეებს წუთითაც არ მოაწყენდა. დაუყოვნებლივ შეუკვეთა კვერცხები, ალუბალი, რძე, შემწვარი კურდღელი, მოკლედ, ყველაფერი, რასაც ტრადიციულად მიირთმევენ საუზმეზე პარიზის შემოგარენში. ისღა დაგვრჩენოდა, გადაგვეწყვიტა, სად წავსულიყავით. ისევ პრიუდანსმა გვიშველა: - გინდათ, ნამდვილ სოფელში წახვიდეთ? - გვკითხა მან.

- დიახ.

- ძალიან კარგი, მაშინ ბუჟივალში წავიდეთ, არნუს ქვრივთან. არმან, დაიქირავეთ ეტლი.

საათ-ნახევრის შემდეგ არნუს ქვრივთან ვიყავით.

იქნებ იცოდეთ კიდეც ეგ პანსიონი, სამუშაო დღეებში აქ სასტუმროა გამართული, უქმეებზე - სამიკიტნო. ბაღიდან, რომელიც შემაღლებულზეა გაშენებული, არაჩვეულებრივი ხედი იშლება. მა-რცხნივ მარლის წყალსაცავი ერწყმის ჰორიზონტს,

მარჯვნივ ბორცვების უსასრულო რიგი მოჩანს. მდინარეს, უზარმაზარი მოთეთრო გველივით ზანტად რომ მიიკლაკნება გაბილონის ხეობასა და კრუასის შორის, ნანად ჩაესმის ტანაშოლტილი ალვის ხეებისა და ტირიფების ჩურჩული.

შორს, მზის სხივებში მოჩანს პატარ-პატარა, წითელსახურავიანი თეთრი სახლები და ფაბრიკები, რომლებიც, მიუხედავად მათი მკაცრი, კომერციული დანიშნულებისა, ძალიან უხდებიან მთელ პეიზაჟს.

უფრო შორს მოჩანს ნისლში გახვეული პარიზი.

როგორც პრიუდანსმა გვითხრა, ბუჟივალი ნამდვილი სოფელი გამოდგა და უნდა აღვნიშნო, რომ საუზმეც სწორედ სოფლური ჰქონდათ. მალაპარაკებს არა მხოლოდ მადლიერების გრძნობა იმ ბედნიერების გამო, რომელიც იქ განვიცადე, არამედ თვითონ ბუჟივალიც - რა ვუყოთ, რომ საშინელი სახელი ჰქვია, სამაგიეროდ, ყველაზე ლამაზი მხარეა, რაც შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს. მე ბევრი მიმოგზაურია, ბევრი დიდებული რამ მინახავს, მაგრამ ამ პატარა ბორცვის ფერხთით მიწოლილ მხიარულ სოფელზე მშვენიერი არაფერი შემხვედრია.

ქალბატონმა არნუმ შემოგვთავაზა, ნავით გაისეირნეთო, რასაც მარგარიტა და პრიუდანსი სიხარულით დათანხმდნენ.

ადამიანები ბუნებას მუდამ სიყვარულთან აკავშირებენ და სწორადაც იქცევიან: არაფერი არ უხდება ქალს ისე, როგორც ლურჯი ცა, ყვავილების სურნელი, ნიავი, მინდვრისა და ტყის მოელვარე მყუდროება. როგორც უნდა გიყვარდეთ ქალი, როგორც უნდა გჯეროდეთ მისი, როგორც უნდა გწამდეთ მომავლისა და ამ რწმენას ქალის წარსული ცხოვრებაც გიმტკიცებდეთ, მეტ-ნაკლებად მაინც ყოველთვის ეჭვიანობთ. თუ გყვარებიათ, სერიოზული სიყვარულით თუ გყვარებიათ, თქვენც იგრძნობდით დაუძლეველ წყურვილს, ამ ქვეყნისაგან შორს გაგეტაცათ საყვარელი არსება, რომელთანაც ერთ მთლიანობად გინდათ იქცეთ. რა გულგრილადაც უნდა ეპყრობოდეს იგი გარე სამყაროს, საყვარელი ქალი თითქოს ადამიანებსა და საგნებთან უბრალო შეხებითაც კი კარგავს თავის სურნელსა და უმანკოებას. მე ამას სხვებზე უკეთ ვგრძნობდი. ჩემი სიყვარული ჩვეულებრივ სიყვარულს როდი ჰგავდა, მე უსაზღვროდ მიყვარდა იგი, მაგრამ მე მარგარიტა გოტიე მიყვარდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ პარიზში ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეიძლებოდა შევხვედროდი კაცს, რომელიც, ან უკვე იყო ამ ქალის საყვარელი, ან მომავალში გახდებოდა. სოფელში კი, ხალხში, რომელიც აქამდე არასდროს გვენახა და რომელსაც ჩვენ ოდნავადაც არ ვანაღვლებდით, ხალხში, რომელიც გაზაფხულის ყოველწლიურ დღესასწაულს ზეიმობდა ქალაქური აურზაურისგან მოშორებით, შემეძლო კარგად დამემალა ჩემი სიყვარული და უშიშრად და უსირცხვილოდ მყვარებოდა.

მასში ნელ-ნელა გამქრალიყო კურტიზანი. გვერდით ახალგაზრდა, ლამაზი ქალი მედგა, რომელიც მიყვარდა, რომელსაც ვუყვარდი და რომელსაც, უბრალოდ, მარგარიტას ეძახდნენ. წარსული თვალს ეფარებოდა, მომავალი უღრუბლო ჩანდა. მზე ისე დაჰნათოდა ჩემს სატრფოს, როგორც ყველაზე უმანკო პატარძალს გაანათებდა. ჩვენ ორნი ვსეირნობდით ამ მშვენიერ ადგილებში, რომლებიც თითქოს მხოლოდ იმისთვის შეექმნა ღმერთს, რომ აქ ლამარტინის ლექსები გვეკითხა ან სკუდოს შანსონეტები გვემღერა.

მარგარიტას თეთრი კაბა ეცვა, მხარზე მეყრდნობოდა და ახლა ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ მიმეორებდა წინა დღით უკვე ნათქვამ სიტყვებს. ქვეყანა თავისი გზით მიდიოდა სადღაც შორს და უმცირეს ჩრდილსაც არ აყენებდა ჩვენს ახალგაზრდობასა და სიყვარულს.

ოცნებაში გავერთე. ნათელი, მზიანი დღე იდგა, მე კუნძულზე ბალახებში ვიწექი, ყოველგვარი ადამიანური ბორკილისგან თავისუფალი ჩემი აზრები კი დინჯად მიუყვებოდნენ ერთმანეთს და იმედით მავსებდნენ.

ამ დროს, მდინარის ნაპირზე მშვენიერ, პატარა, ორსართულიან სახლს მოვკარი თვალი, რომლისთვისაც ნახევარწრედ შემოევლოთ რიკული. რიკულს მიღმა, სახლის წინ მწვანე ტბორი მოჩანდა. მწვანე, ხავერდისფრად მოლივლივე ტბორი, შენობის უკან კი პატარა ტყე, თავისი იდუმალი კუნჭულებითა და ხავსმოდებული, თითქმის გადაშლილი ბილიკებით.

ხვიარა მცენარეები მოსდებოდნენ ამ უკაცური სახლის ჭიშკარს, ის კი არა, მეორე სართულამდეც აეღწიათ.

ისე დაჟინებით შევცქეროდი ამ სახლს, ისე უხდებოდა იგი წეღანდელ ოცნებას, რომ ბოლოს მომეჩვენა, ჩემია-მეთქი. წარმოვი-დგინე, მე და მარგარიტა დღისით, ბორცვზე შეფენილ ტყეში, საღამოს - ტბორთან; და საკუთარ თავს ვეკითხებოდი, სხვა ამქვეყნიური არსებებიც ჩვენსავით ბედნიერები არიან თუ არა-მეთქი.

- რა მშვენიერი სახლია, - მითხრა მარგარიტამ, მას შეემჩნია ჩემი მზერა და ვინ იცის, იქნებ ფიქრებიც გამოეცნო.

- სად? - იკითხა პრიუდანსმა.

- აი, იქ.

და მარგარიტამ თითი გაიშვირა სახლისკენ.

- აჰ, რა არაჩვეულებრივია, - წამოიძახა პრიუდანსმა, - მოგწონთ?

- ძალიან.

- ძალიან კარგი! ჰერცოგს უთხარით, დაგიქირავოთ, დარწმუნებული ვარ, დაგიქირავებთ. თუ გნებავთ, მე მოვაგვარებ მაგ საქმეს.

მარგარიტამ მე გამომხედა, თითქოს მეკითხებოდა, შენ რას ფიქრობ ამაზეო.

ოცნება პრიუდანსის უკანასკნელმა სიტყვებმა დამიფრთხო და ისე სასტიკად შევეჯახე რეალობას, რომ უცებ ვეღარ მოვედი გონს.

- მართლა შესანიშნავი აზრია, - მექანიკურად ჩავიბურდ-ღუნე მე.

- რა კარგია, მე მოვაგვარებ ამას, - წამოიძახა მარგარიტამ და ხელი მომიჭირა. როგორც უნდოდა, ისე გაიგო ჩემი სიტყვები, - მოდით, ახლავე ვნახოთ, ქირავდება თუ არა.

სახლში არავინ ცხორობდა, ორას ფრანკად აქირავებდნენ.

- ბედნიერი იქნებით აქ? - მკითხა მარგარიტამ.

- მეც შემომიშვებთ?

- კი მაგრამ, აბა, თქვენ გარდა, ვისი გულისთვის უნდა შევძვრე აქ?

- თუ ასეა, მარგარიტა, ნება მომეცით, თვითონ დავიქირავო ეს სახლი.

- გაგიჟდით? ეს არა მხოლოდ უაზრო საქციელია, არამედ სახიფათოც. კარგად მოგეხსენებათ, რომ საჩუქრის მიღება მხო-ლოდ ერთადერთი ადამიანისაგან შემიძლია. მაცალეთ, ჩემებურად მოვიქცე, ჩემო ძვირფასო, და ნურაფერს მეტყვით.

- როცა ორიოდე დღით მოვიცლი, მეც შემოგირბენთ ხოლმე, - გვითხრა პრიუდანსმა.

სახლი დავტოვეთ და პარიზისკენ მიმავალ გზაზე ამ ახალი გადაწყვეტილების გარდა არაფერზე გვილაპარაკია. ვეფერებოდი მარგარიტას და როცა ეტლიდან ჩამოვდიოდით, ჩემი სატრფოს გეგმა ძველებურად როდი მტკენდა გულს.

XVII

მეორე დღეს მარგარიტა უთენია გამომეშვიდობა. მითხრა, დი-ლით ჰერცოგი უნდა მოვიდესო და დამპირდა, როგორც კი წავა, მოგწერ და საღამოსთვის პაემანსაც დაგინიშნავო.

მართლაც, დღისით მისი წერილი მივიღე.

„ბუჟივალში მივდივარ ჰერცოგთან ერთად, დღეს საღამოს რვა საათზე პრიუდანსთან იყავით“.

მარგარიტა სწორედ დროზე დაბრუნდა და თვითონაც ქალბატონ დიუვერნუასთან შემოიარა.

- ყველაფერი მოვაგვარე, - გვახარა შემოსვლისთანავე.

- სახლი იქირავეთ? - ჰკითხა პრიუდანსმა.

- დიახ, დაუყონებლივ დამთანხმდა.

ჰერცოგს არ ვიცნობდი, მაგრამ შემრცხვა, ასე რომ ვატყუებდით.

- მაგრამ ეს ჯერ ყველაფერი არ არის, - განაგრძო მარგარიტამ.

- კიდევ რაღა მოხდა?

- არმანსაც მოვუნახე თავშესაფარი.

- თქვენს სახლში? - სიცილით ჰკითხა პრიუდანსმა.

- არა, მაგრამ ორ ნაბიჯზე, „პუან დიუ ჟურში“, სადაც დღეს ვისაუზმეთ მე და ჰერცოგმა. სანამ ის ხედით ტკბებოდა, ქალბატონ არნუს ვკითხე, ასე არ ქვია იმ ქალს? - წესიერი ბინა თუ გაქვთ-მეთქი. სწორედ საჩემო ბინა აღმოაჩნდა: სასტუმრო ოთახიც აქვს, დერეფანიც და საძინებელიც. მგონი, სულ ეს იყო. 60 ფრანკად თვეში. ავეჯი ისეთი დგას, ვერავინ დაიწუნებს. ეგეც დავიქირავე. კარგად ვქენი?

ყელზე მოვეხვიე მარგარიტას.

- შესანიშნავად გავატარებთ დროს, - განაგრძო მან, - თქვენ უკანა კარის გასაღები გექნებათ, ჰერცოგს ჭიშკრის გასაღებს დავპირდი, თუმცა, არა მგონია, წაიღოს, რადგან ჩამოსვლით, ძირი-თადად, დღისით ჩამოვა. ჩვენ შორის დარჩეს და, მგონი ჩემი ეს ახირება ძალიანაც მოსწონს, ალბათ იფიქრა, ცოტა ხნით მოშორდება ქალაქს და ოჯახის წევრებიც თავს დამანებებენო. თუმცა მაინც მკითხა, პარიზზე ხომ გიჟდებით და ამ სოფელში დასახლება რამ გადაგაწყვეტინათო. ვუპასუხე, თავს შეუძლოდ ვგრძნობ და აქ ცოტა სულს მოვითქვამ-მეთქი, მაგრამ, მგონი, მთლად ბოლომ-დე არ დამიჯერა. ამ საბრალო მოხუცს დღენიადაგ ყურები აქვს დაცქვეტილი, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, ჩემო ძვირფასო არმან, აქაც გააგრძელებს ჩემს თვალთვალს. მარტო სახლს ხომ არ ქირაობს ჩემთვის, ვალებიც მან უნდა გამისტუმროს, რომლებიც, სამწუხაროდ, საკმაოდ მაქვს. ყველაფერში მეთანხმებით?

- დიახ, - მიუგე მე და თავიდან მოვიშორე ყველა ეჭვი, რომელსაც ცხოვრების ამგვარი წესი იწვევდა ჩემში.

- ჩვენ თავიდან ბოლომდე დავათვალიერეთ სახლი, არაჩვე-ულებრივად გავატარებთ დროს, ჰერცოგმა ყველაფერზე იზრუნა, ეჰ, ჩემო ძვირფასო, - დაუმატა გახარებულმა და მაკოცა, - სა-საყვედურო არაფერი გექნებათ, ლოგინი თვითონ მილიონერმა დაგიგოთ.

- და როდის გადაბარგდებით? - ჰკითხა პრიუდანსმა.

- რაც შეიძლება მალე.

- ეტლს და ცხენებსაც თან წაიყვანთ?

- მთელ სახლს წავიღებ, თქვენ კი ჩემს ბინას უგდებთ ყურს, სანამ უკან ჩამოვალთ.

ერთი კვირის შემდეგ მარგარიტა სოფლის სახლის სრული ბატონ-პატრონი გახდა, მე კი „პუან დიუ ჟურში“ გადავსახლდი.

აი, აქედან იწყება ჩვენი ცხოვრების ის ხანა, რომელზე ლაპარაკიც ძალიან მიჭირს.

თავიდან, სანამ ბუჟივალის ყოველდღიურობას შეეგუებოდა, მარგარიტას გაუჭირდა თავის ქალაქურ ჩვეულებებზე უარის თქმა. სულ ახალსახლობას ზეიმობდა, ყველა მისი მეგობარი ჩამოდიოდა სანახავად. მთელი თვის მანძილზე ერთი დღეც არ გამორეულა ისეთი, მარგარიტასთან სუფრაზე 8 - 10 კაცს რომ არ მოეყარა თავი. პრიუდანსს კიდევ დამატებით თავისი ნაცნობები მოჰყავდა და ისე დიასახლისობდა, თითქოს სახლი მისი საკუთრება ყოფი-ლიყოს.

მთელ ხარჯებს ჰერცოგი ფარავდა, როგორც უჩემოდაც ხვდე-ბით. თუმცა დროდადრო პრიუდანსი მოდიოდა, ათას ფრანკს მთხო-ვდა, აქაოდა, მარგარიტას სურვილს ვასრულებო. გემახსოვრებათ, ბანქოში ცოტა ფული მქონდა მოგებული, ამიტომ ვცდილობდი, საჩქაროდ ამესრულებინა ის, რასაც პრიუდანსის პირით მარგარიტა მთხოვდა, თან ვშიშობდი, ვაითუ, ფული იმაზე მეტი დასჭირდეთ, ვიდრე მე მაქვს-მეთქი. ამიტომ პარიზში იმდენივე თანხა ვისესხე, რამდენიც ერთხელ უკვე მქონდა ნასეხებიცა და მალევე გასტუმრებულიც. ასე რომ კვლავ მდიდარი კაცი ვიყავი, რენტის გარდა, ჯიბეში კიდევ 12 ათასი ფრანკი მედო.

ამასობაში მარგარიტა უკვე ცოტა ნაკლები სიხარულით ეპატიჟებოდა მეგობრებს შინ. ხარჯი დიდი ჰქონდა, ფული არ ჰყოფნიდა და რამდენჯერმე მეც მთხოვა გარკვეული თანხა. ჰერცოგი, რომელმაც სახლი მარგარიტას დასასვენებლად დაუქირავა, აღარ ჩნდებოდა, ეშინოდა, მხიარულ და მრავალრიცხოვან საზოგადოებაში არ ამოვყო თავიო. ერთ დღეს ჩამოვიდა, გადაეწყვიტა, მარგარიტასთან ერთად ვისადილებო. არადა, თხუთმეტკაციან საუზმეზე კი მოხვდა. უკვე სადილობის დრო მოსულიყო, მათ კი საუზმეც არ მოეთავებინათ. და როცა გულუბრყვილოდ შეაღო სასადილო ოთახის კარი, მისმა შესვლამ ისეთი სიცილ-ხარხარი გამოიწვია, რომ იძულებული გახდა, დაუყოვნებლივ გასცლოდა ქალების ამ აღვირახსნილ მხიარულებას.

მარგარიტამ სუფრა მიატოვა, მეზობელ ოთახში წამოეწია ჰერცოგს და შეეცადა, როგორც მოხერხდებოდა, მიეფუჩეჩებინა მომხდარი, მაგრამ თავმოყვარეობაშელახული მოხუცი ძალიან იყო გაჯავრებული: მკაცრად უთხრა საბრალო გოგოს, დავიღალე იმ ქალის სისულელეებში ფულის ხდით, რომელიც იმდენსაც ვერ ახერხებს, პატივს მცემდნენ ჩემს საკუთარ სახლშიო და გაცეცხლებული წავიდა.

LIBRARY

იმ დღიდან მისი ამბავი აღარ გაგვიგონია. მარგარიტამ სახლიდან მიაბრძანა სტუმრები, ზნე გამოიცვლა, ჰერცოგისგან კი ისევ არაფერი ისმოდა. მოგებული ისევ მე დავრჩი. როგორც იქნა, ოცნება ავისრულე, ჩემი სატრფო ახლა განუყოფლად მე მეკუთვნოდა. მარგარიტა წუთსაც ვეღარ ძლებდა უჩემოდ, აღარ მალავდა და საქვეყნოდ ამზეურებდა ჩვენი ურთიერთობის ამბავს. ნელ-ნელა მეც მასთან გადავსახლდი. მსახურები ბატონს მეძახდნენ და მართლა ნამდვილი ბატონივით მექცეოდნენ.

პრიუდანსმა, ცხოვრების ამ ახალი წესის გამო, ერთი-ორჯერ მორალიც წაუკითხა მარგარიტას, მაგრამ ის პასუხობდა, რა ვქნა, მიყვარს, უმისოდ სიცოცხლე არ შემიძლია და ქვეყანაც რომ დაიქცეს, უარს მაინც არ ვიტყვი, დღემუდამ მასთან ყოფნის ბედნიერებაზეო და დაუმატებდა, ვისაც ეს ამბავი თვალში არ მოსდის, შეუძლია, აღარ გვესტუმროსო.

ეს ერთ მშვენიერ დღეს ჩემი ყურით გავიგონე, როცა პრიუდანსი ჩამოვიდა და მარგარიტას უთხრა, ძალიან მნიშვნელოვანი სალაპარაკო მაქვს შენთანო. ორივენი ოთახში შეიკეტნენ, მე კი გარედან ვაყურადებდი. მალე პრიუდანსი ისევ გვესტუმრა.

ბაღში ვიყავი, რომ შემოვიდა, არ დავუნახივარ. მარგარიტას დახვედრით მივხვდი, ისევ ძველებური საუბარი უნდა ჰქონოდათ და გადავწყვიტე, ყურს ამჯერადაც მივუგდებ-მეთქი.

ორივენი ბუდუარში შეიკეტნენ, მე სმენად ვიქეცი.

- ჰოდა . . . - წამოიწყო მარგარიტამ.

- ჰოდა, ჰერცოგს შევხვდი.

- რა გითხრათ?

- სიამოვნებით ვაპატიებ იმ პირველ სცენასო, მაგრამ გაუგია, რომ დაუფარავად ცხოვრობთ ბატონ არმან დიუვალთან და ამის პატიებას აღარ აპირებს. თუ მარგარიტა მიატოვებს იმ ყმაწვილ კაცს, მითხრა მან, და ადრინდელივით მარტო იცხოვრებს, ყველა სურვილს შევუსრულებ, თუ არა და, ჩემკენ მეტად ნუღარ გამოიხედავსო.

- თქვენ რა უპასუხეთ?

- თქვენს გადაწყვეტილებას შევატყობინებ მარგარიტას და შევეცდები, დავარწმუნო-მეთქი. დაფიქრდით, ჩემო ძვირფასო ბავ-შვო, იმ მდგომარეობაზე, რომელსაც კარგავთ და რომელსაც არმანი ვერასოდეს შეგიქმნით. მას მთელი არსებით უყვარხართ, მაგრამ საიმისო შეძლება არ მოეძევება, ყველა თქვენი ახირება დააკმა-ყოფილოს. ერთ მშვენიერ დღესაც მიგატოვებთ, მაგრამ მაშინ უკვე ძალიან გვიან იქნება და ჰერცოგი თითსაც აღარ გაანძრევს თქვენს დასახმარებლად. გინდათ, მე დაველაპარაკები არმანს?

მარგარიტა ეტყობა ფიქრებში გაერთო, რადგან არაფერი უპასუხა. ველოდი, ველოდი და გული ყელში მომებჯინა.

- არა, - წარმოთქვა მან, - არმანს არ მივატოვებ და არც დამალვით აღარ დავიმალები. იქნებ სისულელეებსაც ჩავდიოდე, მაგრამ მე მიყვარს იგი! რას იზამთ, თანაც არმანი გადაეჩვია დაბრკოლებებს. მეტისმეტად გაიტანჯება, თავისი ნების წინააღმდეგ, დღეში თუნდაც ერთი საათით რომ გამშორდეს. გარდა ამისა, მეც ორი დღის სიცოცხლე მაქვს დარჩენილი და თავს ვერ გავიუბედურებ მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაც მოხუცის სურვილები შევასრულო. მარტო მისი შემოხედვაც კი მაბერებს. მშვიდობაში მოიხმაროს თავისი ფული, უამისოდაც გავძლებ როგორმე.

- მაგრამ როგორ?

- არ ვიცი.

პრიუდანსი ალბათ პასუხის გაცემას აპირებდა, მაგრამ მე აღარ ვაცალე, შევვარდი ოთახში და ფეხებში ჩავუვარდი მარგარიტას. ხელები დავუკოცნე, თან სიხარულის ცრემლი მდიოდა, თურმე როგორ ვუყვარდი.

- ჩემი სიცოცხლე შენს ხელთაა, მარგარიტა, აბა, რაღაში გჭირდება ეგ კაცი, მე გვერდით არ გყავარ? ნუთუ გგონია, ოდესმე მიგატოვებ, რა ფასადაც არ უნდა ვყიდულობდე შენგან მონიჭებულ ბედნიერებას? რისი უნდა გვრცხვენოდეს, ძვირფასო მარგარიტა, ჩვენ ხომ გვიყვარს ერთმანეთი. აბა, მეტი რაღა გვჭირდება?

- ჰო, ჰო, მიყვარხარ, ჩემო არმან, - მეჩურჩულებოდა იგი და ყელზე მეხვეოდა, - მიყვარხარ, რას ვიფიქრებდი თუ ასეთი სიყვარული შემეძლო. ჩვენ ბედნიერები ვიქნებით, მშვიდად ვიცხოვრებთ და მე საუკუნოდ დავემშვიდობები იმ ცხოვრებას, რომლის გამოც ახლა გაწითლება მიწევს. ხომ არასოდეს წამომაყვედრი წარსულს?

ცრემლები ყელში მეჩხირებოდა, პასუხად მკერდში ჩავიკარი მარგარიტა.

- აბა, - მიუბრუნდა იგი პრიუდანსს და აღელვებული ხმით უთხრა, - უამბეთ ეს სცენა ჰერცოგს და დაუმატეთ, როგორმე უთქვენოდაც გავლენ იოლას-თქო.

იმ დღის შემდეგ ჰერცოგზე სიტყვაც აღარ დაგვცდენია, მარგარიტა აღარ ჰგავდა იმ თავქარიან გოგოს, მე რომ ოდესღაც ვიცნობდი. იგი თავს არიდებდა ყველაფერს, რაც კი მე მის წარსულ ყოფას გამახსენებდა. არც ერთ დასა და არც ერთ ცოლს არ ჰყვარებია არასოდეს საკუთარი ძმა და ქმარი ისე, როგორც მე ვუყვარდი მარგარიტას.

ეს ავადმყოფური ბუნების ადამიანი ფეხს უწყობდა ყოველგვარ განწყობილებას და გულგახსნილი ეგებებოდა ყოველ ახალ შეგრძნებას. მან ერთბაშად თქვა უარი არა მარტო თავის მეგო-ბრებზე, არამედ ძველ ჩვეულებებზე, უხამს სიტყვებსა და ფულის ფლანგვაზეც. ვინმეს რომ დავენახეთ, როცა შინიდან გამოვდიოდით, რათა ჩემი ნაყიდი მშვენიერი პატარა ნავით გაგვესეირნა, ვერაფრით წამოიდგენდა, ეს ქათქათა კაბაში გამოწყობილი, ჭილის ვეებერთელაქუდიანი ქალი, ყოველი შემთხვევისთვის წამოღებული აბრეშუმის მოსასხამი მკლავზე რომ გადაეფინა, რომ მარგარიტა გოტიე იყო. ქალი, რომელიც ორი თვის წინ მთელ პარიზს ალაპარაკებდა თავისი ფუფუნებითა და სკანდალებით.

ეჰ! მაშინ ძალიან ავჩქარდით, დავეხარბეთ ბედნიერებას, თით-ქოს გული გვიგრძნობდა, ერთად დიდი დღე არ გიწერიათო.

ორი თვე ისე გავიდა, პარიზში ფეხი არ ჩაგვიდგამს, არც ჩვენ გვსტუმრებია ვინმე პრიუდანსისა და ჟიული დიუპრეს გარდა. ეს ის ქალია, მე რომ გელაპარაკეთ, ვისაც მოგვიანებით მარგარიტამ თავისი სულისშემძვრელი დღიური დაუტოვა.

მთელ დღეებს ჩემი სატრფოს ფერხთით ვატარებდი. ვაღებდით ბაღში გამავალ ფანჯრებს და ვტკბებოდით ხეების ჩრდილქვეშ თავწამოყოფილი ყვავილების ცქერით. ერთმანეთის გვერდით ვისხედით და ხარბად ვისრუტავდით ჭეშმარიტ ცხოვრებას, რომლისაც იქამდე არც მე და არც მარგარიტას არაფერი გაგვეგებოდა.

ამ ქალს სულ უმნიშვნელო წვრილმანიც კი ბავშვივით აიტაცებდა ხოლმე. ხანდახან მთელი დღე ათი წლის გოგოსავით პეპელასა და კალიას დასდევდა ბაღში. ეს კურტიზანი, რომელიც მარტო თაიგულებში იმდენს ხარჯავდა, რომ მთელ ოჯახს შეინახავდა იმ ფულით კაცი, ახლა საათობით იჯდა ტბორთან და თავის სეხნია ყვავილს თვალს არ აშორებდა.

ზუსტად მაშინ კითხულობდა „მანონ ლესკოს“, ხშირად ეჭირა ხელში. ყოველთვის მეუბნებოდა, შეყვარებული ქალი მანონივით ვერასოდეს მოიქცევაო.

ორ-სამჯერ ჰერცოგმაც მოსწერა. ხელს სცნობდა და წერილებს პირდაპირ მე მაძლევდა, გადაუთვალიერებლად. ამ ბარათებში ამოკითხულმა ზოგიერთმა გამოთქმამ რამდენჯერმე ცხარე ცრემლითაც მატირა.

ჰერცოგმა რომ მარგარიტას ცხოვრების სახსარი შეუწყვიტა, იმედი ჰქონდა, დამემორჩილებაო, მაგრამ როცა მიხვდა, ეს გადაწყვეტილება შედეგს ვერ მომიტანსო, აღარ გაჯიუტებულა. ისევ უგზავნიდა წერილებს, დამიბრუნდიო, სთხოვდა და ყოველგვარ პირობაზე თანახმა იყო.

ვკითხულობდი ამ დაჟინებულ, ერთფეროვან წერილებს, მათ შინაარსს არც კი ვუყვებოდი მარგარიტას, პირდაპირ ვხევდი. არ ვურჩევდი, მოინახულე მოხუცებული-მეთქი, თუმცა ძალიან კი მებრალებოდა საწყალი კაცი. მეშინოდა, რომ ვურჩიო, ვაითუ, მარ-გარიტას მოეჩვენოს, რომ მზადა ვარ, ჰერცოგის ვიზიტები ძველებურად მოვითმინო, ოღონდ კი მან ყოველგვარი ხარჯი კვლავაც საკუთარ თავზე აიღოს-მეთქი. მეშინოდა, არ ეგონოს, ერთი სული აქვს, ჩემზე ზრუნვას თავიდან როდის მოიშორებსო.

შედეგად, ჰერცოგმა, რადგან პასუხი ვერ მიიღო, წერა შეწყვიტა, მე და მარგარიტა კი ისევ ერთად ვცხოვრობდით და მომავალზე მაინცდამაინც ბევრს როდი ვფიქრობდით.

XVIII

ძნელია ერთობლივი ცხოვრების ყველა წვრილმანის მოყოლა. იგი ჩვენთვის უამრავი მშვენიერი ბავშვური გრძნობისგან შედგებოდა, მაგრამ როგორც კი ვინმესთან ამაზე ლაპარაკს იწყებ, მას ეს ყოველივე უაზრობად ეჩვენება. ხომ იცით, რას ნიშნავს ქალის სიყვარული, ხომ იცით, რა მალე გადის დრო, სასიყვარულო ნეტარებაში გართული კაცი ვერც კი ამჩნევ, როგორ იწურება ერთი და დგება მეორე დღე. თქვენთვის უცხო არ არის ეს თავდავიწყება, რომელსაც ძლიერი, გულუბრყვილო, ორმხრივი სიყვარული იწვევს, როცა საყვარელი ქალის გარდა ყველა ქმნი-ლება ზედმეტად გეჩვენება და ნანობ, აქამდე სხვა ქალებსაც რომ გაუნაწილე შენი გული. შეუძლებლად გეჩვენება, მისი ხელის გარდა სხვისას ხელში რა დამაჭერინებსო, ტვინს აღარც მუშაობა სურს, აღარც არაფრის მოგონება, არაფრის, რამაც შეიძლება იმ ერთადერთ ფიქრს მოსწყვიტოს. ყოველდღე ახალ-ახალ მშვენიერებასა და აქამდე უცნობ სიამოვნებას აღმოვაჩენთ ხოლმე ჩვენს სატრფოში.

სიცოცხლე ნატვრის ასრულებაა და მეტი არაფერი, სული კი ქურუმია, რომელმაც სიყვარულის წმინდა ცეცხლი არ უნდა ჩააქროს.

ხშირად, შებინდდებოდა თუ არა, სახლის უკან პატარა ტყეში ვსეირნობდით, იქ ვაყურადებდით საღამოს მხიარულ ჰარმონიას, სხვა დროს მთელ დღეს ლოგინში ვატარებდით და მზესაც კი არ ვუშვებდით ოთახში, ფარდებს ბოლომდე ჩამოვაფარებდით და გარესამყარო ცოტა ხნით წყვეტდა ჩვენთვის არსებობას. მხო-ლოდ ნანინს ჰქონდა კარის გაღების უფლება და ისიც მხოლოდ საუზმის შემოსატანად. საწოლშივე ვჭამდით, თან გაუჩერებლად ვიცინოდით და ვხუმრობდით, შემდეგ ცოტა ხანს ვიძინებდით, რადგან ორ გაჯიუტებულ მოცურავეს ვგავდით, წყლის ზედაპირზე მარტო სულის მოსათქმელად რომ ამოდიან.

თუმცა რამდენჯერმე შევამჩნიე, მოიწყინა, ცრემლიც მოერია, ვეკითხებოდი, ასე მოულოდნელად რამ დაგაღონა-მეთქი, ის კი მპასუხობდა: - ჩვენი სიყვარული ჩვეულებრივი გრძნობა როდია, ჩემო ძვირფასო არმან, შენ ისე გიყვარვარ, თითქოს აქამდე არასდროს არავის ვეკუთვნოდი. მეშინია, მოგვიანებით ინანებ, რატომ მიყვარდაო და დანაშაულად ჩამითვლი ჩემს წარსულს, მაიძულებ, ისევ იმ წრეში მოვხვდე, რომელსაც შენი წყალობით დავაღწიე თავი, მაგრამ ახლა, როცა ამ ცხოვრებას გავუგე გემო, იქ დაბრუნება ბოლოს მომიღებს. მითხარი, რომ არასდროს მიმატოვებ.

- გეფიცები!

ამის გაგონებაზე დაკვირვებით შემომხედა, თითქოს უნდოდა, ჩემს თვალებში ამოეკითხა, გულწრფელი იყო თუ არა ეს ფიცი, შემდეგ მომეხვია, თავი მკერდზე მომაყრდნო და მითხრა: - ვერც კი წარმოიდგენ, როგორ მიყვარხარ.

ერთ საღამოს რაფაზე დაყრდნობილები შევცქეროდით მთვარეს, რომელიც ისე ამოდიოდა, თითქოს ღრუბლების საწოლიდან წამოდგომა ეძნელებაო. ყურს ვუგდებდით ტოტებში მოჩურჩულე ქარს. მთელი თხუთმეტი წუთი ხმა არ ამოგვიღია. უცებ მარგარიტამ მკითხა: - აი, ზამთარიც მოვიდა, გინდა სადმე წავიდეთ?

- მაინც სად?

- იტალიაში.

- აქ მოიწყინე?

- ზამთრის მეშინია, განსაკუთრებით, პარიზში დაბრუნება მაშინებს.

- რატომ?

- ბევრი მიზეზი მაქვს.

და უცებ კვლავ ჩვეულებრივად განაგრძო, ისე, რომ თავის შიშებზე კრინტი აღარ დაუძრავს.

- გინდა, წავიდეთ? ყველაფერს გავყიდი, თუ რამე მაქვს, იქ გადავსახლდებით, მე შევიცვლები და არავის ეცოდინება, ვინ ვარ, გინდა?

- წავიდეთ, თუ გინდა, მარგარიტა. მართლა წავიდეთ, ვიმოგზაუროთ, - ვუთხარი მე, - მაგრამ რა აუცილებელია შენი ნივთები გავყიდოთ, რომლებიც დაბრუნებულს გაგახარებენ? არც იმხელა ქონება მაქვს, ასეთი მსხვერპლი მივიღო, მაგრამ ხუთი-ექვსი თვე რომ ვიმოგზაუროთ, ნამდვილად გვეყოფა.

- არა, არ ღირს, - განაგრძო მან, ფანჯარას მოსცილდა და ოთახის სიღრმეში ტახტზე ჩამოჯდა, - რატომ უნდა დავხარჯოთ ამდენი ფული? აქაც მშვენივრად ვგრძნობთ თავს.

- შენ მსაყვედურობ, მარგარიტა, ეგ ვერაფერი დიდსულოვ-ნებაა.

- მაპატიე, მეგობარო, - მითხრა მან და ხელი გამომიწოდა, - ეს ჭექა-ქუხილი ნერვებს მიშლის, სულ სხვა რამის თქმა მინდოდა.

მერე მაკოცა და ფიქრში გაერთო.

ასეთი რამ ადრეც არაერთხელ მომხდარა, მიზეზი არ ვიცოდი, თუმცა მარგარიტასთვის ხშირად შემიჩნევია, როგორ ღელავდა მო-მავალზე. ჩემს გრძნობაში ეჭვს ვერ შეიტანდა, რადგან დღითიდღე უფრო და უფრო მემატებოდა სიყვარული და, მიუხედავად ამისა, ხშირად ვხედავდი მოწყენილს, მაგრამ როცა მიზეზს ვეკითხებოდი, ყველაფერს ყოველთვის ფიზიკურ სისუსტეს აბრალებდა.

ვშიშობდი, ვაითუ მეტისმეტად ერთფეროვანი ცხოვრება ღლის-მეთქი, პარიზში დაბრუნება შევთავაზე, მაგრამ მუდამ უარყოფდა ჩემს წინადადებას და მარწმუნებდა, ვერსად ვერ ვიქნები ისე ბედნიერი, როგორც სოფელში ვარო.

პრიუდანსიც იშვიათად გვნახულობდა, სამაგიეროდ, წერილებს გვწერდა. მარგარიტასთვის არასოდეს მითხოვია, მაჩვენე-მეთქი, თუმცა ვხედავდი, თითოეული ეს წერილი როგორ აშფოთებოდა. არ ვიცოდი, რა მეფიქრა.

ერთ დღეს მარგარიტა ოთახიდან არ გამოვიდა. შევედი, წერილს წერდა.

- ვის სწერ? - ვკითხე.

- პრიუდანსს, გინდა, წაგიკითხო რა დავწერე?

შემეშინდა, უნდობლობაში არ ჩამთვლოდა და ვუპასუხე, არ მინდა, არ მაინტერესებს, რას წერ-მეთქი, თუმცა ეჭვი არ მეპარებოდა, ეს წერილი ნათელს მოჰფენდა მისი მწუხარების ნამდვილ მიზეზს.

მეორე დღეს შესანიშნავი ამინდი იყო. მარგარიტამ შემომთავაზა, ნავით გავცუროთ და კუნძულ კრუასის ვესტუმროთო. თითქოს მხიარულადაც ეჭირა თავი. ხუთი საათი იყო, უკან რომ დავბრუნდით.

- ქალბატონი დიუვერნუა ჩამოვიდა, - შემოგვეგება ნანინი.

- უკვე წავიდა? - ჰკითხა მარგარიტამ.

- დიახ, ქალბატონის ეტლით, მითხრა, ასე ვიყავით შეთან-ხმებულიო.

- ძალიან კარგი, - მხიარულად წამოიძახა მარგარიტამ, - უბრძანე, მაგიდა გაგვიშალონ.

ორი დღის შემდეგ პრიუდანსის წერილი მივიღეთ და მომდევნო 14 დღის მანძილზე მარგარიტას თავისი იდუმალი მელანქოლია აღარ მოსძალებია, ის მელანქოლია, რომლის გამოც ადრე სულ მებოდიშებოდა.

სხვათა შორის, ეკიპაჟი არ დაუბრუნებიათ.

- რატომ არ გიბრუნებს პრიუდანსი ეტლს? - ვკითხე ერთ-ხელ.

- ორიდან ერთი ცხენი ავად გამხდარა, ეტლი კი შესაკეთებელია, აჯობებს, მანამ შეაკეთონ, სანამ ჩვენ აქ ვართ. პარიზში დაბრუნებამდე ეტლი, აბა, რაში უნდა დაგვჭირდეს.

პრიუდანსმა თავადაც გვინახულა რამდენიმე დღის შემდეგ და დამიდასტურა მარგარიტას სიტყვები. ორივენი მარტო სეირნობდნენ ბაღში, როცა მეც შევუერთდი, საჩქაროდ საუბრის თემა გამოცვალეს. საღამოს, წასვლის წინ პრიუდანსი აწუწუნდა, ცივა და შალი მათხოვეთო. მთელი თვე მარგარიტა ისეთი მხია-რული და ბედნიერი იყო, როგორც არასდროს, თუმცა არც ეტლი დაუბრუნებიათ და არც შალი. ეს ყველაფერი, ჩემდაუნებურად, მაეჭვებდა და რადგან ვიცოდი, რომელ ყუთში ინახავდა მარ-გარიტა პრიუდანსის წერილებს, დრო ვიხელთე და როცა იგი ბაღში სეირნობდა, უჯრას ვეცი, შევეცადე, გამეღო, მაგრამ ამაოდ, ორი საკეტით აღმოჩნდა ჩაკეტილი.

მაშინ ის უჯრები გადმოვაქოთე, რომლებშიც ძვირფასეულო-ბას და მარგალიტებს ინახავდა. ყველა ეს უჯრა იოლად გავხსენი, მაგრამ ბუდეები სადღაც გამქრალიყო. რასაკვირველია, შიგთავსთან ერთად.

შიშისგან სული შემიგუბდა.

დავაპირე, მარგარიტასგან ამ ყველაფრის გამო ახსნა-განმარ-ტება მომეთხოვა, მაგრამ ვიფიქრე, სულერთია, მაინც არ გამიმხელს-მეთქი.

- ჩემო ძვირფასო მარგარიტა, - წამოვიწყე მე, - მინდა პარიზში წასვლის ნება დამრთო, ჩემთან ბინაში არ იციან, სად ვარ. წესით, მამაჩემის წერილები უნდა მომსვლოდა, უეჭველად ღელავს და ვალდებული ვარ, ვუპასუხო.

- წადი, ჩემო მეგობარო, - მითხრა მან, - ოღონდ უკან მალე დაბრუნდი.

გავემგზავრე.

მაშინვე პრიუდანსთან შევირბინე.

- მისმინეთ, - მოკლედ მოვუჭერი, - გულწრფელად მიპასუხეთ, სად არის მარგარიტას ცხენები?

- გაიყიდა.

- შალი?

- ეგეც.

- მარგალიტები?

- დაგირავებულია.

- კი მაგრამ, ვინ გაყიდა და დააგირავა ყველაფერი?

- მე.

- წინასწარ რატომ არ გამაფრთხილეთ?

- მარგარიტამ ამიკრძალა და იმიტომ.

- და მე რატომ არ მთხოვეთ ფული?

- არ უნდოდა და იმიტომ.

- კი მაგრამ, სად წავიდა ეს ფული?

- ვალებში.

- ესე იგი, ბევრი ვალი აქვს?

- დაახლოებით, 30 ათასი ფრანკი, ან შეიძლება ცოტა მეტი. ეჰ! ჩემო ძვირფასო, რას გეუბნებოდით! თქვენ კიდევ არ გსურდათ, ყური გეთხოვებინათ. ეჰ, რაც იყო, იყო. ახლა ხომ თქვენი თვალით ნახეთ. ავეჯის გამყიდველი, ჰერცოგი რომ დაუდგა ადრე თავდებად, გააგდეს, როცა ჰერცოგთან გამოცხადდა.

მეორე დღეს წერილი მივიღეთ, ჰერცოგი მადმუაზელ გოტიეს აღარ დაეხმარებაო. იმ კაცმა ფული მოითხოვა და ვალის ნაწილი იმ ფულით გაუსტუმრეს, რომელიც მე გამოგართვით. შემდეგ კეთილმა მეგობრებმა ჩააწვეთეს იმ კაცს, ჰერცოგისაგან მიტოვებული შენი მევალე ვიღაც უქონელ ღარიბ ახალგაზრდასთან ცხოვრობსო. სხვა კრედიტორებიც გააფრთხილეს, მათაც ფული მოითხოვეს და ქონება დაუყადაღეს.

მარგარიტას ყველაფრის გაყიდვა უნდოდა, მაგრამ ვეღარ მოასწრო და, გარდა ამისა, მეც დავუშალე, მაგრამ გადახდით მაინც უნდა გადაეხადა, არ სურდა, თქვენთვის ეთხოვა ფული. ამიტომ ცხენები და შალები გაყიდა, ძვირაფსეულობა კი დააგირავა, მყიდველთა ხელწერილები და ლომბარდის ქვითრებიც გინდათ ნახოთ?

პრიუდანსმა უჯრა გამოაღო და ფურცლები გამომიწოდა.

- ეჰ, რა გეგონათ, - განაგრძო იმ ქალივით მტკიცედ, რომ-ელსაც შეუძლია თქვას, მე ხომ მართლი ვიყავიო, - ეჰ, გეგონათ, საკმარისია ერთმანეთი გვიყვარდეთ და სოფელში პასტორალური, უდავიდარაბო ცხოვრებით ვიცხოვროთ? არა, ჩემო მეგობარო, არა და არა, იდილიურ ცხოვრებას მატერიალური მხარეც აქვს და ყველაზე წმინდა გადაწყვეტილებებიც კი მიწაზე არიან მიჯაჭვული. თავიდან იქნებ სიცილადაც არ გეყოთ, მაგრამ ეგ ჯაჭვი რკინისაა და იოლად როდი წყდება, თუ მარგარიტამ ერთი ოცჯერ არ გიღალატათ, მხოლოდ იმიტომ, რომ გამორჩეული ბუნების ადამიანია. მე ვურჩიე კიდეც, მშვიდად ვერ ვუყურებდი, როგორ კარგავდა ყველაფერს საბრალო გოგო, მაგრამ არ მოინდომა, თქვენზე მითხრა, მიყვარს და ქვეყნად არაფრის გულისთვის არ მივატოვებო. ეს ყველაფერი ძალიან ლამაზია, ძალიან პოეტური, მაგრამ ასე მევალეებს არ ისტუმრებენ. არადა, კიდევ გიმეორებთ, დღეს მას, სულ ცოტა, 30 ათასი ფრანკი მაინც სჭირდება.

- ძალიან კარგი, გადავიხდი მაგ თანხას.

- ასესხებთ?

- ღმერთო ჩემო, რა თქმა უნდა.

- რა კარგად მოგიფიქრებიათ, - მამას წაეჩხუბებით, საქმეებს აიწეწავთ, თან 30 ათასი ფრანკიც ქუჩაში როდი ყრია. დამიჯერეთ, ძვირფასო არმან, მე ქალების თქვენზე მეტი გამეგება, ნუ ჩაიდენთ ამ სისულელეს, თორემ ერთ დღესაც სანანებელი გაგიხდებათ. გონივრულად მოიქეცით. არ გეუბნებით, მარგარიტა მიატოვეთ-მეთქი, მაგრამ იცხოვრეთ მასთან, როგორც ზაფხულის დასწყისში ცხოვრობდით, აცალეთ, ამ მდგომარეობას თავი დააღწიოს, თანდათან ჰერცოგიც დაუბრუნდება, გრაფი დე ნ . . . - ც, თუკი მარგარიტა მიიღებს. ჯერ კიდევ გუშინ მეუბნებოდა, ყველა ვალს გავუსტუმრებ და თვეში 5 - 6 ათას ფრანკსაც მივცემო. მას წელიწადში ორასი ათასი ლივრი აქვს, ამით მდგომარეობას გამოისწორებს. თქვენ კი, ადრე თუ გვიან, იძულებული გახდებით, მაინც მიატოვოთ. ნუ დაუცდით გაკოტრებას, მითუმეტეს, რომ გრაფი დე ნ . . . რეგვენია და თქვენ ხელს ვერაფერი შეგიშლით, კვლავ მარაგრიტას საყვარლად დარჩეთ. თავიდან ცოტა წაიტირებს, მაგრამ ბოლოს მიეჩვევა და ერთ დღესაც მადლობას გეტყვით ყველაფრისთვის, რაც მისთვის გააკეთეთ. წარმოიდგინეთ, თითქოს მარგარიტა გათხოვილია და ქმარს ატყუებს, მეტი არაფერი, ერთხელ ადრეც გითხარით ეს, ოღონდ მაშინდელივით ეს მხოლოდ რჩევა კი არ არის, გარდაუვალი აუცილებლობაა.

პრიუდანსმა სასტიკი სიმართლე მითხრა.

- საქმე ის არის, - განაგრძო მან, თან წეღან რომ ფურცლებს მაჩვენებდა, ისინი შეინახა, - ხარჭებს წინდაწინ ჰგონიათ, ჩვენ აუცილებლად შეგვიყვარებენ, ჩვენ კი არავინ შეგვიყვარდებაო, თორემ ფულს გადაინახავდნენ და ოცდაათი წლის ასაკში შეძლებდნენ, საკუთარი თავისთვის იმ ფუფუნების უფლება მიეცათ, რასაც უფასო საყვარელი ჰქვია. ნეტავ, თავის დროზე მცოდნოდა, რაც ახლა ვიცი! და ბოლოს, მარგარიტას ნურაფერს ეტყვით, ჩამოიყვანეთ პარიზში. ოთხი-ხუთი თვე მარტოდმარტო ცხოვრობდით მასთან, მშვენიერი შედეგია. ახლა მხოლოდ თვალი დახუჭეთ, მეტი არაფერი მოგეთხოვებათ, 2 კვირაში გრაფ დე ნ . . . - ს მიიღებს, ამ ზამთარში ცოტა ფულს გამოიზოგავს, მომავალ ზაფხულს კი ყველაფერს თავიდან დაიწყებთ. აი, როგორ უნდა ცხოვრება, ჩემო მეგობარო.

პრიუდანსი აღტაცებული იყო თავისი რჩევით, რომელიც მე ზიზღით უარვყავი. არამხოლოდ ჩემი სიყვარული და ღირსება არ მაძლევდა ამგვარად მოქცევის უფლებას, არამედ ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ მისი ახლანდელი განწყობიდან გამომდინარე, მარგარიტაც უმალ სიკვდილს ამჯობინებდა განშორებას.

- რა დროს ხუმრობაა, - ვუთხარი პრიუდანსს, - ზუსტად რამდენი სჭირდება მარგარიტას?

- გითხარით, 30 ათასი ფრანკი-მეთქი.

- და ვადა რამდენი აქვს?

- ორი თვე.

- მიიღებს მაგ ფულს.

პრიუდანსმა მხრები აიჩეჩა.

- მე მოგცემთ ფულს, - განვაგრძე მე, - მაგრამ შემომფიცეთ, რომ არ ეტყვით მარგარიტას, ვისგან მიიღეთ იგი.

- შეგიძლიათ, მშვიდად იყოთ.

- და კიდევ, თუ რამის გაყიდვას ან დაგირავებას გთხოვთ, დაუყოვნებლივ გამაგებინეთ.

- ეგ აღარ გემუქრებათ, მეტი აღარაფერი აქვს.

ამ საუბრის შემდეგ ჩემთან შევიარე, მამაჩემის წერილები ხომ არ მოსულა-მეთქი. ოთხი ცალი დამხვდა.

XIX

პირველ სამ წერილში მამაჩემს აშფოთებდა ჩემი დუმილი და განუწყვეტლივ მეკითხებოდა მიზეზს. უკანასკნელში კი მიმანიშნა, ვიცი შენს ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების შესახებ და ამ დღეებში ჩამოვალო.

მე ყოველთვის დიდი სიყვარული და პატივისცემა მქონდა მამისადმი. ვუპასუხე, რომ ჩემი დუმილის მიზეზი ხანმოკლე მოგზაურობა იყო და ვთხოვე, წინასწარ მაცნობეთ, როდის ჩამოხვალთ, რომ დაგხვდეთ-მეთქი.

მსახურს ჩემი სოფლის მისამართი მივეცი და ვუბრძანე, ჩემთვის მოეტანა ს . . . - დან გამოგზავნილი პირველივე წერილი, შემდეგ კი დაუყოვნებლივ ბუჟივალისკენ გავემგზავრე.

მარგარიტა ჭიშკართან მელოდა.

შეშფოთებული მზერა ჰქონდა, ყელზე მომეხვია, თავი ვერ შეიკავა და მკითხა: - პრიუდანსი ნახე?

- არა.

- დიდხანს იყავი პარიზში?

- მამაჩემის წერილები ვნახე და უნდა მეპასუხა.

- რამდენიმე წუთში ნანინი შემოვიდა, სულს ძლივს ითქვამდა. მარგარიტა წამოდგა და ერთხანს იჩურჩულეს.

როცა ნანინი წავიდა, მარგარიტა გვერდით მომიჯდა, ხელი ჩამჭიდა და მითხრა: - რატომ მომატყუე? პრიუდანსთან ყოფილხარ.

- ვინ გითხრა?

- ნანინმა.

- იმას ვინ უთხრა?

- გითვალთვალებდა.

- შენ დაავალე, ეთვალთვალა?

- კი, ვიფიქრე, რომ მხოლოდ ძალიან სერიოზული მიზეზი თუ გაიძულებდა პარიზში წასვლას. შენ ხომ ოთხი თვეა, გვერდიდან არ მომშორებიხარ. მეშინოდა, ვაითუ, რამე უბედურება შეემთხვა, ან სხვა ქალის სანახავად გაეშურა-მეთქი.

- ჩემი პატარა.

- ახლა დავმშვიდდი, ვიცი, რასაც აკეთებდი, მაგრამ არ ვიცი, იქ რა გაიგე.

მარგარიტას ვაჩვენე მამის წერილი.

- ამას არ გეკითხები: ის მაინტერესებს, პრიუდანსთან რა გინდოდა.

- სანახავად შევუარე.

- მატყუებ, მეგობარო.

- კარგი, ვკითხე, ცხენმა ხომ არ მოიკეთა-მეთქი, გარდა ამისა, გავიგე, კიდევ სჭირდება თუ არა შენი შალი და ძვირფასეულობა.

მარგარიტა გაწითლდა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

- და, - განვაგრძე მე, - გავიგე, რაც უქენი შენს ცხენებს, შალებსა და მარგალიტებს.

- მიბრაზდები?

- გიბრაზდები, იმიტომ რომ მე არ მითხარი, რამე თუ გჭირ-დებოდა.

- ისეთ ურთიერთობაში, როგორიც ჩვენია, თუკი ქალს ცოტაოდენი ღირსება მაინც აქვს შერჩენილი, რაც შეუძლია, ყველაფერი უნდა გაწიროს მსხვერპლად, მით უფრო, ფული არ უნდა სთხოვოს საყვარელს და ანგარების სახე არ უნდა მისცეს საკუთარ სიყვარულს. მჯერა, გიყვარვარ, მაგრამ შენ აბა რა იცი, რამდენად მერყევია ჩემისთანა ქალის სიყვარული. ვინ იცის? იქნებ ერთ დღესაც, როცა ან დარდი შემოგაწვება, ან უბრალოდ მოგბეზრდები, ყველაფერში დაკვირვებით შედგენილი გეგმა დაინახო! პრიუდანსს გრძელი ენა აქვს! რაში მჭირდებოდა ეს ცხენები! გავყიდე და ეკონომია გავაკეთე, მათ გარეშეც იოლად გავალ და არც შენახვაში დამეხარჯება ფული. ოღონდ შენ გიყვარდე, მეტი არაფერი მინდა. შენ კი უცხენებოდაც გეყვარები, უშალოდაც და უმარგალიტებოდაც.

ყველაფერი ისე ბუნებრივად მითხრა, ვუსმენდი და ცრემლით ამევსო თვალები.

- მაგრამ, ჩემო ძვირფასო მარგარიტა, - ვუთხარი მე და მაგრად მოვხვიე მკლავები ჩემს სატრფოს, - ხომ მშვენივრად იცოდი, რომ ადრე თუ გვიან მაინც გავიგებდი, რა მსხვერპლიც გაიღე და იმ დღესვე მივიღებდი შესაფერის ზომებს.

- რატომ?

- იმიტომ, პატარავ, რომ სულაც არ მინდა, ჩემმა სიყვარულმა ძვირფასეულობის გარეშე დაგტოვოს, არც ის მინდა, იმ წუთს, როცა ან დარდი შემოგაწვება, ან უბრალოდ მოგბეზრდები, გაიფიქრო, სხვა კაცთან რომ მეცხოვრა, ეს წუთები ხომ არ დადგებოდაო. არც ერთი წუთით არ მინდა, რომ ჩემთან ყოფნა სანანებლად გაგიხდეს. რამდენიმე დღეში შენი ცხენები, შენი მარგალიტები და შალები უკან დაგიბრუნდება, ისინი შენ ჰაერივით გჭირდება. იქნებ გაგეცინოს კიდეც, მაგრამ ძვირფას სამოსში გამოწყობილი უფრო მომწონხარ, ვიდრე უბრალოში.

- ესე იგი, აღარ გყვარებივარ.

- სულელო!

- რომ გიყვარდე, არ დამიშლიდი ჩემებურად მყვარებოდი. პირიქით, შენ ჩემში სულ იმ ქალს ხედავ, რომლისთვისაც აუცილებელია ფუფუნება და სულ იმას ფიქრობ, ეს ფუფუნება მე უნდა უზრუნველვყოო. გრცხვენია, შენდამი ჩემი ჭეშმარიტი სიყვარულის დასტური მიიღო. შენდა უნებურად, ჩემს მიტოვებაზე ფიქრობ და ცდილობ, არავითარი ეჭვი არ გამოიწვიო. მიზეზიც გაქვს, ჩემო მეგობარო, ოღონდ მე უფრო მეტის იმედი მქონდა.

და მარგარიტამ წამოდგომა დააპირა. მე შევაჩერე: - მხოლოდ ის მინდა, ბედნიერი იყო და ჩემი სასაყვედურო არაფერი გქონდეს, მეტი არაფერი.

- და ჩვენ ერთმანეთს დავშორდებით.

- რატომ, მარგარიტა? ვინ დაგვაშორებს? - წამოვიძახე მე.

- შენ, რადგან ნებას არ მაძლევ, გაგითანაბრდე და საკუთარ მოვალეობად თვლი, დაიცვა ჩემი მდგომარეობა; შენ, რადგან გინდა, ადრინდელი ფუფუნება შემინარჩუნო, ამით კი იმ მორალურ უფსკრულსაც ინარჩუნებ, რომელიც გვაშორებს ერთმანეთისგან. შენ, და მხოლოდ შენ, რადგან არ გჯერა ჩემი უანგარო სიყვარულის და არ გინდა, ჩემთან გაინაწილო შენი ქონება, რომლითაც ბედნიერად ვიცხოვრებდით და გირჩევნია, გაკოტრდე, ისე იქცევი, თითქოს სასაცილო ცრურწმენის მონა ხარ. ნუთუ გგონია, რომ ეტლს, ძვირფასეულობას და შენს სიყვარულს ერთმანეთს შევადარებ? ნუთუ გგონია, რომ ამაოების ამ საგნებში ვხედავ ბედნიერებას? ისინი ხომ მხოლოდ მაშინ ახარებენ გულს, როცა არავინ გიყვარს და არარაობად იქცევიან, როგორც კი ვინმეს შეიყვარებ. შენ გაისტუმრებ ჩემს ვალებს, გაანიავებ მთელ ქონებას და შემინახავ! მაგრამ რამდენ ხანს გაგრძელდება ასე? ორ-სამ თვეს, მერე უკვე გვიანღა იქნება ახალი ცხოვრების დაწყება, რომელსაც მე გთავაზობ, იმიტომ რომ უკვე მთლიანად ჩემზე იქნები დამოკიდებული. ამას კი ვერც ერთი პატიოსანი კაცი ვერ შეეგუება. ახლა რვა-ათი ათასი ფრანკი გაქვს რენტა, ამ ფულით თავს გავიტანთ. მე ზედმეტ რაღაცებს გავყიდი და მარტო ამით ორი ათასამდე ლივრი მექნება წელიწადში შემოსავალი. პატარა, ლამაზ სახლს ვიქირავებთ და ვიქნებით ერთად. ზაფხულში სოფელში წავალთ, ამ სახლში კი არა, უფრო პატარას მოვძებნით, ისეთს, ორი კაცისთვის რომ იყოს საკმარისი. შენ ფინანსურად დამოუკიდებელი ხარ, მე - თავისუფალი. ორივენი ახალგაზრდები ვართ. ღვთის გულისთვის, არმან, ნუ ცდილობ, იმ ცხოვრებას დავუბრუნდე, რომლითაც, იძულებული ვიყავი, ადრე მეცხოვრა.

ვეღარაფერი ვუპასუხე, მადლიერებისა და სიყვარულის ცრემლით ამევსო თვალები. მარგარიტა მომეხვია: - მინდოდა, - განაგრძო მან, - ყველაფერი უშენოდ მომეგვარებინა, გამესტუმრებინა ვალები და ახალი ბინაც მომემზადებინა. ოქტომბერში პარიზში დავბრუნდებოდით და მაშინ გეტყოდი ყველაფერს. მაგრამ რადგან პრიუდანსმა ყველაფერი გიამბო, შენ უკვე ოქტომბერში კი არა, ახლავე უნდა მომცე თანხმობა. აბა, საკმარისად გიყვარვარ?

არ შემეძლო, ასეთ ერთგულებაზე უარი მეთქვა, მარგარიტას ვნებიანად ვაკოცე ხელზე და ვუთხარი: - რაც გინდა, ყველაფერს გავაკეთებ.

აი, ასე მივიღეთ მისი გეგმა.

კინაღამ გადაირია სიხარულით: იცეკვა, იმღერა, ზეიმობდა, უბ-რალო ბინა გვექნებაო, სად, რომელ უბანში მოვძებნოთო, მეკითხებოდა.

ბედნიერი და ამაყი იყო ამ გადაწყვეტილებით, რომელსაც სა-ბოლოოდ უნდა დავეახლოვებინეთ ერთმანეთთან.

არც მე მინდოდა ჩამოვრჩენოდი.

ერთ წამში გადავწყვიტე ჩემი მომავალი ცხოვრების ბედი. გადავწყვიტე, მარგარიტასთვის გადამეცა რენტა, რომელიც მემკვიდრეობით მივიღე და რომელიც მეტისმეტად უმნიშვნელო იყო, რომ მიღებული მსხვერპლი ამენაზღაურებინა.

გარდა ამისა, მამაჩემის მხრიდან კიდევ მრჩებოდა ხუთი ათასი ფრანკი წლიური შემოსავალი და, რაც უნდა მომხდარიყო, ეს ფული მე ყოველთვის მეყოფოდა.

ჩემს გადაწყვეტილებაზე მარგარიტასთვის არაფერი მითქვამს, რადგან დარწმუნებული ვიყავი, უარს მეტყოდა.

ეს რენტა სამოცი ათას ფრანკად ღირებული სახლის იპოთეკიდან მერგო, რომელიც არასდროს მინახავს. მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ყოველ სამ თვეში ერთხელ, მამაჩემის ნოტარიუსი, ჩვენი ოჯახის ძველი მეგობარი 750 ფრანკს გადმომცემდა ხოლმე.

იმ დღეს, როცა მე და მარგარიტა ბინის საძებნელად პარიზში წავედით, მე ნოტარიუსთან შევიარე და ვკითხე, ჩემი რენტა სხვა ადამიანს როგორ უნდა გადავცე-მეთქი.

იმ პატიოსანმა კაცმა იფიქრა, გაკოტრდაო და ასეთ გადაწყვე-ტილებამდე რამ მიგიყვანათო, მკითხა. ადრე თუ გვიან, იძულებული ვიქნებოდი, მაინც მეთქვა, ვის ვუკეთებდი საჩუქარს, ამიტომ ვამჯობინე, თავიდანვე ყველაფერში გამოვტყდომოდი.

წინააღმდეგობა არ გაუწევია, თუმცა როგორც ნოტარიუსსა და ოჯახის მეგობარს შეეძლო, დამპირდა, ყველაფერს, რაც შეიძლება მალე მოვაგვარებო.

რაღა თქმა უნდა, განსაკუთრებით ვთხოვე, მამაჩემთან არაფერი წამოგცდეთ-მეთქი და მარგარიტას სანახავად გავეშურე. იგი ჟიული დიუპრესთან მელოდა, მასთან ყოფნა ერჩია პრიუდანსის ჭკუის სწავლების მოსმენას.

დავიწყეთ ბინის ძებნა. ყველა ბინა, რომელიც ვნახეთ, მარგარიტას მეტისმეტად ძვირი, მე კი მეტისმეტად უბრალო მეჩვენებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, შევთანხმდით და პარიზის ყველაზე წყნარ უბანში ერთი პატარა, სახლისგან ცალკე მდგარი ფლიგელი შევარჩიეთ.

ამ ფლიგელს უკან მშვენიერი, კედლით შემოსაზღვრული ბაღი ეკვროდა, ეს კედელი იმხელა იყო, რომ ჩვენს ნაკვეთსაც ღობავდა და არც ხედს აფუჭებდა.

უკეთესზე ვერც კი ვიოცნებებდით.

სანამ მე ძველი ბინის ჩასაბარებლად შინ ვიყავი წასული, მარგარიტას ერთი ნაცნობი უნდა ენახა, რომელმაც, მისი თქმით, ერთ მეგობარს უკვე გაუკეთა ის, რაშიც დახმარება ახლა მარგარიტას უნდა ეთხოვა.

მარგარიტას პროვანსის ქუჩაზე შევხვდი, აღფრთოვანებული იყო. ის კაცი დაპირებია, ყველა ვალს მე გადავიხდიო, ხელწერილიც მიუცია და ოცი ათასი ფრანკიც დაუმატებია, მთელი ავეჯის საფასური.

თუ აუქციონზე ნანახი ფასებით იმსჯელებთ, მიხვდებით, რომ იმ პატიოსან კაცს, სულ ცოტა, 30 ათასი ფრანკი მაინც დარჩებოდა.

გახარებული დავბრუნდით ბუჟივალში, თან განუწყვეტლივ ვუზიარებდით ერთმანეთს მომავლის გეგმებს, რომელიც ჩვენი უზრუნველობისა და, განსაკუთრებით, სიყვარულის წყალობით, მხიარულ ფერებში გვეხატებოდა.

კვირის თავზე ერთად ვსაუზმობდით, როცა ნანინმა შემატყობინა, მსახური გელოდებათო.

შემოვიდეს-მეთქი, ვუთხარი.

- ბატონო, - მომახსენა მან, - მამათქვენი პარიზშია ჩამოსული და გთხოვთ, ახლავე მიხვიდეთ თქვენსას, სადაც თავადაც გელოდებათ.

ეს ხომ ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ამბავი იყო, მაგრამ გავიგონეთ თუ არა, იმწამსვე ერთმანეთს გადავხედეთ მე და მარგარიტამ. თითქოს უბედურების მოახლოება ვიგრძენით. მარგარიტას ხმა არ ამოუღია, მაგრამ მე მაინც მივუხვდი და პასუხად ხელი მოვუჭირე.

- ნუ გეშინია.

- რაც შეიძლება მალე დაბრუნდი, - მიჩურჩულა მარგარიტამ და მაკოცა, - ფანჯარასთან დაგელოდები.

ჟოზეფი გავგზავნე და მამაჩემს შევუთვალე, მოვდივარ-მეთქი.

მართლაც, ორ საათში უკვე პროვანსის ქუჩაზე ვიყავი.

XX

მამაჩემი ხალათმოცმული იჯდა სასტუმრო ოთახში და წერილს წერდა.

შევედი თუ არა, ისეთი თვალებით შემომხედა, მაშინვე მივხვდი, მნიშვნელოვანი საუბარი მომელის-მეთქი.

მაინც ისე მივესალმე, თითქოს მის სახეზე არც არაფერი ამომეკითხოს და მხურვალედ გადავკოცნე.

- როდის ჩამოხვედით, მამაჩემო?

- გუშინ საღამოს.

- ჩვეულებისამებრ, ჩემთან გაჩერდით?

- დიახ.

- ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ დაგხვდით ჩამოსვლისას.

ამ სიტყვების შემდეგ ველოდი, მამაჩემის ცივი გამომეტყველებაც ამას მიწინასწარმეტყველებდა, დაუყოვნებლივ მორალს წა-მიკითხავენ-მეთქი, მაგრამ მამას ხმა არ ამოუღია, წერა დაასრულა, წერილი დაბეჭდა და ჟოზეფს უბრძანა, ფოსტით გააგზავნეო.

როცა მარტო დავრჩით, წამოდგა, ბუხარს მიეყრდნო და მით-ხრა: - ჩვენ, ჩემო ძვირფასო არმან, სერიოზულად უნდა ვილაპარაკოთ.

- გისმენთ, მამაჩემო.

- მპირდები, რომ გულწრფელი იქნები?

- როგორც მჩვევია ხოლმე.

- მართალია, რომ ცხოვრობ ქალთან, რომელსაც მარგარიტა გოტიე ჰქვია?

- დიახ.

- იცი, რას წარმოადგენს ეგ ქალი?

- ხარჭაა.

- მის გამო დაგავიწყდა, რომ წელს საკუთარი დისა და მამის სანახავად ჩამოსულიყავი?

- დიახ, მამაჩემო, ვაღიარებ.

- მაშასადამე, ძალიან გიყვარს ის ქალი?

- თავადვე ხედავთ, მამაჩემო, რომ მან დამავიწყა ჩემი წმინდათაწმინდა მოვალეობა, რის გამოც, დღეს მოკრძალებით გიხდით ბოდიშს.

მამაჩემი, როგორც ჩანს, ასეთ კატეგორიულ პასუხებს არ მოე-ლოდა ჩემგან, ამიტომ, სანამ რამეს მეტყოდა, წუთით ჩაფიქრდა: - შენ ალბათ უკვე მიხვდი ხომ, რომ სულ ასე ვერ იცხოვრებ?

- ძალიან კი ვშიშობ, მამაჩემო, მაგრამ ჯერ ვერ მივხვდი.

- მაგრამ იმას მაინც უნდა მიმხვდარიყავი, - ოდნავ უკმეხად განაგრძო მამაჩემმა, - რომ მე ამას არ დავუშვებ.

- საკუთარ თავს ვარწმუნებდი, სანამ არაფერს ვაკეთებ ისეთს, რაც ჩრდილს მიაყენებდა თქვენს სახელს და შეურაცხყოფდა ოჯახის ღირსებას, შემიძლია ისე ვიცხოვრო, როგორც ვცხოვრობ-მეთქი და ეს ფიქრი, ცოტა არ იყოს, მამშვიდებდა.

ვნება ძალას ჰმატებს ადამიანს. მზად ვიყავი, ნებისმიერს შევ-ბრძოლებოდი, მამაჩემსაც კი, ოღონდ მარგარიტა შემენარჩუნებინა.

- ახლა კი დროა, სხვაგვარი ცხოვრება დაიწყო.

- აჰ, კი მაგრამ, რატომ, მამაჩემო?

- იმიტომ, რომ შენი ახლანდელი საქციელი შეურაცხყოფს ოჯახის ღირსებას, რომელსაც თურმე ასე უფრთხილდები.

- ვერ მივხვდი, რას მეუბნებით.

- აგიხსნი. საყვარელი გყავს? - ძალიან კარგი. ფულს უხდი მას, როგორც ყველა წესიერი მამაკაცი უნდა უხდიდეს ასეთ ქალს სიყვარულისთვის? - არც ესაა ცუდი. მაგრამ შენ რომ ყველაფერი წმინდა დაივიწყო მისი გულისათვის, არ განაღვლებდეს, რომ შენი გარყვნილი ცხოვრების ამბები ჩემს მხარემდეც კი აღწევს და ჩირქს სცხებს ჩემგან ბოძებულ პატიოსან სახელს, ეს არ შეიძლება ხდებოდეს და არც მოხდება.

- ნება მომეცით, გითხრათ, მამაჩემო, რომ მათ, ვინც ჩემი ცხო-ვრების შესახებ გაცნობათ, თავადაც ცუდად სცოდნიათ ჩემი ამბები. მე მადმუაზელ გოტიეს საყვარელი არ გახლავართ, უბრალოდ, ვცხოვრობ მასთან და ამაში ცუდს ვერაფერს

ვხედავ. მადმუაზელ გოტიეს როდი ვაძლევ თქვენგან მოცემულ გვარს, ვხარჯავ მხოლოდ იმდენს, რამდენის უფლებასაც ჩემი შემოსავალი მაძლევს. ვალი არ ამიღია და არც ერთხელ არ ჩავვარდნილვარ ისეთ მდგომარეობაში, რომელიც უფლებას მისცემდა მამას, შვილისთვის ეთქვა ის, რაც თქვენ მე მითხარით.

- მამას ყოველთვის აქვს უფლება, შვილს უთხრას, ცუდ გზას ადგახარ, სადმე გადაიჩეხებიო. მართალია, ჯერ ცუდი არაფერი ჩაგიდენია, მაგრამ აუცილებლად ჩაიდენ.

- მამა!

- ბატონო ჩემო, მე უკეთ ვიცნობ ამ ცხოვრებას. ჭეშმარიტი გრძნობა მხოლოდ ჭეშმარიტად უმანკო ქალებს ახასიათებთ. ყველა მანონს შეუძლია, მამაკაცისგან დე გრიე შექმნას, აი, დრო და ზნე-ჩვეულებები კი შეიცვალნენ. ძველ შეცდომებს თუ ვერ გამოვასწორებთ, გამეორებით მაინც რატომ უნდა გავიმეოროთ. შენც მიატოვებ შენს საყვარელს.

- ძალიან ვწუხვარ, რომ არ გემორჩილებით, მაგრამ ეს შეუძლებელია.

- გაიძულებ.

- სამწუხაროდ, მამაჩემო, აღარ არსებობს წმინდა მარგარიტას კუნძულები, სადაც კურტიზანებს გადაასახლებდნენ და რომც არსებობდეს და მისი გადასახლებაც რომ მოგეხერხებინათ, იქაც წავყვებოდი მადმუაზელ გოტიეს. რა გნებავთ ჩემგან? იქნებ არასწორადაც ვიქცეოდე, მაგრამ მე მხოლოდ ამ ქალთან შემიძლია ვიყო ბედნიერი.

- მისმინე, არმან, თვალი გაახილე, შემომხედე, მამაშენი ვარ, რომელსაც ყოველთვის უყვარდი და რომელსაც მხოლოდ სიკეთე უნდა შენთვის. ნუთუ არ შეგრცხვება, ცოლქმრული ცხოვრებით იცხოვრო იმ ქალთან, რომელიც მთელ ქვეყანას ეკუთვნოდა?

- რა მნიშვნელობა აქვს წარსულს, მამაჩემო, თუკი ეს ადამიანი აღარავის ეკუთვნის ახლა! რა მნიშვნელობა აქვს წარსულს, თუკი ახლა ამ ქალს მე ვუყვარვარ, თუკი იგი ჩვენმა სიყვარულმა შეცვალა, რა მნიშვნელობა აქვს წარსულს, თუკი ბოლოს და ბოლოს მაინც მოიქცა.

- ეჰ! ნუთუ მართლა გგონია, ჩემო ბატონო, რომ პატიოსან კაცს კურტიზანების მოქცევის მეტი მოვალეობა არა აქვს? ნუთუ მართლა გგონია, რომ ღმერთმა დააკისრა შენს ცხოვრებას ეს გროტესკული მიზანი და რომ შენს გულს ამის მეტი გატაცება აღარ უნდა ჰქონდეს? როგორი იქნება ამ საოცარი მზრუნველობის შედეგი და როგორ შეხედავ შენს დღევანდელ ნათქვამს, როცა ორმოცი წელი შეგისრულდება? გაგეცინება საკუ-თარ სიყვარულზე, თუკი კიდევ გექნება სიცილის თავი, თუკი ეგ სიყვარული მეტისმეტად ღრმა კვალს არ დაამჩნევს შენს წარსულს. როგორ მდგომარეობაში იქნებოდი ახლა, მამაშენსაც რომ შენისთანა აზრები ჰქონოდა და მთელი ცხოვრება სასიყვარულო თავგადასავლებში გაეფლანგა, იმის ნაცვლად, რომ პატიოსნებისა და ერთგულების უმტკიცეს ნიადაგზე აეგო იგი? დაფიქრდი, არმან, და მოეშვი სისულელეების ლაპარაკს. ყური მიგდე, მამაშენი გთხოვს, მიატოვო ეგ ქალი.

მე ხმა არ ამომიღია.

- არმან, - განაგრძო მამაჩემმა, - დედაშენის წმინდათაწმინდა სახელს გაფიცებ, დამიჯერე, მიატოვე ასეთი ცხოვრება, რომელსაც იმაზე მალე დაივიწყებ, ვიდრე შენ გგონია და რომელთანაც აუსრულებელი თეორია გაკავშირებს. ოცდაოთხი წლის ხარ, მომავალზეც იფიქრე. მუდამ არც შენ გეყვარება ეგ ქალი და არც მას ეყვარები. ორივენი აზვიადებთ თქვენს სიყვარულს. ასე კარიერას იღუპავთ. ერთი ნაბიჯიც და, ვეღარასოდეს გადაუხვევ იმ გზიდან, ახლა რომ ადგახარ და მერე მთელი ცხოვრება სინდისის ქენჯნა გაგაწამებს, ახალგაზრდობაში დაშვებული შეცდომების გამო. გაემგზავრე, გაატარე ერთი-ორი თვე საკუთარი დის გვერდით. დასვენება და ოჯახური სითბო მალე გაგკურნავთ ამ ციებ-ცხე-ლებისგან - ამას სხვა სახელი არ ჰქვია. ამასობაში თქვენი სიყვარულიც დამშვიდდება, სხვას იპოვნის და როცა შენივე თვალით ნახავ, ვის გამო კინაღამ წაეკიდე საკუთარ მამას და დაკარგე მისი კეთილგანწყობა, მეტყვი, სწორად მოიქეცი, ჩემს მოსაძებნად რომ ჩამოხვედიო და დამლოცავ. მაშ, ხომ წამოხვალ, არმან?

ვგრძნობდი, მამაჩემი მართალი იყო, როცა, ზოგადად, ქალებზე ლაპარაკობდა, მაგრამ იმაშიც დარწმუნებული ვიყავი, მარგარიტასთან დაკავშირებით ცდება-მეთქი. თუმცა უკანასკნელი სიტყვები ისეთი თბილი, მავედრებელი ხმით მითხრა, ვეღარაფერი ვუპასუხე.

- ესე იგი? - მკითხა აღელვებულმა.

- ესე იგი, მამაჩემო, ვერაფერს დაგპირდებით, - ვუთხარი, როგორც იქნა, - რასაც თქვენ მთხოვთ, იმის შესრულება ჩემს ძალ-ღონეს აღემატება. მერწმუნეთ, - განვაგრძე საჩქაროდ, როცა მოუთმენლობა შევატყვე, - აზვიადებთ ამ ურთიერთობის შედეგებს. მარგარიტა ისეთი არ არის, როგორიც თქვენ გგონიათ. ეს სიყვარული ცუდი ცხოვრებისკენ კი არ მიბიძგებს, პირიქით, მას შეუძლია, უკეთილშობილესი გრძნობები გააღვიძოს ჩემში. ჭეშმარიტი სიყვარული ყოველთვის უკეთესობისკენ ცვლის ადამიანს, იმისდა მიუხედავად, როგორი ქალი აღძრავს ამ სიყვარულს. მარგარიტას რომ იცნობდეთ, მიხვდებოდით, არავითარი საფრთხე არ მემუქრება. იგი უღირსეულესი ქალიშვილია. რამდენადაც სხვები ანგარებიანები არიან, იმდენად მარგარიტა უანგაროა.

- ოღონდ ეს არ უშლის ხელს, შენი ქონება მიითვისოს, რადგან ის სამოცი ათასი ფრანკი, რომლიც დედაშენისაგან დაგრჩა და რომელსაც მას აძლევ, კარგად დაიმახსოვრე, რასაც ახლა გეტყვი, მთელ შენს ქონებას შეადგენს.

მამაჩემმა ბოლოსთვის შემოინახა ეს მუქარა, რომ უკანასკნელი დარტყმა მოეყენებინა.

თუმცა მე მუქარაზე უფრო მისი თხოვნების მეშინოდა.

- ვინ გითხრათ, რომ ამ ფულის მისთვის გადაცემას ვაპირებ? - წამოვიძახე მე.

- ჩემმა ნოტარიუსმა. ნუთუ პატიოსან ადამიანს შეეძლო ისე გაეფორმებინა ყველაფერი, რომ მე არ გავეფრთხილებინე? რაც არის, არის, პარიზში სწორედ იმიტომ ჩამოვედი, რომ საშუალება არ მოგცე, ამ ქალის გამო ცხოვრება დაინგრიო. დედაშენმა სიკ-ვდილის შემდეგ მემკვიდრეობა ღირსეული ცხოვრების მოსაწყო-ბად დაგიტოვა, და არა საყვარლების გასანებივრებლად.

- გეფიცებით, მამაჩემო, მარგარიტამ არაფერი იცოდა ამის შესახებ.

- მაშინ რატომღა აკეთებდი ამას?

- იმიტომ, რომ მარგარიტამ, ამ ქალმა, რომელსაც ცილს სწამებთ და რომლის მიტოვებასაც მთხოვთ, ყველაფერი გაიღო მსხვერპლად, ოღონდ კი ჩემთან ეცხოვრა.

- და შენ მიიღე ეს მსხვერპლი? რა კაცი ხარ შენ, ჩემო ბატონო, რომ უფლებას აძლევ მარგარიტას, მსხვერპლად შემოგწიროს რამე? მორჩა, საკმარისია. მიატოვებ ამ ქალს. წეღან გთხოვდი, ახლა გიბრძანებ. ჩემს ოჯახში ასეთ სიბინძურეს არ მოვითმენ. ჩაალაგე ბარგი და მოემზადე გასამგზავრებლად.

- მაპატიე, მამაჩემო, - ვუთხარი მე, - მაგრამ მე არ წამოვალ.

- რატომ?

- იმიტომ, რომ უკვე იმ ასაკში ვარ, როცა ბრძანებებს აღარ ასრულებენ.

მამაჩემი გაფითრდა.

- ძალიან კარგი, ჩემო ბატონო, - მითხრა მან, - ახლა კი ვიცი, რაც უნდა გავაკეთო.

დარეკა.

შემოვიდა ჟოზეფი.

- ჩემი ბარგი სასტუმრო „პარიზში“ გადაატანინეთ, - უბრძანა მსახურს

და ტანსაცმლის გამოსაცვლელად მეორე ოთახში გავიდა.

გარეთ გამოსულს, გზა გადავუღობე.

- მპირდებით, მამაჩემო, - ვუთხარი მე, - რომ არავითარ ზიანს არ მიაყენებთ მარგარიტას?

მამაჩემი შეჩერდა, ზიზღით შემათვალიერა და მიპასუხა: - მგონი, შეიშალე.

რის შემდეგაც მთელი ძალით გაიჯახუნა კარი.

მეც გამოვედი, ეტლი ავიყვანე და ბუჟევილისკენ გავემართე.

მარგარიტა ფანჯარასთან მელოდა.

XXI

- როგორც იქნა! - შესძახა და ყელზე მომეხვია, - მოხვედი! რა გაფითრებული ხარ!

მაშინვე დაწვრილებით ვუამბე ჩემი და მამაჩემის საუბარი.

- ოჰ, ღმერთო ჩემო, ასეც ვფიქრობდი, - მითხრა მან, - როცა ჟოზეფმა მამაშენის ჩამოსვლა შეგვატყობინა, ისე ავკანკალდი, თითქოს ცუდი ამბავი გამეგოს. ჩემო საბრალო მეგობარო, არადა, მთელი შენი ტანჯვის მიზეზი მე ვარ. იქნებ ჯობდეს კიდეც, რომ მიმატოვო და არ წაეჩხუბო მამას. მაგრამ მე ხომ ცუდი არაფერი ჩამიდენია. ძალიან მშვიდად ვცხოვრობთ, კიდევ უფრო მშვიდად ვიცხოვრებთ. მანაც კარგად იცის, რომ საყვარელი გჭირდება და ბედნიერი უნდა იყოს იმით, რომ მე

შემხვდი, რადგან მიყვარხარ და არაფერს იმაზე მეტს არ გთხოვ, რის უფლებასაც შენი მდგომარეობა გაძლევს. უთხარი, რასაც ვაპირებთ?

- ჰო და ყველაზე უფრო ეს აცოფებს, იმიტომ რომ ამ გა-დაწყვეტილებაში ჩვენი სიყვარულის საბუთს ხედავს.

- ახლა როგორ მოვიქცეთ?

- ერთად ვიყოთ, ჩემო ძვირფასო მარგარიტა, დაველოდოთ, როდის გადაივლის ეს ჭექა-ქუხილი.

- გადაივლის კი?

- აუცილებლად.

- მაგრამ მამაშენი ამას არ დასჯერდება.

- როგორ გგონია, რას იზამს?

- აბა, მე რა ვიცი? ყველაფერს, რითაც კი მამამ შეიძლება აიძულოს შვილი, რომ მის გადაწყვეტილებას დაემორჩილოს. გაგახსენებს ჩემს წარსულს, შეიძლება პატივი დაგვდოს და ახალი ისტორიაც გამოიგონოს, ოღონდ კი ერთმანეთს დაგვაშოროს.

- ძალიან კარგად იცი, რომ მიყვარხარ.

- ჰო, მაგრამ მე ისიც ვიცი, რომ ადრე თუ გვიან, იძულებული გახდები, ყური დაუგდო მას და იქნებ შენი დარწმუნებაც მოახერხოს.

- არა, მარგარიტა, პირიქით, მე დავარწმუნებ. მისი მრისხანება ალბათ რომელიმე მეგობრის ჭორაობამ გამოიწვია, მაგრამ მამა კარგი კაცია, სამართლიანი და უარყოფს თავის თავდაპირველ აზრს. ბოლოს და ბოლოს, რა ჩემი საქმეა, რაც უნდა, ის ქნას.

- მაგას ნუ ამბობ, არმან, ბედნიერი ვერ ვიქნები, თუ ვიფიქრებ, რომ მე წაგაჩხუბე ოჯახთან. დღეს დარჩი აქ, ხვალ კი დაბრუნდი პარიზში. მამაშენი ფიქრობს, შენც უნდა დაფიქრდე. იქნებ რამეზე შეთანხმდეთ კიდეც. ნუ შეეწინააღმდეგები მის სურვილებს, ისე მოაჩვენე თავი, თითქოს გარკვეულ დათმობებზეც მიდიხარ. ჩემს სიყვარულზე მაინცდამაინც თავს ნუ გამოიდებ და იგი ყველაფერს ისე დატოვებს, როგორც აქამდე იყო. იმედს ნუ დაკარგავ, ჩემო მეგობარო, და რაც უნდა მოხდეს, ეჭვი არ შეგეპაროს, შენი მარგარიტა არ მიგატოვებს.

- მპირდები?

- უნდა დაგიფიცო?

რა სასიამოვნოა, როცა საყვარელი ადამიანის ხმა გამშვიდებს! მე და მარგარიტამ მთელი დღე ჩვენი გეგმების განხილვაში გავატარეთ, თითქოს ვხვდებოდით, რომ რაც შეიძლება მალე უნდა განგვეხორციელებინა ისინი. ყოველ წამს რაღაც ახალ ამბავს მოველოდით, მაგრამ, საბედნიეროდ, იმ დღეს მეტი აღარაფერი მომხდარა.

მეორე დილით, ათ საათზე გავემგზავრე, დაახლოებით თორმეტი საათისთვის უკვე სასტუმროში ვიყავი.

მამაჩემი წასული დამხვდა.

ჩემთან შევიარე, იმედი მქონდა, იქნებ იქ მაინც ვნახო-მეთქი. არავინ დამხვდა. ნოტარიუსთან წავედი. არც იქ. სასტუმროში დავბრუნდი და ექვს საათამდე ველოდე. ბატონი დიუვალი არ მობრუნებულა.

ბუჟივალის გზას დავადექი.

მარგარიტა წინა დღესავით ფანჯარასთან აღარ მელოდა, გა-ზაფხული კი იდგა, მაგრამ მაინც ციოდა და ბუხართან მიმჯდარიყო.

ფიქრს გაეტაცა. სავარძელს ისე მივუახლოვდი, არც შევუმჩნევივარ და არც მოუხედავს. შუბლზე რომ ვაკოცე, ისე შეკრთა, თითქოს ეძინა და მოულოდნელად გამოაღვიძესო.

- შემაშინე, - მითხრა, - მამაშენი რას შვრება?

- არ მინახავს. არ ვიცი, ეს რას ნიშნავს. ვერც თავისთან ვნახე, ვერც სხვაგან, სადაც შეიძლებოდა ყოფილიყო.

- მაშინ ხვალ ისევ უნდა მოძებნო.

- ძალიან მინდა, თვითონ დამიბაროს. მე, რაც ჩემზე იყო დამოკიდებული, მგონი, ყველაფერი გავაკეთე.

- არა, ჩემო მეგობარო, ეს ძალიან ცოტაა. ხვალ ყოველ მიზეზგარეშე კვლავ უნდა გაემგზავრო მამაშენთან.

- რატომ მაინცდამაინც ხვალ, სხვა დღეს არ შეიძლება?

- იმიტომ, - მითხრა მარგარიტამ და ისე მომეჩვენა, თითქოს გაწითლდა ამ შეკითხვაზე, - ეს საბუთი იქნება, რომ საკუთარ სიმართლეში ეჭვი არ გეპარება და შედეგად კი მამაშენი უფრო მალე გვაპატიებს.

დღის მთელი დანარჩენი ნაწილი მარგარიტა აღელვებული, დაბნეული და სევდიანი იყო. ნათქვამი ორ-ორჯერ უნდა გამემეორებინა, რომ როგორმე პასუხი მიმეღო. მღელვარებას იგი მომავლის წინაშე შიშით ხსნიდა - ბოლო ორი დღის ამბებმა ჩამინერგაო.

მთელი ღამე ვამშვიდებდი, მეორე დილით კი ჩემთვის აუხსნელი სიჯიუტე გამოიჩინა, მაიძულებდა, გინდა თუ არა, წადიო.

მამაჩემი არც ამჯერად დამიხვდა. მაგრამ წასვლამდე წერილი დაეტოვებინა: ,,თუ დღესაც მოხვალთ ჩემს სანახავად, ოთხ საათამდე დამელოდეთ. თუ ოთხამდე ვერ დავბრუნდი, ხვალ გამომიარეთ სადილად, აუცილებლად უნდა გელაპარაკოთ.“

ზუსტად დათქმულ დრომდე ველოდე. მამაჩემი არ მოსულა. მერე წამოვედი.

თუ წინა დღით მარგარიტა მოწყენილი დამხვდა, იმ დღეს ციებ-ცხელებიანივით იყო აფორიაქებული. დანახვისთანავე ყელზე მომეხვია და დიდხანს ქვითინებდა ჩემს მკლავებში მოქცეული.

ძალიან შევშფოთდი და ამ უეცარი ნაღველის მიზეზი ვკითხე. გარკვეული პასუხი არ გამცა და ყველა ის ხერხი გამოიყენა, რომელსაც მაშინ მიმართავენ ხოლმე ქალები, როცა არ სურთ, სიმართლე გაგიმხილონ.

ოდნავ რომ დამშვიდდა, ვუამბე, რა შედეგიც გამოიღო ჩემმა მგზავრობამ. მამაჩემის წერილი ვაჩვენე და ვუთხარი, შეგვიძლია უკეთესი მომავლის ნიშნად მივიჩნიოთ-მეთქი.

წერილმა და ჩემმა ვარაუდებმა კიდევ უფრო ააქვითინა იგი. ნანინს დავუძახე და რადგან ნერვული შეტევის გვეშინოდა, ლოგინში ჩავაწვინეთ. საბრალო ქალი გულამოსკვნილი ქვითინებდა, ხელს არ მიშვებდა და ყოველ წუთს ზედ მკოცნიდა.

ნანინს ვკითხე, ჩემს არყოფნაში შენს ქალბატონს რამე წერილი ხომ არ მიუღია, ან სტუმრად ხომ არავინ მოსულა, ვინც ამ მდგომარეობის მიზეზი შეიძლებოდა გამხდარიყო-მეთქი. მაგრამ ნანინმა მითხრა, არც არავინ მოსულა და არც არაფერი მიუღიაო.

წინა დღეს აშკარად მოხდა რაღაც, თან ძალიან შემაშფოთებელი, რასაც მარგარიტა მიმალავდა.

საღამოსკენ ცოტა დამშვიდდა, საწოლზე დამისვა და დიდხანს მარწმუნებდა, მიყვარხარო. მიღიმოდა, მაგრამ თავს ძალას ატანდა, რადგან, თავისდაუნებურად, ცრემლით ევსებოდა თვალები.

ყველა ხერხი ვიხმარე, რომ როგორმე მწუხარების მიზეზი დამეცდენინებინა, მაგრამ იგი ჯიუტობდა, როგორც უკვე გითხარით და გაურკვეველ პასუხებს მცემდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ჩემს მკლავებში ჩაიძინა, მაგრამ იმ მძიმე ძილით, რომელიც სტანჯავს სხეულს და წუთითაც არ აცლის მოსვენებას. დროდადრო ძილში წამოიყვირებდა ხოლმე, შეკრთებოდა, გამოიღვიძებდა და როცა დარწმუნდებოდა, მის გვერდით ვიყავი, მთხოვდა, დაიფიცე, რომ მარადიული სიყვარულით გიყვარვარო.

მე კი მისი სასოწარკვეთის მიზეზს ვერ ვხვდებოდი. ასე გაგრძელდა გათენებამდე. დილით მარგარიტას მკვდარივით ჩაეძინა. ორი ღამის უძინარი იყო.

თუმცა მოსვენება დიდხანს არ გაგრძელებულა, დაახლოებით თორმეტ საათზე მარგარიტამ გაიღვიძა, ფეხზე ამდგარი რომ დამინახა, მიმოიხედა ირგვლივ და შესძახა: - უკვე მიდიხარ?

- არა, - ვუთხარი მე და ხელები დავუჭირე, - მაგრამ მინდოდა, დაძინების საშუალება მომეცა შენთვის. ჯერ ადრეა.

- პარიზში რომელ საათზე მიდიხარ?

- ოთხზე.

- ასე ადრე? მაგრამ მანამდე ხომ ჩემთან იქნები?

- რა თქმა უნდა, სულ ასე არ ვიქცევი ხოლმე?

- რა ბედნიერებაა!

- ვისაუზმოთ? - მკითხა ოდნავ დაბნეულმა.

- თუ გინდა, ვისაუზმოთ.

- და მერე ხომ მომეფერები გამგზავრებამდე?

- კი, და რაც შეიძლება მალე დავბრუნდები.

- დაბრუნდები? - მკითხა და ღონემიხდილი სახით შემომხედა.

- ბუნებრივია.

- მართალია. შენ დაბრუნდები საღამოს, მე კი, მე დაგელოდები, როგორც ყოველთვის და ჩვენც კვლავ ვიქნებით ბედნიერები, როგორც აქამდე.

ეს ყველაფერი ისეთი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმით მითხრა, თითქოს რაღაც მწარე ფიქრი არ შორდებაო. მე კი ყოველ წუთს იმის შიში მქონდა, მარგარიტას გული არ წაუვიდეს-მეთქი.

- მომისმინე, - ვუთხარი მე, - ავად ხარ, ასეთ მდგომარეობაში ვერ დაგტოვებ, მამას მივწერ, არ დამელოდოს.

- არა, არა! - წამოიძახა უცებ, - ეგ არ ქნა, მამაშენი ისევ მე დამაბრალებს, ჩემთან წამოსვლაში ხელი შეგიშალაო. არა, არა, უნდა წახვიდე. აუცილებლად უნდა წახვიდე! თან სულაც არ ვარ ავად. შესანიშნავად ვგრძნობ თავს. უბრალოდ, საშინელი სიზმარი ვნახე და ცუდ ხასიათზე იმიტომ გამეღვიძა.

ამ წუთიდან ჩემს გამგზავრებამდე მარგარიტას მხიარულად ეჭირა თავი. აღარ უტირია.

წასვლის წინ ვაკოცე და ვკითხე, სადგურამდე ხომ არ გამაცილებ-მეთქი. თან მინდოდა, მის გვერდით, რაც შეიძლება, დიდხანს დავრჩენილიყავი.

დამთანხმდა, პალტო მოიცვა და უკან მარტო რომ არ დაბრუნებულიყო, ნანინთან ერთად წამომყვა.

ოცჯერ მაინც დავაპირე, აღარ წავალ-მეთქი, მაგრამ, ერთი მხრივ, მალე დაბრუნების იმედი მქონდა, მეორე მხრივ კი, არ მინდოდა ხელახლა ტყუილუბრალოდ გამეჯავრებინა მამაჩემი და მატარებელში ჩავჯექი.

- საღამომდე, - ვუთხარი მარგარიტას გამომშვიდობებისას.

მას არაფერი უთქვამს.

ადრეც მოხდა ერთხელ, მან არ უპასუხა ჩემს სიტყვებს და, ხომ გახსოვთ, გრაფმა დე გ . . . - მ გაატარა მასთან ღამე. მაგრამ მაშინ ეს დრო ისე შორეულად მეჩვენებოდა, თითქოს წაშლილიყო კიდეც ჩემი მეხსიერებიდან და თუ რამის მეშინოდა, ყოველ შემთხვევაში, ყველაზე ნაკლებად იმის, მარგარიტა მიღალატებს-მეთქი.

პარიზში ჩასულმა პრიუდანსს შევურბინე, მინდოდა, მეთხოვა, იქნებ მარგარიტა ინახულოთ-მეთქი. ვიმედოვნებდი, მისი ცოცხალი, მხიარული ბუნება გაართობდა.

გაუფრთხილებლად შევედი. პრიუდანსი თავს იწესრიგებდა.

- აჰ! - მითხრა აღელვებული სახით, - მარგარიტაც თან გახლავთ?

- არა.

- როგორ არის?

- ავადმყოფობს.

- არ ჩამოვა?

- უნდა ჩამოვიდეს?

მადამ დიუვერნუა გაწითლდა და, ცოტა არ იყოს, შემცბარმა მიპასუხა: - მინდოდა მეთქვა: რადგან თქვენ ჩამოხვედით, ისიც ხომ არ ჩამოვა, რომ თქვენ გვერდით იყოს-მეთქი.

- არა.

პრიუდანსს შევხედე. მან თვალები დახარა და მის სახეზე ამოვიკითხე, ვაითუ, ეს სტუმრობა დიდხანს გაგრძელდესო.

- მინდოდა თქვენთვის მეთხოვა, ძვირფასო პრიუდანს, თუ სა-ქმე არაფერი გექნებათ, იქნებ საღამოს მოგენახულებინათ მარგარიტა, ისაუბრებდით, შეგეძლოთ, ღამეც იქვე გაგეთიათ. დღეს რომ იყო, ისეთ მდგომარეობაში არასდროს მინახავს და მეშინია, ავად არ გახდეს.

- დღეს ქალაქში ვსადილობ, - მითხრა პრიუდანსმა, - ამიტომ დღეს ვერ მოვახერხებ მარგარიტას ნახვას, მაგრამ ხვალ აუცილებლად ვესტუმრები.

დავემშვიდობე მადამ დიუვერნუას, რომელიც ლამის მარგარი-ტასავით აღელვებული მეჩვენა და მამაჩემის სანახავად გავემართე. მან შესვლისთანავე ყურადღებით შემათვალიერა.

ხელი გამომიწოდა.

- ძალიან მესიამოვნა, ორჯერ რომ მესტუმრე, არმან, - მითხრა მან, - რომ შენც ფიქრობდი შექმნილ ვითარებაზე, ისევე, როგორც მეც ვფიქრობდი.

- ნება მომეცით, გკითხოთ, მამაჩემო, რა დასკვნამდე მიხვე-დით?

- ჩემო მეგობარო, ვფიქრობ, გავაზვიადე მიღებული ცნობების მნიშვნელობა და გადავწყვიტე, ძველებური სიმკაცრე აღარ გამოვიჩინო.

- რას ამბობთ, მამა, - შევძახე გახარებულმა.

- რას ვამბობ, ჩემო საყვარელო შვილო, და ყველა ყმაწვილ კაცს უნდა ჰყავდეს საყვარელი, ხოლო მას შემდეგ, რაც ახალი ცნობები შევკრიბე, ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ მადმუაზელ გოტიე აგირჩევია, და არა სხვა ვინმე.

- რა შესანიშნავი მამა მყავს! როგორ გამახარეთ!

ცოტა ხანს კიდევ ვისაუბრეთ, შემდეგ კი მაგიდას მივუსხედით. მთელი სადილის განმავლობაში მამაჩემი ძალიან კეთილად მექცეოდა.

ერთი სული მქონდა, როდის დავბრუნდებოდი ბუჟივალში, რომ მარგარიტასთვის მეთქვა ამ ბედნიერი ცვლილების შესახებ. წამდაუწუმ საათს დავყურებდი.

- საათს უყურებ, - შენიშნა მამაჩემმა, - ჩქარობ, მიმატოვო, ეჰ! ახალგაზრდებო! ჭეშმარიტი სიყვარული ყოველთვის საეჭვო შეგრძნებათა სამსხვერპლოზე რატომ მიგაქვთ ხოლმე?

- ამას ნუ იტყვით, მამაჩემო! მარგარიტას ვუყვარვარ, დარწმუნებული ვარ.

პასუხი არ გაუცია. ვერ შევატყვე, დამიჯერა თუ არა. დაჟინებით მოითხოვდა, არა მხოლოდ მის გვერდით გამეტარებინა მთელი საღამო, არამედ დილამდეც დავრჩენილიყავი, მაგრამ ვუთხარი, მარგარიტა თავს კარგად ვერ გრძნობს-მეთქი და ცოტა ადრე წასვლის ნებართვა ვთხოვე, თან მეორე დღისთვის უკან დაბრუნებას დავპირდი.

კარგი ამინდი იდგა. მამამ მოინდომა, სადგურამდე გაგაცილე-ბო. არასოდეს ასეთი ბედნიერი არ ვყოფილვარ, იმგვარ წარმტაც ფერებში მეხატებოდა მომავალი, როგორზედაც ამდენი ხანი იყო, ვოცნებობდი.

მამაჩემიც ისე მიყვარდა, როგორც არასოდეს.

გამომშვიდობებისას, უკანასკნელად მთხოვა დაჟინებით, დარჩიო. მე უარი ვუთხარი.

- ძალიან გიყვარს? - მკითხა.

- სიგიჟემდე.

- მაშინ წადი.

და შუბლზე ისე გადაისვა ხელი, თითქოს უნდა, თავიდან რაღაც ფიქრი მოიშოროსო. მერე პირიც გააღო, თითქოს რაღაცის თქმაც დააპირა, მაგრამ მხოლოდ ხელის ჩამორთმევა იკმარა. საჩქაროდ გამშორდა და მომაძახა: - აბა, ხვალამდე!

XXII

მატარებელში მეჩვენებოდა, ერთ ადგილზე ვდგავართ, წინ არ მივდვართ-მეთქი. ბუჟივალში 11 საათზე ჩავედით. ფანჯრები ჩაბნელებული იყო, ზარი დიდხანს ვრეკე, მაგრამ არავინ გამომეპასუხა. ასეთი რამ პირველად მოხდა. ბოლოს, როგორც იქნა, მებაღემ გამომხედა. შინ შევედით, ნანინი ანთებული სანთლით შემომეგება. მარგარიტას ოთახს მივაშურე.

- ქალბატონი სად არის?

- ქალბატონი პარიზში გაემგზავრა. - მომიგო ნანინმა.

- პარიზში?

- დიახ, ბატონო.

- როდის?

- თქვენი წასვლიდან ერთ საათში.

- ჩემთვის არაფერი დაუტოვებია?

- არაფერი.

ნანინი გავიდა.

შეიძლება შეეშინდა, - ვფიქრობდი მე, - და უნდოდა, დარწმუნებულიყო, მხოლოდ იმიტომ ხომ არ ვუთხარი მამაჩემის სანახავად მივდივარ-მეთქი, რომ ერთი დღე მაინც დამეძვრინა მისგან თავი. იქნებ პრიუდანსმა მისწერა რამე მნიშვნელოვანი, - ვფიქრობდი მარტო დარჩენილი. მაგრამ ჩასვლისას მე ვნახე პრიუდანსი და ისეთი არაფერი დასცდენია, ეჭვი გამჩენოდა მარგარიტას ხომ არაფერი მისწერა-მეთქი.

უცებ ქალბატონი დიუვერნუას კითხვა მომაგონდა: „ე.ი. დღეს არ ჩამოვა?“ როცა ვუთხარი, მარგარიტა ავად არის-მეთქი. თან პრიუდანსის შეშფოთებული სახეც წამომიტივტივდა გონებაში ამ შეკითხვის შემდეგ, ასე რომ ჰგავდა საიდუმლო პაემანზე შემთხვევით წამოცდენილ სიტყვას.

ამას მარგარიტას ცრემლებიც დაემატა, ცრემლი, რომელიც მამაჩემის კარგმა დამოკიდებულებამ, ცოტა არ იყოს, გადამავიწყა. წასვლიდან ამ წუთამდე მომხდარი ყველა შემთხვევა ჩემი პირველი ეჭვის წისქვილზე ასხამდა წყალს და ისე მტკიცედ ჩამებეჭდა სულში, რომ ყველაფერს, მამაჩემის დიდსულოვნებასაც კი, მას მივაწერდი.

მარგარიტამ ლამის ძალით გამაგდო, პარიზში წადიო. როცა შევთავაზე, შენ გვერდით დავრჩები-მეთქი, უკვე მშვიდად ვარო, თავი მომაჩვენა. ნუთუ მახეში გავები? ნუთუ მატყუებდა მარგარიტა? იქნებ დროულად აპირებდა დაბრუნებას, რომ მისი არყოფნის ამბავი ვერ გამეგო და შემთხვევამ შეაყოვნა? რატომ არაფერი უთხრა ნინინას, ან მე მაინც რატომ არ მომწერა არაფერი? რას უნდა ნიშნავდეს ეს ცრემლი, ეს გამგზავრება, მთელი ეს საიდუმლოებით მოცული ამბავი?

აი, რას ვეკითხებოდი საკუთარ თავს ცარიელი ოთახის შუ-აგულში და თვალს არ ვაშორებდი საათს, რომელიც ზუსტად შუაღამეს უჩვენებდა. თითქოს მეუბნებოდა, ძალიან გვიან არის საიმისოდ, ტყუილად გაქვს იმედი, რომ შენი სატრფო უკან დაბრუნდებაო. ნუთუ ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილებების, გაცემული და მიღებული მსხვერპლის შემდეგ მართლა შეიძლებოდა მარგარიტას მოვეტყუებინე? არა და არა. შევეცადე, ეჭვი თავიდან მომეშორებინა.

საბრალო გოგო, ალბათ ავეჯის მყიდველი ნახა და პარიზში მასთან მოსალაპარაკებლად წავიდა, იმიტომ არ სურდა, გავეფ-რთხილებინე, რომ მშვენივრად იცოდა, ჩვენი მომავალი ბედნიერებისთვის აუცილებელ ამ გაყიდვას კი დავთანხმდი, მაგრამ გული მაინც მტკიოდა. ალბათ შეეშინდა, თავმოყვარეობა არ შევულახოო, მოერიდა და ამიტომაც არაფერი უთქვამს. უბრალოდ, ყველაფერს დაასრულებს და მერე დაბრუნდება. პრიუდანსიც ნამდვილად ამიტომ ელოდა და შემთხვევითაც გაამჟღავნა საკუთარი თავი. მარგარიტამ ეტყობა დღეს ვერ მოამთავრა

საქმე, ღამეს მასთან გაათევს, ან შეიძლება წუთი-წუთზე მოვიდეს, იცის, როგორ ვინერვიულებ და, რასაკვირველია, არ მოისურვებს, გამაწამოს.

მაგრამ ეს ცრემლი რაღას ნიშნავდა? სიყვარულით კი ვუყვარვარ, მაგრამ საბრალო გოგომ მაინც ვერ მოახერხა გულგრილად გამოსთხოვებოდა ფუფუნების საგნებს, რომელთა შორისაც დღემდე ცხოვრობდა და რომლებიც მას ბედნიერებით ავსებდნენ, სხვებს კი - შურით.

სიამოვნებით ვაპატიე მარგარიტას ეს მწუხარება, ერთი სული მქონდა, როდის ვეტყოდი, შენი საიდუმლო გაუჩინარების მიზეზს მივაკვლიე-მეთქი და კოცნით დავახრჩობდი.

თუმცა დრო გადიოდა, მარგარიტა კი არ ჩანდა.

მღელვარება სულ უფრო და უფრო მემატებოდა და ერთიანად იპყრობდა ჩემს გულს. ვაითუ, რამე შეემთხვა! ვაითუ, დაჭრილია, ვაითუ, ავად არის, ვაითუ, მოკვდა! ვაითუ, ახლა შიკრიკი შემოვიდეს და საშინელი შემთხვევა მოხდაო, მითხრას! ვაითუ, დღისითაც ვერ დავაღწიო თავი ეჭვებსა და შიშებს!

ის აზრი, რომ სწორედ იმ წუთს, როცა მე, მისი არყოფნის გამო შიშით ატანილი, ველოდი, მარგარიტა მღალატობდა, აღარ გამივლია გუნებაში. მხოლოდ რაიმე დამოუკიდელ, მისი სურვილის საწინააღმდეგო მიზეზს შეეძლო შეეფერხებინდა იგი და რაც მეტს ვფიქრობდი ამაზე, მით უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ეს მიზეზი სასიკეთო არ უნდა ყოფილიყო. ო, მამაკაცურო პატივმოყვარეობავ! რა სახით აღარ წარმოგვიდგები.

პირველი საათი გახდა. ჩემს თავს ვუთხარი, კიდევ ერთ საათს მოვიცდი, მარგარიტა ორამდე თუ არ დაბრუნდა, პარიზში წავალ-მეთქი. დროის გასაყვანად წიგნი ავიღე, აღარაფერზე აღარ მინდო-და ფიქრი. „მანონ ლესკო“ გადაშლილი იდო მაგიდაზე. მომეჩვენა, თითქოს ალაგ-ალაგ გვერდები ცრემლით იყო დალაქავებული. ერთი-ორჯერ გადავფურცლე და დავხურე წიგნი, რადგან ჩემი ეჭვი მიფორიაქებდა სულს და წაკითხულიდან აზრი ვერ გამომქონდა.

დრო ნელა გადიოდა, ცა მოღუბლული იყო. შემოდგომის წვიმა ფანჯრებს სცემდა. ცარიელი ლოგინი დროდადრო სამარედ მეჩვენებოდა. მეშინოდა.

კარი გავაღე, სმენად ვიქეცი, მაგრამ ქარის ღრიალის მეტი არაფერი გამიგონია. ერთ ეტლსაც არ ჩამოუვლია გზაზე. ეკლესიის საათმა ნაღვლიანად მოწყენილი ხმით დარეკა ორის ნახევარი.

ახლა უკვე იმის მეშინოდა, ვინმე არ მოსულიყო. მეჩვენებოდა, მხოლოდ უბედურება თუ მომძებნის ასეთ დროს და ასეთ მოქუშულ ამინდში-მეთქი.

ორიც გახდა, ცოტა კიდევ დავიცადე, მხოლოდ საათი არღვევდა სიჩუმეს ერთფეროვანი, რიტმული წიკწიკით.

ბოლოს გამოვედი ოთახიდან, სადაც ყოველ ნივთს ჩემი სულიე-რი მარტოობისგან თავსმოხვეული მწუხარე შესახედაობა ჰქონდა.

ნანინი გვერდით ოთახში ვიპოვე, ხელსაქმეზე ჩასძინებოდა. კარის ხმაზე წამოხტა და მკითხა, ქალბატონი ხომ არ დაბრუ-ნებულაო.

- არა, მაგრამ თუ დაბრუნდა, ჩემზე უთხარით, ვეღარ მოითმინა და პარიზში გამოემგზავრა-თქო.

- ასეთ დროს?

- დიახ.

- კი მაგრამ, როგორ? ეტლს ვერ იშოვით.

- ფეხით წავალ.

- რომ წვიმს?

- მერე რა.

- ქალბატონი ჩამოვა, თუ არა და, დღისით ყოველთვის შეგიძლიათ, წახვიდეთ და გაიგოთ, რამ შეაყოვნა. გზაში მოგკლავენ.

- ნუ გეშინიათ, ძვირფასო ნანინ, აბა, ხვალამდე.

ერთგულმა გოგომ პალტო მომიძებნა, ჩაცმაშიც დამეხმარა და შემომთავაზა, არნუს ქვრივი გააღვიძეთ, იმას ეცოდინება, ახლა ეტლის შოვნა მოხერხდება თუ ვერაო, მაგრამ მე არ დავთანხმდი, მეშინოდა, ეს უშედეგო მცდელობა იმდენ დროს წამართმევს, ამასობაში ნახევარ გზას გავივლი-მეთქი. თან, ნერვული აგზნების დასათრგუნად, სუფთა ჰაერი და ფიზიკური დაღლილობა მჭირდებოდა.

დ’ ანტენის ბინის გასაგები ავიღე, გასვლისას ნანინს, რომელმაც ჭიშკრამდე გამომაცილა, გამოვემშვიდობე და წამოვედი.

თავიდან მოვრბოდი, მაგრამ მიწა ახალი ნაწვიმარი იყო და ამიტომ ორმაგად დავიღალე. სულ ერთიანად გავიოფლე და ნახე-ვარი საათის შემდეგ იძულებული გავხდი, შევჩერებულიყავი. ცოტა სული მოვითქვი და გზა განვაგრძე. ისე ბნელოდა, სულ შიშის კან-კალში ვიყავი, სადმე ხეს არ დავეჯახო-მეთქი. ეს ხეები მოულოდნელად წამოიმართებოდნენ ხოლმე ცხვირწინ, უკან დადევნებულ ვეებერთელა აჩრდილებს ჰგავდნენ.

გზაში ერთი-ორი მეფორნეც ჩამოვიტოვე უკან. ბუჟივილისკენ მიმავალმა ეტლმაც ჩაიქროლა. როცა ჩამიარა, იმედი მომეცა, იქნებ მარგარიტა შიგნით არის-მეთქი, გავჩერდი და ყვირილი ავტეხე: მარგარიტა! მარგარიტა! მაგრამ არავინ გამომპასუხებია. ეტლმა ჩვეულებრივ გააგრძელა თავისი გზა, ცოტახანს თვალი გავაყოლე, მერე მეც წავედი.

ორ საათში ლ’ეტუალის კარიბჭესთან ვიყავი. პარიზმა ძალები შემმატა და სირბილით გავუყევი გრძელ ხეივანს. აქ ადრეც უამრავჯერ ჩამისეირნია.

იმ ღამით გარეთ კაციშვილი არ ჭაჭანებდა. იტყოდით, მკვდარ ქალაქში მოსეირნობსო. წამოთენდა. დ’ანტენის ქუჩაზე რომ მივედი, უშველებელი ქალაქი ნელ-ნელა ამოძრავდა, გამოღვიძება დაიწყო. ის იყო, სენ როშის ეკლესიის საათმა 5 დარეკა, რომ

მარგარიტას სახლს მივადექი. კარისკაცს ჩემი სახელი ვუთხარი. ოცფრანკიანმა უცებ გაახსენა, რომ მე მქონდა უფლება, 5 საათზე ვსტუმრებოდი მადმუაზელ გოტიეს. გაუჭირვებლად შევედი, შემეძლო მეკითხა, შინ არის თუ არა, მარგარიტა-მეთქი, მაგრამ მეტყოდა არაო, მე კი მერჩივნა, კიდევ ზედმეტად მეეჭვიანა ორი წუთი, რადგან ეჭვიანობის დროს თან იმედიც არ მტოვებდა. კარს მივაყურადე, იქნებ რაიმე ხმაური, რაიმე მოძრაობა გამეგონა. მაგრამ არაფერი. თითქოს სოფლის სიჩუმეს აქაც მოეკიდებინა ფეხი. კარი გავაღე და შევედი. ფარდები ბოლომდე ჩამოეფარებინათ, სასადილო ოთახში გადავწიე და საძინებლისკენ გავემართე, მაგრამ კართან გავჩერდი. ფარდების თოკს ვეცი და მთელი ძალით დავქაჩე. ფარდა აიკეცა. ალიონის სუსტმა შუქმა გაანა-თა იქაურობა. საწოლთან მივირბინე, ცარიელი იყო, ერთმანეთის მიყოლებით ვაღებდი კარებს, ყველა ოთახში შევიხედე. არსად არავინ დამხვედრია. კინაღამ შევიშალე. საპირფარეშოშიც შევედი, ფანჯარა გამოვაღე და რამდენჯერმე დავუძახე პრიუდანსს. ქალბატონი დიუვერნუას ფანჯარა არ გაღებულა. მაშინ ისევ კარისკაცთან ჩავბრუნდი. ვიკითხე, მადმუაზელ გოტიეს დღის განმავლობაში ხომ არ შემოუვლია-მეთქი.

- დიახ, - მიპასუხა მან, - მადამ დიუვერნუასთან ერთად.

- ჩემთვის არაფერი დაუბარებია?

- არაფერი.

- მერე რა გააკეთეს, იცით?

- ეტლში ჩასხდნენ.

- რომელ ეტლში?

- საკუთარში.

რას ნიშნავდა ეს ყოველივე? გვერდით სახლის კარზე დავრეკე.

- ვინ გნებავთ, ბატონო? - მკითხა კარისკაცმა და კარი გამიღო.

- ქალბატონი დიუვერნუა.

- ჯერ არ დაბრუნებულა.

- დარწმუნებული ხართ?

- დიახ, ბატონო, აი, გუშინ საღამოს მოუტანეს წერილი და ჯერაც არ გადამიცია, - და კარისკაცმა მიჩვენა წერილი.

მექანიკურად დავხედე და მარგარიტას ხელი ვიცანი.

ავიღე, მისამართზე ეწერა „ქალბატონ დიუვერნუას, ბატონი დიუვალისთვის გადასაცემად“.

- ჩემთვისაა ეს წერილი, - ვუთხარი კარისკაცს და მისამართი ვაჩვენე.

- თქვენ ბრძანდებით ბატონი დიუვალი? - მკითხა მან.

- დიახ.

- ოჰ! ახლა კი გიცანით, ბატონო, ხშირად ყოფილხართ ქალბატონ დიუვერნუასთან.

ქუჩაში ხელის ერთი მოძრაობით გავხიე კონვერტი. ამ წერილი-ვით, ჩემ წინ მეხი რომ ჩამოვარდნილიყო, ისიც ვერ შემაშინებდა.

,,როცა ამ წერილს წაიკითხავთ, არმან, მე უკვე სხვისი საყვარელი ვიქნები. ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა. დაუბრუნდით მამათქვენს, ჩემო მეგობარო, თქვენს დას, ახალგაზრდა, უმანკო ქა-ლიშვილს, რომელმაც არაფერი იცის ჩვენი უღმერთობის შესახებ და რომლის გვერდითაც ძალიან მალე დაივიწყებთ იმ ტანჯვას ერთმა მომაკვდავმა გოგომ, მარგარიტა გოტიემ რომ მოგაყენათ.

თქვენ გიყვარდათ იგი და იგიც მხოლოდ თქვენ გიმადლით ბედნიერ წუთებს თავისი ცხოვრებისას, რომელიც, იმედი მაქვს, დიდხანს აღარ გაგრძელდება.“

წერილი რომ ჩავათავე, მეგონა ვგიჟდები-მეთქი. ერთი წუთით იმისაც კი შემეშინდა, ქვაფენილზე არ წავქცეულიყავი. თვალთ დამიბნელდა, საფეთქლებში სისხლი მაწვებოდა. როგორც იქნა, ცოტა დავმშვიდდი, ირგვლივ მიმოვიხედე, მიკვირდა, ცხოვრება თავისი გზით რატომ მიდის, ჩემი უბედურება რატომ არ ანაღვლებს-მეთქი. იმდენი ძალა არ მქონდა, მარტოს გადამეტანა მარგარიტას მიერ მოყენებული დარტყმა. მაშინ გამახსენდა, რომ მამაჩემიც ამ ქალაქში იყო, რომ შემეძლო, ათი წუთის შემდეგ მის გვერდით ვყოფილიყავი და რომ რაც უნდა ყოფილიყო ჩემი მწუხარების მიზეზი, იგი მაინც მხარში ამომიდგებოდა. გიჟივით გავიქეცი, ქურდივით შევვარდი სასტუმრო ,,პარიზში“, გასაღები კარში დამხვდა. შევედი, მამა კითხულობდა, ჩემს დანახვაზე არც გაოცებულა, თითქოს მელოდა. სიტყვის უთქმელად გადავეხვიე, მარგარიტას წერილი გავუწოდე, ლოგინზე დავეცი და ცხარე ცრემლით ავტირდი.

XXIII

ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგა, მე კი მაინც ვერ ვურიგ-დებოდი აზრს, რომ იმდღევანდელი დღე გასულ დღეებს არ ემგვანებოდა. იყო წუთები, როცა მეჩვენებოდა, ჩემგან მივიწყებულ გარემოებათა ბრალია, ღამეს მარგარიტასთან რომ არ ვატარებ, მაგრამ ბუჟივალში ჩავალ თუ არა, ისიც ისეთი აღელვებული დამხვდება, როგორც მე ვიყავი ადრე და მკითხავს, ამდენ ხანს უჩემოდ როგორ გაძელიო.

როცა ცხოვრება ჩვენი სიყვარულის მსგავს ურთიერთობას ქმნის, შეუძლებლად გვეჩვენება, ისე გაწყდეს ეს კავშირი, რომ თან მთელი სასიცოცხლო ძალაც არ გაგვინადგურდეს.

მე დროდადრო მაინც უნდა გადამეკითხა მარგარიტას წერილი, რათა დავრწმუნებულიყავი, ეს ყველაფერი სიზმარში არ მინახავს-მეთქი.

ჩემი მორალური დარტყმით შეძრული სხეული მოძრაობითაც ვეღარ მოძრაობდა. მღელვარებამ, ღამეულმა გასეირნებამ და დილით გაგებულმა ახალმა ამბავმა მომქანცა. მამაჩემმა ისარგებლა ჩემი სრული უძალობით და მასთან ერთად წასვლის ფორმალური თანხმობა მთხოვა.

რაც უნდოდა, ყველაფერზე დავთანხმდი. კამათის თავი არ მქო-ნდა, თან ნამდვილიად მჭირდებოდა დახმარება, რომ მომხდარის შემდეგ კვლავ გამეგრძელებინა სიცოცხლე.

მიხაროდა, რომ მამაჩემს სურდა, ჩემი ამგვარი დარდი გაეზიარებინა.

მხოლოდ ის მახსოვს, იმავე დღეს, დაახლოებით ხუთ საათზე, საფოსტო ეტლში როგორ ჩამსვა, უსიტყვოდ ჩაალაგებინა ჩემი ბარგი, თავისი ჩემოდნები ეტლის უკან დაამაგრებინა და გავემგზავრეთ.

ვერ ვხვდებოდი, რას ჩავდიოდი, სანამ ქალაქი თვალს არ მიეფარა და გზის უკაცურობამ ჩემს გულში გამეფებული სიცარიელე არ გამახსენა. კვლავ მწარედ ავქვითინდი.

მამაჩემი მიხვდა, რომ ამჯერად მისი სიტყვებიც ვერ მანუგეშებდა და უხმოდ მაცალა ბოლომდე მომეოხებინა გული, მხო-ლოდ დროდადრო მიჭერდა ხელს, თითქოს მეუბნებოდა, გვერდით ერთგული მეგობარი გყავსო.

ღამით ცოტა მეძინა, მარგარიტა დამესიზმრა.

უცებ გავიღვიძე, ვერ მივხვდი ეტლში რა მინდოდა.

შემდეგ ყველაფერი გამახსენდა და თავი ჩავქინდრე.

მამაჩემისთვისაც ვერ ვბედავდი დახმარების თხოვნას, სულ მეშინოდა, აი, ახლა მეტყვის: „ხომ ხედავ, მართალი ვიყავი, როცა არ მომწონდა ის ქალიო.“

მაგრამ მას არ უსარგებლია თავისი უპირატესობით და ს . . . - ში ისე შევედით, ხმა არ ამოგვიღია ამბავზე, რომელმაც გამომგზავრება მაიძულა.

როდესაც ჩემს დას გადავეხვიე, მარგარიტას წერილი და მასზე ნათქვამი სიტყვები გამახსენდა. მაგრამ მაშინვე მივხვდი, როგორი სრულყოფილიც უნდა ყოფილიყო ჩემი და, სატრფოს იგი მაინც ვერ დამავიწყებდა.

ნადირობის სეზონი გახსნილიყო. მამაჩემი ფიქრობდა, თუ გაართობს, ნამდვილად ეს გაართობსო. მეზობლებსა და მეგობრებთან ერთად აწყობდა ნადირობას. მე არც გულს მირევდა ეს მსვლე-ლობები და არც დიდი ხალისით ვიღებდი მათში მონაწილეობას. გამგზავრების შემდეგ ყველა ჩემი საქციელი ზუსტად ასეთი ხასიათის იყო.

იხვზე ვნადირობდით. მათ ჩემს სადარაჯოზე დამტოვეს. ცარიელი თოფი გვერდით მოვიდე და ოცნებაში წავედი.

ვუყურებდი, როგორ მიცურავდნენ ცაზე ღრუბლები, ფიქრებს სრული თავისუფლება მივეცი, დროდადრო რომელიღაც მონადირე მეძახდა და ჩემგან ათიოდე ნაბიჯში კურდღელზე მითითებდა.

არც ერთი ეს წვრილმანი მამაჩემს არ გამოჰპარვია. ჩემი გარეგნული სიმშვიდე თვალს ვერ უბამდა, მშვენივრად ხვდებო-და, რომ დაძაბულობის მიუხედავად, ჩემს გულს ერთ მშვენიერ დღეს მრისხანე, შეიძლება საშიში რეაქციაც ჰქონოდა. ამიტომ ცდილობდა, არაფერი შემემჩნია და რაც შეეძლო, ყველაფერს აკეთებდა ჩემს გასართობად.

ჩემმა დამ, რა თქმა უნდა, არაფერი იცოდა და ვერ მიმხვდა-რიყო, სხვა დროს ასე მხიარული, უცებ სასოწარკვეთილი და ნაღვლიანი რამ გამხადა.

ხანდახან, როცა სევდამორეული მშობლის შეშფოთებულ მზე-რას მოვკრავდი თვალს, მამას ხელზე ხელს ვუჭერდი, თითქოს უსიტყვოდ ვუხდიდი ბოდიშს იმ უსიამოვნებისთვის, ჩემდაუნებუ-რად რომ მივაყენე.

ასე ჩაიარა მთელმა თვემ, მაგრამ მეტის ატანა უკვე აღარ შემეძლო. მარგარიტას სახე განუშორებლად თან მდევდა. იმდენად მიყვარდა ეს ქალი, რომ ასე ერთი ხელის მოსმით ვერ დავივიწყებდი. ან უნდა მყვარებოდა, ან მთელი გულით უნდა შემეძულებინა.

მაგრამ ჯერ სულერთი იყო, რა გრძნობა მამოძრავებდა, აუცი-ლებლად უნდა მენახა იგი, თანაც დაუყოვებლივ. ამ სურვილმა ისე ღრმად გაიდგა ფესვები ჩემში, როგორც ეს მხოლოდ რაღაც ახლის შექმნას დანატრებულ ორგანიზმშია შესაძლებელი.

შორეულ მომავალში, ერთი თვის ან ერთი კვირის შემდეგ კი არ მინდოდა მარგარიტას ნახვა, არა, მეორე დღესვე. მამაჩემს ვუთხარი, პარიზში მივიდივარ, საქმეები მაქვს მოსაგვარებელი, მა-ლე დავბრუნდები-მეთქი. ცხადია, მამა გამგზავრების მიზეზს მიმიხვდა, დაჟინებითაც მთხოვდა, დარჩიო, მაგრამ როცა დაინახა, ისეთი გაღიზიანებული ვიყავი, ამ სურვილის აუსრულებლობას შეიძლებოდა საბედისწერო შედეგებიც მოჰყოლოდა, გადამკოცნა და ლამის ცრემლმორეულმა მთხოვა, მალე დაბრუნდიო.

პარიზისკენ მიმავალმა მთელი ღამე თეთრად გავათენე. წასვლით კი წავედი, მაგრამ მერე რა უნდა მექნა? წარმოდგენა არა მქონდა. თუმცა ჯერ მარგარიტა უნდა მენახა.

ჩემთან შევიარე, ტანსაცმელი გამოვიცვალე და რადგან კარგი ამინდიც იდგა და გვიანიც არ იყო, ელისეს მინდვრებისკენ გავისეირნე.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ შორს, კონკორდის მოედანთან, მარგარიტას ვკიდე თვალი. ცხენები გამოესყიდა, ეტლიც ძველი ჰყავდა.

მარგარიტა ფეხით მოდიოდა, თან ვიღაც უცნობი ქალი ახლდა. რომ ჩამიარა, გაფითრდა და ნერვულმა ღიმილმა დაუმანჭა ბაგე. რაც შემეხება მე, გული კინაღამ საგულედან ამომივარდა, მაგრამ მოვახერხე და გულგრილი გამომეტყველება მივიღე, ცივად მივესალმე ჩემს ყოფილ საყვარელს, რომელიც ძალიან მალე წამოეწია თავის ეტლს და მეგობართან ერთად ჩაჯდა შიგნით.

კარგად ვიცნობდი მარგარიტას. ჩემთან მოულოდნელ შეხვედრას თავგზა უნდა აებნია მისთვის. ცხადია, გაგებული ექნებოდა ჩემი გამგზავრების ამბავი და ჩვენი დაშორების შემდეგ იქნებ ცოტათი დამშვიდდა კიდეც. მაგრამ რადგან დაბრუნებული მნახა და გაფითრებულს პირისპირაც შემეჩეხა, ალბათ მიხვდა, რომ უმიზნოდ არ დავბრუნდებოდი და ალბათ ახლა საკუთარ თავს ეკითხებოდა, მომავალში რა მოხდებაო.

მარგარიტა უბედური რომ მენახა, შურისძიების ნაცვლად, და-სახმარებლად რომ მივსულიყავი, მგონი, ვაპატიებდი კიდეც ყველა-ფერს და გულშიც არ გავივლებდი, ზიანი მიმეყენებინა მისთვის.

მაგრამ მე მას ბედნიერს შევესწარი, გარეგნულად მაინც იმ სხვას ისევ ფუფუნებაში დაებრუნებინა, რაც მე ვერ შევძელი. ჩვენმა განშორებამ, მისმა წამოწყებულმა, უმდაბლესი ანგარების სახე მიიღო და შეურაცხყო ჩემი თავმოყვარეობაც და სიყვარულიც. მას სათანადოდ უნდა ეზღო ჩემი ტანჯვისთვის.

არ შემეძლო, გულგრილად მეცქირა, როგორ ცხოვრობდა ეს ქალი. შესაბამისად, ყველაზე დიდ უსიამოვნებას სწორედ ჩემი გულგრილობა მიაყენებდა. გადავწყვიტე, ასეც მომეჩვენებინა თავი, არა მხოლოდ მისთვის, არამედ სხვებისთვისაც.

მხიარული სახე მივიღე და პრიუდანსს ვესტუმრე.

მოახლე წავიდა, თქვენს გვარს მოვახსენებო. მანამდე კი მთხო-ვა, სასადილო ოთახში დაიცადეთო. როგორც იქნა, ქალბატონი დიუვერნუაც გამოჩნდა და თავის ბუდუარში წამიყვანა. ის იყო, დავჯექი, რომ გავიგონე, როგორ გაიღო სასტუმრო ოთახის კარი. მსუბუქმა ნაბიჯებმა როგორ ააჭრიალეს იატაკი, და ბოლოს, რო-გორ გაიჯახუნა კარი ვიღაცამ.

- ხელი შეგიშალეთ? - ვკითხე პრიუდანსს.

- სულაც არა. მარგარიტა იყო აქ. როცა თქვენი მოსვლა გაიგო, გაიქცა. ამ წუთს მარგარიტა გავიდა.

- უკვე ვაშინებ?

- არა, მხოლოდ იმას უფრთხის, ვაითუ, ჩემი ნახვა არ ესიამოვნოსო.

- კი მაგრამ, რატომ? - თავს ძალა დავატანე, თავისუფლად ამომესუნთქა, თუმცა სული მეხუთებოდა მღელვარებისაგან, - საბრალო გოგო, თავისი ეტლის, ავეჯის, მარგალიტების დასაბრუნებლად მიმატოვა და სწორადაც მოიქცა. არავითარი უფლება არ მაქვს, რამე საწინააღმდეგო მქონდეს.

- დღეს ვნახე კიდეც, - განვაგრძე ცივად.

- სად? - მკითხა პრიუდანსმა, თან თვალს არ მაშორებდა და ალბათ საკუთარ თავს ეკითხებოდა, ნუთუ ეს ის კაცია, მე რომ ვიცნობდი და საოცრად რომ იყო შეყვარებულიო.

- ელისეს მინდვრებზე, ერთი ძალიან ლამაზი ქალიც ახლდა. ვინ არის ის ქალი?

- როგორია?

- ქერა, გამხდარი, კულულებიანი, ცისფერთვალება, ძალიან მომხიბლავი.

- აჰ, ოლიმპია ყოფილა, მართლაც ძალიან ლამაზი ქალიშვილია.

- ვისთან ცხოვრობს?

- არავისთან და მთელ ქვეყანასთან.

- და სად ?

- ტრონშეს ქუჩაზე # . . . ჰო, მართლა, გინდათ გაეარშიყოთ?

- რა იცით, რა ხდება.

- და მარგარიტა?

- რომ გითხრათ, გულიდან ამოვიგდე-მეთქი, მოგატყუებთ. მაგრამ მე იმ მამაკაცთა რიცხვს ვეკუთვნი, ვისთვისაც ურთიერთობის გაწყვეტის ფორმა ბევრს ნიშნავს. მარგარიტამ იმდენად იოლად მიმატოვა, რომ თავს მაგარ სულელად ვთვლი, ასე როგორ მიყვარდა-მეთქი, არადა, მართლა ძალიან მიყვარდა.

წარმოიდგინეთ, ისე ვცდილობდი, მშვიდი ტონით მელაპარაკა, რომ შუბლი ოფლით დამეცვარა.

- მასაც ძალიან უყვარდით და კვლავაც უყვარხართ, ამის სა-ბუთიც მაქვს. დღეს შეხვედრიხართ. ჰოდა, მაშინვე ჩემთან შემოიარა და ყველაფერი მიამბო. თან ერთიანად კანკალებდა, საერთოდ, ძალიან ცუდად გრძნობდა თავს.

- და რა გითხრათ?

- მითხრა, თქვენთან აუცილებლად შემოივლისო და შემეხვეწა, სთხოვეთ, მაპატიოსო.

- კარგა ხნის წინ ვაპატიე, შეგიძლიათ, მოახსენოთ. შესანიშნავი გოგოა, უბრალოდ, მეძავია. თავიდანვე უნდა მცოდნოდა, რაც მელოდა, პირიქით, მადლობელიც კი ვარ მისი, ამგვარი გადაწყვე-ტილების მიღებისთვის. ახლა ვეკითხები ხოლმე საკუთარ თავს, სადამდე შეიძლებოდა მივეყვანე ჩვენი ერთად ცხოვრების იდეას, რა სისულელე იყო.

- მარგარიტას გაუხარდება, როცა გაიგებს, თქვენც აღიარეთ, აუცილებლად ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც მოიქცაო. თქვენი განშორების დროც დადგა, ჩემო ძვირფასო. ნაძირალა, რომელსაც მარგარიტამ ავეჯის გაყიდვა დაავალა, დაუკავშირდა მევალეებს, ამ ქალს თქვენი რამდენი მართებსო. ისინიც დაფრთხნენ და ორ დღეში საჯარო ვაჭრობა დანიშნეს.

- ახლა ყველაფერი გადახდილია?

- თითქმის.

- ვინ გადაიხადა?

- გრაფმა დე ნ . . . - მ. ეჰ, ჩემო ძვირფასო, არსებობენ მამაკაცები, მხოლოდ საამისოდ რომ გამოდგებიან. აი, მისცა 20 ათასი ფრანკი და სურვილიც აისრულა. ამ კაცს კარგად მოეხსენება, მარგარიტას რომ არ უყვარს, თუმცა ეს ხელს როდი უშლის, ძალიან თავაზიანად მოექცეს ქალს. ხომ ხედავთ, ცხენებიც გამოუსყიდა და ძვირფასეულობაც, თან იმდენ ფულსაც აძლევს, რამდენსაც ჰერცოგი აძლევდა ადრე. თუ მარგარიტა წყნარად ცხოვრებას მოისურვებს, ეს კაცი დიდხანს შერჩება.

- ახლა რას აკეთებს? პარიზში ცხოვრობს?

- თქვენი გამგზავრების შემდეგ ბუჟივალში დაბრუნების სურვილი აღარ გასჩენია. მისი ნივთებიც და თქვენიც მე წამოვიღე, შინ მაქვს და შემიძლია გაგატანოთ. ყველაფერი აქ არის, თქვენი ერთი პატარა ინიციალებიანი პორტფელის გარდა. მარგარიტამ დაიტოვა, თუ გჭირდებათ, გამოვართმევ.

- დაიტოვოს, - ჩავიბურდღუნე მე, რადგან ვგრძნობდი, გული-დან წამოსული ცრემლით როგორ მევსებოდა თვალები, იმ სოფლისა, სადაც ასეთი ბედნიერი ვიყავი და მარგარიტას გახსენებაზე. იგი ხომ ჩემს ნივთს ინახავდა. ესე იგი, ვახსოვდი.

იმ წუთს რომ შემოსულიყო, შურისძიების სურვილი თვალსა და ხელს შუა გამიქრებოდა და მუხლებში ჩავუვარდებოდი.

- გარდა ამისა, - შემესიტყვა პრიუდანსი, - ასეთი მარგარიტა, ახლა რომ არის, არასდროს მინახავს: თითქმის არ ძინავს, ყველა ბალს ესწრება, გვიან ვახშმობს და თვრება კიდეც. ამ ბოლოსაც, ერთ-ერთი ასეთი ვახშმობის შემდეგ მთელი კვირა ლოგინში იწვა. ექიმმა ადგომის ნება დართო თუ არა, ისევ სიკვდილთან თამაში გააგრძელა. მოინახულებთ?

- რა საჭიროა? მე თქვენ გესტუმრეთ, რადგან ყოველთვის კარგად მექცეოდით და მარგარიტამდეც გიცნობდით. სწორედ თქვენი წყალობით გავხდი მისი საყვარელი და თან დაშორებაც თქვენი წყალობაა, განა ასე არ არის?

- აჰ, კარგით ერთი, რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე, რომ მარგარიტა როგორმე დაგშორებოდათ. მჯერა, დრო გავა და მადლობასაც მეტყვით.

- ორმაგად მადლობებლი ვარ თქვენი, - დავამატე და ფეხზე წამოვდექი. დავიღალე, ეს ქალი, რაც უნდა მეთქვა, ყველაფერს სერიოზულად იღებდა.

- მიდიხართ?

- დიახ, რაც მინდოდა, ყველაფერი გავარკვიე.

- როდის გვინახულებთ?

- მალე, ნახვამდის.

- ნახვამდის.

პრიუდანსი კარებამდე გამომყვა, შინ დაბრუნებულს თვალები მრისხანების ცრემლით მქონდა სავსე, გული კი შურისძიების სურვილით.

მაშ, მარგარიტაც სხვებივით ჩვეულებრივი მეძავი ყოფილა: ჩემდამი მისმა დიდმა სიყვარულმა კი ვერ აჯობა უწინდელ ცხო-ვრებასთან დაბრუნების, ეტლის ყოლისა და ორგიების მოწყობის სურვილს.

აი, რას ვფიქრობდი და თეთრად ვათენებდი ღამეებს, თუმცა ცივი გონებით რომ განმესაჯა, დავინახავდი, რომ ეს ახალი მჩქეფარე ცხოვრება გაუთავებელი ფიქრისა და შემორჩენილი მოგონებებისაგან თავის დაღწევის სურვილით იყო ნაკარნახევი.

საუბედუროდ, ავი ვნება ბატონობდა ჩემზე და შანსს არ ვუ-შვებდი ხელიდან, რომ საბრალო გოგო როგორმე გამეწამებინა.

ოჰ, რა პატარა და საზიზღარი ხდება ადამიანი, როცა მის რომელიმე გრძნობას შეურაცხყოფენ.

ოლიმპია, ის ქალიშვილი, მარგარიტასთან ერთად რომ ვნახე, არ ვიცი, მისი მეგობარი იყო თუ არა, ყოველ შემთხვევაში, პარიზში დაბრუნების შემდეგ ხშირად ახლდა თან, ბალის გამართვას აპირებდა და რადგან ვვარაუდობდი, მარგარიტაც იქ იქნება-მეთქი, ვცადე, მოსაწვევი ჩამეგდო ხელში და მოვახერხე კიდეც.

როცა მწარე ფიქრებით დამძიმებული ბალზე გამოვცხადდი, იქ გახურებული მხიარულება დამხვდა. ცეკვავდნენ და იდგა გამაყრუებელი ჟივილ-ხივილი. ერთ-ერთი კადრილის დროს მარგარიტას მოვკარი თვალი, გრაფ დე ნ . . . - ს ეცეკვებოდა. ამ კაცს ისეთი სიამაყე ეხატა სახეზე, თითქოს მთელი ქვეყნის გასაგონად იძახდა, ეს ქალი ჩემიაო.

ბუხართან დავდექი, მარგარიტას პირდაპირ. ვუცქერდი, როგორ ცეკვავდა. შემამჩნია თუ არა, შეკრთა. ახლაღა შეგნიშნეთ-მეთქი და ცივად მივესალმე.

როცა ვფიქრობდი, რომ ბალის შემდეგ ის ჩემთან კი არა, ამ აუტანელ რეგვენთან ერთად უნდა წასულიყო, როცა წარმოვიდგენდი, სავარაუდოდ, რა მოხდებოდა მათი შინ დაბრუნების შემდეგ, სახეზე სისხლი მაწვებოდა და დაუძლეველ სურვილს ვგრძნობდი, ამემღვრია მათი სიყვარული.

სადილის შემდეგ დიასახლისისკენ გავემართე მისასალმებლად, რომელსაც არაჩვეულებრივი მხრები და თვალისმომჭრელი მკე-რდი საქვეყნოდ მოეშიშვლებინა.

ლამაზი ქალიშვილი იყო, თუ ფორმათა მოხაზულობას გავითვა-ლისწინებთ, მარგარიტაზე ლამაზიც კი. ამას უკეთ მივხვდი, როცა დავინახე, მარგარიტამ რამდენჯერმე როგორ გამოხედა ოლიმპიას, როცა მე ველაპარაკებოდი. ვაჟი, რომელიც საყვარლად გაუხდებოდა ამ ქალს, ბატონ დე ნ . . . - ზე ნაკლებ როდი იამაყებდა. იგი იმდენად ლამაზი იყო, რომ მამაკაცებში ისეთსავე ვნებას იწვევდა, როგორსაც მარგარიტა.

იმ დროს მას საყვარელი არ ჰყავდა, არ გაჭირდებოდა მისი დაყოლიება, მხოლოდ ცოტა ოქრო უნდა დამენახებინა და მეც შემამჩნევდა.

მტკიცედ გადავწყვიტე, ეს ქალი ჩემი საყვარელი უნდა გახდეს-მეთქი.

თაყვანისმცემლის როლი მოვირგე და ოლიმპია საცეკვაოდ გამოვიწვიე.

ნახევარი საათის შემდეგ მიცვალებულივით გაფითრებულმა მარგარიტამ ქურქი მოიცვა და ბალი დატოვა.

XXIV

ეს უკვე რაღაცას ნიშნავდა, მაგრამ საკმარისი არ იყო. მივხვდი, უზარმაზარი გავლენა მქონდა ამ ქალზე და მისი ბოროტად გამოყენება დავიწყე.

როცა ვფიქრობ ხოლმე, რომ ცოცხალი აღარ არის, საკუთარ თავს ვეკითხები, შემინდობს კი ოდესმე უფალი, ჩემ მიერ ჩადენილ ბოროტებას.

ვახშმის შემდეგ, რომელიც ძალიან ხმაურიანი გამოდგა, თამაში დავიწყეთ.

მე ოლიმპიას მივუჯექი და ისე გაბედულად ჩამოვდიოდი ფულს, რომ ძალაუნებურად ყურადღება მომაქცია. ძალიან მალე ას ორმოცდაათი თუ ორასი ლუიდორი მოვიგე და წინ დავიყარე. ქალი თვალებით ჭამდა ფულს.

თან ერთადერთი ვიყავი, ვინც ბოლომდე ვერ გაიტაცა თამაშმა და ვინც მასაც აქცევდა ყურადღებას. მთელი ღამე სულ ვიგებდი და ვიგებდი, ფული მასაც მივეცი სათამაშოდ, რადგან ყველაფერი წაეგო, რაც წინ ედო და, მგონი, მეტი არც არაფერი გააჩნდა.

დილის ხუთ საათზე დავიშალეთ.

სამასი ლუიდორი მოვიგე.

ყველა მოთამაშე წავიდა, მხოლოდ მე შემოვრჩი, რადგან არც ერთ ამ ბატონთან მეგობრობა არ მაკავშირებდა.

ოლიმპიამ თვითონ გამინათა კიბეები და აი, მეც დანარჩენებისთვის უნდა მიმებაძა, მაგრამ მოვბრუნდი და ვუთხარი: - უნდა გელაპარაკოთ.

- ხვალ, - მიპასუხა მან.

- არა, ახლავე.

- რისი თქმა გინდათ?

- გაიგებთ.

და ბინაში შევბრუნდი.

- დღეს წააგეთ, - ვუთხარი მე.

- დიახ.

- ყველაფერი რაც გებადათ?

შეყოყმანდა.

- იყავით გულწრფელი.

- კარგით, მართალი ხართ.

- მე სამასი ლუიდორი მოვიგე. აი, თუ ნებას დამრთავთ, დაგიტოვებთ.

და ოქრო მაგიდაზე დავყარე.

- კი მაგრამ, რატომ მთავაზობთ ამას?

- იმიტომ რომ მიყვარხართ. ღმერთო ჩემო!

- არა, უფრო იმიტომ, რომ მარგარიტა გიყვართ, გინდათ საყვარლად გამიხდეთ და ამით მასზე შური იძიოთ. ჩემისთანა ქალს ვერ მოატყუებთ, ჩემო ძვირფასო მეგობარო! სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ლამაზი ვარ, ამიტომ მაგ როლზე ვერ დაგთანხმდებით.

- ესე იგი, უარს ამბობთ?

- დიახ.

- კი მაგრამ, გირჩევნიათ, მუქთად გიყვარდეთ? ამაზე უკვე მე ვერ დაგთანხმდებით. აბა, კარგად დაფიქრდით, ჩემო ძვირფასო ოლიმპია, ეს სამასი ლუიდორი სხვისი ხელით რომ გამომეგზავნა და იგივე პირობები შემომეთავაზებინა, რაც ახლა გითხარით, ხომ აიღებდით? მე კი მირჩევნია, პირადად მოგელაპარაკოთ. დამთანხმდით და ჩემი მიზეზების ჩხრეკას თავი დაანებეთ, თავად არ ამბობთ, ლამაზი ვარო, და აბა, რა გასაკვირია, შემყვარებოდით.

მარგარიტაც, ოლიმპიას მსგავსად, ხარჭა იყო, მაგრამ ჩვენი ნაცნობობის პირველივე დღეს როგორ გავუბედავდი იმის თქმას, რაც ამ ქალს გავუბედე. ეს იმიტომ, რომ მარგარიტა მიყვარდა, ეს იმიტომ, რომ მას ჰქონდა ინსტიქტები, რომელიც ამ მეორეს არ გააჩნდა. და სწორედ მაშინ, როცა ვევაჭრებოდი, მიუხედავად მისი არაჩვეულებრივი სილამაზისა, ოლიმპია არც კი მომწონდა.

რა თქმა უნდა, ბოლოს მაინც დამთანხმდა და შუადღისას უკვე მისი საყვარლის რანგში წამოვედი შინ: ისე დავტოვე მისი ლოგინი, არც ალერსი და არც სასიყვარულო სიტყვები არ წამომყოლია მოგონებად. თუმცა მან გულუხვად გადამიხადა სამაგიერო ნაჩუქარი 6 ათასი ფრანკისთვის.

სხვათა შორის, ამ ქალის გამო ბევრი გაკოტრდა. ამ დღიდან მოყოლებული, მარგარიტას წამება დავიწყე. ის და ოლიმპია აღარ ხვდებოდნენ ერთმანეთს, რასაკვირველია, ხვდებით, რატომაც. მე ჩემს ახალ საყვარელს ეტლიც ვაჩუქე, ვთამაშობდი კიდეც, მოკლედ, ყველა იმ სისულელეს ჩავდიოდი, ოლიმპიასნაირ ქალზე შეყვარებული კაცები რომ ჩადიან. ჩემი ახალი გატაცება მალევე გახმაურდა.

პრიუდანსმაც კი დაიჯერა და დაასკვნა, ეტყობა, მარგარიტა საბოლოოდ ამოიგდო გულიდანო. მარგარიტა ან მიმიხვდა მიზეზს, რამაც ასე მოქცევა მაიძულა, ან სხვებივით დაიჯერა ყველაფერი და ღირსეულად იტანდა დამცირებას, რომელსაც გამუდმებით ვაყენებდი. მაგრამ, ეტყობა, ძალიან იტანჯებოდა, რადგან ყოველ ჯერზე სულ უფრო და უფრო ფერდაკარგულს და ნაღვლიანს ვხედავდი.

ჩემი ლამის უკვე სიძულვილად ქცეული სიყვარული ამ უსაზღვრო ტანჯვის ცქერით ხარობდა. ხშირად, როცა სამარცხვინო სისასტიკეს ვიჩენდი, მარგარიტა ისეთი ვედრებით შემომხედავდა ხოლმე, რომ არჩეული როლის გამო ვწითლდებოდი და მზად ვიყავი, ბოდიში მომეხადა.

მაგრამ სინანული თვალის დახამხამებაში ქრებოდა და ოლიმპიამაც დაივიწყა საკუთარი თავმოყვარეობა, მიხვდა, მარგარიტას თუ ვავნებ, არმანი ყველა სურვილს შემისრულებსო.

გამუდმებით მამხედრებდა მის წინააღმდეგ და შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, შეურაცხყოფა არ მიეყენებინა მისთვის. და ამას მამაკაცის მფარველობით გათამამებული ქალის ვერაგობით აკეთებდა.

მარგარიტა აღარც ბალებზე დადიოდა, აღარც სპექტაკლებს ესწრებოდა. ჩვენთან, ჩემთან და ოლიმპიასთან შეხვედრას უფრ-თხობდა. პირად უხეშობას ანონიმური

წერილები მოჰყვა. არ დარ-ჩენილა ქვეყანაზე საზიზღრობა, რაც ან საყვარლის, ან თვითონ ჩემივე პირით, მარგარიტაზე არ გამევრცელებინოს.

ალბათ შევიშალე, თორემ ამ ზომამდე რა მიმიყვანდა. აძმარებული ღვინით დამთვრალ კაცს ვგავდი, ნერვულ აგზნებას რომ შეუპყრია და მზად არის, დანაშაული ჩაიდინოს. მიუხედავად ყველაფრისა, თავს მსხვერპლად ვგრძნობდი, აუღელვებელი სიმშვიდე და ღირსების გრძნობა, რითაც მარგარიტა ყველა ჩემს იერიშს პასუხობდა და რითაც უფრო მაღლდებოდა ჩემს თვალში, კიდევ მეტად მამხედრებდა მის წინააღმდეგ.

ერთ საღამოს ოლიმპია სადღაც იყო, არ ვიცი სად, და მარგარიტას შეხვდა. ამჯერად მან არ დაინდო ჩერჩეტი გოგო, შეურაცხყოფას რომ აყენებდა და ეს უკანასკნელიც იძულებული გახდა, უკან დაეხია. ოლიმპია შინ გაცეცხლებული მობრუნდა, მარგარიტა კი გულშეღონებული წაუყვანიათ.

მოგვიანებით, შევედი თუ არა, ოლიმპია მიყვებოდა, მარგარიტამ რადგან მარტო დამიგულა, გადაწყვიტა შური ეძია ჩემზე, თქვენი საყვარელი რომ გავხდიო და დაამატა, წერილობით მოსთხოვეთ პატივი სცეს, როგორც თქვენი თანდასწრებით, ისე თქვენი არყოფნის დროსაც ქალს, რომელიც გიყვართო.

ალბათ საჭიროც არ არის გითხრათ, რომ დავეთანხმე და მთელი სიბინძურე და სისასტიკე, რაც სულში მქონდა, ბარათში ჩავაქსოვე და იმ დღესვე გავუგზავნე.

ამჯერად ძლიერი დარტყმა გამომივიდა, უბედურმა უხმოდ ვეღარ აიტანა.

დარწმუნებული ვიყავი, საპასუხო წერილს მივიღებდი და გადავწყვიტე, მთელი დღე შინ დავრჩენილიყავი.

დაახლოებით ორი საათი იყო, ზარი დარეკეს და პრიუდანსი შემოვიდა.

შევეცადე, გულგრილი სახით მეკითხა, რას უნდა ვუმადლოდე თქვენს სტუმრობას- მეთქი, მაგრამ იმ დღეს ქალბატონი დიუვერნუა ხუმრობის ხასიათზე არ იყო და სერიოზული ტონით გამომიცხადა, მას შემდეგ, რაც დაბრუნდით, ესე იგი, უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში, შემთხვევას არ უშვებთ ხელიდან, რომ გული არ ატკინოთ მარგარიტას. ისედაც ავადაა, გუშინდელმა სცენამ და თქვენმა დილანდელმა წერილმა მთლად ლოგინად ჩააგდოო.

მოკლედ, მარგარიტა არაფერს მსაყვედურობდა, მხოლოდ შეწყალებას ითხოვდა და აღიარებდა, აღარ მაქვს აღარც სულიერი და აღარც ფიზიკური ძალა თქვენი თავდასხმების გადასატანადო.

- მადმუაზელ გოტიეს, - ვუთხარი პრიუდანსს, - შეუძლია, გარეთ გამომაგდოს, ამის სრული უფლება აქვს, მაგრამ არ დავუშვებ, რომ ქალს, რომელიც მიყვარს, მხოლოდ იმიტომ მიაყენოს შეურაცხყოფა, რომ იგი ჩემი საყვარელია.

- ჩემო მეგობარო, - შემესიტყვა პრიუდანსი, - თქვენ უგულო და ჩერჩეტი გოგოს გავლენას განიცდით. მართალია, გიყვართ, მაგრამ ეგ რა მიზეზია საიმისოდ, რომ გააწამოთ საწყალი ქალი, რომელსაც თავის დაცვა არ შეუძლია.

- ჯერ მადმუაზელ გოტიემ უარი უთხრას თავის გრაფ დე ნ . . . - ს და ჩვენი ძალებიც გათანაბრდება.

- მშვენივრად მოგეხსნებათ, ამას ვერ იზამს. ჩემო ძვირფასო არმან, დაანებეთ მარგარიტას თავი, რომ განახათ, რა დღეშია, მაშინვე შეგრცხვებოდათ თქვენი საქციელის. სახეზე ფერი არ ადევს, ახველებს, დიდი დღე როდი უწერია.

პრიუდანსმა ხელი გამომიწოდა და დაუმატა: - მოინახულეთ, ძალიან გაუხარდება.

- არავითარი სურვილი არ მაქვს, ბატონ დე ნ . . . - ს შევხვდე.

- ბატონი დე ნ . . . არასდროს არ არის მასთან, ხომ იცით, მარგარიტას სძულს ეგ კაცი.

- თუ მარგარიტას ჩემი ნახვა სურს, იცის, სად ვცხოვრობ და თავად მოვიდეს, ოღონდ ჩემი ფეხი არ იქნება დ'ანტენის ქუჩაზე.

- რომ მოვიდეს, კარგად მიიღებთ?

- გადასარევად.

- კარგი, დარწმუნებული ვარ, მოვა.

- მოვიდეს.

- დღეს გადიხართ სადმე?

- მთელ საღამოს შინ გავატარებ.

- გადავცემ.

პრიუდანსი წავიდა.

ოლიმპიასთვის არც მიმიწერია, ვერ გინახულებ მეთქი. ამ გოგოსი არ მერიდებოდა. დიდი-დიდი, კვირაში ერთი ღამე გამეტარებინა მასთან. თვითონ, მგონი, რომელიღაც ბულვარული თეატრის მსახიობთან პოულობდა ნუგეშს.

სასადილოდ გავედი და მალევე შემოვბრუნდი. ყველა ოთახში ცეცხლი დავანთებინე და ჟოზეფიც გავუშვი.

ვერ გადმოგცემთ, რა განსხვავებული შთაბეჭდილებები ებრძო-დნენ ჩემში ერთმანეთს მთელი საათის მანძილზე. მაგრამ როცა, და-ახლოებით, 9 საათზე ზარის ხმა გავიგე, ყველაფერი ისეთი მღელვარებით დაგვირგვინდა, რომ კედელს მივეყრდენი, შემეშინდა, კარის გაღებამდე არ წავიქცე-მეთქი. საბედნიეროდ, შემოსასვლელი სანახევროდ იყო განათებული და ჩემი გამომეტყველება არ ჩანდა.

მარგარიტა შემოვიდა.

ერთიანად შავები ეცვა, რიდე ეფარა, მაქმანის ქვეშ ძლივს ვიცანი მისი სახე.

სასტუმრო ოთახი გადაიარა და რიდე აიხადა. მარმარილოსავით თეთრი იყო.

- აი, მეც მოვედი, არმან, - მითხრა მან, - თქვენ გინდოდათ ჩემი ნახვა და მეც მოვედი.

ეს თქვა, სახე ხელებში ჩარგო და აქვითინდა.

მივუახლოვდი.

- რა გემართებათ? - ვუთხარი შეცვლილი ხმით.

მან პასუხად მხოლოდ ხელი მომიჭირა, ცრემლები ეჩხირებოდა ყელში. მალე ოდნავ დამშვიდდა და მითხრა: - ძალიან ცუდად მომექეცით, არმან, არადა, მე თქვენთვის არაფერი დამიშავებია.

- არაფერი? - ჩავეკითხე მწარე ღიმილით.

- არაფერი, გარდა იმისა, რაც გარემოებებმა მაიძულეს.

არ ვიცი, აქამდე გამოგიცდიათ, ან ოდესმე, გამოცდით თუ არა იმას, რაც მე მარგარიტას დანახვისას ვიგრძენი.

უკანასკნელად რომ იყო ჩემთან, მაშინაც სწორედ ამ ადგილას იჯდა. იმ დროიდან ბევრი რამ შეცვლილიყო. ახლა მას სხვისი საყვარელი ერქვა, ახლა სხვები უკოცნიდნენ ბაგეებს, რომლებიც უნებურად ჩემს ტუჩებსაც სწყუროდა და მაინც, ვგრძნობდი, რომ ძველებურად მიყვარდა ეს ქალი, ან იქნებ უფრო მეტადაც, ვიდრე ოდესმე მყვარებია.

გარდა ამისა, მიძნელდებოდა საუბრის დაწყება. მარგარიტა ალბათ მიმიხვდა და მითხრა: - უნდა შეგაწუხოთ, არმან, ორი სათხოვარი მაქვს თქვენთან. მაპატიეთ, რაც გუშინ მადმუაზელ ოლიმპიას ვუთხარი და, თუ შეიძლება, შემიბრალეთ მომავალში. ჩამოსვლის შემდეგ, ნებით თუ უნებლიეთ, იმდენი რამ დამიშავეთ, რომ ახლა იმ მღელვარების მეოთხედსაც ვერ გავუძლებ, რაც დღეს დილამდე გადავიტანე. ხომ შემიბრალებთ? იქნებ გაიგოთ, რომ კეთილშობილ მამაკაცს უფრო ღირსეული საქმეები აქვს გასაკეთებელი, ვიდრე ჩემისთანა ავადმყოფი და ნაღვლიანი ქალისთვის სამაგიეროს გადახდაა. მოდით, მომკიდეთ ხელი, სიცხე მაქვს, საწოლიდან მხოლოდ იმიტომ ავდექი, რომ თქვენთვის მეგობრობა კი არა, გულგრილობა მეთხოვა.

მართლაც, ხელი მოვკიდე, იწვოდა. საბრალო ქალს ხავერდის პალტო ეცვა და მაინც ციებიანივით კანკალებდა. სავარძელი, რომელშიც მარგარიტა იჯდა, ცეცხლთან მივაგორე.

- როგორ გგონიათ, მე არ ვიტანჯებოდი? - შევესიტყვე მე, - იმ ღამეს, როცა ამაოდ გელოდეთ სოფელში და მერე პარიზისკენ გამოვწიე თქვენს საძებნელად, როცა ამ წერილის მეტი, რომელმაც ლამის ჭკუიდან გადამიყვანა, ვერაფერი ვიპოვე, როგორ მომატყუეთ, მარგარიტა, არადა, როგორ მიყვარდით.

- ამაზე ნუ ვილაპარაკებთ, არმან, აქ მაგისთვის არ მოვსულვარ. არ მინდა, თქვენში მტერს ვხედავდე, ეს არის და ეს. უბრალოდ, მინდოდა, კიდევ ერთხელ ჩამომერთმია თქვენთვის ხელი. თქვენ ახალგაზრდა, ლამაზი საყვარელი გყავთ და, როგორც ამბობენ, გიყვართ კიდეც იგი. ბედნიერი იყავით მასთან, მე კი დამივიწყეთ.

- თქვენ ბედნიერი ხართ?

- ბედნიერ ქალს ვგავარ, არმან? მასხარად ნუ იგდებთ ჩემს მწუხარებას. თქვენ მაინც ყველაზე უკეთ მოგეხსენებათ, რამ წარმოშვა და რამდენად უკიდეგანოა იგი.

- თქვენი უბედურება მხოლოდ და მხოლოდ თქვენივე ბრალია, თუ, რა თქმა უნდა, მართალია, რასაც ამბობთ.

- არა, ჩემო მეგობარო, გარემოებები ჩემს სურვილზე ძლიე-რი აღმოჩნდნენ. მე დავემორჩილე არა მეძავი ქალის ინსტიქტებს, როგორც ამას თქვენ ამბობთ ხოლმე, არამედ ყურადსაღებ აუ-ცილებლობას და მოსაზრებებს, რომელსაც ერთ მშვენიერ დღეს შეიტყობთ. აი, მაშინ კი სხვა რა გზა გექნებათ, ყველაფერს მაპატიებთ.

- დღეს რატომ არ მიმხელთ მაგ მოსაზრებებს?

- იმიტომ, რომ იგი ვეღარ აღადგენს ჩვენ ურთიერთობას და იქნებ ახლობელ ადამიანებსაც დაგაშოროთ.

- ვინ ადამიანებს?

- ვერ გეტყვით.

- თუ ასეა, მატყუებთ.

მარგარიტა წამოდგა და კარისკენ წავიდა.

საშინლად ამაღელვა ამ უსიტყვო და თან ასე მეტყველმა მწუხარებამ. თან გონებაში ერთმანეთს ვადარებდი ამ გაფითრებულ, აქვითინებულ ქალს და იმ თავქარიან გოგოს, ოპერაში რომ დამცინოდა.

- ვერ წახვალთ, - ვუთხარი და კართან წინ გადავეღობე.

- რატომ?

- იმიტომ, რომ მიუხედავად ყველაფრისა, რაც გამიკეთეთ, მა-ინც მიყვარხართ და აქედან არსად გაგიშვებთ.

- რომ ხვალ, ხვალ ისევ გარეთ გამაგდოთ, არა? არა, შეუძლებელია! ჩვენი გზები უკვე გაიყარა, ნუღარ გავაერთიანებთ. მომავალში იქნებ შემიზიზღოთ კიდეც, დღეს კი მხოლოდ გძულვართ.

- არა, მარგარიტა, - შევძახე მე და ვიგრძენი, თურმე საკმარისი ყოფილა, დავლაპარაკებოდი, ჩემში კვლავ გაიღვიძა სიყვარულმაც და სურვილმაც, - არა, დავივიწყებ ყველაფერს და ბედნიერები ვიქნებით. ამაზე რამდენჯერ გვიოცნებია.

მარგარიტამ თავი გააქნია, ვითომ ეჭვი მეპარებაო და მითხრა: - განა მე თქვენი მხევალი არა ვარ, თქვენი ერთგული ფინია ძაღლი? რაც გინდათ, ის მიქენით. აჰა, თქვენი ვარ.

ქუდი და პალტო იქვე ტახტზე მიყარა და კაბის აზღუდს დაუწყო შეხსნა, მაგრამ ამხელა მღელვარებას ვეღარ გაუძლო, სი-სხლმა თავში აასხა და სული შეუგუბდა.

აუტყდა მშრალი, ხრინწიანი ხველა.

- მეეტლეს უთხარით, - ძლივს ამოთქვა მან, - ეტლი წაიყვანოს და წავიდეს.

იმ კაცის გასაშვებად დაბლა თვითონ ჩავედი. როცა ამოვბრუნდი, ცეცხლთან იჯდა და სიცივისგან კბილს კბილზე აცემინებდა.

ხელში ავიყვანე, ისე გავხადე, არც განძრეულა და გათოშილი ჩემს ლოგინში ჩავაწვინე. მერე გვერდით მივუჯექი და შევეცადე, ჩემი ალერსით გამეთბო. ხმა არ ამოუღია, მხოლოდ მიღიმოდა.

ო, საუცხოო ღამე იყო, მარგარიტამ კინაღამ დამახრჩო კოცნით. თან ისე მკოცნიდა, თითქოს მთელ თავის სიცოცხლეს შიგ აქსოვსო, მე კი ისე მიყვარდა იგი, რომ უკიდურესი აღგზნების წუთებში ვფიქრობდი, ხომ არ მოვკლა ეს ქალი, რომ სხვას აღარავის აღარასდროს აღარ ეკუთვნოდეს-მეთქი.

ასეთი სიყვარული ერთ თვეში დაფერფლავდა სულსაც და ხორცსაც.

დილითაც არ გვძინებია არცერთს.

მარგარიტას მიცვალებულის ფერი ედო, კრინტი არ დაუძრავს. დროგამოშვებით მხოლოდ ცრემლები ჩამოუგორდებოდა ხოლმე თვალებიდან და ლოყებზე მოელვარე მარგალიტებივით ეკიდებოდა. დაქანცულ მკლავებს ხანდახან ჩემს მოსახვევად თუ წამოსწევდა და მალევე უღონოდ დაუშვებდა ძირს.

წუთით ვიფიქრე, შევძლებ და დავივიწყებ, რაც ბუჟივილიდან ჩემი გამომგზავრების მერე მოხდა-მეთქი და ვუთხარი მარგარიტას: - გინდა, წავიდეთ, დავტოვოთ პარიზი?

- არა, არა, - თითქოს შეშინებულმა მიპასუხა, - ძალიან უბედურები ვიქნებით. მე ვეღარ გაგაბედნიერებ, მაგრამ სანამ პირში სული მიდგას, ყველა კაპრიზს აგისრულებ. დღისა და ღამის ნებისმიერ დროს მოდი და შენი ვიქნები, მაგრამ შენს მომავალს ჩემთან ნუ დააკავშირებ, შენც გაუბედურდები და მეც გამაუბედურებ. ცოტა ხანს კიდევ გამყვება სილამაზე, ისარგებლე მისით, ოღონდ მეტს ნურაფერს მთხოვ.

როცა მარგარიტა გაემგზავრა, თავზარი დამცა ირგვლივ გამე-ფებულმა მარტოობამ.

მისი წასვლიდან ორი საათი გავიდა, მე კი ისევ იმ საწოლზე ვიჯექი, რომელშიც იგი იწვა და ბალიშს დავყურებდი - კიდევ ეტყობოდა მისი თავის მოხაზულობა, და ვცდილობდი, სიყვარულსა და ეჭვიანობას შორის გამოსავალი მეპოვა.

ხუთ საათზე, თვითონაც არ მქონდა წარმოდგენა, რატომ, დ'ანტენის ქუჩისკენ გავეშურე, კარი ნანინმა გამიღო.

- ქალბატონი ვერ მიგიღებთ, - მითხრა შეშფოთებულმა.

- რატომ?

- იმიტომ, რომ ბატონი გრაფი დე ნ . . . აქ არის და გამაფრთხილა, არავინ შემოუშვაო.

- რა თქმა უნდა, - ჩავიბურდღუნე მე, - სულ დამავიწყდა.

შინ მთვრალივით მივბრუნდი, და იცით, რა ჩავიდინე ეჭვია-ნობის წუთიერი შემოტევისას, ძალა მხოლოდ სამარცხვინო საქ-ციელისთვის მეყო, იცით რა ჩავიდინე?

საკუთარ თავს ვუთხა-რი, ამ ქალმა დამცინა-მეთქი, წარმოვიდგინე, გრაფთან პირისპირ დარჩენილი როგორ უმეორებდა მას წინაღამით ჩემთვის ნათქვამ სიტყვებს. ამიტომ ავიღე ხუთასფრანკიანი და ამ სიტყვებთან ერთად გავუგზავნე: ,,დილით ისე ნაჩქარევად წახვედით, რომ ფულის გადახდა დამავიწყდა, ინებეთ, თქვენი ერთი ღამის საფასური.“

წერილის გაგზავნის მერე კი გარეთ გამოვედი, რომ ჩემი სისასტიკის გამო სინანულს არ შევეწუხებინე.

ოლიმპიას შევუარე, კაბებს ისინჯავდა.

როცა მარტო დავრჩით, გულის გადასაყოლებლად უწმაწური სიმღერა წამოვიწყე. ოლიმპია უსირცხვილო, უგულო და ჩერჩეტი კურტიზანის გადასარევი ნიმუში იყო, ყოველშემთხვევაში, მე არ მიზიდავდა. თუმცა, ვინ იცის, იქნებ სხვისთვის ისიც ისეთივე ოცნების ქალი იყო, როგორც ჩემთვის მარგარიტა.

ფული მთხოვა, მივეცი და შინ დავბრუნდი.

მარგარიტას არაფერი ეპასუხა.

რა საჭიროა, გიამბოთ, როგორ ვღელავდი მთელი დღის მანძილზე. შვიდის ნახევარზე შიკრიკმა კონვერტი მომიტანა, შიგნით წერილი და ხუთასფრანკიანი იდო. ერთი სიტყვაც არ მოეწერა.

- ვინ გამოგატანათ? - ვკითხე იმ კაცს.

- უცნობმა ქალბატონმა, რომელიც მოახლესთან ერთად საფოსტო ეტლით ბულონში მიემგზავრებოდა. მიბრძანა, სანამ კარეტა არ დაიძვრება, არ წაუღოთო.

მარგარიტასთან გავვარდი.

- ქალბატონი დღეს 6 საათზე ინგლისში გაემგზავრა, - მიპასუხა კარისკაცმა.

პარიზში აღარაფერი მაკავებდა: აღარც სიძულვილი, აღარც სიყვარული. ამდენი ვნებათაღელვით დავიქანცე. ერთი ჩემი მეგობარი აღმოსავლეთში მიემგზავრებოდა, მამაჩემს შევატყობინე, მინდა მეც თან გავყვე-მეთქი.

მამაჩემმა ფული და სარეკომენდაციო წერილები გამომიგზავნა და რვა - ათი დღის შემდეგ მარსელში გემში ჩავჯექი.

ალექსანდრიაში საელჩოს ატაშესაგან, რომელსაც მარგარიტას-თან რამდენჯერმე შევხვედროდი, გავიგე საბრალო ქალის ავადმყოფობის ამბავი. წერილი მივწერე, პასუხი კი, აი, ის, თქვენ რომ ნახეთ, ტულონში მივიღე. მაშინვე უკან გამოვბრუნდი. დანარჩენი უკვე თქვენც მოგეხსენებათ.

ახლა ისღა დამრჩენია, წაგიკითხოთ რამდენიმე ფურცელი, რო-მელიც მე ჟიული დიუპრემ გადმომცა და რომელიც საბოლოოდ დაასრულებს ჩემს მონათხრობს.

XXV

ამ ხანგრძლივმა, ცრემლით სავსე საუბარმა მოქანცა არმანი, ხელები შუბლზე შემოიწყო, თვალები დახუჭა, ან ფიქრობდა რაღაცას, ან ცდილობდა, დაეძინა. მანამდე მარგარიტას დაწერილი ფურცლები გადმომცა.

ცოტა ხანში არმანს სუნთქვა აუჩქარდა, ვიფიქრე, დაიძინა-მეთქი, მაგრამ ისეთი ფრთხილი ძილით კი, რომ ერთი ბეწო ხმაურსაც შეეძლო გაეღვიძებინა.

აი, რა წავიკითხე და მერე უცვლელად გადმოვწერე, არც არაფერი მიმიმატებია და არც დამიკლია: „15 დეკემბერია, მესამე თუ მეოთხე დღეა, ავად ვარ. დილით საწოლიდან აღარ წამოვდექი, მოღრუბლული ამინდია, მოწყენილი ვარ. ჩემ გვერდით არავინაა. მე თქვენზე ვფიქრობ, არმან, თქვენ კი, თქვენ სად ხართ ახლა, როცა მე ამ სიტყვებს ვწერ?

პარიზიდან შორს, ძალიან შორს, როგორც მე მითხრეს და იქნებ უკვე დაივიწყეთ კიდეც მარგარიტა. და მაინც, იყავით ბედნიერი, მხოლოდ და მხოლოდ თქვენ უნდა გიმადლოდეთ ჩემი ცხოვრების მხიარულ წუთებს.

თქვენთვის აუცილებლად უნდა ამეხსნა ჩემი საქციელი, წერილიც ამიტომ მოგწერეთ. მაგრამ ჩემისთანა ქალის ნაწერი შეიძლება სიცრუედ მოგეჩვენოთ, სანამ სიკვდილი არ აკურთხებს თავისი ავტორიტეტით და უბრალო წერილიდან აღსარებად არ გადააქცევს.

დღეს ავად ვარ და ალბათ ბოლოს მომიღებს ეს ავადმყოფობა. ყოველთვის ვგრძნობდი, ახალგაზრდა მოვკვდები-მეთქი. დედაჩემიც ჭლექით მოკვდა. ჩემი ცხოვრების წესი კი, რომელსაც დღემდე ვეწევი, მხოლოდ ხელს უწყობს ამ დაავადებას - ამ ერთადერთ მემკვიდრეობას, რომელიც მისგან მერგო. მაგრამ არ მინდა, ისე მოვკვდე, არ გაგაგებინოთ, როგორ მომექეცით, თუ, რასაკვირველია, უკან დაბრუნებულს კვლავ დაგაინტერესებთ საბრალო ქალიშვი-ლი, გამგზავრებამდე ასე რომ გიყვარდათ.

აი, რა ეწერა იმ წერილში, რომელსაც სიამოვნებით გავიმეორებ, რათა საკუთარ თვალში კიდევ ერთხელ ვიმართლო თავი.

ხომ გახსოვთ, არმან, როგორ დაგვაფრთხო მამათქვენის ჩამოსვლამ, ჩემდაუნებურად, როგორ შემეშინდა, რასაც თქვენ შორის გამართული სცენა მოჰყვა, და იმ საღამოსვე რომ მიამბეთ.

მეორე დღეს, სანამ თქვენ პარიზში იყავით და ამაოდ ელოდით მამათქვენს, ჩემთან გამოცხადდა მამაკაცი და ბატონი დიუვალის წერილი გადმომცა. ამ წერილში, რომელსაც აქვე ვდებ, მთხოვ-დნენ, ნებისმიერი მიზეზით გამეშვით სადმე და, სამაგიეროდ, მამათქვენი მიმეღო. მას ჩემთან საუბარი სურდა და მირჩევდა, ჩემს განზრახვაზე არმანთან სიტყვას ნუ დაძრავთო.

ხომ გახსოვთ, რა ჯიუტად გთხოვდით, პარიზს ხელახლა გაემგზავრეთ-მეთქი.

ერთი საათის წასული იქნებოდით, მამათქვენი რომ მოვიდა. შეგიბრალებთ და აღარ მოგიყვებით, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე მისმა მკაცრმა გამომეტყველებამ. მამათქვენი ძველისძველი თეორიების მიმდევარი გამოდგა, მისთვის ყველა კურტიზანი უგულო, უტვინო, ერთგვარი ოქროს საჭრელი მანქანაა,

რომელიც ყოველთვის მზადაა, რკინის მანქანებივით შეუბრალებლად მოჭრან მათკენ გაწვდილი ხელი და უმოწყალოდ, განუსჯელად მოუკლან გული მას, ვინც მხარში უდგათ.

მამათქვენმა ძალიან თავაზიანი წერილი მომწერა, ამიტომაც დავთანხმდი მის მიღებას, მაგრამ სინამდვილეში სულაც არ ჰგავდა იმ წერილის დამწერს. მის პირველივე სიტყვებში სიამაყე, თავხედობა და მუქარაც კი იგრძნობოდა. ამიტომ იძულებული გავხდი, შემეხსენებინა, მე ჩემს სახლში ვარ და საკუთარ ცხოვრებაზე მხოლოდ იმიტომ გაბარებთ ანგარიშს, რომ გულწრფელად მიყვარს თქვენი შვილი-მეთქი.

ბატონი დიუვალი ცოტა დამშვიდდა, მაგრამ მაინც გამომიცხადა, ვეღარ ავიტან, ჩემი ვაჟი თქვენ გამო კოტრდებოდესო. დიახ, მართალია, მშვენიერი ხართ, მაგრამ რა მშვენიერიც არ უნდა იყოთ, არ გაქვთ უფლება, ამდენი ფული დაახარჯვინოთ ახალგაზრდა კაცს და მომავალი დაუნგრიოთო.

რაღა უნდა მეპასუხა? გარდა იმისა, რომ დამესაბუთებინა მამათქვენისთვის - მას შემდეგ, რაც თქვენი საყვარელი გავხდი, ერთგულებისთვის არავითარ მსხვერპლს არ მოვრიდებივარ და არც იმაზე მეტი ფული არ მითხოვია, ვიდრე თქვენ შეგეძლოთ მოგეცათ. ვაჩვენე ლომბარდის ქვითრები, მათი ხელწერილები, ვისაც ჩემთვის გამოუსადეგარი ის ნივთები მივყიდე, ლომბარდმა რომ არ დაიტოვა. ვუთხარი, გადაწყვეტილი მაქვს, მთელი ავეჯი გავყიდო, რათა ისე ვიცხოვრო თქვენს შვილთან ერთად, კისერზე არ დავაწვე-მეთქი. ვუამბე, როგორი ბედნიერები ვიყავით, როგორ გამიხსენით გზა ახალი, უფრო მშვიდი და ბედნიერი ცხოვრებისაკენ. ყველაფერი ისეთი აშკარა იყო, ბოლოს და ბოლოს, მანაც დაიჯერა. ხელი გამომიწოდა და თავისი წეღანდელი საქციელისთვის ბოდიში მომიხადა.

შემდეგ მითხრა: - ახლა, ქალბატონო, ცილისწამებისა და მუქარის ნაცვლად, თხოვნით შევეცდები, იმაზე დიდ მსხვერპლზე დაგიყოლიოთ, ვიდრე აქამდე ჩემი ვაჟისთვის გაგიკეთებიათ.

ამ შესავლის გაგონებაზე ავკანკალდი.

მამათქვენი მომიახლოვდა, ორივე ხელი დამიჭირა და მოსიყვარულე ხმით განაგრძო: - შვილო ჩემო, ცუდად ნუ გამიგებთ, რასაც ახლა გეტყვით. მერწმუნეთ, ცხოვრება ზოგჯრ უმკაცრეს პირობებს უყენებს გულს, მაგრამ ამ პირობებს შესრულება უნდა. თქვენ ლამაზი ხართ და დიდსულოვანიც, რაც ბევრ ქალს როდი შეუძლია. ისინი იქნებ ზიზღითაც გიყურებდნენ, მაგრამ თქვენი ღირსი როდი არიან. აბა, დაფიქრდით, საყვარლის გარდა, ოჯახიც ხომ არსებობს. სიყვარულის გარდა - მოვალეობებიც. რომ იმ ასაკის გარდა, როცა ვნებები ბატონობენ ჩვენზე, სხვა ასაკიც არსებობს, როცა მამაკაცი, თუ სურს, პატივისცემა დაიმსახუროს, იძულებულია, სერიოზული მდგომარეობა დაიკავოს საზოგადოებაში. ჩემს ვაჟს ქონება არა აქვს, თუმცა სურს, დედის დატოვებული მემკვიდრეობა შემოგწიროთ. თუ იგი მიიღებს მსხვერპლს, რომლის მიტანასაც აპირებთ, მაშინ მას პატივი და ღირსება აიძულებს, სამაგიერო მსხვერპლი გაიღოს და ყოველგვარი მოსალოდნელი უბედურები-სგან დაგიცვათ. მაგრამ იგი ვერ დათანხმდება თქვენს მსხვერპლს, რადგან საზოგადოება, რომელსაც არ იცნობთ, ამ თანხმობას უარყოფით სარჩულს დაუდებს და ჩირქს მოსცხებს ჩვენს გვარს. არავინ შეხედავს იმას, მართლა უყვარხართ თუ არა არმანს, ან იქნებ თქვენც

გიყვართ იგი, იქნებ ეს ორმხრივი სიყვარული ბედნიერებაა მისთვის, ხოლო ხსნა - თქვენთვის. ისინი ერთადერთ რამეს დაინახავენ, რომ არმან დიუვალმა უფლება მისცა ხარჭას, მაპატიეთ, შვილო, ყველაფერი, რაც იძულებული ვარ, გითხრათ, გაეყიდა, რაც რამ ებადაო. მერე და მერე კი, თქვენთვისაც დადგება საყვედურებისა და სინანულის დღე ისევე, როგორც სხვებისთვის დამდგარა და თქვენ ორივეს ერთი ჯაჭვი გედებათ კისერზე, რომელსაც ვეღარ გაწყვეტთ. მაშინ რაღას იზამთ? აღარც ახალ-გაზრდები იქნებით, აღარც ჩემი ვაჟის მომავალი იარსებებს და მეც, მამამისს, მხოლოდ ერთი შვილი გადამიხდის სამაგიეროს, არადა ორივესაგან მოველოდი.

თქვენ ლამაზი ხართ, ახალგაზრდა, ცხოვრება მოგირჩენთ ჭრილობას, კეთილშობილიც ხართ და ჩადენილი კარგი საქმე ბევრ წარსულ ცოდვას გამოისყიდის თქვენსავე თვალში. ექვსი თვეა, რაც არმანი გიცნობთ, მე კი სულ დამივიწყა. ოთხჯერ მივწერე და ერთხელაც არ გახსენებია, ეპასუხა. რომ მოვმკვდარიყავი, ვერც გაიგებდა!

როგორც არ უნდა გადაწყვიტოთ, სხვაგვარად ვიცხოვრებო, არმანს უყვარხართ და არ დათანხმდება, ბორკილები დაგადოთ, რასაც მისი მოკრძალებული შეძლება მოგისჯით და რომლისთვისაც როდი შექმნილა თქვენი სილამაზე. და ვინ იცის, რას ჩაიდენს იგი! ვიცი, თამაშობდა. თქვენთვის არაფერი უთქვამს, ეგეც ვიცი. მაგრამ თავდავიწყების წუთებში ხომ შეიძლებოდა, წაეგო იმის ნაწილი, რასაც მრავალი წლის მანძილზე ვაგროვებდი, რათა კარგი მზითევიც მიმეცა ქალიშვილისთვის და სიბერეშიც მშვიდად მეცხოვრა. რაც შეიძლებოდა, წინათ მომხდარიყო, მომავალშიც შეიძლება მოხდეს.

დარწმუნებული ხართ, რომ ცხოვრება, რომელსაც მისი გულისთვის მიატოვებთ, ხელახლა აღარ მიგიზიდავთ? დარწმუნებული ხართ, რომ რადგან იგი შეიყვარეთ, სხვა აღარავინ შეგიყვარდებათ? არ დაგტანჯავთ ის დაბრკოლებები, რომელსაც თქვენი კავშირი შეუქმნის ცხოვრებაში თქვენს საყვარელს. ვაითუ, ვეღარ ანუგეშოთ. ვაითუ, წლების გასვლასთან ერთად, პატივმოყვარეობამ სძლიოს სიყვარულის სიზმარს? იფიქრეთ ამაზე, ქალბატონო, თქვენ გიყვართ არმანი, მაშ, დაუმტკიცეთ ეს ერთადერთი ხერხით, რომლითაც კიდევ შეგიძლიათ, დაამტკიცოთ: მისი მომავლის სამსხვერპლოზე მიიტანეთ თქვენი სიყვარული. უბედურება ჯერ არ მომხდარა, მაგრამ აუცილებლად მოხდება და იქნებ იმაზე დიდიც, ვიდრე მე წარმომიდგენია. არმანმა შეიძლება იმ კაცზე იეჭვიანოს, ვისაც ოდესღაც უყვარდით, შეიძლება შეურაცხყოს იგი, შეიძლე-ბა დუელშიც გამოიწვიოს, ბოლოს და ბოლოს, შეიძლება მოკლან კიდეც, კარგად დაფიქრდით, როგორ დაიტანჯებით, როცა შვილის სიცოცხლისათვის მამა მოგთხოვთ პასუხს.

და ბოლოს, შვილო ჩემო, იმასაც გაგიმხელთ, რაც აქამდე არ მითქვამს. გაგიმხელთ იმას, რამაც პარიზში ჩამომიყვანა. მე ქალიშვილიც მყავს, როგორც უკვე გითხარით, ახალგაზრდა, ლამაზი, ანგელოზივით გოგოა. მასაც უყვარს და მისთვისაც სიცოცხლის აზრი მხოლოდ სიყვარულია. ეს ყველაფერი მივწერე არმანს, მაგრამ იგი მთლიანად თქვენითაა გართული და არაფერი მიპასუხა. ჰოდა, ჩემი შვილი თხოვდება, საყვარელ კაცს მიჰყვება ცოლად, ღირსეულ ოჯახში შედის. ისინი მოითხოვენ, ჩემს ოჯახშიც ღირსეულად იყოს ყველაფერი. ჩემი მომავალი სასიძოს ოჯახმა გაიგო, როგორ ცხოვრობს პარიზში არმანი და გამომიცხადეს, ჩვენს პირობას უკანვე წავიღებთ, თუ არმანი ცხოვრების წესს არ შეიცვლისო. იმ ბავშვის ბედი,

რომელსაც თქვენთვის არაფერი დაუშავებია და რომელიც მთელ იმედებს მომავალზე ამყარებს, თქვენს ხელთაა.

რას გრძნობთ, გაქვთ ძალა და უფლება, დაუმსხვრიოთ ეს ოცნებები? თქვენს სიყვარულსა და სინანულს გაფიცებთ, მარგარიტა, მაჩუქეთ ჩემი ქალიშვილის ბედნიერება.

მე უხმოდ ვტიროდი, ჩემო მეგობარო, ყველა იმ დასკვნის წინაშე, რომელიც მეც ხშირად გამომიტანია და რომელიც კიდევ უფრო მკაფიოდ ისმოდა მამათქვენის პირიდან. საკუთარ თავს მე იმასაც ვეუბნებოდი, რაც მამათქვენს ვერ გაებედა და რაც ერთი ოცჯერ მაინც მოადგა ენაზე: რომ მე, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ ხარჭა ვარ და მეტი არაფერი და რა სარჩულიც არ უნდა მოვუგონო ჩვენს კავშირს, მას ყოველთვის მაინც ანგარების სახე ექნება; რომ ჩემი წარსული არავითარ უფლებას არ მაძლევს, ასეთ მომავალზე ვიოცნებო და რომ საკუთარ თავზე ავიღე პასუხისმგებლობა, რომლის შესრულებასაც ჩემი ზნე და რეპუტაცია მეტისმეტად საეჭვოს ხდის. მე თქვენ მიყვარდით, არმან, ის მამობრივი ტონი, რომლითაც ბატონი დიუვალი მომმართავდა, ის უმანკო გრძნობა, რომელსაც იგი აღძრავდა ჩემში, ჩემ მიერ მოპოვებული ამ მოხუცი კაცისა და თქვენი პატივისცემაც, რომელშიც ეჭვიც არ მეპარებოდა, ეს ყოველივე კეთილშობილი ფიქრებით მავსებდა, ჩემივე თვალში მამაღლებდა და მანამდე უცნობ წმინდა ზრახვებს ბადებდა ჩემში. როცა ვფიქრობდი, ერთ დღესაც, ეს მოხუცი, ჩემს ვაჟს მომავალს ნუ წაართმევთო, რომ მევედრება, თავის ქალიშვილს ეტყვის, ლოცვებში მოიხსენიოს ჩემი, როგორც უცნობი მეგობრის სახელი, მეჩვენებოდა, სხვა ადამიანად ვიქეცი-მეთქი და ვამაყობდი საკუთარი თავით.

იქნებ იმწუთიერი აღფრთოვანება აძლიერებდა ჩემს შთაბეჭ-დილებას, მაგრამ მე ამას ნამდვილად ვგრძნობდი, ჩემო მეგობარო და ამ ახალმა შეგრძნებებმა დაჩრდილეს თქვენთან გატარებული ბედნიერი დღეების მოგონებები.

- კარგით, ბატონო, - ვუთხარი მამათქვენს და ცრემლი მოვიწმინდე, - გჯერათ, რომ მიყვარს თქვენი ვაჟი?

- დიახ, - მითხრა ბატონმა დიუვალმა.

- უანგარო სიყვარულით?

- დიახ.

- გჯერათ, რომ მე ამ სიყვარულს ვუკავშირებდი ჩემი ცხოვრების ყველა იმედს, ყველა ოცნებას და ცოდვების მიტევებასაც?

- მტკიცედ.

- მაშინ, ბატონო, როგორ საკუთარ ქალიშვილს, ისე მაკოცეთ და გეფიცებით, რომ ეს კოცნა, ერთადერთი ჭეშმარიტად უმანკო კოცნა ჩემს სიცოცხლეში, მომცემს ძალას, ვებრძოლო ჩემს სიყვარულს და რომ ერთი კვირაც არ გავა, თქვენი ვაჟი უკან დაგიბრუნდებათ. იქნებ ცოტა ხანს უბედურიც იყოს, მაგრამ მერე სამარადჟამოდ აღარაფერი დაემუქრება.

- კეთილშობილი ქალიშვილი ხართ, - მითხრა მამათქვენმა და შუბლზე მაკოცა, - ღმერთი გადაგიხდით სამაგიეროს, მაგრამ მეშინია, ვაითუ, ჩემს ვაჟთან ვერაფერს გახდეთ.

- ო, დამშვიდდით, ბატონო, იგი შემიძულებს.

საჭირო იყო, როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან, გადაულახავი დაბრკოლება შემექმნა ჩვენ შორის.

პრიუდანსს მივწერე, ბატონი გრაფ დე ნ . . . - ის წინადადებას ვიღებ და გადაეცით, თქვენთან და მასთან ერთად ვივახშმებ-მეთქი.

წერილი დავლუქე და ისე, რომ მისი შინაარსი არ გამიმხელია, მამათქვენს ვთხოვე, პარიზში ჩასულს მითითებულ მისამართზე მიეტანა იგი.

მკითხა, შიგნით რა წერიაო.

- საქმე თქვენი შვილის ბედნიერებას ეხება, - ვუპასუხე მე.

მამათქვენმა უკანასკნელად მაკოცა, შუბლზე მისი მადლიერების ცრემლები ვიგრძენი, რომლებსაც თითქოს უნდა გამოესყიდათ ჩემი შეცდომები და იმ წუთს, როცა დავთანხმდი, სხვა მამაკაცს დავნებდები-მეთქი, სიამაყით მავსებდა იმაზე ფიქრი, რასაც ამ ახალი ცოდვის ფასად ვყიდულობდი.

ყველაფერი სრულიად ბუნებრივად მოხდა, არმან, თქვენ არ მეუბნებოდით, მამაჩემი ყველაზე ღირსეული კაცია მთელ ქვეყანაზეო?

ბატონი დიუვალი ეტლში ჩაჯდა და გაემგზავრა.

თუმცა მეც ქალი ვარ და თქვენს დანახვაზე ცრემლი მაინც ვერ შევიკავე. გადაწყვეტილება კი არ შემიცვლია.

სწორად მოვიქეცი თუ არა? - დღეს ამას ვეკითხები საკუთარ თავს, როცა ლოგინში ვწევარ ავადმყოფი და, სიკვდილის გარდა, აღარც არაფერი დამრჩენია.

თქვენ მოწმე იყავით იმისა, რას განვიცდიდი, როცა ჩვენი განშორების დრო ახლოვდებოდა. მამათქვენი არ მყავდა გვერდით, რომ მხარში ამომდგომოდა. ერთ წუთს, მზადაც ვიყავი, ყველა-ფერში გამოვუტყდები-მეთქი, იმის გაფიქრებისაც კი მეშინოდა, რომ შემიძულებდით, შემიზიზღებდით.

იქნებ არც დამიჯეროთ, არმან, მაგრამ ღმერთს ვთხოვდი, ძალა მოეცა ჩემთვის და მან მიიღო ჩემი მსხვერპლი და ამისრულა სათხოვარი, ძალა მომცა.

ვახშმობისას მეც მჭირდებოდა შველა, არ მინდოდა, ჩემს მომავალ საქციელზე მეფიქრა - მეშინოდა, გამბედაობამ არ მიღალატოს-მეთქი.

ვინ წარმოიდგენდა, რომ მე, მარგარიტა გოტიეს, ასე გამტანჯავდა ახალ საყვარელზე ფიქრი.

იმ საღამოს ბევრი დავლიე, მინდოდა თავი დამეკარგა, მეორე დღეს კი, როცა გავიღვიძე, გრაფთან ერთად ვიწექი ლოგინში.

აი, ეს არის სიმართლე, ჩემო მეგობარო, განმსაჯეთ და შემინდეთ, როგორც მე შემინდვია თქვენთვის იმ დღის შემდეგ მოყენებული ყველა ტკივილი.

XXVI

იმ საბედისწერო ღამეს რაც მოჰყვა, თქვენც ჩემსავით მშვე-ნივრად მოგეხსენებათ, მაგრამ ერთი რამ არ იცით და არც შეიძლება იცოდეთ, თუ რამდენი ვიტანჯე ჩვენი დაშორების შემდეგ. გავიგე, მამთქვენს წაუყვანიხართ, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, დიდხანს ვერ გაძლებდით უჩემოდ და იმ დღეს, როცა ელისეს მინდვრებზე მოგკარით თვალი, აღელვებით კი ავღელდი, მაგრამ არ გამკვირვებია.

მას შემდეგ ყოველ დღეს ახალი დამცირება მოჰქონდა ჩემთვის, დამცირება, რომელსაც მე სიხარულით ვხვდებოდი, რადგანაც იგი მიდასტურებდა, კვლავაც გიყვარდით. მეჩვენებოდა, რაც უფრო შემავიწროვებს ახლა, მით უფრო ავმაღლდები მის თვალში იმ დღეს, როცა სიმართლეს გაიგებს-მეთქი. ნუ გაგაოცებთ ეს სასიამოვნო მოწამეობრიობა და თვითგვემა, არმან, ჩემს გულში თქვენმა სიყვარულმა გაუღო კარი ღირსეულ გრძნობებს. თუმცა მაშინვე როდი დავდექი ფეხზე. მსხვერპლის გაღებიდან თქვენს ჩამოსვლამდე დიდი დრო გავიდა და ამ ხნის მანძილზე მთელი ჩემი ფიზიკური ძალის მოკრება დამჭირდა, რომ ჭკუიდან არ გადავსულიყავი და დამევიწყებინა ის ცხოვრება, რომელსაც ხელახლა შევუდექი.

პრიუდანსი გეტყოდათ, ხომ არ ვცდები, რომ ყველა ზეიმს, ბალ-სა და ორგიაში ვმონაწილეობდი? თითქოს იმედი მქონდა, ამ გზით მალე მოვიკლავ-მეთქი თავს და, მგონი, ეს იმედიც მალე გამიმარ-თლდება. ჯანმრთელობა თანდათან მიუარესდება და იმ დღეს, როცა ქალბატონი დიუვერნუა გამომიგზავნეთ პატიების სათხოვნელად, სულიერადაც და ხორციელადაც ქანცგაცლილი ვიყავი.

არ მოგაგონებთ, არმან, რა პასუხი გაეცით ჩემი სიყვარულის ბოლო საბუთს და როგორ დაამცირეთ და პარიზიდან განდევნეთ ქალი, რომელმაც მომაკვდავმაც ვერ გითხრათ უარი, ერთად გაგეტარებინათ სიყვარულის ღამე. და რომელმაც, ერთი წუთს, შეშლილივით ისიც იფიქრა, წარსულს და აწმყოს ერთმანეთს შევადუღაბებო. როგორც მოიქეცით, მაგის სრული უფლება გქონდათ, არმან: ჩემთან გატარებულ ღამეში არასდროს ამდენი არ გადაუხდიათ! მაშინ ყველაფერი მივატოვე! გრაფ დე ნ . . . - ის გვერდით ოლიმპიამ დაიჭირა ჩემი ადგილი და, როგორც მე მეუბნებიან, ჩემი გამგზავრების მიზეზი სწორედ მან აუხსნა. გრაფი დე გ . . . ლონდონში იყო. იგი იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ჩემისთანა ქალის სიყვარულს, როგორც სასიამოვნო დროსტარებას, ისე უყურებენ და დაშორების შემდეგაც მეგობრობენ მათთან, ვისაც ოდესღაც ფლობდნენ და არ იციან, რა არის სიძულვილი, რადგან ეჭვიანობითაც არასოდეს უეჭვიანიათ.

იგი იმ დიდებულ ბატონებს მიეკუთვნება, რომლებიც გულს სანახევროდ, ქისას კი მთლიანად გვიხსნიან. პირველ რიგში, მასზე ვიფიქრე. მოვნახე, ვესტუმრე. ბრწყინვალედ დამხვდა. მაგრამ მაშინ მაღალი წრის ქალი ჰყავდა საყვარლად და შეეშინდა, არ გამჟღავნდეს, მარგარიტას რომ ვიცნობ, თორემ სახელი გამიტ-ყდებაო. თავის მეგობრებთან წარმადგინა, ერთად ვივახშმეთ და მერე ერთმა თან წამიყვანა. აბა, სხვას რას ელოდი ჩემგან, ჩემო მეგობარო, თავი მომეკლა? თქვენს ცხოვრებას, რომელიც ბედნიერი უნდა იყოს, ეს ზედმეტ ტვირთად დააწვებოდა. გარდა ამისა,

რატომ უნდა მოვიკლათ თავი, როცა ისედაც სიკვიდილის პირას ვართ. უსულო სხეულად, აზრგამოცლილ ნივთად ვიქეცი, ერთ ხანს ვიცხოვრე ასე მექანიკურად. შემდეგ პარიზში დავბრუნდი და თქვენ მოგიკითხეთ. გავიგე, ხანგრძლივ მოგზაურობაში წასულიყავით. მხარში აღარავინ მედგა, ჩემი ყოფა ისევ ისეთად იქცა, როგორც თქვენს გაცნობამდე ორი წლით ადრე იყო. ჰერცოგის დაბრუნება ვცადე, მაგრამ, ეტყობა, მეტისმეტად დიდი შეურაც-ხყოფა მივაყენე ამ კაცს, მოხუცები კი მოთმინებით როდი გამოირჩევიან, ალბათ იმიტომ, რომ ხვდებიან, დიდი ხნის სიცოცხლე არ დაგვრჩენიაო.

ჩემი ჯანმრთელობის საქმე სულ უკან და უკან მიდიოდა, ფერი დავკარგე, დავდარდიანდი, უფრო გავხდი. მამაკაცები, რომლებიც ყიდულობენ სიყვარულს, ჯერ გულდასმით სინჯავენ საქონელს. პარიზში ბევრი აღმოჩნდა ჩემზე ჯანმრთელი, ჩემზე სისხლსავ-სე ქალი. მე ოდნავ მიმივიწყეს. აი, რა ხდებოდა გუშინდლამდე. საშინლად ავად ვარ. ჰერცოგს მივწერე, ფული ვთხოვე, რადგან აღარაფერი მაბადია, მევალეები კი მობრუნდნენ და გამწარებულები შეუბრალებლად მიგზავნიან თავიანთ ანგარიშებს. მიპასუხებს კი ჰერცოგი? რატომ არ ხართ პარიზში, არმან, ჩემს სანახავად გამოივლიდით, თქვენი სტუმრობა კი ძალიან გამამხნევებდა.

20 დეკემბერი

საშინელი ამინდია, თოვს, მარტო ვარ. სამი დღე ისე მაციებდა, რომ სიტყვაც ვერ მოგწერეთ. არაფერი შეცვლილა, ჩემო მეგობარო, ყოველდღე მოუთმენლად ველი თქვენს წერილს, მაგრამ იგი არ მოდის და, როგორც ჩანს, არც არასდროს მოვა. მხოლოდ მამაკაცები პოულობენ საკუთარ თავში ძალას, შეუბრალებლები იყვნენ. ჰერცოგმა არ მიპასუხა. პრიუდანსმა ისევ გაიხსენა ლომბარდის გზა. სისხლს კვლავ ვახველებ. ეჰ! გული გეტკინებათ, რომ მნახოთ. ბედნიერი ხართ - მცხუნვარე მზის ქვეშ ატარებთ დროს და არც ჩემსავით ყინულიანი ზამთარი გაწვებათ მკერდზე.

დღეს ცოტა ხნით წამოვდექი და ფანჯრიდან ვუცქერდი პარიზულ ცხოვრებას, რომელსაც საბოლოოდ ჩამოვშორდი. ქუჩაში ორიოდე ნაცნობმა სახემ ჩაიარა სწრაფად, მხიარულად, უზრუნველად. ერთხელაც არ ამოუხედავთ ჩემი ფანჯრებისკენ. რამდენიმე ახალგაზრდამაც მომინახულა, მომიკითხეს. ერთხელ უკვე ვიყავი ავად, მაშინ თქვენ, ისე რომ არც კი გიცნობდით და მხოლოდ თავხედური სიტყვები გაგეგონათ ჩემგან, ყოველ დილით მოდიოდით ჩემი ამბის გასაგებად. კვლავაც ავად ვარ. ჩვენ ექვსი თვე ვცხო-ვრობდით ერთად. ისე მიყვარდით, არა მგონია, უფრო დიდი სიყვარული დაიტიოს და გასცეს ქალის გულმა.

თქვენი კი შორს ხართ, მწყევლით და ერთი მანუგეშებელი სიტყვაც არ მიმიღია თქვენგან. მაგრამ ეს მხოლოდ შემთხვევითობის ბრალია. დარწმუნებული ვარ, პარიზში რომ იყოთ, ჩემს სასთუმალს და ოთახს არ მოშორდებოდით.

25 დეკემბერი

ექიმი მიკრძალავს, ყოველდღე ნუ წერთო. მართლაც, მოგონებები მხოლოდ მაღლა მიწევენ სიცხეს, მაგრამ გუშინ ისეთი წერილი მივიღე, რომ უკეთ გავხდი. უფრო იმის გამო, რომლითაც იგი იყო სავსე, ვიდრე იმ ფინანსური მხარდაჭერის გამო, რომელსაც იგი შეიცავდა.

დღეს კვლავაც გწერთ. წერილი მამთქვენს ეკუთვნოდა. აი, ისიც: „ქალბატონო, ახლახან გავიგე, ავად ყოფილხართ. პარიზში რომ ვიყო, თავად გეწვეოდით თქვენი ამბის გასაგებად. ჩემი ვაჟი რომ გვერდით მყავდეს, გამოვუშვებდი, წადი, ინახულე-მეთქი, მაგრამ მე ს . . . - ს ვერ ვტოვებ, არმანი კი 600-700 ლიეზეა აქედან. ნება მომეცით, უბრალოდ მოგწეროთ, ქალბატონო, როგორ მაწუხებს თქვენი ავადმყოფობა, დამიჯერეთ, ბევრს ვლოცულობ, რომ რაც შეიძლება მალე გამოჯანმრთელდეთ. ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი, ბატონი ჰ... გეახლებათ. მიიღეთ იგი, მას ერთი საქმე დავავალე, რომლის შედეგსაც მოუთმენლად ველი. გთხოვთ, ეჭვი არ შეგეპაროთ, ქალბატონო, ჩემს უაღრესად გულწრფელ გრძნობებში.“

აი, ეს წერილი მომივიდა. მამთქვენს ღირსეული გული აქვს, გიყვარდეთ იგი, ჩემო მეგობარო, რადგან ქვეყანაზე ბევრი როდია მასავით სიყვარულის ღირსი. ამ, მისმა ხელმოწერილმა ფურცელმა უფრო მეტად მარგო, ვიდრე ჩვენი ცნობილი ექიმის ყველა დანიშნულებამ ერთად.

დღეს დილით ბატონი ჰ... მესტუმრა. ეტყობა, ძალი-ან აწუხებდა დელიკატური მისია, რომელიც ბატონ დიუვალს დაევალებინა მისთვის. მან მამათქვენის სახელით ათასი ეკიუ გადმომცა. თავიდან უარის თქმა დავაპირე, მაგრამ ბატონმა ჰ...- მ გამაფრთხილა, თუ უარს იტყვით, ბატონ დიუვალს აწყენინებთ, რომელმაც დამავალა, გადმოგცეთ ეს თანხა და მომავალშიც თუ რამე დაგჭირდებათ, აუცილებლად დაგეხმარებათო.

მივიღე ეს დახმარება, რომელიც მამათქვენის მხრიდან მოწყალებას როდი ჰგავდა. თუ ვერ ჩამომისწარით, აჩვენეთ მამათქვენს ჩემი ნაწერი და გადაეცით, როცა ამ სიტყვებს წერდა საბრალო ქალი, რომელსაც ნუგეშით სავსე წერილი გაუგზავნეთ, მადლი-ერების ცრემლი სდიოდა და თქვენთვის ლოცულობდა-თქო.

4 იანვარი

რამდენიმე ძალიან რთული დღე გადავიტანე. აქამდე არ ვიცოდი, თურმე როგორ შეიძლება გაგტანჯოს სხეულმა. ოჰ, ჩემო ძველო ცხოვრებავ! დღეს ორმაგად ვზღავ ყოველივეს. წუხელ მთელი ღამე მორიგეობდნენ ჩემს საწოლთან, ვერ ვსუნთქავდი. ბოდვამ და ხველამ დაინაწილეს ჩემი საბრალო ყოფა. სასადილო ოთახი კანფეტებითა და ჩემი მეგობრების მოტანილი სხვა საჩუქრებითაა სავსე. მათ შორის, დარწმუნებული ვარ, მათიც, ვინც იმედს არ კარგავს, მომავალში ჩემი საყვარელი გახდებაო. რომ მნახონ, რას დამამსგავსა ავადმყოფობამ, თავქუდმოგლეჯილი გაიქცევიან. პრიუდანსი საახალწლო საჩუქრებად აქცევს ყველაფერს, რაც ჩემთვის მოაქვთ.

ყინავს. ექიმმა მითხრა, რამდენიმე დღეში გარეთ გასვლას შეძლებთ, თუ კარგი ამინდები დაიჭირაო.

8 იანვარი

გუშინ ეტლით ვიმგზავრე. შესანიშნავი ამინდი იდგა, ელისეს მინდვრები ხალხით იყო სავსე. შეიძლება ითქვას, გაზაფხულმა პირველად შემოგვღიმა. ჩემ გარშემო ყველაფერს საზეიმო ელფერი ედო, გუშინდლამდე ვერც კი წარმოვიდგენდი, მზის ერთი სხივი თუ ამდენ მხიარულებას და ნუგეშს მომიტანდა.

თითქმის ყველა ჩემი ნაცნობი ვნახე, მუდამ მხიარული, მუდამ საკუთარ სიამოვნებაზე მზრუნველი ხალხი. რამდენი ადამიანი ვიცი, ვინც ვერც კი გრძნობს, რა ბედნიერია. ოლიმპიამ ბატონ დე ნ . . . - ს ნაჩუქარი მშვენიერი ეტლით ჩამიარა. სცადა, მზერით დავემცირებინე. არავინ იცის, რა შორს ვარ ამ ამაოებისაგან. ერთ-მა კარგმა ახალგაზრდამ, რომელსაც დიდი ხანია ვიცნობ, მთხოვა, იქნებ ჩემთან და ჩემს მეგობრებთან ერთად ივახშმოთ, ერთი სული აქვთ, სწორედ ასე მითხრა, როდის გაგიცნობენო. ნაღვლიანად გავუღიმე და ჩემი სიცხიანი ხელი გავუწოდე. ასეთი გაოცებული სახე არასდროს მინახავს.

10 საათზე მივბრუნდი შინ და გემრიელად ვისადილე. ამ გასეირნებამ უკეთ გამხადა, ნუთუ გამოვჯანმრთელდები! თავად ცხოვრება და სხვათა ბედნიერება სიცოცხლის სურვილით ავსებს იმ ავადმყოფსაც კი, სარეცელზე მწოლი, სულის სიღრმეში რომ ოცნებობდა, ნეტავ, მალე მოვკვდეო.

10 იანვარი

გამოჯანმრთელების იმედი მხოლოდ და მხოლოდ ფუჭი ოცნება აღმოჩნდა. ისევ ლოგინში ვწევარ, მთელი სხეული კომპრესებით მაქვს დაფარული და მეწვის. მიდი, ახლა შესთავაზე სხეული, რომელშიც ერთ დროს ამდენს იხდიდნენ და ნახავ, რას მოგცემენ! ჩვენ ალბათ ან დაბადებამდე დავაშავეთ რამე, ან სიკვდილის შემდეგ მოგველის დიდი ბედნიერება, რადგან უფალი ნებას გვრთავს, მონანიების, ტანჯვა-განსაცდელის მთელი ტკივილი ამ ცხოვრებაშივე გამოვცადოთ.

12 იანვარი

ისევ ცუდად ვარ. გრაფმა დე ნ . . . - მ გუშინ ფული გამომიგზავნა. მე არ მივიღე. მაგ კაცისგან არაფერი მინდა. სწორედ მისი ბრალია, რომ ახლა ჩემს გვერდით არ ხართ. ო, ბუჟივალში გატარებულო დიდებულო დღეებო! სად ხართ ახლა? თუ ცოცხალმა გამოვაღწიე ამ ოთახიდან, სალოცავად წავალ იმ სახლში, სადაც ერთად ვცხოვრობდით. იქიდან კი უკვე მკვდარს თუ გამომიტანენ. ვინ იცის, მოგწერთ კი ხვალ?

25 იანვარი

თერთმეტი ღამეა, არ მძინებია. თერთმეტი ღამე მეხუთებოდა სული და ყოველ წამს მეგონა, აი, ახლა მოვკვდები, აი, ახლა-მეთქი. ექიმმა ბრძანა, კალამს არ გააკაროთო. ჟიული დიუპრემ, ახლა იგი მივლის, ნება დამრთო, რამდენიმე ხაზი მოგწეროთ. ნუთუ ცოცხალს ვეღარ ჩამომისწრებთ? ნუთუ ჩვენ შორის სამუდამოდ დასრულდა ყველაფერი? ასე მეჩვენება, თუ ჩამოხვალთ, გამოვ-ჯანმრთელდები კიდეც, თუ არადა, რისთვის გამოვჯანმრთელდე.

28 იანვარი

დღეს დილით საშინელმა ხმაურმა გამომაღვიძა. ჟიული, მას ჩემს ოთახში ძინავს, სასადილო ოთახში გავარდა. მამაკაცების ხმები გავიგონე. ჟიულიმ ვერ გაუწია წინააღმდეგობა და აქვითინებული შემობრუნდა.

ყველაფერი აღწერეს, დალუქეს. გავაფრთხილე, ვუთხარი, ხელს ნუ შეუშლი, მართლმსაჯულება აღასრულონ-მეთქი. სასამართლოს მოხელე ჩემს ოთახშიც

შემოვიდა. თავზე ქუდი ეხურა, არც მოუხდია. უჯრები გამოაღო, რაც ნახა, ყველაფერი ჩაინიშნა, თან თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერ ამჩნევდა, ლოგინში რომ მომაკვდავი ქალი იწვა, რომლის გადმოთრევასაც, საბედნიეროდ, მოწყალე კანონი არ ითვალისწინებდა. გასვლისას, მომიახლოვდა და მითხრა, სასამართლოს გადაწყვეტილება შეგიძლიათ ცხრა დღეში გაასაჩივროთო და დარაჯი დამიყენა! რა მეშველება, ღმერთო ჩემო. ამ სცენამ კიდევ უფრო ცუდად გამხადა. პრიუდანსს სურდა, მამათქვენის მეგობრისთვის ეთხოვა ფული, მე არ დავანებე.

დღეს დილით თქვენი წერილი მივიღე. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მჭირდებოდა. დროულად მიიღებთ კი ჩემს პასუხს? გნახავთ კიდევ? აი, ერთმა ბედნიერმა დღემ სულ გადამავიწყა, რაც უკანასკნელი ექვსი კვირის მანძილზე გადავიტანე.

მეჩვენება, რომ უკეთ ვარ. მიუხედავად იმ სევდიანი გრძნობისა, რომლითაც ამ წერილს გწერთ. ბოლოს და ბოლოს, არ შეიძლება სულ უბედური იყოს ადამიანი. ხანდახან ვფიქრობ, ხომ შეიძლება არც მოვკვდე, თქვენ დაბრუნდებით, ჩვენ კიდევ მრავალ გაზაფხულს შევხვდებით ერთად, ისევ გეყვარებით და მომავალშიც შარშანდელივით ვიცხოვრებთ. რა სულელი ვარ! ძლივს მიჭირავს კალამი, რომლითაც ჩემი შეშლილი გულის ნაოცნებარს გწერთ. რაც უნდა მოხდეს, მე ძალიან მიყვარდით, არმან, და დიდი ხნის წინ მოვკვდებოდი, ამ სიყვარულის მოგონება და თქვენი ნახვის სუსტი იმედი რომ არ მასულდგმულებდეს.

4 თებერვალი

გრაფი დე გ . . . დაბრუნდა. საყვარელმა უღალატა. ძალიან დარდობს. მეტისმეტად უყვარდა ის ქალი. მინახულა და ყველაფერი მიამბო. საბრალო, ცუდად მისდის საქმეები, მაგრამ ჩემს სასამართლო მოხელეს მაინც გადაუხადა ფული და დარაჯიც მომაშორა.

თქვენზე მოვუყევი, დამპირდა, დაველაპარაკებიო. იმ წუთს დამავიწყდა კიდეც, რომ ოდესღაც მისი საყვარელი ვიყავი. ისიც ცდილობდა, არ გამხსენებოდა.

შესანიშნავი გულის პატრონია. ჰერცოგმა გუშინ კაცი გამომიგზავნა და მომიკითხა. დღეს დილით კი თავადაც მესტუმრა. არ ვიცი, როგორ ცხოვრობს ეს მოხუცი. სამ საათს დარჩა ჩემთან და ოცი სიტყვაც არ უთქვამს. ორი ვეებერთელა ცრემლი ჩამოუგორდა, როცა ასეთი ფერმკრთალი მნახა. ალბათ თავისი გარდაცვლილი გოგონა თუ მოაგონდა. თითქოს ხელმეორედ უყურებს, როგორ ეცლება შვილი ხელიდან. წელში მოიხარა, თავი ჩაჰკიდა, ტუჩი ჩამოუვარდა, მზერა ჩაუქრა, ასაკი და გადატანილი მწუხარება ერთდროულად ჰკიდია მხრებზე მის ქანცგამოცლილ სხეულს.

ერთი საყვედურიც არ უთქვამს, თითქოს ფარულად ტკბებოდა იმის ცქერით, როგორ გამანადგურა სენმა. თითქოს ამაყობდა კიდეც, მე ფეხზე ვდგავარ, შენ კი, ჯერაც ახალგაზრდა ქალს, ავადმყოფობა გხრავსო.

ცუდი დროება დაბრუნდა, ჩემს სანახავად არავინ მოდის. ჟიული მთელ თავისუფალ დროს ჩემ გვერდით ატარებს. პრიუდანსმა, რომელსაც ადრინდელივით ვეღარ ვაძლევ ფულს, საქმეების მომიზეზება დაიწყო, თავს მარიდებს.

ახლა, როცა სიკვდილი კარზე მადგას, რაღა მნიშვნელობა აქვს, რას მეუბნებიან ექიმები, რომლებსაც, სხვათა შორის, თვლა არ აქვს - ეს ადასტურებს, რომ ავადმყოფობა უფრო მომეძალა - ლამის ვინანო, ყური რატომ ვათხოვე მამათქვენს. რომ მცოდნოდა, თქვენი მომავლის მხოლოდ ერთ წელს წაგართმევდით, ამ ერთი წლის თქვენ გვერდით გატარების სურვილს ვერ მოვთოკავდი. და მაშინ მეგობრის ხელი მაინც მეჭირებოდა სიკვდილის წინ. თუმცა, რასაკვირველია, ამ წელს ერთად რომ გვეცხოვრა, ასე მალე აღარ მოვკვდებოდი.

იყოს ნება ღვთისა!

5 თებერვალი

ო, მოდით, არმან, მოდით, საშინლად ვარ. ვკვდები. ღმერთო ჩემო. გუშინ ისე მომერია სევდა, არ ვისურვე, შინ გამეტარებინა საღამო, რომელიც ალბათ ყველა წინა საღამოსავით გრძელზე გრძელი იქნებოდა. დილით ჰერცოგმა მინახულა. ეს სიკვდილსდავიწყებული მოხუცი თითქოს უფრო მისწრაფებს სიცოცხლეს.

ცეცხლი მეკიდა, მაგრამ მაინც ჩავიცვი და „ვოდევილში“ წავედი. კიდევ კარგი, ჟიულიმ წითელი კაბა ჩამაცვა, თორემ მიცვალებულს ვგავდი. იმ ლოჟაში შევედი, სადაც პირველად დაგინიშნეთ პაემანი. მთელი საღამო თვალს ვერ ვაშორებდი ადგილს, სადაც იმ დღეს იჯექით, სადაც გუშინ ვიღაც ხეპრე იჯდა და მსახიობების ყველა ხუმრობაზე მთელი ხმით იცინოდა. ლამის მკვდარი დავბრუნდი შინ, მთელი ღამე ვახველებდი და სისხლს ვაღებინებდი. დღეს ვეღარც ვლაპარაკობ და მკლავების აწევაც მიჭირს. ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო, ვკვდები, ხომ ველოდი ამას, მაგრამ აზრადაც არ მომსვლია, თუ წინანდელზე მეტად დავიტანჯებოდი და თუ . . . ამ სიტყვის შემდეგ მარგარიტას ნაწერის გარჩევა უკვე შეუძლებელი იყო. ამიტომ ჟიული დიუპრე აგრძელებდა.

18 თებერვალი

ბატონო არმან, იმ დღის შემდეგ, როცა მარგარიტამ სპექტაკლის სანახავად წასვლა მოინდომა, დღითი დღე უარესდებოდა მისი მდგომარეობა. ჯერ ხმა დაკარგა, ახლა კიდურებსაც ვეღარ ამოძრავებს. ისე იტანჯება ჩვენი საბრალო მეგობარი, ენით ვერ აგიწერთ, ამგვარ გრძნობებს შეჩვეული არ ვარ და მეშინია მათი.

ნეტავ ჩვენ გვერდით იყოთ! მარგარიტა გამუდმებით ბოდავს, მაგრამ ბოდვაშიც და ცხადშიც, როგორც კი სიტყვის ამოთქმას ახერხებს, მაშინვე მხოლოდ თქვენი სახელი აკერია პირზე.

ექიმმა მითხრა, დიდხანს ვეღარ გაატანსო. რაც ასე ცუდად გახდა, მოხუც ჰერცოგს აღარ გამოუვლია.

ექიმს უთხრა, ეს სცენა ჩემზე ცუდად მოქმედებსო.

ქალბატონი დიუვერნუაც ცუდად იქცევა. ამ ქალს ეგონა, მარგარიტას მეტ ფულს გამოვართმევო, ისედაც ხომ სულ მის ხარჯზე ცხოვრობდა. ვალები აიღო, რომლებსაც ახლა ვეღარ ისტუმრებს და როცა მიხვდა, მეზობელი ხელს ვეღარ გამიმართავსო, სანახავადაც აღარ დადის.

მთელმა ქვეყანამ დაივიწყა. ბატონი დე გ . . . მევალეებს გაექცა და იძულებული გახდა, ლონდონში გამგზავრებულიყო. წასვლამდე ცოტა ფულიც გამოუგზავნა. მან, რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა, მაგრამ ნივთები ისევ დალუქეს და კრედიტორები მხოლოდ მარგარიტას სიკვდილს ელოდებიან, რომ საჯარო ვაჭრობა დანიშნონ.

მინდოდა, ლუქის ასახსნელად უკანასკნელი ღონე მეხმარა, მაგრამ სასამართლოს მოხელემ მითხრა, ამაოდ გაირჯებით, მარგარიტას სხვა სარჩელებიც აქვს და რადგან მაინც კვდება, აჯობებს, ყველაფერს თავი მიანებოთ, ვიდრე ქონება იმ ოჯახს ჩაუვარდეს ხელში, რომლის ნახვაც არ სურდა და რომელსაც იგი არასოდეს ყვარებიაო.

ვერ წარმოიდგენთ, რა მოოქროვილ სიღატაკეში ამოსდის სული საბრალო გოგოს. გუშინ საერთოდ არ გვქონდა ფული. ვერცხლეული, ძვირფასეულობა, ქაშმირის შალები, ყველაფერი დაგირავებულია, დანარჩენი ან გაყიდული, ან დალუქული. მარგარიტა ხვდება, რა ამბავი ტრიალებს მის გარშემო და იტანჯება მთელი სხეულით, სულით და გულით. ცრემლი ღვარად ჩამოსდის ლოყებზე, რომლებიც ისე ჩაცვენია და გაფითრებია, რომ ნახოთ, ვეღარც კი იცნობთ თქვენთვის ოდესღაც ასე საყვარელ სახეს. პირობა ჩამომართვა, როცა მე ძალა აღარ მეყოფა, შენ მისწერე ხოლმეო. აი, ახლაც წინ ვუზივარ და გწერთ. ჩემკენ იყურება, მაგრამ ვეღარ მხედავს, მზერა კარს მომდგარმა სიკვდილმა დაუბინდა, მაგრამ იღიმება, ყველა ფიქრით, მთელი არსებით თქვენთან არის, დარწმუნებული ვარ.

საკმარისია, კარი გაიღოს, მაშინვე თვალებში შუქი უდგება და სულ ჰგონია, რომ თქვენ შემოხვედით. მერე, როცა ხედავს, რომ თქვენ არ ხართ, კვლავ ტანჯვით დაეღარება სახე, ცივი ოფლი დაასხამს და ღაწვები უვარდისფრდება.

19 თებერვალი, შუაღამე

რა სევდიანი დღეა დღეს, ჩემო საბრალო ბატონო არმან! დილით მარგარიტას სული შეუგუბდა, ექიმმა სისხლი გამოუშვა და, ცოტა არ იყოს, ხმა დაუბრუნდა. ექიმმა ურჩია, მღვდელი მოაყვანინეთო, ისიც დათანხმდა და ექიმი თვითონ წავიდა სენ როშიდან აბატის მოსაყვანად. ამ დროს მარგარიტამ საწოლთან მიმიხმო, მთხოვა, კარადა გამოაღეო, შემდეგ ჩაჩი და არშიაშემოვლებული გრძელი პერანგი მიჩვენა და მივარდნილი ხმით მითხრა: - აღსარების შემდეგ მოვკვდები. შენ ესენი ჩამაცვი, ჩათვალე, რომ მომაკვდავის კეკლუცობაა.

შემდეგ ატირებულმა გადამკოცნა და დაუმატა, ლაპარაკი შემიძლია, მაგრამ ხმას ამოვიღებ თუ არა სული მეხუთება, ვიხრჩობი! ჰაერიო!

ცრემლები ღვარად მდიოდა, ფანჯარა გავაღე. ცოტა ხანში მღვდელიც მოვიდა და შევეგებე. როცა გაიგო, სადაც მოსულიყო, ეგონა, ცუდად მიმიღებენო და დაფრთხა: - თამამად მობრძანდით, მამაო, - მივმართე მე.

ცოტა ხანს ავადმყოფის ოთახში გაჩერდა, გამოსულმა კი მითხრა: - მან ცოდვილის ცხოვრებით იცხოვრა, მაგრამ როგორც ნამდვილ ქრისტიანს შეჰფერის, ისე მოკვდება.

მალე პატარა ბავშვთან ერთად მობრუნდა, რომელსაც ჯვარცმა ეჭირა. წინ მედავითნე მოუძღოდათ და ზარს რეკავდა იმის ნიშნად, უფალი არ მიატოვებს მომაკვდავსო. სამივენი საწოლ ოთახში შემოვიდნენ, სადაც ოდესღაც სულ სხვა სიტყვები ისმოდა,

ახლა კი წმინდა ადგილად ქცეულიყო. მუხლებზე დავეცი, არ ვიცი, რამდენ ხანს გამყვება შთაბეჭდილება, რომელიც ამ სცენამ მოახდი-ნა ჩემზე. არა მგონია, რამე ადამიანურ ძალას შეეძრა ასე ჩემი სული. მღვდელმა წმინდა ზეთი წასცხო მომაკვდავს ფეხებზე, ხელებზე, შუბლზე, წარმოთქვა ხანმოკლე ლოცვა და მარგარიტა უკვე მზად იყო, ამაღლებულიყო ზეცად, სადაც არის კიდეც მისი ადგილი, თუკი უფალმა მისი განსაცდელით სავსე ცხოვრება და წმინდა სიკვდილი იხილა.

იმ წუთიდან მარგარიტას ხმა აღარ ამოუღია, აღარც განძრეულა. ხშირად, როცა სუნთქვა სულ მთლად მიუწყდებოდა, ვფრთხებოდი, ვაითუ, გარდაიცვალა-მეთქი. ერთი ოცჯერ მაინც მომეჩვენა ასე.

20 თებერვალი, საღამოს 5 საათი

ყველაფერი მორჩა. ღამის 2 საათზე მარგარიტა აგონიაში ჩავარდა და თუ მისი კივილით ვიმსჯელებთ, არც ერთ წმინ-დანს არ განუცდია ამხელა ტანჯვა. ორ-სამჯერ ლოგინშიც კი წამოჯდა, თითქოს საკუთარ სიცოცხლეს ებღაუჭებაო, რომელიც სინამდვილეში უკვე ღმერთს ეკუთვნოდა. ორ-სამჯერ თქვენი სახელიც წარმოთქვა. შემდეგ მიწყნარდა და ძალაგამოცლილი დაეცა ლოგინზე, უხმოდ წამოუვიდა ცრემლები თვალებიდან და გარდაიცვალა.

მე მივუახლოვდი, დავუძახე, რადგან არ მიპასუხა, თვალები დავუხუჭე და შუბლზე ვეამბორე.

საბრალო, ძვირფასი მარგარიტა, როგორ ვინატრე, ნეტავ წმინდანი ვიყო, რომ ამ კოცნამ უფალთან დააბრუნოს-მეთქი. შემდეგ გამოვაწყვე, როგორც მთხოვა და მღვდლის მოსაყვანად სენ როშისაკენ გავემართე. ორი სანთელი დავუნთე და მთელი ორი საათი ვილოცე ეკლესიაში. ფული, რაც დარჩა, ღატაკებს დავურიგე.

რელიგიის ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ ვფიქრობ, უფალი ირწმუნებს რომ ჩემი ცრემლი ნამდვილი იყო, ლოცვა - მხურ-ვალე, მოწყალება - გულწრფელი და შეიბრალებს მას, ვინც ახალგაზრდა და ლამაზი მიიცვალა, ვისაც ჩემს მეტი არავინ ჰყავდა, რომ თვალები დაეხუჭა და მიწა მიეყარა მისთვის.

22 თებერვალი

დღეს დაკრძალვა იყო. ეკლესიაში მარგარიტას ბევრმა მეგობარმა მოიყარა თავი. ზოგიერთები გულწრფელადაც ტიროდნენ. როცა სამგლოვიარო პროცესია მონმარტრისაკენ გაემართა, მას მხოლოდ ორი მამაკაცი მოსდევდა უკან, გრაფი დე გ . . . , რომე-ლიც სასწრაფოდ ჩამოვიდა ლონდონიდან და ჰერცოგი, რომელიც ორ ლაქიას მოჰყავდა.

ამ წვრილმანებს მის ბინაში ვწერ, ცრემლი თვალში მეჩხირება, ლამფა კი ნაღვლიანად ანათებს ჩემ წინ გაწყობილ სადილს, რომელსაც, ცხადია, არ მივკარებივარ, მაგრამ რომელიც ნანინმა ჩემთვის შეუკვეთა. მთელი დღე-ღამეა არაფერი მიჭამია.

გონებაში დიდხანს როდი შემომრჩება ეს ნაღვლიანი შთაბეჭდილებები, ჩემი ცხოვრებაც ხომ ისევე ნაკლებად მეკუთვნის მე, როგორც მარგარიტას ეკუთვნოდა მისი. ამიტომაც გწერთ დაწვრილებით, მეშინია, ვაითუ, დიდი დრო გავიდეს ამ

ამბებსა და თქვენს დაბრუნებას შორის და მე ვეღარ შევძლო ზუსტად გადმოგცეთ მთელი ნაღველი.

XXVII

- წაიკითხეთ ? - მკითხა არმანმა, როცა ხელნაწერის კითხვას მოვრჩი.

- თუ ყველაფერი სიმართლეა, რაც წავიკითხე, წარმომიდგენია, როგორ იტანჯებოდით, ჩემო მეგობარო.

- მამაჩემმა თავის წერილში დამიდასტურა, სიმართლეაო.

ერთხანს კიდევ ვილაპარაკეთ საშინელ ბედისწერაზე, მერე კი შინ წამოვედი დასასვენებლად.

არმანი კვლავ ნაღვლიანი იყო, მაგრამ ამ ამბის მოყოლამ ცოტა უშველა, მალე მომჯობინდა და ჩვენ ერთად ვესტუმრეთ პრიუდანსსა და ჟიული დიუპრეს.

პრიუდანსი გაკოტრებულიყო. ჩვენ გვითხრა, მარგარიტას ბრალია, ავადმყოფობისას ბევრი ფული ვასესხე, რომელიც მე თვითონ თამასუქით მქონდა აღებული, შემდეგ კი ვეღარ გადავიხადე, არადა, მარგარიტა ისე გარდაიცვალა, რომ არც არაფერი დაუბრუნებია, ის კი არა, ხელწერილიც კი არ დაუტოვებია იმის დასადასტურებლად, რომ ჩემი ვალი ემართაო.

ამ ზღაპრით, რომელსაც ქალბატონი დიუვერნუა თავისი აწეწი-ლი საქმეების გასამართლებლად ყველგან ჰყვებოდა, ათასი ფრანკი დასცინცლა არმანს. მან არ დაუჯერა, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, თითქოს მჯერაო. თავისი სატრფოს ხსოვნას სცა პატივი.

შემდეგ ჟიული დიუპრეს ვესტუმრეთ. მან გვიამბო ის სამწუხარო ამბები, რომლებიც საკუთარი თვალით ეხილა და ცრემლმორეულმა მოიგონა თავისი მეგობარი.

ბოლოს მარგარიტას საფლავზე გავედით, აპრილის მზის პირველ სხივებს პირველი კვირტები გაეშალა.

არმანს უკანასკნელი მოვალეობა დარჩა შესასრულებელი, მა-მასთან უნდა გამგზავრებულიყო. მთხოვა, თქვენც წამომყევითო.

ჩავედით ს . . . - ში, სადაც ბატონი დიუვალი გავიცანი. სწორედ ისეთი იყო, როგორც მისი ვაჟის აღწერიდან წარმომედგინა: მაღალი, ღირსეული, თავაზიანი.

ბედნიერების ცრემლით შეეგება არმანს, მეც სიყვარულით ჩამომართვა ხელი. მალე მივხვდი, რომ გადასახადების ინსპექტორის გულში მამობრივი გრძნობა ყველა სხვაზე მაღლა იდგა.

მის ქალიშვილს, ბლანშს, ისეთი ნათელი თვალები და სუფთა მზერა ჰქონდა, სახის ისეთი მოხაზულობა, ეჭვი არ შეგეპარებოდათ, მხოლოდ უმანკო აზრები მოსდის თავში და ბაგესაც მხო-ლოდ მოკრძალებული სიტყვები სწყდებაო.

იგი უღიმოდა ძმას და ყმაწვილი ქალის უბიწოებით ვერ ხვდებოდა, რომ სადღაც შორს, მისი სახელის ხსენებამაც კი იკმარა, რათა ვიღაც ხარჭას მსხვერპლად შეეწირა თავისი ბედნიერება.

ერთხანს მათ ბედნიერ ოჯახში დავრჩი. მთელი ყურადღება იმისკენ მქონდა მიპყრობილი, ვინც მათ გამოჯანმრთელების გზა-ზე დამდგარი გული ჩამოუტანა.

პარიზში დავბრუნდი და ისე აღვწერე მთელი ეს ამბავი, რო-გორც მიამბეს. ამ ამბავს ერთადერთი ღირსება აქვს - სრული სიმართლეა, მაგრამ ვინ იცის, ვიღაცისთვის იქნებ ესეც სადავო იყოს.

არ ვაპირებ, ამ ისტორიიდან დავასკვნა, თითქოს მარგარიტასნაირ ყველა ქალს შეუძლია იმის გაკეთება, რაც მან შეძლო, არამც და არამც. მაგრამ მე ვიხილე, როგორ უყვარდა ერთ მათგანს მთელი გულით, როგორ იტანჯა და როგორ მიიცვალა. ვალდებული ვიყავი, ეს ყველაფერი მეთქვა.

გარყვნილების მოციქული როდი ვარ, მაგრამ ამაღლებულ ტანჯვას ყოველთვის გამოვეხმაურები და ვილოცებ წამებულთათვის.

მარგარიტას ისტორია გამონაკლისია-მეთქი, კიდევ ვიმეორებ, თორემ ჩვეულებრივი ამბავი რომ ყოფილიყო, აბა, რა აზრი ექნებოდა, მასზე წერას.